ართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში

16-22 დეკემბერი
ფასი 1,50 ლარი
№51
www.tbiliselebi.ge



გვ. 15
რას აპირებენ ახალი წლის ღამეს კახა კინწურაშვილი და ლიკა ლაბაძე

გვ. 78
რაში გაუმართლა ნუცა ბუზალაძეს და რატომ იქნება „ერთი ერთში" მის მიერ ბერას განსახიერება მადლობის გადახდა

გვ. 79
რით მოხიბლეს ქართველმა ქალებმა რეპერი ქულიო და რატომ მოითხოვა მან თბილისში ჩამოსვლამდე თაფლი და ქართული ყველის ასორტი



რა შეცვალა ლალი მოროშკინას ბოგოქარ ცხოვრებაში გათხოვებამ და სად აპირებს ის მეუღლესთან ერთად „გაპარვას"
გვ. 22



გვ. 76
რა ნაღმი აუფეთქდა ნინო ზურიაშვილს და ვინ გაუგზავნა მას საპროტესტო ნოტა



რატომ ვერასდროს ვერავინ ხედავს გაბრაზებულ ნეკა სებისკვერაძეს და რა არის მისთვის ბედნიერება და წარმატება
გვ. 13



გვ. 18
ვის „ღალატობს" ნინა სტამბულში და რა უყვარს მას ჰაერში

# გილოცავთ ბარბაროზბას!

20, 21 და 22 დეკემბერს

მეტრო მარტ

გეპატიჟებათ საახალწლო ნაძვის ხეზე

აჩუქეთ ბავშვებს საახალწლო განწყობა და ისიამოვნეთ ჯერ არნახული შემოთავაზებებით „მეტრომარტისგან."



თქვენ გელით კონცერტი!
ჟამბაზები და სანტები თქვენი ბავშვების საუკეთესო განწყობისთვის!
გრანდიოზული ფასდაკლება ყველა სახის პროდუქციაზე!

დიდი სიურპრიზები...

მისამართი: თბილისი, ვაგზლის 2, თბილისი ცენტრალი.
ქუთაისი, სამტრედიის ხიდის მიმდებარედ

ტელეფონი: 2 000 555

HAIRLINE INTERNATIONAL

პროფესიონალები ზრუნავენ თქვენს გარეგნობაზე...

სამედიცინო ცენტრი "ჰეალაინი"

www.hairline.ge

გთავაზობთ:

- სახის და ტუჩის კონტურული პლასტიკა
- ბოტოქსი
- ბიორევიტალიზაცია
- მეზონიდლინგი
- პლაზმოლიფტინგი
- მეზოთერაპია
- აპარატული კოსმეტოლოგია
- ქიმიური პილინგი



დეა პაპასკირი
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის დოქტორი

2 30 00 30

ქავთარაძის ქ. 16 ( DKC - სამკურნალო კომბინატი )

# „საქართველოს ბანკი“ 2014 წელს სოციალურ პროექტებზე 2,3 მილიონ ლარს გამოყოფს

*„საქართველოს ბანკი,“ როგორც ინოვატორი, ყოველთვის საინტერესო სიახლეებს სთავაზობს საზოგადოებას. მათ შორის არის ის პრიორიტეტები, რომლებსაც 2014 წელს „საქართველოს ბანკი“ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით განახორციელებს. „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდში“ 2,3 მილიონი ლარი გადაირიცხება, საიდანაც 1 მილიონი ლარი მოხმარდებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, 150.000 – გარემოს დაცვას, 1 მილიონი კი – საგანმანათლებლო პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ 2008 წელს დაარსდა. ფონდის პრიორიტეტების გადახედვა პერიოდულად ხდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალური სოციალური მიმართულებები.*

**ირაკლი გილაური** *(„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი):* უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის პრეცედენტი საქართველოში, როცა კერძო სექტორი, კონკრეტულად კი – ბანკი, მილიონ ლარს გამოყოფს შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისთვის. ჩვენ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ სწორედ ამ პროექტით ცდილობს, დაანახვოს ეს საზოგადოებას. საჭიროა, ამ ადამიანებს შევუქმნათ სათანადო პირობები, რათა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და საზოგადოების სრულყოფილ წევრად იგრძნონ თავი. „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ 2014 წელს საგრანტო კონკურსებს გამოაცხადებს. გრანტის მიღება კი შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებსა და შესაბამის დაწესებულებებს შეეძლებათ.




გრანტის სახით გამოყოფილი თანხები მოხმარდება ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და ინტეგრაციაზე მიმართულ პროექტებს. „საქართველოს ბანკი,“ ასევე, მოახდენს საკუთარი სერვისცენტრების ადაპტაციას შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის. საწყის ეტაპზე თბილისის 14 საკვანძო სერვისცენტრი აღიჭურვება პანდუსებითა და ელექტროკარით, რისთვისაც ბანკი დამატებით გამოყოფს 180 ათას ლარს. მომავალში მოხდება საქართველოს მასშტაბით 100-მდე სერვისცენტრის ადაპტაციაც. განათლების მიმართულებით „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ განახორციელებს რამდენიმე პროგრამას, მათ შორისაა მომხმარებელთა ფინანსური განათლების ცენტრის დაარსება, ბიზნესინკუბატორის და სტიპენდიების გაცემა. ბიზნესინკუბატორის პროგრამა ხელს შეუწყობს საინტერესო იდეების მქონე, მოტივირებულ პირებს. მათ შეეძლებათ, გამოამჟღავნონ თავიანთი შესაძლებლობები და განავითარონ საკუთარი ბიზნესი. საუკეთესო იდეების ავტორებისთვის გათვალისწინებულია გრანტების გაცემა. სასწავლო გრანტებისა და სტიპენდიების პროგრამის ფარგლებში კი დაფუძნდება „საქართველოს ბანკის“ სახელობის სტიპენდიები სტუდენტებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს ბანკის” სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება გარემოს დაცვა და, ამ მიზნითაც, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდიდან” 150.000 ლარი სწორედ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდაჭერას მოხმარდება, რასაც „საქართველოს ბანკი“ უკვე 4 წელია, უწყვეტად ახორციელებს. „საქართველოს ბანკი“ მომავალშიც ბევრ საინტერესო, საჭირო სიახლესა და პროექტს განახორციელებს სოციალური კუთხით.

**სოფი ლორია**

## სარჩევი


რატომ განაგრძო ახალმა ხელისუფლებამ ძველის მიერ შექმნილი სახელფასო ტრადიცია და რატომ უჯდება მაღალჩინოსანთა „პატიოსნება“ საქართველოს მოსახლეობას უფრო და უფრო ძვირი ........ 6

როგორ ანარკომანებს ერთი ნარკომანი 8-12 ახალბედას და რატომ გახდა სანატრელი ჰეროინისა და სუბოტექსის მომხმარებელი ნარკომანები ........ 7

როდიდან იწყება ოლიმპიადების ბოიკოტის ისტორია და პროტესტის რა ფორმებისთვის მიუმართავთ ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს უშუალოდ ოლიმპიური თამაშებისას ........ 8

რა გაეზარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს და რატომ შიმშილობს ის ........ 10

როგორ შეუძლია საქართველოს მთელი მსოფლიოს სასმელი წყლით უზრუნველყოფა ........ 12

რა აღმოაჩინა ღამით სასაფლაოზე გიორგი მუსხელიშვილმა და რატომ არ უშვებდნენ მას სასტუმროებში ........ 14

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

რა ეტაპებს გადის ქალი სიყვარულში და როდის აღარ უშვებს ის შეცდომას გრძნობის გავლენით ........ 20

დონეცკსა და ყაზახეთში მცხოვრები შვილები მამებს საქართველოში ეძებენ . 21

როგორ „აღმოაჩინა“ ტყუპისცალი ძმა ონისე ონიანმა და რატომ ემუქრებოდა მას ლევან წულაძე სახლის გადაწვით ........ 23

როგორ ადამიანებს არ ივიწყებს არასდროს ღმერთი და რა შემთხვევაში წარმოაჩენს ქრისტიანს საკუთარი ღვაწლი ........ 24

მოძღვარი გვირჩევს ........ 25

ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელები მსოფლიო სპორტის ისტორიაში ........ 26

პოლ უოკერი: „ფორსაჟის” ვარსკვლავის ტრაგიკული სიკვდილი და ფაქტები მისი ცხოვრებიდან ........ 27

რომელ ძვირფას ნივთებს ანიჭებენ უპირატესობას მილიარდერები და მილიონერები ........ 27

ექიმის რჩევები ........ 29

ვინ დაუწვა წიგნები და დაუწყევლა ოჯახი ჯანსულ ჩარკვიანს ........ 30

როგორ უნდა მიხვდეთ, ხართ თუ არა გათვალული და რა სიმპტომები ახასიათებს თვალით მოჯადოებულ ადამიანს........32

კოსმეტოლოგის რჩევები........34

რა თქვა სტალინმა „საიდუმლო სერობაზე“, სადაც მეფის ოჯახს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს........35

როგორ სურნელს ანიჭებენ უპირატესობას კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები........36

რის მოზომვა უჭირს ყოველ დილით თათია დონაძეს და ითხოვს თუ არა საოცრებებს ის მამაკაცისგან ........ 51

ვინ და როგორ გაიტაცა 75 მილიონის ღირებულების ძვირფასეულობა „კაგებეს“ მანქანიდან ........ 52

სისხლიანი ანგარიშსწორება ახალგაზრდებს შორის – რა გახდა დანაშაულის მიზეზი: ექვიანობა თუ ნათხოვარი ფეხსაცმელი ........ 53

ვეტერინარის რჩევები ........ 54

ფლორის სამყაროში ........ 54

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ........ 55

ქურდული ცხოვრება ........ 68

სერიული მანიაკები ........ 72



გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# კვერგამოუმცხვრები

**მიუხედავად ჩვენი თანადგომისა უკრაინელების მიმართ**, რადგან **ერთიც მგლისკენო,** ფაქტია, რომ **უკრაინული „ბერკუტი“ ჩვენს სპეცრაზმთან შედარებით ფრთიანი ანგელოზია,** ან, იქნებ, უბრალოდ, მეტად პროფესიულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ასეა თუ ისე, **თეთრი შურით შეგშურდებოდა, რა ნაზად იქნევდნენ ხელკეტებს**. **მეტიც**, მაგალითად, **კიროვოგრადის სპეცდანიშნულების რაზმმა საერთოდაც უარი თქვა მაიდანის დარბევაზე** – . სულ **220-მა სპეცრაზმელმა განაცხადა უარი კიევისკენ მიმავალ ავტობუსებში ასვლაზე.**

მეორე მხრივ, ჯერ იყო და, **კიევურმა ინტერნეტპროვაიდერებმა მოუწოდეს მაიდანთან მცხოვრებ მოსახლეობას, აეხსნათ „ვაი ფაის“ პაროლები**, რომ **აქციის მონაწილეებს ინტერნეტთან შეუზღუდავად ჰქონოდათ წვდომა,** ოდნავ მოგვიანებით კი **კიეველმა ტაქსისტებმა გადაწყვიტეს, რომ ევრომაიდნელებს, რომლებიც ევრომაიდნისკენ ან ევრომაიდნიდან მგზავრობენ, უფასოდ მოემსახურონ**. ხოლო, **რადგან ამ იდეას მხარდამჭერები უხვად გამოუჩნდნენ**, ტაქსის მძღოლები **მგზავრებს უფასოდ მთელი კიევის მასშტაბით ემსახურებიან.**

ამის პარალელურად, **ევროპარლამენტში ევროდეპუტატებმა, მხარდაჭერის ნიშნად, უკრაინის დროშები გაშალეს**. თუ გავიხსენებთ, **მსგავსი მხარდაჭერა ევროპარლამენტს ჩვენთვის მაშინაც კი არ გამოუჩენია, რფ-მ მიწაზე რომ დაგვადუღა** (სხვათა შორის, სწორედაც რომ, დასავლური არჩევნისთვის), **ჩნდება ეჭვი, რომ ობლის კვერი არც არასდროს გამოცხვება.** თუმცა, თუ გასულ კვირას ბ-ნი **მერაბიშვილის** მიერ თავის სასამართლო პროცესზე გაკეთებულ **განცხადებას გავითვალისწინებთ, დღეს რომ 25 მაისი იყოს, კვლავ იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდიო,** ზედაც, დავამატებდით, უკრაინელი ტაქსისტების აქციას, **იქნებ, „ობოლი“, მაინცდამაინც, არც თვითონ უწყობს ხელს თავისი კვერის გამოცხობას?!** –

# „ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა“

მართალია, **საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სამშობლოში თითქმის აღარ გამოჩენილა**, რაც იმას ნიშნავს, რომ **ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას უგანა**, მაგრამ, **სამაგიეროდ, თავდავიწყებით გადაეშვა უკრაინის პოლიტიკური ცხოვრების მორევში**.



სხვათა შორის, **ამასობაში კი დევიდ პეტერუსი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენითაც დააჯილდოვა** (არ მკითხოთ, ეგ როგორრო, რადგან არ ვიცი და არც ფანტაზია მყოფნის ამოსაცნობად).

ხოლო, **რაკი გადაეშვა, უკრაინულ ტელეარხებზეც გამოჩნდა** და იქაურ საზოგადოებას **პრობლემების გადაჭრის მისეული ხედვა და მეთოდებიც გააცნო**, კერძოდ, ბრძანა, რომ **„ხელისუფლება ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, რომ მიტინგების დროს არ გამოიყენოს გადამეტებული ძალა** (ჭეშმარიტად, გამოცდილება მაშინ მოდის, როცა ის აღარ გვჭირდება)“. ზედაც, დაამატა, რომ **ამ მიტინგებს** (რომლის მონა-

## „არა, ეს არ არის რიო, ეს გაცილებით უარესია“

წილეებს, თმის ბეწვი რაა, ისიც არ შერხევიათ), **გადადგომით უპასუხა** (საპრეზიდენტო ვადა ერთი წლით შევიმცირეო, მაგრამ, აბა, უკრაინელმა ჟურნალისტმა რა იცოდა, რომ, რეალურად, ერთი წლით გაიხანგრძლივა?!). **ხოლო ნოემბრის შემდეგ გამართული საპროტესტო აქციები შემდეგნაირად აღწერა:**



„... იყო კიდევ დიდი აქციები რამდენიმე თვის განმავლობაში. **ჩვენ თითი არ გაგვინძრევია და ისინი თვითონ დაიშალნენ, თუმცა, პარალელურად, ჩვენ ვმართავდით დიალოგს მათთან**.“

რაკი **ენას ძვალი არ აქვს**, ხოლო, როგორც ჩანს, **ჩემი კოლეგა უკრაინელები ტყემლის ხეზე სხედან ქართული პოლიტცხოვრების დეტალების ცოდნაში,** მაიდანზე შეკრებილთა ნაწილმა ბ-ნი **სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტად მოითხოვა** (ეტყობა, სიტყვაზე ენდნენ). ვვარაუდობ, **საწინააღმდეგო არაფერი გვექნება: „მოჟნო, ნო დენგი ვ პერიოდ“!**

# ჰაერში დამღნობები

ფაქტია, რომ მთავრობა ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა, რადგან, **როგორც კი ჩამოთოვა და წაყინა, გზებიც, ჩვეულებისამებრ, ჩაიხერგა და ელექტროენერგიაც ზედ მიჰყვა.**

მართალია, **ენერგეტიკის სამინისტრო გვამუნათებს, სტიქიის ბრალია და ადრეც ასე ხდებოდაო** (რაშიც ვეთანხმებით), მაგრამ, **თავის გასამართლებელ არგუმენტად მაინც ვერ ჩავუთვლით**, რადგან, **საქმეს კოჭებშივე ეტყობა, რომ პრევენცია კვლავაც უცხო ხილია ჩვენს მმართველთათვის და** პრობლემებზე კვლავაც **ოპერატიულ რეაგირებას ამჯობინებენ**, ძალისხმევის წინდაწინ, მათ **ასაცილებლად დახარჯვის ნაცვლად**.

ხოლო, რაკი **ცხოვრებას კონკურენციის განუმეორებელი ხიბლი ჰმატებს ჟინსა და სიხალისეს**, განსაკუთრებით კი – პოლიტცხოვრებას, **ჩახერგვა-უშუქობის ფაქტს** ერთ დროს ამ ჩვენი დედაქალაქის **კეთილმოწყო-**

## „ჩამოთოვა ისევ“

**ბის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელიც გამოეხმაურა.**

სახელდობრ, ბ-ნმა სუბელიანმა შენიშნა: **„თოვლს ჰაერშივე ვადნობდით და მიწაზე დაშვების უფლებას არ ვაძლევდით, არამცთუ იმის უფლებას, რომ რიკოთი ჩაეხერგა და გადაადგილება შეეფერხებინა** (ჩემდა თავად, დავძენ – ჯიბიდანაც ისროდნენ).“

მაგრამ, სამართლიანობის გამო, უნდა შევნიშნოთ, რომ **ეს მთლად ბ-ნი სუბელიანის შეფასება არ არის**, რამეთუ, განმარტავს: **„რიკოთზე გაუწმენდავი გზით გამწარებულ მგზავრს უთქვამს ჩვენზე ასეთი რაღაც ახლახან**.“

თუმცა პასაჟი აშკარად არასრულია: **არა მხოლოდ ჰაერშივე ადნობდნენ, ცადაც ამაღლდებოდნენ, მზეებადაც გარდაისახებოდნენ** (თუკი ღრუბელ-ღრუბელ არ იმალებოდნენ) და **სიცოცხლის მიმნიჭებელ სითბოს უშურველად გასცემდნენ!**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „ნაციონალურად“ გულმოკლულები

## „ვაი, ველარ ვხედავ დემოკრატიულ მზეს“

რაკი, როგორც თავად ამბობენ, **მათთვის ევროპული ფასეულობები წმიდათაწმიდაა** (აკი პრეზიდენტობის კანდიდატი პრაიმერით გამოავლინეს?!), სავსებით **ბუნებრივია, რომ, მას შემდეგ, რაც დეპუტატმა ჯაჭვლიანმა დეპუტატ ბარამიძეზე გაიწია (და, რომ არ შეეკავებინათ, შერკინება ნოკაუტით დასრულდებოდა),** პარლამენტის **სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს** და **სიტყვაც დატოვეს, რომ არც დაუბრუნდებიან საკანონმდებლო მუშაობას,** სანამ **უმრავლესობა ადეკვატურად არ შეაფასებდა მომხდარს** (რამეთუ, მათი განმარტებით, ეს არ ჯდება ცივილიზებული ურთიერთობის კონტექსტში).



**ჩვენ ორთავ ხელით ვეთანხმებით,** რომ მომხდარი შორს არის ცივილიზებული ურთიერთობისგან („ვაი, ველარ ვხედავ დემოკრატიულ მზეს“), თუმცა, **ერთობ უცნაურია ეს შეფასება აწ უკვე უმცირესობაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობისგან“,** იმ მარტივი მიზეზით, **რასაც** ბ-ნი აკაკი **ბობოხიძე ჰქვია**, **რომელმაც,** მას შემდეგ, რაც **სიტყვით გამოსვლისას ბ-ნ პეტრე მამრაძეს სხდომათა დარბაზში ჩაარტყა** (მეტის საშუალება არ მიეცა, რადგან, მანდატურებმა გაანეიტრალეს), **განაცხადა, რომ არ აპირებს უარი თქვას ცემა-ტყეპაზე, თუკი ოპონენტის აზრები არ მოეწონება** (სხვა შემთხვევებს აღარ გავიხსენებ, ისეც საკმარისია).

მეორე მხრივ, **ნაციონალური უმცირესობის საპროტესტო განცხადება საზოგადოებას** დეპუტატმა სერგო **რატიანმა გააცნო** და, ზედაც, **მიმოძღვრა, თუ როგორი არ უნდა იყოს დეპუტატი**. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ეს ის** ბ-ნი **რატიანია, რომელმაც „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში დეპუტატ კობა დავითაშვილს ჭიქა ესროლა** (სხვათა შორის, იმიტომ, რომ ბ-ნი დავითაშვილის რეპლიკებმა გამოიყვანა „წყობილებიდან“) და დავამატებთ, რომ, **დეპუტატ ჯაჭვლიანის განმარტებით, დეპუტატ ბარამიძეს იმიტომ ეცა, რომ მისმა ჟესტმა გააღიზიანა** (შეგახსენებთ, დეპუტატმა ბარამიძემ დეპუტატ ჯაჭვლიანის სიტყვით გამოსვლისას მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მარჯვენა საფეთქელთან მიიტანა და დაატრიალა), **არისტოტელეს ლოგიკით, გამოდის, რომ დეპუტატ ჯაჭვლიანს დეპუტატ ბარამიძესთან მიმართებაში დეპუტატ რატიანის სქემით უმოქმედია** – თუმცა, გაუგებარია, რატომ არ მოეწონა ეს ამბავი თავად ამ სქემის მამამთავარს?!

# „ვიწყებთ მეორე განყოფილებას“

## „ვეცი გახელებით, ყმას თუ მებატონეს“

მაშინ, როდესაც **ჩვენი დეპუტატების „ვეცი გახელებით, ყმას თუ მებატონეს ჩოხის ნახევები ხელში შევატოვე“ არ მოგვენელებინა, მომხდარით დაკოდილ გულებზე მალამოდ მექსიკელი კანონმდებლები დაგვედნენ.**

კერძოდ, გასულ კვირას, **მექსიკაში, ზუსტად იმ დღეს, როდესაც დეპუტატები ჯაჭვლიანი და ბარამიძე შეიბნენ, კონგრესის ქვედა პალატამ მიიღო კანონპროექტი,** რომელიც უცხოელ ინვესტორებს ენერგეტიკული ობიექტების შესყიდვის უფლებას აძლევს. თუმცა, მოვლენებმა **კულმინაციას კანონის დამტკიცებამდე მიაღწია: ოპოზიციამ გამოსვლებითაც გააპროტესტა კანონპროექტის განხილვა და შეხლა-შემოხლითაც**, ოღონდ, ამჯერად **თავი ქალმა დეპუტატებმა გამოიდეს**.



სახელდობრ, ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის წევრი **ლანდი ბერსუნსა ოპონენტს**, დემოკრატიულ-რევოლუციური პარტიის წევრ **კარენ კიროხას წაჰკიდებია**. მოჩხუბარი **ქალბატონები,** მართალია, ღვთის შეწევნით**, გაუშველებიათ, თუმცა, ქ-ნ ბერსუნსას თვალი მაინც დაზიანებია.**

მაგრამ, **ვნებათაღელვა ამით არ ამოწურულა**, ერთ-ერთი დეპუტატი (ამჯერად მამაკაცი), **პროტესტის ნიშნად, ზედაც, გაშიშვლებულა** (ერთი ისაა, **ტრუსები დაუტოვებია**). როგორც თავად განუმარტავს, ამ ჟესტით კოლეგებისთვის იმის დანახვება უცდია, თუ რა შეიძლება, გამოიწვიოს ენერგოობიექტების გასხვისებამ.

თუ გავიხსენებთ, რომ, ჯერ ერთი, **ჩვენი ენერგოობიექტები კარგა ხანია, გასხვისებულია**, მეორეც – **მდედრობითი სქესის ჩვენებურ დეპუტატებს არასდროს უჩხუბიათ**, როგორც ჩანს, **წინ კიდევ მრავალი სანახაობა გველის** (სახეზე გატყობთ კმაყოფილებას, ვიწყებთ მეორე განყოფილებას)!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# უნახავთა აღლუმი

შესაძლოა, **როგორც ოკუპანტები იტყოდნენ: „**но хорошо жить еще лучше“, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 79 551 ლარად ღირებული TOIOTA LANDCRUISER შეიძინა**. გარდაბნის **გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ტანზე იხევს, რომ, არ იცის, ვინ უნდა ისრიალოს ამ ავტოთი**, ერთი ისაა, რომ **ინფორმაციას ადასტურებს**. თუმცა, წინასწარი კეთილი ხალხის ცნობით, **ამ ავტოთი გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარემ უნდა ისარგებლოს** (გენაცვალეთ მადაში!) –

ჰოდა, რაკი **თხა თხაზე ნაკლებიო, აჭარის უმაღლესმა საბჭომაც გამოაცხადა ტენდერი ახალი ავტომობილის შესაძენად,** რომელშიც **83 000 ლარის გადახდაც კი არ ენანება** (მუქთა იყოს, კუბო იყოს, არათუ სამსახურებრივი „ჯიპიო“!), **თუკი ის იქნება 2014 წლის, 7-ადგილიანი, მაცივარ-კონდიციონერითა და ორმაგი დამცავი ბალიშებით აღჭურვილი** (თმის ბეწვიც რომ არ შეუტოკდეთ აჭარის უმაღლესი საბჭოს მაღალ-მაღალჩინოსნებს!).

**აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ბერიძე** (აი, ის ბატონი, თავი რომ ქოლგის დამჭერით დაგვამახსოვრა და აქეთ შემოგვიწყრა, დიდი ამბავი ასაკით უმცროსმა ასაკით უფროსს ქოლგა რომ დაუკავოსო, თუმცა, ისიცაა, თუ ქოლგასაც ვერ იმაგრებ, სახლში არ ჯობია, დარჩე?!) **განმარტავს, რომ ეს ძვირად ღირებული ავტომანქანა სრულიად აჭარის სრულიად უმაღლესი საბჭოს საკუთრებაა და ისარგებლებს ის, ვისაც დასჭირდება** (თუმცა, თუ ქოლგის ინციდენტს გავიხსენებთ, ეჭვი კი გვაქვს, ვისაც დასჭირდება).

## ანუ, პატივისა არ ეშინით

ამის პარალელურად, ისიც შევიტყვეთ, რომ **ხულოს მუნიციპალიტეტი 100 000 ლარად გეგმავს ორი ავტომანქანის შეძენას**, თუმცა, **გვარწმუნებენ, სასწრაფო დახმარების ავტომანქანებს ვგულისხმობთო.**




კარგა ხანია, ვიცით, რომ **ეს ჩვენი მაღალჩინოსნები პატივს არ უფრთხიან** და **ფრიად წარმატებითაც აგრძელებენ წინამორბედთა მიერ დანერგილ ტრადიციას: რაც ზემოთ, მით უფრო მაძღარი**, მეორე მხრივ, **ისიც ცხადია, რომ ამ პროცესს არც ის შტრიხი აკლია: „უხანავმა რა ნახაო“,** თუმცა, მაინც იბადება რიტორიკული კითხვა: **უნახავი – უნახავად, მაგრამ, მთლად ასეთი მასშტაბის?!**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ძველი, ჯერაც საბჭოთადროინდელი ანეკდოტია: მზესუმზირის ორი გამყიდველი, რომლებიც ხიდზე საქმიანობდნენ, ვერ შეთანხმდა, რა არის კომუნიზმი. ერთ-ერთმა გადაწყვიტა, აზრი გამვლელისთვის ეკითხათ. გამვლელმა არ დაიზარა და ხატოვნად აუხსნა: გაჩერებაზე რომ ორი „ვოლგა“ დგას, ერთი ჩემია, ერთი – ჩემი მეგობრის, როდესაც შუაში შენი „ვოლგაც“ დადგება, კომუნიზმში ვიქნებითო. დაბრუნდა მზესუმზირის გამყიდველი თავის მეგობართან და აუხსნა: მე ხომ ხიდის თავში ვყიდი მზესუმზირას, შენ – ხიდის ბოლოში, შუაში რომ მესამეც დაიწყებს მზესუმზირის გაყიდვას, კომუნიზმში მაშინ ვიქნებითო. ეს ძველისძველი ანეკდოტი ჩვენს ქვეყანაში დამყარებულმა სახელფასო უსამართლობამ გამახსენა. მართალია, ჩინოვნიკებისთვის ქართული რეალობისთვის არაადეკვატურად მაღალი ხელფასების დანიშვნის ტრადიციას საფუძველი „ნაციონალებმა“ ჩაუყარეს, თუმცა გზას არც „მეოცნებეებმა“ უგანეს: ანუ იქ, ზემოთ, კვლავაც „ჯიპთა“ ცვენაა, აქ, ქვემოთ, კი „მზესუმზირით მოვაჭრეების“. რამდენად სამართლიანად ნაწილდება შემოსავლები ქვეყანაში და რატომ არის უცხო ხილი ჩვენი საზოგადოების „გავძეხი“ ნაწილისთვის სოციალური სოლიდარობა? – საკითხს ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# რატომ განაგრძო ახალმა ხელისუფლებამ ძველის მიერ შექმნილი სახელფასო ტრადიცია და რატომ უჯდება მაღალჩინოსანთა „პატიოსნება“ საქართველოს მოსახლეობას უფრო და უფრო ძვირი

**– ბოლო 8 წელია, რაც მაღალჩინოსანთა ხელფასი აღემატება როგორც საარსებო მინიმუმს, ისე ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს. არ არსებობს რამე სქემა, რა ფარგლებში შეიძლება, აღემატებოდეს მაღალჩინოსანთა ხელფასები საარსებო მინიმუმსა თუ რომელიმე სხვა ზოგად მაჩვენებელს?**

– სახელფასო თემა არის იმ შინაგანი წინააღმდეგობებისა და არასრულყოფილების გამოხატულება, რაშიც ჩვენი ეკონომიკაა. იმის გამო, რომ ჩვენი ეკონომიკა არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორიც გვინდა, რომ იყოს და მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და ჩვენს ისტორიას ეკადრება, ხელფასები არის ისეთი, როგორიც არის. მანამდე ერთ საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: ბოლო წლებში ხელფასები ძალიან ინტენსიურად იზრდებოდა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი ქვეყანაში ნომინალური მშპ-ს ზრდას უსწრებდა ორჯერ და ცალკეული წლების მიხედვით, ორ-ნახევარჯერაც. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის ხელფასტევადობა 1996 წლის 6 პროცენტიდან 22 პროცენტამდე გაიზარდა. ზრდა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ, თუ ხელფასტევადობის ჩვენს მაჩვენებელს ევროპისას შევადარებთ, ის საკმაოდ დაბალია. მაგალითად, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტია. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი კი 40 პროცენტს აღემატება. ამდენად, აქ პრობლემაა არა ის, რომ ხელფასებია მაღალი, მეტსაც გეტყვით, ქვეყანაში აღარ არსებობს ხელფასების შემდგომი ზრდის რესურსი, არამედ ის, რომ ხელფასის საშუალო სიდიდის ზრდას არ მოჰყოლია დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა. ქვეყანაში ძალზე მცირეა ხელფასის მიმღებთა რაოდენობა. მაგალითად, ამერიკასთან შედარებით ჩვენთან ყოველ 1 000 ადამიანზე დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა 3-ჯერ დაბალია. შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს კეთილდღეობაზე და მთავარი უკვე არა საშუალო ხელფასია, არამედ ის, თუ რამდენია დასაქმებული. თუ 9-სართულიან კორპუსში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, მისი ხელფასი რომ გავანაწილოთ კორპუსის მაცხოვრებლებზე, ის მცირე გამოვა, ამიტომ ჯობს, თითო სართულზე თითოს მაინც ჰქონდეს ხელფასი, მარტივი შედარებაა, მაგრამ ნათლად ასახავს რეალობას.



**თუ 9-სართულიან კორპუსში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, მისი ხელფასი რომ გავანაწილოთ კორპუსის მაცხოვრებლებზე, ის მცირე გამოვა, ამიტომ ჯობს, თითო სართულზე თითოს მაინც ჰქონდეს ხელფასი**

**– ამერიკასთან შედარებით სამჯერ მცირე დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ რის მაჩვენებელია?**

– ეკონომიკურად ჩვენ ჩამოვრჩებით ამერიკას, მაგრამ ეს ჩამორჩენა უფრო მეტია დღეს, ვიდრე საშუალო ხელფასის მიხედვით. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო. შემიძლია, ციფრები დავასახელო, მაგალითად, 2003 წელს ჩვენი მშპ ამერიკის მშპ-ს 2,4 პროცენტი იყო, საშუალო ხელფასი კი – 2,1 პროცენტი. ამჟამად მშპ-ს მიხედვით, დაახლოებით, 8 პროცენტამდე ვართ, ხოლო საშუალო ხელფასით, უკვე 13 პროცენტამდე. მაგრამ საქმე ის არის, რომ, რადგან ჩვენთან ხელფასის მიმღებთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, რეალურად, ის 13 პროცენტი 4 პროცენტი გამოდის.

**– საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 700 ლარი, იანგარიშება დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასებიდან და მის ამ 700 ლარობას განსაზღვრავს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მაღალი ხელფასები, თუმცა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთაგან ყველა არ იღებს ისეთ მაღალ ხელფასებს, როგორსაც ჩინოვნიკები.**

– დიახ, თვითონ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებიც ორ კატეგორიად იყოფა: საჯარო მოხელეები და, მაგალითად, სკოლის პედაგოგები. საჯარო სკოლებში 60 000-70 000 პედაგოგი საქმიანობს, მაგრამ ისინი საჯარო მოხელეები არ არიან. ბიუჯეტის პროექტის საბიუჯეტო ასიგნებებს თუ გადავხედავთ, განათლების სისტემაში დაახლოებით 1 200 საჯარო მოხელეა და ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ისევე, როგორც 70 000 პედაგოგიც, მაგრამ პედაგოგები საჯარო მოხელეები არ არიან. იგივე ითქმის პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებზეც.

**– საჯარო სამსახურის ვაკანსიების საიტზე მოცემულია სხვადასხვა ვაკანსიებისთვის განსაზღვრული ხელფასები: ყველაზე დაბალი რანგის საჯარო მოხელის ხელფასი, მინიმუმ, 800 ლარია; ხოლო საშუალო რანგის საჯარო მოხელის ხელფასი 1 000-დან 3 000-მდეა. პედაგოგი რამდენიმე თვეში თუ დააგროვებს 800 ლარს.**

– მე არ მინდა, პედაგოგებს რადიკალური გამოსვლისკენ მოვუწოდო, მაგრამ უმრავლეს ქვეყანაში პედაგოგი აპრიორი მიეკუთვნება საშუალო კლასს და იგულისხმება, რომ მისი ხელფასი უნდა აღემატებოდეს ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს. სხვათა შორის, ეს ასე იყო რევოლუციამდე, ნიკოლოზის დროს რომ უწოდებენ: პედაგოგის ხელფასი 1,5-ჯერ მეტი უნდა ყოფილიყო საშუალო ხელფასზე, განსაკუთრებით კი, სოფლის პედაგოგები იყვნენ დაფასებულნი. ამ ლოგიკით, თუ საჯარო მოხელის ყველაზე დაბალი ხელფასი 800 ლარია, პედაგოგის ხელფასი 1 200 ლარი მაინც უნდა იყოს. მაგალითად, ჩვენთან მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელის ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება გაეროს განიარაღების კომიტეტის ხელმძღვანელის ხელფასს. თავის დროზე ითქვა, ბიუჯეტიდან რომ გადავუხადოთ ხელფასი, მაშინ სახელმწიფო სტრუქტურების გავლენის ქვეშ მოექცევიანო, მაგრამ, ამავე ლოგიკით, მაშინ ბიუჯეტიდან არც პროკურორებს და მოსამართლეებს უნდა გადავუხადოთ ხელფასი, რომ ისინიც არ მოექცნენ რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის გავლენის ქვეშ.

**– ახლა, მართალია, გაიზარდა პრეზიდენტ მარგველაშვილის ხელფასი, 7 200 ლარამდე, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილს წლიური 50 000 ჰქონდა, რაც ჩამორჩებოდა მისივე მრჩევლის, მინისტრების, მინისტრების მოადგილეების, სამხარეო პროკურორების და ა.შ. ხელფასს, მინიმუმ, 2-ჯერ მაინც. რა პრინციპით?**

– ძველადაც იყო მსგავსი პრაქტიკა, მაგალითად, ვიცე-პრემიერის ხელფასი დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები იყო მისი დაცვის მუშაკთან შედარებით. ვიცე-პრემიერი იღებდა 13 მილიონ კუპონს, მისი დაცვის მუშაკი – 39 მილიონ კუპონს.

**– ვის მოუმწიფდა თავში ასეთი გენიალური სქემა?**

– იგულისხმებოდა, რომ ვიცე-პრემიერს სხვა პრივილეგიებიც ჰქონდა, დახმარებები, გრანტები და მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ ხელფასი არ განიხილებოდა. არ ვგულისხმობ კორუფციულ სქემებს, ლეგალური პრივილეგიები და შემოსავლები მაქვს მხედველობაში.

**– გამოდის, რომ პარლამენტის წევრი ერთ თვეში იღებს იმდენ ხელფასს, რასაც პენსიონერი აიღებს 4 წელიწადში, ანუ 48 თვეში. არ არის უხერხული სხვაობა?**

– ყველაზე იდეალური იქნებოდა, რომ საჯარო მოხელეების ხელფასი ჯერადად ყოფილიყო დამოკიდებული საარსებო მინიმუმთან. ვთქვათ, პირობითად, პრეზიდენტის ხელფასი 20-ჯერ უფრო მაღალი – საარსებო მინიმუმთან და ასე შემდეგ. მაგრამ 2001 წლიდან ეს სისტემა აღარ მუშაობს და მეტი თვითშემოქმედების საშუალება მიეცა სამინისტროებს. ეს არა მხოლოდ არაეკონომიურია, არამედ, ამცირებს სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმს, და ზრდის უწყებრივს. საჯარო მოხელეები დამოკიდებულნი ხდებიან იმ ხელმძღვანელებზე, რომლებმაც მიიყვანეს სამსახურში. ამდენად, საჯარო მოხელეები ამ პირობებში გამოდიან არა ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესების გამტარებლებად, არამედ, იმ პოლიტიკის გამტარებლებად, რასაც მათ უწყების ამჟამინდელი ხელმძღვანელი კარნახობს, იმიტომ რომ მათი შემოსავლები მთლიანად ამ უფროსის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

**– ანუ თითოეული უწყება თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს თავის სახელფასო ბადეს არსებული სახელფასო ბიუჯეტის პირობებში?**

– მეტ-ნაკლებად თავისუფალნი არიან ისინი, თანაც, შეუძლიათ, საბიუჯეტო სახსრების გარკვეულად გადათამაშება. დაახლოებით, 10 პროცენტის ფარგლებში შეუძლიათ, გაზარდონ ან შეამცირონ ხელფასის ფონდი. მართალია, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მაგრამ ამის საშუალება აქვთ.

**– ნორმალურია ვითარება, როდესაც ერთი მოქალაქე ბიუჯეტიდან ერთ თვეში იღებს იმდენ ხელფასს, რასაც მეორე მოქალაქე 48 თვეში? და ეს არ ეხებათ მხოლოდ პარლ-**

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

**გლობალფონდის დაფინანსებით ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ბოლო 4 წლის განმავლობაში 17 პროცენტამდეა გაზრდილი პრობლემურ ნარკომანთა რაოდენობა. მონაცემები დამაჯერებელია, რადგან ხსენებულმა ორგანიზაციამ წლევანდელი კვლევის შედეგები თავის მიერ 4 წლის წინათ ჩატარებული კვლევის შედეგებს შეადარა. თუმცა ნარკომანია მსოფლიო პრობლემაა და, მათ შორის, განვითარებული სამყაროსიც, მონაცემები შემაშფოთებელია. იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენში სააფთიაქო ნარკომანია ყვავის და ადგილობრივ ნარკომანებს ძალიან იაფად შეუძლიათ ნარკოტიკული თრობის გამოწვევა, ოღონდ, იმავდროულად, ეს ყველაზე მოკლე გზაცაა ტანჯვით სიკვდილისკენ. რამ გამოიწვია წამალდამოკიდებულთა რიცხვის ზრდა და რა მიმართულებით უნდა განვითარდეს სახელმწიფო პოლიტიკა ამ პრობლემის მინიმუმამდე დასაყვანად? ამ კითხვაზე პასუხის მიღებას ნარკოლოგ, პროფესორ გელა ლეჟავასგან შევეცდებით.**

# როგორ ანარკომანებს ერთი ნარკომანი 8-12 ახალბედას და რატომ გახდა სანატრელი ჰეროინისა და სუბოტექსის მომხმარებელი ნარკომანები

**– თავდაპირველად, განვმარტოთ, რას ნიშნავს პრობლემური ნარკომანი?**

– პრობლემური ნარკომანი შეიძლება, იყოს ინიექციურიც და არაინიექციურიც, ანუ მძიმე ნარკომანების რიცხვი გაიზარდა ზოგ შემთხვევაში, 20 პროცენტითაც კი. ამავე ორგანიზაციამ ასეთივე გამოკვლევა 4 წლის წინათაც ჩაატარა და სწორედ იმ თავის გამოკვლევას ადარებს ამ მონაცემებს. 4 წლის წინანდელ გამოკვლევაშიც ნაკროლოგები შევთანხმდით იმ ციფრზე, რაც კვლევამ გამოავლინა – დაახლოებით, 41 000 პრობლემური ნარკომანი გამოდიოდა, ახალი კვლევით კი, ეს მონაცემი 17 და მეტი პროცენტითაა გაზრდილი.

**– რა შეიძლება, იყოს ამის მიზეზები?**

– ძნელი სათქმელია ცალსახად, რატომ გაიზარდა ეს მონაცემი. ძალოვანმა სტრუქტურებმა, მართალია, ძალიან კარგად იმუშავეს და ჰეროინი და სუბოტექსი შემცირდა შავ ბაზარზე, მაგრამ, სამაგიეროდ, ნარკომანიამ გადაინაცვლა აფთიაქებში და იმძლავრა ეგრეთ წოდებულმა საააფთიაქო ნარკომანიამ, რითაც კიდევ უფრო უარესი შედეგი მივიღეთ. ნაკროლოგები ხუმრობდნენ, იქნებ ვთხოვოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ჰეროინი დაუშვასო, იმდენად მძიმე შედეგი მოაქვს აფთიაქიდან გამოტანილი სხვადასხვა ნივთიერებისგან კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებებს. მათ შორისაა, მოგეხსენებათ, „კრაკადილიც". ზოგადად, არ არსებობს ნარკომანიასთან ბრძოლის ერთი უნიტარული მეთოდი. მთელი ცივილიზებული სამყარო ადგენს ერთ-სამ-ხუთწლიან გეგმებს, ქმნიან სპეციალურ საბჭოებს პრეზიდენტთან ან პრემიერ-მინისტრთან. ჩნდება ახალი ორგანიზაციები. მაგალითად, ევროპაში შეიქმნა ადრეული შეტყობინების ორგანიზაცია, რომელიც, როგორც კი ახალი ნარკოტიკი ჩნდება, იკვლევს მას. სერიოზულად მუშაობენ ამ საკითხზე. ერთადერთი, საქართველოშია ეს ყველაფერი ჩამკვდარი. „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ამბობენ, კარგად ვმუშაობდითო. მართლაც, შეიქმნა კომისია იმდროინდელ იუსტიციის მინისტრთან, ადეიშვილთან, რომელსაც ამ პრობლემისთვის უნდა მოევლო, მაგრამ არ ვიცი, არაკომპეტენტურობის თუ სხვა მიზეზით, ფაქტია, 17-20 პროცენტითაა გაზრდილი პრობლემური ნარკომანების რიცხვი. დღესაც არანაირი ძვრა არ შეიმჩნევა. პრეზიდენტთან ან პრემიერ-მინისტრთან უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც გააერთიანებს ამ დარგის წამყვან სპეციალისტებს, სამთავრობო უწყებებს, რადგან ეს კომპლექსური პრობლემაა. ფულის დახარჯვის გარეშე მას არაფერი ეშველება. მაგალითად, ამერიკელების გათვლებით, ნარკომანიის წინაალმდეგ დახარჯულ ერთ დოლარზე 12 დოლარ მოგებას ნახულობს სახელმწიფო. ეს ცნობილი ფაქტია, აღარ ვამბობ იმას, რომ ერთი ნარკომანი 8-12 ახალბედას ანარკომანებს. ამიტომ არის ამტყდარი განგაში ევროპაში, ჩვენთან კი ყველაფერი მიწყნარებულია. მგონია, რომ პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი, როგორც კი მოიცლიან, მიხედავენ ამ პრობლემას. შექმნიან მუდმივმოქმედ კომისიას, გამოძებნიან თანხებს და კომპლექსურად მთელ საზოგადოებას ჩართავენ ამ პროცესში. ნარკომანიის პრობლემა არანაკლებია იმ პრობლემებთან შედარებით, რომლებზეც დღეს მსჯელობს და რომლებსაც ყურადღებას აქცევს საზოგადოება. მეტიც, ნაკრომანია, ყველა დანარჩენზე ბევრად მძიმე პრობლემაცაა.

**– თუ ნარკომანია ასე შავი ჭირივით გავრცელდა, უფლებების დასაცავი ადამიანი აღარ დარჩება უბრალოდ.**

– ჯობია, ადამიანმა ქურდობა დაიწყოს, იმიტომ რომ, ბოლოს და ბოლოს, თავს დაანებებინებ, მაშინ, როდესაც ნარკომანის განკურნება ძალიან რთული საქმეა. ეს უმძიმესი პრობლემაა და ცნობილია, რომ არანაირი მიზეზი არ არის საკმარისი იმისთვის, ამ პრობლემაზე ზრუნვა გადაიდოს და შესუსტდეს.

**– ახალბედების განარკომანებისას, ჩემი აზრით, ძალიან დიდ როლს ასრულებს იმ ახალბედების არაინფორმირებულობა, რომლებიც თამაშით იწყებენ და მნიშვნელოვანი პრობლემით ამთავრებენ.**



**ფულის დახარჯვის გარეშე მას არაფერი ეშველება. მაგალითად, ამერიკელების გათვლებით, ნარკომანიის წინაალმდეგ დახარჯულ ერთ დოლარზე 12 დოლარ მოგებას ნახულობს სახელმწიფო**

– რასაკვირველია. მაგალითად, ამერიკა ფიქრობს, წელიწადში 19 მილიარდი დოლარი დახარჯოს ახალგაზრდებისთვის ამ პრობლემის გაცნობიერებაზე. ცნობილია, რომ ნარკოტიკების მიღების დაწყებისთვის და შემდეგ განარკომანებისთვის რამდენიმე მიზეზი აქვს ახალგაზრდას. ეს თეორიაში ჰგავს ყველა ახალგაზრდა ერთმანეთს, თორემ, რეალურად, ახალგაზრდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. უამრავ ახალგაზრდას აქვს ფსიქიკური პრობლემები. ზოგს შფოთვის დონე აქვს მომატებული, ზოგს ოჯახში აქვს პრობლემები, ზოგში აუტიზმის ელემენტები შეიმჩნევა და ასე შემდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა სკოლაში შექმნილია პედაგოგიური ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ იმ ბავშვებთან, რომლებსაც პრობელმები აქვთ სწავლაში, მოუსვენრები, უყურადღებოები არიან. ხდება მათი მშობლების და პედაგოგების კონსულტირებაც. ჩვენთან, სამწუხაროდ, პედაგოგებს არ ვასწავლით პროფესიულ დონეზე, რა უნდა იცოდეს ნარკომანიის პრევენციისთვის. არადა, შეიძლება, პედაგოგს არ ვასწავლოთ, რა არის ნარკომანია?! ამერიკაში ყველა მერვე ბავშვი გადის სპეციალურ ჯგუფში კონსულტაციას ერთჯერადს ან მრავალჯერადს. მეტიც, აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვების გარკვეულ ნაწილს ეს არ ჰყოფნის, ამიტომ არსებობს სკოლათაშორისი ჯგუფები, რომლებშიც შედიან პედაგოგები, ფსიქოლოგები, თუ საჭიროა ექიმებიც და ასეთი ჯგუფის დახმარებას საჭიროებს ყოველი მეთორმეტე ბავშვი ამერიკაში. აი, ასეთი დონის დახმარებას უწევენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვებს, მათ შორის, ნარკომანიის პრევენციისთვისაც. ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ სკოლაში დირექტორებს მისცეს უფლება, ჩაატაროს ბავშვის ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ანალიზები იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი გაუჩნდება. მეხუთე წელიწადია, მოქმედებს ეს პროგრამა. მეორე მხრივ, როდესაც გამოკვლევას ჩაუტარებ, უნდა გქონდეს საშუალება, რაღაცით დაეხმარო. მე მაქვს ურთიერთობა ბავშვებთან, როდესაც ვეუბნები: აი, შენ იცი, რომ შენი ამხანაგი იღებს ნარკოტიკს, როგორ ფიქრობ, რა უნდა გავაკეთო-მეთქი. მპასუხობენ, არ ვიციო, თვითონ მას რომ დაველაპარაკე, არ მიჯერებს; მშობელს რომ დაველაპარაკე, შენ ვინ გეკითხება. მასწავლებელს ვერ ვეტყვი, იმიტომ რომ „ჩაშვება" გამომდისო. ამდენად, ჩვენ უნდა ვუთხრათ ამ ბავშვებს, რა უნდა გააკეთონ, რომ დაეხმარონ თავიანთ თანატოლებს. უდიდესი სამუშაოა ჩასატარებელი. უმაღლესებში კიდევ სხვა მიდგომაა საჭირო. მთელი სისტემებია შექმნილი ცივილიზებულ სამყაროში ნარკომანიის პრევენციისთვის და ამას ერთ სტატიაში ვერ გადმოსცემ. ჩვენთან კი არაფერი კეთდება.

**– ნარკომანიის მკურნალობის საკითხი რა დონეზეა ჩვენთან?**

– მაგალითად, ფილტვების ანთებას სჭირდება ორკვირიანი მკურნალობა და 10 გრამი ანტიბიოტიკი, თუ 2 გრამი ანტიბიოტიკით უმკურნალოებთ 5 დღის განმავლობაში, ხომ ვერ განიკურნება ავადმყოფი?! დაახლოებით ასეთი შეფარდებაა. ყველა შემთხვევაში არა, მაგრამ, ზოგადად, ასეა. თუ ამერიკაში ითვლება, რომ 3 თვეს უნდა უმკურნალო ნარკომანს, ჩვენთან თვე-ნახევარია, არადა, ამერიკელი და ჩვენი ნარკომანი რით განსხვავდება ერთმანეთისგან?! მთელი სისტემაა შესაქმნელი, რის გაკეთებაც მარტო არავის შეუძლია, ეს უნდა იყოს სპეციალური სახელმწიფო კომისია სახელმწიფოებრივი მიდგომით, რომელსაც სათავეში უნდა ედგეს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი. დიდი იმედი მაქვს, რომ, როგორც კი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მოიცლიან, ერთ-ერთი მათგანი ამ პრობლემის გადაჭრას მოჰკიდებს ხელს.

**– ყოფით დონეზე ყველამ ვიცით, რომ ნარკომანია ცუდია, იწვევს სწრაფ სიკვდილს, აავადებს ადამიანს, მაგრამ კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, რა ზემოქმედება აქვს ნარკოტიკებს ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაზე, განსაკუთრებით, საააფთიაქო ნარკომანიას?**

– ზოგიერთი იმ საააფთიაქო საშუალებებიდან იწვევს სისხლძარღვების დაზიანებას და ადამიანი ცოცხლად ლპება; მეორე ვარიანტია, როდესაც ეს იწვევს ნერვული სისტემის მთლიანად დანგრევას, რადგან ნარკოტიკული ეფექტის მისაღებად დასაშვებზე 10-50-ჯერ მეტ დოზას იღებენ. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ პარკინსონის დაავადება ვითარდება; იწვევს გონების შეზღუდვას. მართალია, ვერ დავარქმევთ გონებასუსტობას, მაგრამ ადამიანს აღარ აქვს არანაირი ინტერესი და მხოლოდ ნარკოტიკებისკენაა მიმართული. ყველა ორგანო ზიანდება, იმისდა მიხედვით, რა ნარკოტიკია. რაც მთავარია, არც

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

ჟურნალი „თბილისელები" სამძიმარს უცხადებს თემურ აბუთიძეს დედის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# როდიდან იწყება ოლიმპიადების ბოიკოტის ისტორია და პროტესტის რა ფორმებისთვის მიუმართავთ ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს უშუალოდ ოლიმპიური თამაშებისას

**თავდაპირველად იმის შესახებ გახდა ცნობილი, რომ სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს გერმანიის პრეზიდენტი არ დაესწრებოდა, იმ მიზეზით, რომ შეშფოთებულია რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებებით, აქცენტით – სექსუალური უმცირესობის უფლებების დარღვევაზე. მოგვიანებით, მის ბოიკოტს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ვივიან რედინგიც შეუერთდა. მისი პროტესტის მოტივიც ანალოგიურია – ევროპელი ქალბატონი დისკრიმინაციად მიიჩნევს რუსეთში ამას წინათ მიღებულ კანონს არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ.**

**ჩვენ სოჭის ოლიმპიადისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს და დიდი სჯაბაასის, ზოგჯერ გაწევ-გამოწევის შემდეგაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სოჭში მხოლოდ სპორტსმენები გაამგზავროს, ყოველგვარი სამთავრობო დელეგაციის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ თემა კვლავაც აქტუალურია, გადავწყვიტეთ, გადაგვეხედა ოლიმპიადების ბოიკოტის ისტორიისთვის და იმ საინტერესო ფაქტისთვის, რასაც ოლიმპიადებში არაღიარებულთა მონაწილეობის უფლება ჰქვია. თემაზე სიმონ კილაძე გვესაუბრება.**



შესაძლოა, რუსეთის რომელიმე ნაციონალისტურმა ჯგუფმა ანტიქართული მანიფესტაცია მოაწყოს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად აღიარა ჩერქეზთა გენოციდი

**– მართალია, პრემიერ-მინისტრმა უკვე გვაცნობა საქართველოს მონაწილეობის ფორმა სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში, თუმცა საზოგადოებაში მაინც არ არის ერთგვაროვანი აზრი. იქნებ, მართლაც, ბოიკოტი სჯობდა?**

– მათ, ვინც სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტზე ლაპარაკობს და ამისკენ მოგვიწოდებს, შევახსენებ, რომ ნოემბრის დასაწყისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა ყველა ქვეყანას მოუწოდა, უარი თქვან სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტზე, თუ ისინი ამაზე ფიქრობენ. უფრო მეტიც, ამას წინათ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ოლიმპიური ზავის შესახებ სოჭის ოლიმპიური თამაშების პერიოდში, ანუ გაერო, თავის მხრივ, მხარს უჭერს ოლიმპიური თამაშების სოჭში ჩატარებას.

**– თუმცა სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ გერმანიის პრეზიდენტი უცხადებს ბოიკოტს და მას ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტიც შეუერთდა.**

– დიახ, ქართველმა ჟურნალისტებმა დიდი ზარზეიმით ამცნეს საზოგადოებას, რომ გერმანიის პრეზიდენტმა იოაჰიმ გაუკმა ბოიკოტი გამოუცხადა რუსეთს და ადამიანის უფლებების დარღვევების გამო სოჭის ოლიმპიადას არ დაესწრება. თან, ჟურნალ „შპიგელს“ იმოწმებდნენ. როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა კარგად ვერ გაიგეს „შპიგელის“ ინფორმაცია: ჟურნალი ვარაუდს გამოთქვამდა, რომ ალბათ, ადამიანის უფლებების დარღვევის გამო არ ჩადისო, ჩვენებმა კი ეს ჭეშმარიტებად და მტკიცებულებად წარმოაჩინეს. სამწუხაროდ, ყურადღება აღარავინ მიაქცია გერმანიის ოლიმპიური კომიტეტების ფედერაციის განცხადებას, რომელიც იმ დღესვე გაკეთდა და რის თანახმად, იოაჰიმ გაუკი ბოიკოტს ვერ გამოუცხადებდა ოლიმპიადას, რადგან მას სოჭში ჩასვლა საერთოდაც არ ჰქონდა დაგეგმილიო. მართალია, თვით იოაჰიმ გაუკი რუსეთს, მაინცდამაინც, სიყვარულით არ უცქერს, ადრეც უთქვამს, რუსეთში არასოდეს წავალ, რადგან იქ გეებისა და ლესბოსელთა უფლებები ირღვევაო, მაგრამ, როდესაც ადამიანი საერთოდ არ ფიქრობს რუსეთში ჩასვლას, რა შუაშია აქ ოლიმპიადის ბოიკოტი?! აქვე მინდა, გავიხსენო პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკის განცხადებაც: „ჩვენ არ ვგეგმავთ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებას. ვიმედოვნებ, ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება, რომ ჩვენ ასეთი მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა გვაიძულოს“.

გავრცელებულია მცდარი შეხედულება, რომ თითქოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებად ითვლებიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, სინამდვილეში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები არიან ფიზიკური პირები, რომელთა რაოდენობა 115-მდეა. მათგან 70 პირი არ არის დაკავშირებული რაიმე სპორტულ თანამდებობასთან და საქმიანობასთან, მაგალითად, ჰენრი კისინჯერი, რომელიც 2000 წლიდანაა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი. დანარჩენთაგან 15 მოქმედი სპორტსმენია, 15 – საერთაშორისო სპორტული ფედერაციები და ასოციაციები, კიდევ 15 – ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და მათი ასოციაციები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, თავის მხრივ, აღიარებს ეროვნულ კომიტეტებს.

**– საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სტატუსი როგორ განისაზღვრება?**

– საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შედის ევროპის ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში, ევროპის ქვეყნების სხვა დანარჩენ 49 ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად. თავის მხრივ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია.

**– როგორც მივხვდი, ხელისუფლებამ ოქროს შუალედის მსგავსი მოძებნა, როდესაც სამთავრობო დელეგაციის გაგზავნაზე განაცხადა უარი. ეს ფორმა გამოხატავს ჩვენი პროტესტის არსს?**

– ამას წინათ „ფეისბუქზე” მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა სოჭში საქართველოს დელეგაციის წასვლა-არწასვლის საკითხზე. ერთ-ერთი პიროვნება ამტკიცებდა, რომ თუ სოჭში ქართველი სპორტსმენების დელეგაცია ჩავა და მათთან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელიც იქნება, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფომ ოფიციალურად მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებშიო. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მოქალაქე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურად მიიჩნევს, მაგრამ ეს ასე არ არის. მოდი, ჩავიხედოთ, რა წერია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებაში. მანამდე მოგახსენებთ, რომ თითოეული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მათ შორის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკის) აღიარების საფუძველზე მოქმედებს. დღეისთვის სოკ-ის მიერ აღიარებულია 204 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ერთ საინტერესო ფაქტსაც გეტყვით: ამ 204 კომიტეტიდან 192 გაეროს წევრ-სახელმწიფოებში მოქმედებს, 12 კი არასუვერენულ ანუ არადამოუკიდებელ ტერიტორიებზე. თვითონ განსაჯეთ: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებია: ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის კუნძულების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ამერიკის შეერთებული შტატების სამოას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ბრიტანეთის ბერმუდის კუნძულების ოლიმპიური კომიტეტი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ოლიმპიური კომიტეტი, კუნძულ კუკის (ახალი ზელანდია) ოლიმპიური კომიტეტი, კაიმანის კუნძულების (დიდი ბრიტანეთი), ჰონკონგის (ჩინეთი), ტაივანის (ჩინეთი), პალესტინის, პუერტო-რიკოს (აშშ) ოლიმპიური კომიტეტები... ჩამოთვლილი ტერიტორიებიდან არც ერთი არც დამოუკიდებელი სახელმწიფოა და არც გაეროს წევრი.

**– როგორია ოლიმპიადების ბოიკოტის ისტორია და რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ის ბოიკოტის ავტორებისთვის?**

– პოლიტიკური პროტესტების საჯარო დემონსტრირება ოლიმპიურ თამაშებს, ფაქტობრივად, თავიდანვე სდევდა თან. პირველი მსგავსი შემთხვევა მოხდა 1908 წლის ზაფხულის მეოთხე ოლიმპიური თამაშების დროს ლონდონში, როდესაც პირველად დაიგეგმა ოლიმპიური გუნდების გამოსვლა ეროვნული დროშებით. მოხდა კონფუზი: ფინეთის დიდი სამთავროს ეროვნული ოლიმპიური კომტეტის სპორტულმა დელეგაციამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა, განიზრახა, ეროვნული დროშით გამოსულიყო, მაგრამ, რადგანაც ფინეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, რუსეთის მთავრობამ მათ ეროვნული დროშით გამოსვლა აუკრძალა და ურჩია, რუსული სამფეროვანი დროშით გამოსულიყვნენ. მართალია, რუსეთი ოლიმპიურ თამაშებში არ იღებდა მონაწილეობას, რადგან რუსეთის საიმპერიო ოლიმპიური კომიტეტი 1911 წელს შეიქმნა, ფინელებმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ რუსულ დროშაზე და საერთოდაც დროშის გარეშე გამოვიდნენ.

ბოიკოტი იყო ბერლინის მეთერთმეტე ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დროსაც, რომელიც გერმანიაში 1936 წელს, ფაშისტების მმართველობის დროს, ჩატარდა. საინტერესოა, რომ ბერლინი თამაშების მასპინძლად 1931 წელს, ფაშისტების მოსვლამდე გამოცხადდა. თუმცა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ გერმანია რასისტული იდეების რეალიზებაში დაადანაშაულა და მოითხოვა, თამაშების სხვა ქვეყანაში, კერძოდ, ესპანეთში, ბარსელონაში გადატანა. გერმანიის ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა, რომ ბერლინისთვის ცივილიზებულ-დემოკრატიული ელფერი მიეცა: ჩამოხსნეს ნაცისტური ლოზუნგები და ბანერები, ცნობილი გერმანული დისციპლინით და წესრიგით მოგვარდა ყველა პრობლემა თუ საკითხი. როდესაც ბერლინში პიერ დე-კუბერტენი მიიწვიეს, ის აღფრთოვანებული დარჩა ნანახით. გერმანიის რეიხის რადიოთი გამოვიდა და ადოლფ ჰიტლერს მადლობა გადაუხადა. თან, მას „ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო შემოქმედებითი ადამიანი“ უწოდა. ფაქტია, რომ ბერლინის ოლიმპიურმა თამაშებმა ყოველგვარი ექსცესისა და არნახული ორგანიზაციის დონეზე ჩაიარა, გერმანიამ კი ყველაზე მეტი ოქროსა და ვერცხლის მედალი აიღო. სხვათა შორის, ფაშისტურ გერმანიასთან მიმართებით გარკვეული სიმპათიების გამო, მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საჯაროდ ბოდიში მოიხადა.

**– საინტერესოა, საბჭოთა კავშირს ან რატომ მისცეს ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება და შემდეგ რატომ გამოუცხადეს ბოიკოტი. ესე იგი, პოლიტიკა მაინც იღე-**

# როგორ გახდა „ბანკ რესპუბლიკის“, „თიბისი ბანკის“, „სენტა პეტროლიუმისა“ და „სილქნეტის“ თანამშრომელი დავით ხუციშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

### ალექსანდრე ჭიკაიძე

საქართველოს ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის პოლკოვნიკი ალექსანდრე ჭიკაიძე 1985 წლის 6 ივნისსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მიიღო, სადაც დიპლომატიის სპეციალობას 2007 წლამდე ეუფლებოდა.

მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ბ-ნი ჭიკაიძის შრომითი ბიოგრაფია 2008 წელს იწყება და 2009 წლამდე თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში მუშაობდა. 2009 წელს შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი გახდა, ხოლო 2010 წელს – შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი. 2011 წელს უკვე თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსი იყო, 2012-ში შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსადაც დაინიშნა. 2013 წლის მარტიდან შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსად დაიწყო მუშაობა, ხოლო ნოემბრიდან კი, სულაც, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

მართალია, სტაჟიანი ჩინოვნიკია, თუმცა სამსახურის ბიუროში მის მიერ მხოლოდ 2012 წლის 31 დეკემბერს შევსებული დეკლარაცია იძებნება, რომელშიც აწ უკვე შს მინისტრი ოჯახის წევრებად მიუთითებს: 1982 წელს დაბადებულ მეუღლეს, ნათია ოკრიბელაშვილს, 1962 წელს დაბადებულ დედას, მზია მაღალდაძეს და ორ შვილს: 2010 წელს დაბადებულ ნატალიასა და 2012 წელს დაბადებულ გივის.

ოჯახის ერთდაერთი უძრავი ქონების მფლობელი ბ-ნი ჭიკაიძეა: ეს გახლავთ 100 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინა თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე. მაშინ, როდესაც ბ-ნი ჭიკაიძე შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი იყო და ამ პოსტზე მუშაობამ, ერთიანად, 28 112 ლარი მოუტანა, მისი მეუღლე ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობდა ექიმად და მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 7 200 ლარი შეადგინა.

### დავით ხუციშვილი



შს მინისტრის მოადგილე პოლიციის უფროსი ლეიტენანტი დავით ხუციშვილი 1975 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება მანაც თსუ-ში მიიღო, ოღონდ ეკონომიკის ფაკულტეტზე და საბანკო საქმის სპეციალისტია. თუმცა 2002-2004 წლებში ESM თბილისში ბიზნესის ადმინისტრირების კურსი გაიარა.

მისი შრომითი ბიოგრაფია 1996 წელს იწყება „არმაზი ბანკის“ საკრედიტო და საინვესტიციო მენეჯერობით; 1997-1998 წლებში „თიბისი ბანკის“ საკრედიტო და საინვესტიციო მენეჯერი იყო, ხოლო 1998-2001 წლებში „თიბისი ბანკის“ ქუთაისის ფილიალის დირექტორიც გახდა. 2001 წელს იმავე ბანკის ხარისხის მართვის განყოფილების უფროსად დანიშნეს. 2003 წელს შპს „სენტა პეტროლიუმში“ გადავიდა – ფინანსურ და ადმინისტრაციულ მენეჯერად. 2006 წელს შპს „ტრაიკვესტ ინტერნეიშენელ გრუპის“ დირექტორი გახდა. 2007 წელს კვლავ საბანკო სფეროს დაუბრუნდა, ამჯერად „ბანკ რესპუბლიკა, ჯგუფი სოსიეტე ჟენერალს“, სადაც ორგანიზაციული დეპარტამენტის უფროსად 2009 წლამდე მუშაობდა. 2009-ში კვლავ „სენტა პეტროლიუმში“ გადავიდა საცალო ქსელის დირექტორად. 2011-2012 წლებში „სილქნეტის“ გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი გახლდათ. 2012 წელს – „ონიქს კონსალტინგის“ მმართველი პარტნიორი. 2012 წლის ნოემბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორად მუშაობდა, 2013 წლის ნოემბერში კი შს მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ბ-ნ დავით ხუციშვილს, ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო, ფინანსური და ქონებრივი დეკლარაცია არ შეუვსია, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ჩანაწერი საჯარო მოხელეთა ბიუროს ვებ-გვერდზე ამ დრომდე არ იძებნებოდა.

**ნინო ხაჩიძე**

---

**ბს მონაწილეობას ამ თითქოს მხოლოდ სპორტულ ღონისძიებაში.**

– დიახ, ბოიკოტის საკითხი დადგა 1980-იანი წლების პირველ ნახევარშიც, მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების დროს, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა ყველაზე მძაფრი კრიზისის მომსწრე გახდა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას: საბჭოთა კავშირის დედაქალაქმა მსოკოვმა ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება 1974 წლის 23 ოქტომბერს მოიპოვა ვენაში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 74-ე სესიაზე, სადაც 39 ხმით 20-ის წინააღმდეგ, დაამარცხა ერთადერთი კონკურენტი ლოს-ანჯელესი. მთელი საბჭოთა კავშირი გაცხოველებულ სამზადისს შეუდგა. ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდიოდა, მაგრამ, როდესაც 1979 წლის დეკემბრის ბოლოს საბჭოთა ჯარის ნაწილები ავღანეთში შეიჭრნენ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მსოფლიოს ქვეყნებს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდა. ბოიკოტს 64 ქვეყანა შეუერთდა, მათ შორის: კანადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, ჩინეთი, კენია, ნორვეგია. ამის მიუხედავად, მოსკოვის თამაშებზე დელეგაციები გამოგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებმა: დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ირლანდიამ, იტალიამ, ფინეთმა, ახალმა ზელანდიამ, ესპანეთმა და შვედეთმა. ზოგიერთი იმ ქვეყნის დელეგაციამ, რომელიც ბოიკოტს არ შეუერთდა, პროტესტი უშუალოდ თამაშებზე გამოხატა სხვადასხვა ფორმით: 10 დელეგაცია საერთოდ არ გამოვიდა გახსნის აღლუმზე; რამდენიმე დელეგაცია არა სახელმწიფო, არამედ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან საერთაშორისო ოლიმპიური დროშით მოდიოდა; ზოგიერთმა უარი თქვა გამარჯვების შემთხვევაში თავისი ქვეყნის ჰიმნის შესრულებაზე. პრეზიდენტმა კარტერმა უფლება არ მისცა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, დახურვის ცერემონიალზე აღემართათ ამერიკის, როგორც მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის, დროშა.

**– საბჭოთა კავშირის ერთგვარი პასუხი იყო შემდეგ იმ ოლიმპიადის ბოიკოტირება, რომელიც ლოს-ანჯელესში უნდა ჩატარებულიყო?**

– ოლიმპიადის გახსნამდე ორი თვით ადრე, 1984 წლის მაისში, საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა, რომ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებდა, რადგან თავისი სპორტსმენების უსაფრთხოების გარანტია არ ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამეფებული ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური განწყობილებების გამო. მაგრამ სპორტსმენთა უსაფრთხოება აქ არაფერ შუაში იყო: საბჭოთა კავშირი სამაგიეროს უხდიდა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსკოვის თამაშების ბიოკოტისთვის. საბჭოთა ბოიკოტს მიემხრნენ: ავღანეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ეთიოპია, ვიეტნამი, კუბა, ლაოსი, მონღოლეთი, პოლონეთი, სამხრეთი იემენი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და ჩრდილოეთი კორეა. ბოიკოტს მხარი არ დაუჭირეს იუგოსლავიამ და რუმინეთმა. თუ იუგოსლავიისგან, რომელიც ისედაც დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, ეს მოსალოდნელიც იყო, რუმინეთისგან ასეთი ნაბიჯი გმირობად მიიჩნიეს. 1932 წლის შემდეგ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე პირველად გამოჩნდა ჩინეთი. თამაშების პირველი ოქროს მედალი სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენელმა მოიგო: ქსუ ჰაიფენგმა ნებისმიერი პისტოლეტით მსროლელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ეს ჩინელთა პირველი ოქროს მედალი იყო ოლიმპიადების ისტორიაში. ბოიკოტის მიუხედავად, ლოს-ანჯელესის თამაშებში 140 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, 60-ით მეტმა, ვიდრე მოსკოვში, და 19-ით მეტმა, ვიდრე მანამდე, ამ მხრივ, სარეკორდო მიუნხენის თამაშებში.

**– ისევ ჩვენს პრობლემას რომ დავუბრუნდეთ, რა პოლიტიკურ, ანუ არასპორტულ უსიამოვნო სიურპრიზს შეიძლება, ველოდოთ სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან?**

– ზოგადად, პროვოკაციებისგან არც ერთი ოლიმპიური თამაში არ იყო დაზღვეული და, თუ გავითვალისწინებთ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, მხედველობაში მაქვს ტერორიზმის ფაქტები, შეიძლება ითქვას, არაა გამორიცხული სოჭის ოლიმპიადაზეც მოხდეს რაიმე პროვოკაცია. რასაკვირველია, რუსეთის სპეცსამსახურები, მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და სამართალდამცავი ორგანოები ყველანაირად ეცდებიან პროვოკაციების პროფილაქტიკას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არც ჩრდილოკავკასიელი ექსტრემისტები დარჩებიან ვალში. შესაძლოა, რუსეთის რომელიმე ნაციონალისტურმა ჯგუფმა ანტიქართული მანიფესტაცია მოაწყოს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად აღიარა ჩერქეზთა გენოციდი. არც ისაა გამორიცხული, რომ რომელიმე ჩერქეზულმა ორგანიზაციამ სპეციალურად ფართოდ გააპიაროს საქართველოს მხარდაჭერა და ამით რუსები გააღიზიანოს. არაა გამორიცხული, რაიმე ანტიქართული ქმედება აფხაზი ნაციონალისტ-სეპარატისტების მხრიდანაც. რაც შეეხება რუსულ პრესას, ბუნებრივია, პრესაშიც გაიხსენებენ საქართველოს „დესტრუქციულ როლს“ ჩრდილოეთ კავკასიაში. მოკლედ, საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდია იმისა, რომ საქართველო პროვოკაციებს უნდა ელოდოს.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე იმ მინისტრთა შორისაა, ვისაც მინისტრობის ერთი წლის განმავლობაში, არც ხმაურიანი ისტორიებით გამოუჩენია თავი და არც სკანდალებში გახვეულა. პროფესიით ბიოლოგმა გარემოს დაცვის სამინისტროს ცხოვრება მოხალისე სტაჟიორის რანგში დაუკავშირა. 12 წლის შემდეგ კი იმავე სამინისტროს პირველი პირი გახდა, თუმცა არც პოსტს შეუცვლია და არც იმ რეგალიას, რაც ბევრი სირთულის გადალახვის შემდეგ ერგო.**

# რა გაეზარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს და რატომ შიმშილობს ის

**ხათუნა გოგალაძე:** ერთი წლის წინ, როდესაც პირველად წარმადგინეს მინისტრის პოსტზე, განსხვავებული ემოციები მქონდა, ვიდრე ახლა – როცა მეორედ დამამტკიცეს. მაშინ ეს ყველაფერი ძალიან სტრესული იყო. წარმოიდგინეთ, დამეკისრა იმ დარგის ხელმძღვანელობა, რომელიც ძალიან საყვარელია ჩემთვის, მაგრამ ამავე დროს არის საკმაოდ რთული. მინისტრად ხელახლა დამტკიცების შემდეგ გამიჩნდა საქმისადმი გაათმაგებული პასუხისმგებლობის განცდა. ის, რომ ტყით დაფარული საქართველოს ტერიტორიის 40 პროცენტი, წყალი, წიაღი, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, გარემოს სიჯანსაღე და სხვა მრავალი რამ ამ სამინისტროს ხელშია, არ გაძლევს მოსვენების უფლებას. როდესაც ახალი დანიშნული ხარ, არ მოგეთხოვება იმდენი, რამდენიც მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ.

**– ამ ერთ წელიწადში თქვენს წინამორბედთან შელაპარაკებას თუ არ ჩავთვლით, არც ერთ ხმაურიან ისტორიაში არ ფიგურირებთ. როგორც ჩანს, კადრს მიღმა ყოფნა გირჩევნიათ.**

– ჩემი მუშაობის სტილი ორიენტირებულია საქმეზე და არა იმაზე, რომ მოვლენების ეპიცენტრში ვიყო. იმასაც გეტყვით, რომ ამ ერთ წელიწადში ჩვენს სამინისტროში იმაზე ბევრი გაკეთდა, ვიდრე ეს საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. ხშირად მსაყვედურობენ კიდეც, რომ ნაკლებად ვსაუბრობ სამინისტროს მიღწევებზე. საკუთარი თავის მიმართ თვითკრიტიკული ვარ, სულ ვფიქრობ, რომ რაღაც შეიძლებოდა კიდევ უფრო უკეთესად გაკეთებულიყო. რაც შეეხება ურთიერთობას ჩემს წინამორბედთან, ამ ერთ წელიწადში გოგა ხაჩიძეს სულ ორჯერ შევხვდი, ორჯერვე პარლამენტში, დამტკიცების დროს. თქვენ ალბათ იმას გულისხმობთ, როცა მინისტრად დანიშვნისას გოგა ხაჩიძემ ჩემს ნათქვამს არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა. თუმცა, ამას ხმაურიან ისტორიას მაინც არ დავარქმევდი. ჩემი წინამორბედი სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია, ჩვენ ამ კუთხითაც არ გვაქვს შეხება. მე არ ვარ „ფეისბუქის" და სხვა სოციალური ქსელების მომხმარებელი. ამისთვის, უბრალოდ, დრო არ მრჩება. მე არც მინისტრობამდე ვყოფილვარ ამ ქსელების დიდი მომხმარებელი. ასე რომ, ამ მხრივაც არ იკვეთება ჩვენი გზები *(იცინის)*.



ერთი შვილი უნგრეთში გავაჩინე, ერთი – ამერიკაში

**– კაბინეტში გოგა ხაჩიძის დატოვებულ თევზებს როგორ უვლით?**

– ვცდილობ, კარგად მოვუარო. რამდენიმე თევზი დავამატეთ კიდეც. მათი მოვლა მე თავადაც მსიამოვნებს. დილით, თუ დრო მაქვს, საკვებს ვუყრი თუ მე არ მცალია, ჩემი თანაშემწე ზრუნავს მათ გამოკვებაზე. ყოველ შემთხვევაში, უყურადღებოდ არ ვტოვებთ. ეს თევზები არც გოგა ხაჩიძის ყოფილა და არც ჩემია, სამინისტროს საკუთრებაა. მე ბიოლოგი ვარ, ვიწრო სპეციალობით – გენეტიკოსი და ბუნებრივია, თევზებზე ზრუნვა სიამოვნებას მანიჭებს. მართალია, ახლა ვეღარ ვიცლი ჩემი პირველი პროფესიისთვის, გენეტიკას ვგულისხმობ, თუმცა, თუ სადმე საინტერესო სიახლეს გადავაწყდი ამ მხრივ, დიდი ინტერესით ვეცნობი. სტუდენტობისას, პრაქტიკების პერიოდში ხშირად დავდიოდი მთასა თუ ბარში. ხევსურეთის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და თბილისის მიმდებარე ტერიტორიების დალაშქვრა სწორედ სტუდენტობას და ჩემი ცხოვრების ძალიან ბედნიერ ხანას უკავშირდება. თუმცა, საქართველოში კიდევ ბევრი ისეთი ადგილია, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მინახავს.

**– წელს თქვენი სამოგზაურო არეალი ქართული ბუნების გარდა უცხოეთში ვიზიტებითაც იქნებოდა დატვირთული.**

– არა, ასე არ ყოფილა, გაცილებით ნაკლები ვიზიტები მქონდა უცხოეთში, ვიდრე ოფიციალური მიწვევები. საქმე ძალიან ბევრი მაქვს, შესაბამისად, თუ სადმე ჩემი წასვლა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ვცდილობ, არ წავიდე. ეგზოტიკურობის თვალსაზრისით, წელს ძალიან საინტერესო იყო ვიზიტი კენიაში. ნაირობიში გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის სათავო ოფისია, სადაც ყოველწლიურად იმართება მთავრობათაშორისი შეხვედრები. ამ შეხვედრებზე განისაზღვრება მსოფლიო პოლიტიკა გარემოს დაცვის სფეროში. მქონდა საინტერესო ორმხრივი შეხვედრებიც. საინტერესო იყო არაფორმალური მხარეც – ერთი თავისუფალი დღე ჩვენ დაცულ ტერიტორიაზე, ნაკურუს ტბაზე გავატარეთ. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მანქანიდან ჩამოსვლა არ შეიძლებოდა, თუმცა ჩვენმა თანმხლებმა პირმა გაბედა და მარტორქა საკმაოდ ახლოდან გვაჩვენა. ზებრები, ჟირაფები, ბაბუინები და სხვა ცხოველები ხომ მრავლად დასეირნობდნენ. საოცარი იყო ფლამინგოების გუნდიც.

**– ამ ერთმა წელიწადმა როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება?**

– ჩემი ცხოვრება რამდენიმე მიმართულებით შეიცვალა. უფრო მეტად დატვირთული ვარ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე ბოჰემური ცხოვრების წესი მქონდა. მე არასდროს მიცხოვრია ისეთი წესებით, რომ ახლა ჩარჩოების დაწესება მიწევდეს, მაგრამ უკვე მენატრება მეგობართან შეხვედრა და სადმე ყავის დალევა. დღეები ერთმანეთში მაქვს არეული, ვმუშაობ შაბათ-კვირასაც. ხან არც კი ვიცი, რომელი დღეა *(იცინის)*. თუმცა, ყოველთვის ძალიან ბევრს ვმუშაობდი და ბევრი სირთულე მაქვს გავლილი. ახლა, როცა წარსულზე ვფიქრობ, საკუთარ თავს ვეუბნები: ყოჩაღ *(იცინის)!* ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისე გადავიტანე ის სირთულეები, რომ დეპრესია არ დამემართა, არ ჩავიქნიე ყველაფერზე ხელი. იმ წლებში ყველასთვის რთული იყო ცხოვრება. ძალიან ბევრს წვალობდა ჩემი მეუღლეც, ხან რას წამოიწყებდა, ხან – რას. მე ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი. ამ სირთულეების გზაზე მეუღლეც ძალიან მიწყობდა ხელს. ვერ ვიტყვი, რომ როცა სამეცადინოდ ვჯდებოდი, ბავშვებს უვლიდა, მაგრამ მორალურად ჩემს გვერდით იყო და მამხნევებდა. როცა სასწავლო პროგრამით უნგრეთში წავედი, მეუღლე მაშინაც ძალიან მეხმარებოდა (სხვათა შორის, იქ გაჩნდა ჩემი შუათანა შვილი).

ეს ერთი წელი იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ჩემი კარიერისთვის. უნგრეთიდან ჩამოსულმა აქ, ამ სამინისტროში დავიწყე მუშაობა გარემოს დაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში. რვა თვე მოხალისედ ვიმუშავე, რადგან ბავშვი პატარა იყო და დამტოვებელი არ მყავდა. თავისუფალი რეჟიმი ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. სამუშაო სახლში მომქონდა და ღამეებს ვათენებდი. სამინისტროში 6 წლის მუშაობის შემდეგ, ორი წლით სასწავლებლად ამერიკაში წავედი, სადაც ჩემი მესამე შვილი დაიბადა. იქ უკვე ოჯახთან ერთად ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი.

რაც მინისტრი გავხდი, ძალიან ცოტა დრო მრჩება ოჯახისთვის, შვილებისთვის. ამას განსაკუთრებით მტკივნეულად ჩემი უმცროსი შვილი აღიქვამს, რომელიც ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა. ხშირად, როცა სახლში ვბრუნდები, მას უკვე სძინავს. ზოგჯერ ვერც დილითაც ვნახულობ, რადგან ადრე მიწევს სახლიდან გასვლა. ჩემი რეჟიმის მიუხედავად, ყოველდღიურად მაინც ვარ საქმის კურსში, სად და როგორ არიან ჩემი შვილები, დედის როლიდან ვერ გამოვალ. შუათანა ბიჭი 13 წლისაა, ამ ასაკში ბიჭისთვის დედასთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. სულ უნდა, რომ სიახლეები მომიყვეს ჩემს 18 წლის ქალიშვილს, რასაც სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებთ. ჩვენი ოჯახი ძალიან სტუმრიანია. ყოველთვის ასე იყო. გვიყვარს ხალხმრავლობა, ეტყობა, ეს ჩვენს შვილებსაც გადაედოთ. შესაბამისად, როცა სახლში მივდივარ, ხან ერთი შვილის მეგობრები მხვდებიან, ხან – მეორის. ეს ძალიან მეხმარება – ვიცნობ ამ ბავშვებს, რაც ცხოვრებას იმ თვალსაზრისით მიიოლებს, რომ ზუსტად ვიცი, ვისთან ერთად ატარებენ დროს ჩემი შვილები. სხვა მხრივ ჩემი ცხოვრება არაფრით შეცვლილა, ისევ ისეთი ურთიერთობა მაქვს ჩემს ნაცნობებთან და მეზობლებთან. ნაგავსაც ვყრი, კარტოფილსაც ვყიდულობ მაღაზიაში და გაკვეთილების მომზადებაშიც ვეხმარები შვილებს, თუ ცოტა ადრე შევძელი სახლში მისვლა. მე არ მიყვარის იმის ხაზგასმა, რომ მინისტრი ვარ. ამას წინათ ერთ-ერთი რაიონის გამგებელს დავურეკე და ვუთხარი, ხათუნა გოგალაძე ვარ გარემოს დაცვის სამინისტროდან-მეთქი. საუბრისა და მისი მხრიდან ბევრი მადლობის შემდეგ, მკითხა, თუ რომელ პოზიციაზე ვმუშაობდი და სწორედ მაშინ მომიწია თქმა, რომ მინისტრი ვიყავი.

**– დღეს როგორია თქვენი ქონებრივი დეკლარაცია?**

– აბსოლუტურად იგივე, როგორიც ერთი წლის წინ იყო. მაქვს ერთი ბინა დიდ დიღომში, რომელიც მე და ჩემმა მეუღლემ 2003 წელს შევიძინეთ. მაქვს სახლი სურამში, რომელიც ჩვენი დიდი ოჯახის – ჩემი, ჩემი დისა და ძმის საზიარო სახლია. თუ ოდესმე საშუალება მექნება, მინდა, შევიძინო მიწის ნაკვეთი და კერძო სახლი ავაშენო. იქამდე მე და ჩემი ოჯახი სურამის სახლით ვსარგებლობთ. ამ ერთ წელიწადში ახალი მანქანა არ გვიყიდია. თანხობრივად ცოტა უფრო მეტია ჩემი შემოსავალი, რაც მაძლევს საშუალებას, დავზოგო თანხა. თუმცა, დანაზოგი ადრეც მქონდა. სიმართლე გითხრათ, ჩემმა სამსახურმა უფრო მეტად გამიზარდა ხარჯები – თუ ადრე ვახერხებდი სახლში საჭმლის გაკეთებას, ახლა ამისთვის არ მცალია და ნახევარფაბრიკატებს ვყიდულობ, რაც უფრო აძვირებს ცხოვრებას. მაგალითად, ძალიან შემცირებული თავისუფალი დროის გამო, აუცილებელი ნივთების ყიდვა პირველსავე შემხვედრ მაღაზიაში მიწევს.

**– როგორც ჩანს, მინისტრობას შეწირვია თქვენი წონაც.**

– ეს თვალნათლივ ჩანს *(იცინის)*. დიეტა ბუნებრივად გამოვიდა, ხშირად ვერ ვიცლი სადილისთვის, ხშირად კი – მავიწყდება. არც იმისთვის მაქვს დრო, რომ სამინისტროს სასადილოში ჩავიდე და ნახევარი საათი დავკარგო. ერთი წლის განმავლობაში წონის დაკლება ცხოვრების რეჟიმმა და უჭმელობამ გამოიწვია. თუმცა, ეს ის თემა არაა, რაზე ფიქრზეც შეიძლება, დრო დავკარგო *(იცინის)*.

**თამუნა სამადაშვილი**

# როგორ ანარკომანებს ერთი ნარკომანი 8-12 ახალგაზრდას და რატომ გახდა სანატრელი ჰეროინისა და სუბოტექსის მომხმარებელი ნარკომანები

(მე-7 გვერდიდან)

ერთი ეს ადამიანი არაფრის შექმნისთვის, მუშაობისთვის არ გამოდგება. ჯარის გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჯარს შეიძლება, გამოადგეს ასეთი ახალგაზრდა?! ოჯახზე ხომ არ ფიქრობენ და არ ფიქრობენ. თუ ბავშვი გააჩინა, შესაძლოა, ბავშვი უკვე ნარკომანად დაიბადოს. დღეს უკვე ისიც ცნობილია, რომ გენეტიკურადაც ახდენს გავლენას მშობლების ნარკომანობა ბავშვზე. ფაქტობრივად, ნარკომანიისადმი მიდრეკილი ბავშვების თაობები შეიძლება, შევქმნათ და იგივე ეხება ალკოჰოლსაც. სხვათა შორის, თუ დედის ნარკომანობა უშუალოდ ნაყოფზე ახდენს გავლენას, მამის ნარკომანობა – შვილის გენეტიკურ კოდზე.

**– თუ დედა ფეხმძიმობისას იღებს ნარკოტიკს?**

– დიახ. ამიტომ ეს ურთულესი პრობლემაა და გარდა სახელმწიფოებრივი მიდგომისა, ვერაფერი უშველის.

**– როგორც ამბობენ, ძალიან დიდი რაოდენობითაა შავ ბაზარზე ეგრეთ წოდებული „ბიო“. რა გახდა მისი აკრძალვა?**

– ძალიან კარგად იმუშავა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გამზადდა ტესტები, დადგენის საშუალებები, მაგრამ არ ვიცი, რა აჩერებს ამ პროცესს.

**– კანონშია შესატანი შესაბამისი ცვლილებები?**

– დასაწყისში 4 ნარკოტიკული ნივთიერების ჩამონათვალი იყო კანონში. ამიტომაც ვამბობ, რომ საჭიროა მუდმივმოქმედი კომისიის შექმნა, რომელიც ამ საკითხებზე მუდმივად იმუშავებს. ყოველ წელიწადს 10-დან 20-მდე ახალი ნარკოტიკი ჩნდება ბაზარზე. ისინი უნდა გამოავლინო, მაგრამ მარტო გამოვლენა ხომ არ არის საქმე?! უნდა მოახდინო მისი ტესტირება, შეიმუშაო მკურნალობის საშუალებები. ეს ძალიან რთული სამუშაოა, რომელიც ჩვენთან მიგდებულია.

**– ქალების წილი როგორია ნარკომანებში?**

– ქალების წილზე დაახლოებით შეიძლება საუბარი. რადგან, თუ კაცები ხვდებიან მაინც სამკურნალო დაწესებულებებში, ქალები, როგორც წესი, ამას ერიდებიან და, თუ მკურნალობენ, მხოლოდ შინაურ პირობებში. ამერიკის რეალობაში შეფარდებაა ერთი რვასთან, ლაპარაკია პრობლემურ ნაკრომანებზე; ჩვენთან, ალბათ, ერთი თხუთმეტთან იქნება, მაგრამ ეს ძალიან არაზუსტი მონაცემებია და არანაირ პასუხს არ ვაგებ ამ ციფრზე, სავარაუდო საექსპერტო შეფასებაა.

**– ნარკომანთა რეალური რაოდენობა რამდენი შეიძლება, იყოს პრობლემურ ნარკომანთა გამოვლენილი რიცხვის გათვალისწინებით?**

– 45 000-მდე პრობლმური ნარკომანია, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ, არაპრობლემური რამდენი იქნება?! 5-7-ჯერ მეტი.

**– არაპრობლემური, ანუ შემთხვევიდან შემთხვევამდე ნაკროტიკის მომხმარებელი?**

– დიახ, მათ არ აქვთ სერიოზული პრობლემები და არ იკეთებენ ვენაში, მაგრამ თითოეული მათგანი არის პრობლემურის კანდიდატი, იმიტომ რომ, ნარკოტიკის დამახასიათებელი თვისებაა: სულ უფრო და უფრო მეტს და მეტს მოითხოვს ორგანიზმი. ამიტომაც არის, რომ ევროპის ნარკოლოგიური დაწესებულებები გატენილია მარიხუანის მომხმარებლებით. პაციენტთა 60 პროცენტზე მეტი არის მარიხუანის მომხმარებელი, ჩვენთან კი მიაჩნიათ, რომ პლანის მოწევა არაფერია. გარდა ამისა, რამდენი ასეული საკონსულტაციო პროგრამაა შექმნილი მარიხუანის მომხმარებლებისთვის, არადა, მარიხუანა ყველაზე სუსტ ნარკოტიკად ითვლება, მაგრამ თანდათან მისი მომხმარებლის ორგანიზმი მოითხოვს მეტ და ძლიერ ნარკოტიკს.

**– არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის ორგანიზმი თავისთავად, ფიზიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე, მეტად ან ნაკლებადაა დამოკიდებული ნარკოტიკისა თუ ნიკოტინისადმი. შესაბამისად, პირადად ჩემი ანტინიკოტინური და ანტინარკოტიკული პროპაგანდა საკუთარი შვილის მიმართ ეფუძნება ამ მოსაზრებას: რადგან არ იცი, რა მიდრეკილებები აქვს შენს ორგანიზმს, ერთადერთი პრევენციაა, არასდროს გასინჯო ნარკოტიკი თუ სიგარეტი, რომ არ გახდე არც მწეველი და არც ნარკომანი.**

– დიახ, ვილაცამ შეიძლება, ასჯერ მოწიოს და არაფერი მოხდეს, ვილაცამ ერთხელ მოწიოს მარიხუანა და ნარკომანი გახდეს. ანალოგიური რამ ხდება სიგარეტთან მიმართებაშიც, გასინჯა, მაგრამ არ გახდა მწეველი. მაგრამ, რადგან არავის შეუძლია იმის თქმა, ვის აქვს მიდრეკილება და ვის არა, ამიტომ არ უნდა გასინჯო და ასპროცენტიანად ერიდო ნარკოტიკს. ამ კვლევის მონაცემებით, ჩვენთან მოსახლეობის 1,2 პროცენტი გამოვიდა პრობლემური ნარკომანი. ევროპაში კი ათას ადამიანზე ანგარიშობენ ნარკომანების რაოდენობას. ყველაზე დიდი მაჩვენებელი ესტონეთშია, 1,1 პროცენტი. ჩვენთან საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე ორჯერ მეტი პრობლემური ნარკომანია. ეს საგანგაშოა და გავიმეორებ, იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლება აუცილებლად დაკავდება მისი მოგვარებით.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ განაგრძო ახალმა ხელისუფლებამ ძველის მიერ შექმნილი სახელფასო ტრადიცია და რატომ უჯდება მაღალჩინოსანთა „პატიოსნება“ საქართველოს მოსახლეობას უფრო და უფრო ძვირი

(მე-6 გვერდიდან)

**ამენტარებს, მინისტრებსა და მოადგილეებს ამაზე მეტიც აქვთ.**

– თვალში მოსახვედრია, თორემ პარლამენტარები უნდა იღებდნენ მაღალ ხელფასს. რომ შევამციროთ პარლამენტარის ხელფასი და გადავანაწილოთ პენსიონრებზე, თითოეულის პენსია ყოველთვიურად 7-8 თეთრით გაიზრდება.

**– მე მესმის, პარლამენტარი 150-ა და პენსიონერი – 800 000 და იმასაც ვეთანხმები, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მაღალი ხელფასი და არ მიგულისხმია, რომ უნდა მოიკლონ და დაუმატონ პენსიონერებს, მაგრამ თითო ათასი მოკლება დადებითად წარმოაჩენდა მათ და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას შეუწყობდა ხელს. ის თანხა, ვთქვათ, ბავშვებისთვის უფასო სპორტული ჯგუფების გახსნისთვის მოეხმარებინათ.**

– მე ბევრს ვიცნობ პარლამენტშიც და სამინისტროებშიც, რომლებიც საკუთარ შემოსავალს მხოლოდ საკუთარ ოჯახს არ ახმარენ, ისინი უჩუმრად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ეხმარებიან გაჭირვებულ ნათესავებს და მათ მიერ გაღებული ეს რეგულარული სახსრები საკმაოდ შთამბეჭდავია.

**– გასაგებია, ნათესაობას გაუმართლებს და მათგან ვინმე პარლამენტში ან სამინისტროში მოხვდება, მაგრამ მე სახელმწიფოებრივ მიდგომასა და აზროვნებაზე ვლაპარაკობ.**

– ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ უნდა არსებობდეს ეკონომიკური მექანიზმი, რათა საზოგადოების მეტი წევრი იყოს უზრუნველყოფილი და ეს უკავშირდებოდეს არა ვინმეს მიერ წყალობის გაღებას, არამედ, ეკონომიკურ საქმიანობას. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნაზე, რომელშიც დასაქმების რესურსი გაიზრდება და სამუშაო ადგილების რაოდენობა მოიმატებს. ამაში უნდა გადავუხადოთ ფული საჯარო მოხელეებს და პარლამენტარმა, უპირველესად, ასეთი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს, რომ მისი იქ ყოფნა ემსახურება ისეთი საკანონმდებლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, საინვესტიციო კლიმატის შექმნას და საბოლოოდ, მეტი სამუშაო ადგილის ფორმირებას. ეს უნდა იყოს მათი საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი.

**– ვარდების რევოლუციისთანავე შეიქმნა რეფორმების ფონდი,. მოტივაცია იყო შემდეგი: ჩინოვნიკებს, რომ არ მოეპარათ, მაღალი ხელფასი სჭირდებოდათ. შემდგომმა წლებმა აჩვენა, რომ, რათა არ მოიპარონ, უფრო და უფრო მაღალი ხელფასები სჭირდებათ. იმთავითვე ვფიქრობდი, რომ ასეთი უსამართლო მოდელი სამართლიან სისტემას ვერ შექმნიდა. არადა, ეს უსამართლობა ისევ გრძელდება.**

– სწორედ იმას ჰქვია სამოქალაქო საზოგადოება, რომ მისი ყველა ფენის წარმომადგენელი მეტ-ნაკლებად უნდა გრძნობდეს იმ ცხოვრების დონეს, გაჭირვებას თუ სიკეთეს, რაც მთლიანად საშუალოდაა საზოგადოებისთვის დამახასიათებელი. ის მოარული შედარება, ინგლისის დედოფალი ომის დროს სასახლეს არ ათბობდაო, სწორედ ამას ემსახურება, ის შეიძლება, ათბობდა, მაგრამ ამ გამონათქვამის არსია, რომ მმართველი უნდა იყოს თავისი ხალხის თანაზიარი. სოციალური სოლიდარობის გამოვლენა, სოციალური სამართლიანობის წინა პლანზე წამოწევა გაცილებით ჯანსაღ გარემოს ქმნის როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ სფეროში, ვიდრე შიშველი ნორმატიული აქტების მიღება ჯარიმებისა და სანქციების სახით. ამიტომ თუ საზოგადოება გრძნობს, ხელისუფალი მის მხარეზეა, განიცდის შექმნილ ვითარებას და ცდილობს, თავისი მდგომარეობა მიუსადაგოს დანარჩენი საზოგადოების მდგომარეობას, ის უფრო მეტი ნდობით, გაგებით და პასუხისმგებლობით ეკიდება ხელისუფლების შეფასებას.

**ნინო ხაჩიძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**

*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*

„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**ქართულ წყალს საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა შეუძლია, – ამ დასკვნამდე მივიდნენ ქართველი მეცნიერები. საქართველოს ჰიდრორესურსების უნიკალურ თვისებებზე, ხარისხსა და საექსპორტო პოტენციალზე გვესაუბრება მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, კონცეფცია-პროგრამისა და დარგობრივი ეკონომიკის განვითარების პროექტების ავტორი და ხელმძღვანელი პაატა გიორგაძე:**

# როგორ შეუძლია საქართველოს მთელი მსოფლიოს სასმელი წყლით უზრუნველყოფა

– საქართველო ამჟამად ნამდვილად გაუსაძლის ეკონომიკურ პირობებშია, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფება მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტზე მეტი. ეს, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ წარმოება ტოტალურად დაეცა, დაიხურა საწარმოები, სადაც ხალხი იყო დასაქმებული, რამაც გამოიწვია მასობრივად უმუშევრობა და ჩვენი დარგობრივი ეკონომიკის დეგრადირება. ჩვენი უმთავრესი მიზანია, შევქმნათ საშუალო ფენა და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას. უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკური ლაიტმოტივიც არის ის, რომ კმაყოფილი უმცირესობა ვაქციოთ კმაყოფილ უმრავლესობად, რომ ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა მიეცეს ყველას და არა ერთეულებს. ძირითადი პუნქტები, რაზეც ჩვენ ვისაუბრებთ, სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს, – ამისთვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია დღევანდელი მთავრობის პოლიტიკური ნება და, მიმაჩნია, რომ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ეს სავსებით შესაძლებელია – საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წელი სწორედ სათანადო ნიადაგის მომზადებას დაეთმო. უშუალოდ პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, ასევე, დაინტერესებულია ჩვენი კონცეფციით მთელი ეკონომიკური გუნდი, და, ნამდვილად მოხარული ვარ, რომ ქვეყნის აღმავლობის გზით მშენებლობის ახალი ერა იწყება.

ქართველ საზოგადოებას ორი ათეული წელიწადია, გამუდმებით აწუხებს ჩვენი გაუსაძლისი ყოფიერების განმაპირობებელი ერთ-ერთი უმთავრესი კითხვის პასუხი: როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და გვაქვს თუ არა ამის შანსი საერთოდ...

**– უკაცრავად, რომ გეჭრებით, ამ კითხვაზე აქამდე არ არსებობდა პასუხი, ბატონო პაატა?**

– კითხვას დეტალური პასუხი გავეცი ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების” თემატურ ჯგუფში რვათვიანი დღედაღამ დაუღალავი შრომის შედეგად, რომელსაც წინმსწრებად წლების განმავლობაში ჩემი სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები ედო საფუძვლად. ერთადერთი, ვიცოდით ის, რომ ასეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი განპირობებული იყო, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელმწიფო ბიუჯეტის მუდმივი სეკვესტრით, სწორედ ამ შინაგანმა განცდამ განაპირობა ჩემში ღრმა რწმენა იმისა, რომ ქვეყანა არ გაეხვეოდა ავბედობით გამოწვეულ უიმედობის ბურუსში, მომცა ბიძგი, მეფიქრა გამოსავალზე და, შედეგად, დაიდო ნაშრომის პირველი ტომი – გავეცით პასუხი ერთ-ერთ უმთავრეს კითხვას – რა უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას. „ავწონეთ“ მთელი საქართველო, ბუნებრივი რესურსების მატერიალური ფასეულობებით; უხეშად რომ ვთქვათ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაგვედგინა, რა „ღირს“ ჩვენი ქვეყანა, რა მატერიალური ღირებულებების მფლობელია ქართული სახელმწიფო. ჩაღრმავებული მაკროეკონომიკური კვლევების წარმოების შემდეგ პასუხი გაეცა უმთავრეს შეკითხვას: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450 საბადოს ბუნებრივი რესურსების მარაგებიდან ნაპოვნია დეტერმინანტული, კონკურენტუნარიანი უპირატესობის ერთადერთი ბუნებრივი რესურსი – დაბალმინერალიზებული მტკნარი სასმელი წყალი, რომელზეც მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ყოველდღიურად მძაფრად და სწრაფად იზრდება, რის გამოც უამრავი საფრთხეა მოსალოდნელი – დაწყებული რეგიონული ომებით და ასე შემდეგ, რასაც ადასტურებს „გაეროს“ სასმელი წყლის პრობლემების შემსწავლელი კომისიების დასკვნები შესაბამისი დადგენილებებით. ასევე, მრავალი სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიღებული დეკლარაციები ასაბუთებენ, რომ: „მტკნარი წყლის დეფიციტთან დაკავშირებულმა 2025 წლის სავარაუდო პროგნოზმა 2015 წელს გადმოინაცვლა და 4 მილიარდი ადამიანი რჩება მტკნარი სასმელი წყლის მკაცრი დეფიციტის რეგიონებში. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის სასმელი წყლის მსოფლიო ბაზარს დასჭირდება 10 მილიარდი ლიტრი წყალი ყოველდღიურად. აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ყოველწლიურად 250 მილიონი ადამიანი ილუპება უხარისხო წყლისგან შეძენილი ავადობებით და მათგან 25-26 მილიონი ბავშვია. ადამიანის ორგანიზმის დაახლოებით 76 პროცენტი შედგება წყლისგან, ხოლო თავის ტვინის 96 პროცენტი, ასევე, წყალს წარმოადგენს. თუ წყალი ხარისხიანია, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც გაცილებით მეტია, მაგრამ, დღეის მდგომარეობით, მთელ მსოფლიოშია დარღვეული ეკოლოგიური ბალანსი, დაბინძურებულია წყალსატევები.



**ჩვენ დათვლილი გვაქვს, ერთ სულ მოსახლეზე რა რაოდენობის წყალი ფორმირდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში**

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში არის უნიკალური ჰიდრორესურსების თვალსაზრისით, წყლის ხარისხობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით, ეს წყალი ფორმირდება ახალგაზრდა ვულკანური წარმოშობის ხუთსართულიან მიწისქვეშა ქანობებში. წყალდამწოლი ოლქების მეშვეობით ხორციელდება ნალექებისა და მდინარეების ნაწილობრივი ჩადინება-ჩაჟონვა მიწის ნაპრალებიდან გრუნტის წყლებში, ხუთსართულიან შრეებში იძენს მინერალებს და, ბუნებრივად გამდიდრებული, სილნარ და თიხნარ შრეებში გაფილტრული ამოედინება ზედაპირზე. ეს თვისობრივი მახასიათებლები მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის გრუნტის წყლებს არ გააჩნია.

მიწისქვეშა სასმელი წყლის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორებია: ბუნებრივი განახლებადობა, ანუ, კვლავწარმოების უნარი; რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაღალი მაჩვენებლები, სტაბილურობა და უცვლელი რეჟიმი და, რაც მთავარია, დაბანდებული კაპიტალის სწრაფი უკუგების შესაძლებლობა. ყოველივე ეს ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ეროვნული ეკონომიკის აღმავლობისთვის უპირატესობა მივანიჭოთ გრუნტის წყლებს და არა ზედაპირულ მდინარეებს, რომელთა საერთო რაოდენობა საქართველოში 26 060-ია და (59 00 კილომეტრის სიგრძის) და ბადისებურად ქსელავს მთელი საქართველოს ტერიტორიას. ერთადერთი ტრანზიტული მდინარეა მტკვარი. მდინარეების ერთი მეოთხედი წყალამოდინების ადგილებში ერთ კვადრატულ კილომეტრზე ქმნის ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ პროდუქტს. ალბათ, ბუნებრივად გაგიჩნდებათ კითხვა: რატომ არ გამოდგება დანარჩენი მდინარეები? დანარჩენი მდინარეები წყალამოდინების ადგილებში ფერდობებზე ღვარცოფისა და წყალდიდობების დროს, კარგავს ხარისხობრივ თვისებებს, ფერს, გემოს და, ამიტომ, ჩვენ ზედაპირულ წყლებს მივანიჭეთ სულ სხვა მნიშვნელობა. ეს მდინარეები უნდა გახდეს საქართველოს ენერგომატარებლები, ეროვნული ეკონომიკის განვითარებას სჭირდება დამოუკიდებელი ენერგეტიკა ენერგოუსაფრთხოების სისტემებით, მაგრამ, არა დიდი ჰესებისა და კაშხლების ხარჯზე. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მოქცეული ვართ ახალგაზრდა ვულკანური წარმოშობის პირობებში, როგორიცაა კავკასიონისა და თრიალეთის ქედები, მცირე და საშუალო ჰესები საქართველოს ეკოლოგიურ ბალანსს არ დაარღვევს.

საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება ძვირფასი და მძიმე მეტალები, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ტორფი, ქვანახშირი, გოგირდიანი და სხვა სამკურნალო წყლები, მცირე რაოდენობით გაზი და ნავთობი, მაგრამ, ზოგიერთი დაბალი რენტაბელობის მაჩვენებლით, ანუ, იმისთვის, რომ ეკონომიკა ბუნებრივი რესურსების ექსტენსიური წარმოებიდან ინტენსიურზე გადავიყვანოთ, ამას სჭირდება დროის ხანგრძლივი პერიოდი და დიდძალი კაპიტალდაბანდება. 20-25 წელიწადში ქვეყანა იგრძნობს შვებას, მაგრამ, კიდევ 20-25 წელს ასეთ მდგომარეობას სახელმწიფო ვერ გაუძლებს. ამას ემატება ისიც, რომ წარმოების პროცესით ეკოსისტემაზე მიყენებული ზარალის დაბალანსება, რეკულტივაციისა და სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებით, ბევრად ძვირი დაუჯდება ქვეყანას, ვიდრე წარმოებით მიღებული მოგება. ჩვენ გვჭირდება ეკონომიკის სწრაფი განვითარება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებით. რასაც გამოწვლილვით ითვალისწინებს კონცეფცია-პროგრამა და პროექტი „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“.

ვიმეორებ: ჩვენ ზედაპირულ მდინარეებს არ ვეხებით, ზედაპირულ მდინარეებს, ენერგომატარებლებთან ერთად, აქვს სხვა ფუნქციური დატვირთვაც – ეს არის მიწისქვეშა გრუნტის წყლების კვლავწარმოების ხელშემწყობი ფაქტორები. პირველი და უმთავრესი ფაქტორია ტყის კორომები, ტყის ლანდშაფტური ზონები (საქართველოს ტერიტორიაზე გაშენებულია 300 მილიონი ჰექტარი ტყე), შემდეგ მოდის მდინარეები, 800-ზე მეტი ტბა, ჭაობები და მყინვარები, რომლებზეც ყველაზე ნაკლები რაოდენობა მოდის მიწისქვეშა გრუნტის წყლების განახლებადობისა – ეს არის ძირითადად კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე წყალდამწოლი ოლქები, სადაც ზამთრის პერიოდში წარმოიქმნება თოვლის საფარი. ამდენად, გლობალური დათბობის პირობებში, ყინულოვანი საფარის დნობა საქართველოში უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს მიწისქვეშა გრუნტის წყლების ფორმირებაზე, ამიტომ, სახელმწიფოს ზრუნვის საგნად უნდა იქცეს ტყის აღდგენა და მისი მოვლა-პატრონობა.

ჩვენ დათვლილი გვაქვს, ერთ სულ მოსახლეზე რა რაოდენობის წყალი ფორმირდება როგორც დასავლეთ, ისე, აღმოსავლეთ საქართველოში. ამ მიდგომებით დადგენილია, რომ მიწისქვეშა გრუნტების წყლები ერთადერთი

**ალბათ, ყველას კარგად ახსოვს პატარა ნეკა სებისკვერაძე, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი სმენითა და ხმით. ის ბავშვობიდან მღერის და ამ დრომდე გამოცემული აქვს 4 მუსიკალური ალბომი, გადაღებული აქვს 4 მუსიკალური კლიპი. მის ცხოვრებაშიც იყო შემოქმედებითი პაუზა, თუმცა ცოტა ხნის წინ პაუზა დაირღვა და ნეკამ მაყურებელს ახალი კლიპი შესთავაზა. გარდა სიმღერისა, ჩვენი რესპონდენტი უკვე 6 წელია თბილისის მერიაში მუშაობს, ის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელია. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი – ნიკოლოზი და დავითი.**

# რატომ ვერასდროს ვერავინ ხედავს გაბრაზებულ და მოწყენილ ნეკა სებისკვერაძეს და რა არის მისთვის ბედნიერება და წარმატება

**– სიმღერა ძალიან პატარა ასაკში დაიწყე, ამიტომაც ახსოვს მსმენელს პატარა ნეკა სებისკვერაძე.**

– 6 წლიდან ვმღერი, 9 წლის ასაკიდან კი თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე მომიწია გასვლა და იქ მღერა. პრინციპში, ეს ის ასაკია, როცა საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ეს საქმე მინდა – დიდ სცენაზე დგომა მსურს და მაქსიმალურად მოვინდომე, რომ პროფესიონალურად მიმეხედა ამ საქმისათვის. ასე რომ, გამოდის, 9 წლის ასაკიდან ვარ აქტიურად ჩართული ამ საქმეში და ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამას გარდა, ოჯახი, სამსახური, საკმაოდ დიდ დროსა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებს ძალიან დიდი დრო მიაქვთ, ბუნებრივია, ჩემს ცხოვრებაში შემოქმედებითი პაუზაც მქონდა. თუმცა, ჩემთვის სასურველი ჟანრის კონცერტებსა და საღამოებს არასდროს ვღალატობ, ვმღერი და ვცდილობ, ვიყო ყოველთვის ფორმაში.

**– თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ხარ, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ალბათ, უამრავი ადამიანი მოდის თხოვნით ამა თუ იმ კონცერტის დაგეგმვასთან დაკავშირებით. თუმცა, ყველას ვერ ეტყვი დადებით პასუხს, რაც არცთუ ისე მარტივია.**

– ამასობაში 6 წელი გასულა, რაც ამ სამსახურში ვარ. მადლობა ღმერთს, იმ სფეროს ვემსახურები, ჩემთვის უაღრესად საყვარელი რომაა, ასე კარგად რომ ვიცნობ და არ ვაკეთებ რაიმე სხვა საქმეს. ეს ძალიან დიდი ბედნიერება და სიამოვნებაა ჩემთვის. რაც შეეხება ჩვენს ცენტრს, მართლაც უამრავი განაცხადი შემოდის. გვაქვს სხვადასხვა საბჭო, აქტიურად ვართ ჩართული კულტურულ ცხოვრებაში. კარგად ვიცით, ვის რა სჭირდება, ვინ რას აკეთებს, ვინ რა პროცესშია და ასე შემდეგ. მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა ღირსეულ ხელოვანს ხელი შევუწყოთ თავიანთი შემოქმედების რეალიზებაში – იქნება ეს კონცერტი, მხატვრობა, წიგნის გამოშვება თუ სხვა. ასევე, აქტიურად ვეხმარებით თეატრს. მთავარია, ყველას მოუსმინო და გაიგო, ვის რა სჭირდება. ჩვენ კი მაქსიმალურად ვცდილობთ მათ შეძლებისდაგვარად მხარში დავუდგეთ.

**– მოსმენის კულტურა და ნებისყოფა რომ დიდი გაქვს და ადამიანი – ღიმილი და პოზიტივი რომ ხარ, ეს ყველამ იცის. მე, პირადად, მოწყენილი ან გაბრაზებული ნეკა არ მახსოვს.**

– ასეც არის ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, ეს არავის დავანახვო.

**– ოჯახზეც მინდა გკითხო, როგორი დედა და მეუღლე ხარ?**

– ოჯახი ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ცხოვრებაში დიდი ბედნიერება და წარმატებაა. ღმერთის წყალობით, არაჩვეულებრივი ოჯახი მაქვს. მაქსიმალურად ვუფრთხილდები როგორც ურთიერთობებს, ასევე შვილებს – ვცდილობ, მათ ყურადღება არ მოვაკლო. მართალია, ჩემს შვილებს ძალიან საქმიანი დედიკო ჰყავთ და სახლში 7 საათამდე ვერ ხედავენ, მაგრამ იმას, რაც ფუნქციურად დედას აუცილებლად ევალება, არასდროს ვაკლებ შვილებს. მადლობა ჩემს მშობლებს, რომლებიც მაქსიმალურად მეხმარებიან. უფროსი უკვე ბაღში დადის, რაც დიდი შეღავათია. ვცდილობ, შაბათ-კვირა ყოველთვის მათთან ერთად გავატარო. თან, ძალიან პატარები არიან – ნიკოლოზი და დავითი, 4 და 3 წლის. სულ რაღაც წელიწადი და 2 თვეა მათ შორის სხვაობა. ძალიან დამჯერი და ჭკვიანი შვილები მყავს. რაც შეეხება მეუღლეს, მაქსიმალურად მიწყობს ხელს. შეეგუა უკვე ჩემი დატვირთული ცხოვრების რეჟიმს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა არ მოსწონს, რომ ძალიან ვიღლები. რას ვიზამ, ასეთი გზა ავირჩიე, რომელსაც ველარ შევცვლი. სულ იმაზე მეჩხუბება, მეტი დრო უნდა დაუთმო საკუთარ თავსო.



ორივე ბავშვი გაზრდილი მყავს ქართულ, სხვადასხვა კუთხის „ნანაზე." არავინ თქვას, რომ ეს არ მოქმედებს. ბავშვს რასაც მოასმენინებ პატარა ასაკიდან, გემოვნებაც ისეთივე ჩამოუყალიბდება მას

**– ალბათ, ერთი გამოსავალი მაინც არის – მეუღლე რომ აამღერო და ამ საქმეში ჩართო, მერე მიხვდება, რატომ არ გრჩება საკმარისი დრო საკუთარი თავისთვის.**

– არა, ეს გამორიცხულია. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ძალიან დიდი გულშემატკივარი და კარგი შემფასებელია, ამ კუთხით მას ვერ ჩავრთავ და ვერ დავასაქმებ, რადგან პროფესიით იურისტია.

**– ბავშვებს თუ გამოჰყვათ დედის სასიმღერო ნიჭი?**

– ორივეს ძალიან კარგი რიტმის შეგრძნება აქვს. განსაკუთრებით უფროსს, როცა ის თავისთვის მარტოა და ღიღინებს, ვხვდები, რომ მკაფიოდ გამოკვეთილი კარგი სმენა აქვს. ამაზე გათვლას არ ვაკეთებ, ცხადია, მაგრამ გულში მიხარია, რომ სიმღერა კარგად გამოსდის. ისიც ძალიან მახარებს, რომ უკვე კარგს და ცუდს ნამდვილად არჩევს. მოსწონს ქართული ხალხური სიმღერა და სიამოვნებით უსმენს. ორივე გაზრდილია ქართული, სხვადასხვა კუთხის, „ნანაზე." სულ პატარები რომ იყვნენ, ვურთავდი და ვასმენინებდი. არავინ თქვას, რომ ეს არ მოქმედებს. ბავშვს, რასაც მოასმენინებ პატარა ასაკიდან, გემოვნებაც ისეთივე ჩამოუყალიბდება. ასე ვიყავი მეც, რისთვისაც დიდი მადლობა ჩემს მშობლებს.

**– საახალწლოდ რას გეგმავს თქვენი სამსახური?**

– ახალ წელს სხვადასხვა ღონისძიებაა დაგეგმილი. იქნება როგორც საბავშვო ღონისძიებები, ასევე საახალწლო ღამის გალა კონცერტი, რომელსაც „რუსთავი 2-თან" და კულტურის სამინისტროსთან ერთად, გავაკეთებთ. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ ძალიან ლამაზი ახალი წელი გვქონდეს.

**მარიკა ხიდურელი**

---

უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთაა და მისი პოტენციალიც სრულად პასუხობს შესაბამის ნორმებს. რაც შეეხება პოტენციალს, არის 573 მეტრ-კუბი წამში. აქედან, საექსპლუატაციოდ დასაშვებია 301 მეტრ-კუბი წამში, რისი გამოყენებაც ეკოლოგიურ ბალანსს არ დაარღვევს, ანუ, საქართველოს მასშტაბით, ჭაბურღილების მეშვეობით, არტეზიული აუზებიდან შეიძლება ამოვიღოთ და გამოვიყენოთ 301 მეტრ-კუბი წამში წყლის რაოდენობა, რაც არის 26 მილიარდი ლიტრი დღე-ღამეში. პატარა საქართველოს შეუძლია, სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტით მოამარაგოს მსოფლიოს 7-მილიარდიანი მოსახლეობა და კიდევ ჭარბი რჩება 8,5 მილიარდი ლიტრი წყალი დღე-ღამეში.

საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი და მსოფლიო ბაზარზე დაფასოებული პროდუქციის ექსპორტიორი, ინდუსტრიულად განვითარებული ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა. ამრიგად, სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების, როგორც ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის, კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების ფულად ქცევა, მისი მატერიალიზება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ფასიანი, მომგებიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, თამასუქების) სახით და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენება, უზრუნველყოფს სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობისთვის საჭირო თანხების მოზიდვას და წყლის მსოფლიო ბაზრის სეგმენტის მოპოვებას. ინდუსტრიას ვაშენებთ საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების (301 მეტრ-კუბი წამში) რაოდენობიდან 0,75 პროცენტის (ანუ, 2,5 მეტრ-კუბი წამში) გამოყენებით; საქართველოს ყველა მუნიციპალურ ერთეულში არსებული დებეტების შესაბამისად, ცალკეული წლიური წარმადობის ქარხნების საპროექტო სიმძლავრეების გათვალისწინებით, საერთო ჯამში, ვაწარმოებთ 50 მილიონ ტონა დაფასოებული სასმელი წყლის პროდუქციას, უახლოეს 2 წელიწადში კი, მშენებლობის დასრულების შემდგომ, მივიღებთ ეკონომიკურ შედეგს: ქვეყნის ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მილიარდი ამერიკული დოლარით; ბიუჯეტი შეივსება 3 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი თანხით; დასაქმდება ათეულ ათასობით ადამიანი, საშუალო ხელფასით – 1 500 ამერიკული დოლარის ეკვივალენტით ლარში; მოიხსნება სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები; შეჩერდება მიგრაციული პროცესები; დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება; განხორციელდება სოფლისა და სატყეო მეურნეობების, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობისა და სხვა სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების ჩვენივე სახსრებით დაფინანსება; რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და დამოუკიდებლობის გარდაუვალი წინაპირობაა; დაიწყება სახელმწიფო შიდა ვალის გასტუმრება, საფუძველი ჩაეყრება სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობას.

საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს ათწლეულში სასმელი წყალი გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისთვის. საქართველო ამ რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია და, მისი მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან, კერძოდ, წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილის მოპოვებასთან.

**ქეთი დიდებულიძე**

# რა აღმოაჩინა ღამით სასაფლაოზე გიორგი მუსხელიშვილმა და რატომ არ უშვებდნენ მას სასტუმროებში

**გიორგი მუსხელიშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთხი თვის წინ გახდა – მისი გზა ქართულ პოლიტიკაში წლების წინ დაიწყო, რომელსაც ორწლიანი ტაიმაუტის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა. „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთ დამფუძნებელს ბოლო წლებში აქტიური საორგანიზაციო საკითხების მოგვარება ჰქონდა ჩაბარებული, რის გამოც ბევრ ხიფათიან ისტორიაშიც არაერთხელ გაეხვია, თუმცა, ამაზე და, კიდევ, იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა ის ანაკლიაში „მტრის ბანაკში," თავად ჩვენი რესპონდენტი გიამბობთ.**

**გიორგი მუსხელიშვილი**: პოლიტიკას ცხოვრება დავუკავშირე 2002 წელს, როდესაც მოქალაქეთა კავშირს გამოეყო „გაერთიანებული დემოკრატების" ჯგუფი. მე პარტიის თბილისის საორგანიზაციო მდივანი გავხდი. მანამდე საზოგადოება" „თბილისელის" საქმიანობაში ვიყავი ჩართული, რადგან, მიმაჩნდა, რომ შემეძლო, ჩემი პატარა წვილი შემეტანა ჩემი ქალაქის კეთილდღეობაში. ამას არც არასდროს გავქცევივარ – ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა სრულად აიღო ხელში ძალაუფლება, მე ვერ შევეგუე იმ ყველაფერს, რაც ამ ქვეყანაში დაიწყო და გავერიდე აქაურობას – ცოლთან ერთად წავედი მოსკოვში, სადაც კარგი სამეგობრო მყავდა. მოსკოვში ორი წელი დავრჩი და იქ ავაწყვე ბიზნესი – გავხსენი სამკერვალო ფაბრიკა, სადაც იკერებოდა ტანსაცმელი. სხვაგან დიდხანს გაძლება ძნელია, ამიტომ, 2006 წლის დასაწყისში გავყიდე ფაბრიკა და დავბრუნდი თბილისში. ჩამოვედი და აქ უკვე რთული სიტუაცია დამხვდა, ჩემს მეგობრებთან ერთად შევუერთდი გაერთიანებულ ოპოზიციას და არ გამოვკლებივარ არც ერთ საპროტესტო მიტინგსა და გამოსვლას. 2009 წელს, როდესაც საკნების აქცია მოეწყო, ვიყავი საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი.

**– საორგანიზაციო თემებს ვერც აქ ასცდით. რატომ განდობენ ხოლმე ამ საქმეს?**

– არ ვიცი, ამას ვერ გეტყვით. მე მახსოვს, როგორ მოგყავდა „უცნობი" ბათუმიდან. მაშინ ბევრი ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხის მოგვარება დაგვჭირდა. 500-დან 700-მდე ადამიანის ტრანსპორტის, კვების მოგვარება არაა იოლი საქმე. 2009 წელს, როცა გაჩნდა იდეა, რომ გაკეთებულიყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, მე ჩემს მეგობრებთან ერთად დავაფუძნე პარტია „თავისუფალი დემოკრატები". ჩვენ ბევრ გამოცდას გავუძელით ერთად ამ ოთხ წელიწადში. 2011 წლის 7 ოქტომბერს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ დაიწყებდა შეურიგებელ ბრძოლას ნაციონალურ რეჟიმთან, ჩვენ და რესპუბლიკელები მისი ერთ-ერთი პირველი პარტნიორები გავხდით. მე მახსოვს, ძალიან მალე, „ქართუს" შენობაში, მეთერთმეტე სართულზე, გაიხსნა კოალიცია „ქართული ოცნების" პირველი შტაბი და ჩვენი პარტიიდან მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ შტაბის ამუშავება დაიწყო. სამ ადამიანს ჩაგვაბარეს რეგიონული მობილური ჯგუფების შექმნა მთელი საქართველოს მასშტაბით, ეს იყო ურთულესი საქმე. იმ წელს ძალიან მკაცრი ზამთარი იყო, რთული იყო რეგიონებში სიარული და ძალიან ბევრი ვიწვალეთ. მე და ჩემს მეუღლეს ერთი წელი მანქანაში გვეძინა; მარტო ჩვენ კი არა, უმცროსი, მეოთხე შვილიც კი თან დაგვყავდა, რომელიც მაშინ 4 წლის იყო.



მე და ჩემს ცოლს „მისტერ და მისის სმითებს" გვეძახდნენ

**– მეუღლე რა შუაში იყო?**

– გურულია და როგორც ყველა გურული, მოუსვენარი ***(იცინის)*** ჩვენ ხუმრობით „მისტერ და მისის სმითებს" გვეძახდნენ, და მინდა გითხრათ, რომ არაერთხელ მოვყევით რთულ და მძიმე სიტუაციებში. ყველა დიდი მიტინგი და ღონისძიება, რომელიც რეგიონებში მოეწყო, ჩვენ მიერ იყო ორგანიზებული. მე, ზვიად ძიძიგურთან და ირაკლი ჩიქოვანთან ერთად, ვარ თბილისის პირველი დიდი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ახლა ერთი ისტორია გამახსენდა: 15 სექტემბერს ახალციხეში გვქონდა დიდი აქცია, იქიდან კი ზუგდიდში უნდა გადავსულიყავით. ვიფიქრე, თბილისში ჩამოსვლას აზრი არ ჰქონდა და ჩემს ცოლს ვუთხარი: ნინო, მოდი, პირდაპირ ზუგდიდში წავიდეთ-მეთქი. ჩვენთვის, როგორც წესი, ყველა სასტუმრო დაკეტილი იყო სააკაშვილის რეჟიმის მიერ, ამიტომ, სხვის სახელზე უნდა დაგვეჯავშნა ნომერი. ზუგდიდში ვერ მოვახერხეთ სასტუმროს დაჯავშნა, სასტუმრო დავჯავშნეთ ანაკლიაში, ჩემი ცოლის დაქალის სახელზე, რომელიც არის ბრიტანეთის მოქალაქე. საერთაშორისო მასშტაბის გავხადე ჩემი წრე ***(იცინის).*** შუაღამისას მივდივარ ანაკლიის გზაზე, არაფერი ირგვლივ არ ჩანს. სადღაც შორს შუქი გამოჩნდა, მივაყენე მანქანა იმ შუქთან და ვიფიქრე, გაიხაროს ამ შუქის „პატრონმა," გზას გამაკვლევინებს-მეთქი და, რას ვხედავ: სასაფლაოზე ვართ – ვიღაცას მინის სახლი აუშენებია თავისი მიცვალებულისთვის; შიგნით მანქანა დგას, ღვინო, დოქი, ლამის ტელევიზორია ჩართული. გადარეული დავრჩი იმის შემხედვარე. რა უნდა გვექნა, გავაგრძელეთ გზა. იმ დღეს ქუთაისში ბევრი სტუმარი იყო ჩასული, სამთავრობო ღონისძიებაზე და სტუმრების ნაწილი ანაკლისკენ არ წასულა?! შევდივარ ანაკლიის სასტუმროში, სადაც დგას დაახლოებით ასი შავი „ჯიპი" და სასტუმრო სავსეა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებით, ყველა იქ არ ის? რა უნდა მექნა? შემრცხვა ჩემი ცოლის. იხტიბარს ხომ არ გავიტეხდით და, მეც და ნინოც, „ოცნების" მაისურებში გამოწყობილები შევედით სასტუმროს ფოიეში. ადმინისტრატორი ჩვენს დანახვაზე დაიბნა, ვერ გაიგო, იქ საიდან მოვხვდით, მაგრამ, რა უნდა ექნა – ნომერი დაჯავშნილი იყო. ნახევარი საათი ავსებდნენ ჩვენს საბუთებს და, მივხვდი, რისთვისაც „ამზადებდნენ" ჩვენს ნომერს. როგორც იქნა, შევედით ნომერში და ავტეხე ერთი ამბავი – აქ არც წყალია, არც არაფერი, ნომერი უნდა შემიცვალოთ-მეთქი. ასე ჩავუშალეთ ჩასაწერად გამზადებული ნომერი მისტერ და მისის სმითებმა ***(იცინის).***

**– „მტრის ბანაკში" შეღწევა და აქტიური საორგანიზაციო საქმეების კეთება დაგფასებიათ.**

– აქ რომ ვარ? ეს ნამდვილად არ იყო ჩემი ოცნება, მე არ ვარ კაბინეტსა და თანამდებობას გამოკიდებული კაცი. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს პარტიულ სიაში ვიყავი, თუმცა, დიდად არც ეს მაინტერესებდა. სიაში ჩემ წინ ვინც იყო, ზოგი მინისტრი გახდა, ზოგი – პარლამენტარი. ვინმე აქაც ხომ უნდა შემოსულიყო და ასე მოვხვდით მე და მაკა გვარამია საკრებულოში. ცნობილი მოვლენების შემდეგ, ოთხი თვის წინ, გავხდი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. კაბინეტი არაა საჩემო საქმე, მევალება თუ არა, არის თუ არა საჭირო, ყოველ დილით, მოხალისესავით, სხვადასხვა უბანში მივდივარ. საკუთარი გრაფიკი მაქვს გაკეთებული – მე ამ ქალაქში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ, რამდენიმე თაობით თბილისელი და, გამოდის, რომ იმ ხოხობთან ვარ კავშირში.

**– რადგან გენეალოგიას მივადექით, გკითხავთ: დიდი მეცნიერის შთამომავალი ხართ?**

– დიახ, ოღონდ, არა პირდაპირი შთამომავალი: მამაჩემის ბაბუა და ნიკო მუსხელიშვილი ბიძაშვილები იყვნენ. დედაჩემი, როგორც მსმენია, დანიშნული ყოფილა იმ ბეჭდით, რომელიც ნიკო მუსხელიშვილის დედას ეკუთვნოდა. მუსხელიშვილები ისე ცოტანი ვართ, ყველანი ერთმანეთს ვეკუთვნით ნათესავებად. ჩვენი ოჯახი რეპრესირებული იყო. მამაჩემის ბაბუა, როსტომ მუსხელიშვილი, ცნობილი პოლკოვნიკი გახლდათ, ქაქუცას ყველა გადაადგილებას აკონტროლებდა და ეხმარებოდა. ის 1924 წლის აჯანყებას ამზადებდა, როცა დაიჭირეს და დახვრიტეს. მეამბოხე ბაბუას კვალს ისე არ ჩაუვლია, მეც გადმომეცა მემკვიდრეობით ***(იცინის).***

**– იმდენი ბიზნესი გქონიათ წარსულში, არც დღეს არ უნდა იყოთ მათ ბოლომდე შელეული.**

– დღეს არაფერიც არ მაქვს, არ დამიტოვეს არაფერი. მუდმივ შევიწროებასა და ყოველდღე ფინანსურ პოლიციაში ყოფნაში ბიზნესი არ გამოდის. 2008 წლის მერე დაიწყეს ჩემთან „აქტიური" შეხება, მას შემდეგ, რაც აქტიურად გამოვჩნდი. წლების წინ საქართველოში საბურავების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი ვიყავი, კარგი ბიზნესი მქონდა, რაც წინა ხელისუფლებამ შეიწირა. ჯერ ევროპიდან ჩამომქონდა საბურავები, შემდეგ გავხსენი გზა ჩინეთში – პიონერი ვიყავი, არავინ რისკავდა მაშინ ჩინეთთან კავშირს. მე გავრისკე და საკმაოდ წარმატებულადაც. შვიდი წელი ჰაერში ვიყავი – გუანჯოუში ისე დავდიოდი, ხალხი რაჭაში რომ დადის ***(იცინის).*** ჩავედი თუ არა გუანჯოუში, ვიყიდე ოფისი. წელიწადში 7-8 თვე იქით ვიყავი. ერთხელ მეგობართან ერთად წავედი ჩინეთში. ჯერ სტამბულში ჩავფრინდით, მერე – ჰონკონგში. გუანჯოუმდე გრძელი გზაა. სტამბულში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და ისე დამხვდნენ, 12 საათში ყველაფერი მოასწრეს, რისი მოსწრებაც შეიძლებოდა. 7-8 წელია, ჰონკონგში ცხოვრობს ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელიც მუშაობს იქაურ სიმფონიურ ორკესტრში. ის დაგვხვდა ნაქირავები იახტით და ისე გვიმასპინძლა, როგორც ბავშვობის მეგობარს შეჰფერის. ძალიან ბევრი დავლიეთ და ძალიან ბევრიც ვიმღერეთ. მეორე დღეს ნაბახუსევის გადასატანად დავსხედით ღვინის დასალევად. იმდენი დავლიეთ, ჰონკონგის ქუჩაში ქართულად ვმღეროდით. სიმღერა ვიცი, ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი, მაგრამ, იქ ისეთი ნიჭიერები იყვნენ, რომ დამაკომპლექსეს და აღარ ვმღერი. სამაგიეროდ, ჰონკონგში ვბედავ სიმღერას თავისუფლად ***(იცინის).*** ჩვენთან ერთად ჩემი მეგობრის ორკესტრის თანამშრომლებიც იყვნენ, მათ შორის იყო ავსტრალიელი „სკრიპაჩი". სკრიპკისთვის ფუტლიარი მოუხსნია და ძირს დაუდევს. იქიდან რომ წამოვედით, მერე მივხვდით, რომ ფულით იყო სავსე. არ მახსოვს, როგორ ჩავაღწიეთ ჩინეთამდე, იქ დამხვდა ჩემი პარტნიორი და ძმაკაცი – სერგო. მე მოვნათლე ასე – ისეთი ცუდი წარმოსათქმელია მისი სახელი, კოხვაა, უნდა თქვა სწორი „უდარენიით", ვერ გამომივიდა, ავდექი და სერგო დავარქვი ***(იცინის).*** ისეთი მეგობრობა იცის იმ ჩინელმა კაცმა, გაოცდებით. აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე შვილის ქორწილი მქონდა და სამი დღით წამოვიდა ჩინეთიდან ქორწილისთვის. იოლი ხომ არ იყო, მაგრამ, თბილისსა და გუანჯოუს შორის ისეთი მეგობრობის ხიდი მაქვს გადებული, ამ ათასობით კილომეტრზე ჩამოსვლას რომ შეგაძლებინებს ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

**„ცეკვავენ ვარსკვლავები“ კულმინაციისკენ მიდის. მეგა-შოუს მესამე სეზონი ნამდვილად განსხვავებული და შთამბეჭდავი გამოვიდა. ამ ყველაფერში, მკითხველიც დამეთანხმება, რომ სერიოზული წვლილი „თიბისი ოთახის“ წამყვანებს, კახა კინწურაშვილსა და ლიკა ლაბაძეს შეაქვთ. კახას დახვეწილი, ოდნავ ირონიანარევი იუმორი და ლიკას სილამაზე ამ ოთახს და მთელ შოუს განსაკუთრებულ პეწს აძლევს (ფოტოები მოგვაწოდა გიორგი ცაავამ).**

# რას აპირებენ ახალი წლის ღამეს კახა კინწურაშვილი და ლიკა ლაბაძე

**– ამ პროექტში ორივე იყავით პირველ სეზონზე, მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, მესამე სეზონი გაცილებით უფრო მასშტაბური და შთამბეჭდავია. როგორ გგონიათ, რა არის ამის მიზეზი?**

**კახა**: ნებისმიერი პროექტი, რომელზეც ძალიან დიდი მონდომებით მუშაობენ, როდესაც არსებობს მზაობა, რომ რაღაც კარგი გამოვიდეს, ის აუცილებლად განიცდის პროგრესს და ვითარდება. პირველი სეზონის პირველი და ბოლო გადაცემები რომ შეადარო, იქაც ძალიან დიდი განსხვავებაა. ისიც მგონია, რომ ცირკის სივრცე გადაცემას ძალიან მოუხდა: არენა, მაყურებლის ჩართულობა, ჩვენი ოთახის ინტეგრირება მაყურებელთან – ეს ყველაფერი თავის საქმეს აკეთებს. პლუს, ამ ყველაფერს ემატება სასწაული კონკურსანტები, რომლებიც პროფესიონალებივით ცეკვავენ.

**– ოთხი წამყვანი თითქოს ბევრია ერთი შოუსთვის, მაგრამ, თქვენ დაამტკიცეთ, რომ ოთხივეს ყოფნა აუცილებელია. რამ განაპირობა თავიდან თქვენი დაწყვილება?**

**ლიკა**: ამაზე, ალბათ, უფრო პროდიუსერებმა უნდა გიპასუხონ. ჩვენ კითხვა არ გაგვჩენია, პირიქით, ძალიან გაგვიხარდა. ყველაფერმა დადებითად იმუშავა შოუზე: იმან, რომ ცირკშია; იმან რომ ძლიერი კონკურსანტები არიან; რომ ოთხი წამყვანი და ჟიურის ხუთი წევრია; რომ შემოქმედებითი ჯგუფი უკვე ძალიან კარგად არის გარკვეული ნიუანსებში. ამ ერთობლიობამ პროექტს მასშტაბურობა შესძინა.

**– დუტამ და ნანკამ მითხრეს, რომ თავიდან განსაზღვრული ფუნქცია არ ჰქონიათ და მერე თავად მოირგეს მონაწილეების დამცველების, „ადვოკატების“ როლი. თქვენს შემთხვევაში თუ იყო წინასწარ განსაზღვრული ფუნქცია?**

– ოთახის პირდაპირი დანიშნულება ის არის, რომ შენ აცილებ და ხვდები მონაწილეებს და მათ ყველაზე დიდ და გულწრფელ ემოციებთან ხარ პირისპირ. ჩვენ ვართ უშუალოდ ის ადამიანები, ვისზეც მთელი მათი ღელვა და ნერვიულობა გადმოდის – საკუთარ თავზე მაქვს ეს ყველაფერი გამოცდილი. ღელავ ყველაფერზე – როგორ შეასრულებ ცეკვას, როგორ შეგაფასებენ, როგორ გამოიყურები... ქვემოთ ყველაფერზე დაძაბული ხარ, ამ ოთახში შემოსვლით კი თითქოს სახლში ბრუნდები. აქ გხვდებიან ის ადამიანები, ვინც შენთან ერთად ნერვიულობენ და განიცდიან, შენიშვნებს არ გაძლევენ და შენს მოტივაციაზე ზრუნავენ. ყველაზე ცოცხალი ჩვენი ოთახი გამოდის, ცოცხალ ემოციებთან აქ გაქვს საქმე, რასაც ვერაფრით შენიღბავ. გეწყინა თუ გაგიხარდა ქულა, კამყოფილი ხარ თუ არა ცეკვით ან შეფასებით – ძალიან შიშვლად ჩანს.

**– იმპროვიზაციას თუ მიმართავთ და გაქვთ თუ არა სრული თავისუფლება?**

– სრული იმპროვიზაციაა. ის, რაც მონაწილისგან გვაინტერესებს, პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იტყვის „პროფაილში,“ როგორ შეასრულებს ცეკვას, რას ეტყვის ჟიური.

**– ძალიან სასაცილო იყო, კახა რომ ქეთი ხატიაშვილს და გიორგი ბარბაქაძეს ჩაეხუტა.**

**კახა**: ყველა ისეთი ბედნიერი იყო, ისე ეხუტებოდა ერთმანეთს, რომ სხვა შანსი არ მქონდა ***(იცინის).***

**ლიკა**: ძალიან სასაცილოა ხოლმე მერე ფოტოების თვალიერება. ეკრანზე კიდევ ისე არ ჩანს, სახეები როგორ გვეცვლება ქულების დაწერის დროს ***(იცინიან)*** – ან უბედნიერესები ვართ ან გაოგნებულები.

**– ლიკა, რომელი ჯობდა, წაყვანა თუ მონაწილეობა?**

– წაყვანა, იმ მხრივ, რომ, აღარ ვნერვიულობ, არავინ მაფასებს და თავისუფალი ვარ ყველა იმ სტრესისგან, რაც პროექტს ახლავს. მაგრამ, მონაწილეობაც მენატრება, რადგან, ეს საოცარი ექსტრემი და ადრენალინი იყო. ვარჯიში და ფიზიკური მომზადებაც მენატრება, მაგრამ, არა ისეთი საშინელი, როგორშიც ვიყავი. ექვსი თვე სტრესიდან ვერ გამოვდიოდი, „ქუდის“ მუსიკა რომ მესმოდა, ვკიოდი. ახლა უკვე ამ მუსიკის გაგონებაზე კარგად ვარ, მეორე სეზონზე, პრაქტიკულად, ხმაჩაწეულ გადაცემას ვუყურებდი.

**– კახა, შენ ჯერ არ მიგიღია მონაწილეობაზე შემოთავაზება?**

**კახა**: არა, მე თავიდანვე გავარკვიე, რომ, ჩვეულებრივი პინოქიო ვარ და თავი დამანებეთ, არასდროს არც შემომთავაზოთ ეს ამბავი-მეთქი. ჯერ ერთი, ძალიან შრომატევადია, კვირიდან კვირამდე რეპეტიციები, სხვა ვერაფრისთვის იცლი. ამ ყველაფერში ჩართვა დიდ დროს წაიღებს და, მინიმუმ სამი თვე ჩემი საქმეებისთვის, თეატრისთვის ვერ მოვიცლი. საკუთარ თავში რომ ვიყო დარწმუნებული ცეკვის მხრივ, კიდევ შეიძლება დაფიქრება, მაგრამ...



**კახა: „თავიდანვე გავარკვიე, რომ ჩვეულებრივი პინოქიო ვარ და, თავი დამანებეთ, არასდროს არც შემომთავაზოთ მონაწილეობა-მეთქი“**

**– ასე მგონია, არც ხარ ისეთი ნატურა, რომ იცეკვო. ვიღაცაზე, შეიძლება, არც წარმოგიდგენია, მაგრამ, როცა გაიგებ, რომ მონაწილეობს, არ გიკვირს. შენზე კი, რატომღაც, მგონია, არ იცეკვებ.**

– მართლა?! საიდან მოდის ნეტავ ეს შთაბეჭდილება, კარგია ეს თუ ცუდი? ***(იცინის)*** აქ მხოლოდ მონაწილეობაზე არ არის საქმე, ეს საკმაოდ დიდი რისკია მსახიობისთვის, მის მიმართ ხალხის დამოკიდებულების თვალსაზრისით. მაყურებელი წყვეტს აქ ყველაფერს. შენი ცეკვა, „პროფაილი“ ქმნის შენზე აზრს მაყურებელში და, თუ მათ არ მიგიღეს, სწორად არ გაგიგეს, შეიძლება, სცენას გლეჯდე, ისე ცეკვავდე, მაგრამ, არ შეგიყვარონ, არ მიგიღონ და მორჩა! პირველ სეზონში ბევრი ვარსკვლავი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის სამორის ისე კარგად არ იცნობდნენ, მაყურებელმა ის უპირობოდ შეიყვარა. მისი გულწრფელობიდან და გახსნილობიდან გამომდინარე, უმესიჯებდნენ ბებოებიც და ბავშვებიც, ბაბუებიც და თინეიჯერებიც. გიორგი ყიფშიძეს ამ ნაბიჯს ვუწონებ, ძალიან სწორად მოიქცა, რომ მონაწილეობაზე დათანხმდა.

**– იმ ოთახიდან სულ ხმაური გამოდის, ვერ ისვენებენ მონაწილეები?**

– მართლა მაგარი მიდი-მოდია. ყველაზე წყნარად არიან, როდესაც ვიღაც ცეკვავს. ერთმანეთს სულ უყურებენ. როგორც კი ეს მორჩება და ჟიურის შეფასება გადის, ზოგი სიგარეტის მოსაწევად გარბის, ზოგი ხურდება, ზოგიერთი ილლება და გადის, რომ ძვლები გაატკაცუნოს და ასე შემდეგ ***(იცინის).*** მე და ლიკას სულ მათი დაშოშმინება გვიწევს.

**ლიკა**: სკოლის დამრიგებლებივით ვართ: აბა, ბავშვებო, წესიერად დასხედით-მეთქი. ხან პლედი აქვთ მოხურული, ხან წამოწოლილები არიან და ვალაგებთ ხოლმე ჩართვისთვის.

**– ერთმანეთს როგორ მოერგეთ?**

– მშვენივრად. დაბალანსებული გვაქვს ფუნქციები და ერთმანეთს ნერვებს არ ვუშლით.

**კახა**: ერთმანეთის არ გვესმის ხოლმე ხანდახან, ოღონდ, პირდაპირი გაგებით არ გვესმის. რადგან, ცირკში ძალიან დიდი აკუსტიკაა, დინამიკები ჩვენს თავთანაა ჩამოკიდებული და, მიკროფონში რასაც ვამბობთ, ტრიალებს და დინამიკიდან გვიბრუნდება. საშინელებაა. მხოლოდ ეს ტექნიკური გაუგებრობაა, რომელიც ხელს გვიშლის.

**– ლიკა „დილაში“ მუშაობას განაგრძობს, შენც, კახა, აქტიურად მუშაობ თეატრში და რამდენიმე დღის წინ პრემიერა გქონდა.**

– დიახ. მუსიკისა და დრამის თეატრში დოიმ გადაწყვიტა, რომ ბევრ ახალგაზრდას მისცეს სპექტაკლის დადგმის საშუალება და ამით ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. არის ასეთი ახალგაზრდა, მიშა ჩარკვიანი, რომელმაც „დურუჯი“ აიღო. 23 წლის ძალიან ნიჭიერი ბიჭია, ძალიან გულწრფელად ვიმუშავეთ ერთად. ის საოცრად თავგანწირულია მუშაობის დროს და, ამან არა მარტო მე, არამედ, ყველა მსახიობი ჩაგვითრია. გარდა იმისა, რომ მიმაჩნია, სპექტკალი შედგა, მეც შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ამ სპექტაკლით ორი და სამი თუ არა, ერთი ნაბიჯი მაინც გადავდგი წინ პროფესიაში. ვთამაშობ ოსვალდს, შვილს, რომელიც მშობლებმა სასწავლებად სხვაგან გაგზავნეს, სახლში დაბრუნებული კი აღმოაჩენს, თურმე, სრულ ტყუილში ცხოვრობდა და იმიტომ იყო გაშვებული, რომ ოჯახურ კონფლიქტში არ ჩარეულიყო. მან უნდა გაარკვიოს, დაავადება, რომელიც სჭირს, გენეტიკურია თუ შეძენილი. ეს ყველაფერი კი მამის ცოდვებიდან მოდის და სპირალურად ტრიალებს ოჯახის გარშემო. ის იგებს სიმართლეს, რომ ეს ყველაფერი აჩრდილებიდან მომდინარეობს და ყველაფერი დრამატულად კი არა, ტრაგიკულად მთავრდება.

**– ბოლოს მითხარით, ახალი წლისთვის როგორ ემზადებით?**

**ლიკა**: საღამოს აქ ვართ, რადგან, შოუ იხურება და მერე ნამდვილად არ ვაპირებთ არაფერს. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ხუთი დღე ვისვენებ. არ მჯერა, რომ ხუთი დღის განმავლობაში შემიძლია, გამოვიძინო და დილის ხუთ საათზე არ ავდგე. შეიძლება ქალაქიდანაც წავიდე. თავზე დამხობას და გართობას ნამდვილად არ ვაპირებ.

**კახა**: მეც დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში ვარ. მენატრება გამოძინება და დასვენება. GDS-ის დილის გადაცემაში ვმუშაობ, ლიკასნაირად ყოველდღე არ ვარ, მაგრამ, მეც ძალიან ვიღლები ***(იცინის).*** იქიდან გამომდინარე, რომ მე და ჩემი ცოლი პირველად უნდა შევხვდეთ ახალ წელს იმ სახლში, რომელშიც ვცხოვრობთ, აუცილებლად სახლში ვიქნებით და სხვა სურვილი არც ერთი წამით არ გაგვივლია გულში. ასე რომ, აქედან ეგრევე სახლში გავვარდები.

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: 25 წელია, გათხოვილი ვარ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვცხოვრობთ ჩემი მშობლების ბინაში, რომელშიც ჩემმა ქმარმა გააკეთა კოსმეტიკური რემონტი და შეიძინა ტელევიზორი და გაზის გამათბობელი. გაყრის შემთხვევაში, აქვს თუ არა მას უფლება, წილი მოითხოვოს ჩემი ბინიდან (გვყავს ორი სრულწლოვანი, დაოჯახებული ვაჟი)? გარდა ამისა, მაინტერესებს, გაყრაზე განცხადების შეტანისას, რომელი მხარე იხდის თანხას და რამდენს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, თუ ბინა თქვენი მშობლების საკუთრებაშია, თქვენი მეუღლე ვერ მოითხოვს წილს თქვენი მშობლების საკუთრებაზე. მას, ასევე, არ აუნაზღაურდება ბინის კოსმეტიკური რემონტისთვის გაღებული ხარჯები, რადგან თვითონაც აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდა და აღნიშნული სახის მოთხოვნა ზნეობრივ მოვალეობებს ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ტელევიზორსა და გაზის გამათბობელს, ეს თქვენს საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს, შესაბამისად, აღნიშნულ ნივთებზე თქვენ გაქვთ მეუღლის თანაბარი საკუთრების უფლება და განქორწინების შემთხვევაში, ეს ნივთები თქვენს შორის განაწილდება თანაბრად, სხვა ნივთებთან ერთად. რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟს განქორწინების საქმეზე, თუ ის არ ეხება ქონებრივ დავას და არც არასრულწლოვანი შვილები ჰყავთ მეუღლეებს, ბაჟის ოდენობა შეადგენს 50 ლარს, რადგან, არაქონებრივი დავაა და, შესაბამისად, საქმეს მაგისტრატი მოსამართლე განსჯის.

**კითხვა: რამდენიმე წლის წინ ჩემი ნათესავი ნარკოტიკების მოხმარების გამო დააკავეს და საპროცესო შეთანხმების თანახმად, უნდა შეეტანა თანხა გირაოს სახით. ოჯახის წევრების მიერ ეს თანხა სხვადასხვა დროს ორჯერ იქნა შეტანილი ბანკში (თითო ჯერზე ორი ათასი ლარი), მაგრამ, ადვოკატმა არ გააფრთხილა არც ჩემი ნათესავი და არც მისი ოჯახის წევრები, რომ თანხის შეტანის შემდეგ უნდა დაეწერათ რაღაც განცხადება (რის შემდეგაც ფული დანიშნულების ადგილამდე მივიდოდა); შესაბამისად, თანხა ადრესატამდე არ მივიდა (არც ერთი შენატანი), რის შემდეგაც ჩემი ნათესავი დააკავეს და თითქმის 2 წელი გაატარა ციხეში, ორჯერ შეტანილი თანხა კი იმავე მდგომარეობაშია (ანუ, შეტანილია და დანიშნულების ადგილამდე არ არის მისული). ამჟამად ჩემი ნათესავი შეწყალებით არის გამოშვებული, ნასამართლეობაც მოხსნილი აქვს და ნარკოტიკის მოხმარებაშიც არ არის შემჩნეული (ამ ყველაფერს თავი დაანება). როგორც გვითხრეს, შეგვიძლია, რომ ორივე თანხა უკან გამოვითხოვოთ. გვაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ეს და კონკრეტულად როგორ მოვიქცეთ, ანუ, ვის უნდა მივმართოთ?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ თქვენ ერთმანეთში ურევთ საპროცესო შეთანხმების დროს ძირითადი ან დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებულ ჯარიმას და აღკვეთის ღონისძიების სახეს – გირაოს. სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებული პრაქტიკის გამო, გირაოს სახით შეტანილი თანხა, ძირითადად უცვლელი ოდენობით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ გირაოს შემტანი პირის განცხადებით ირიცხებოდა ხოლმე სახელმწიფო ბიუჯეტში. თუ აღნიშნული ფორმით არ მომხდარა გირაოს სახით შესაბამის დეპოზიტზე შეტანილი ფულადი თანხის ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადარიცხვა, გირაო, როგორც წესი, უბრუნდება გირაოს შემტან პირს, თუ ბრალდებულმა არ დაარღვია ამ აღკვეთის ღონისძიების პირობა ან კანონი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, გირაოს შემტან პირს, ოჯახის იმ წევრს, რომელმაც გირაოს თანხა შეიტანა შესაბამის ანგარიშზე, შეტანილი გირაოს თანხა უნდა დაუბრუნდეს სრულად.

**კითხვა: მართლზომიერ სარგებლობაში მიკავია მიწის ნაკვეთი თბილისში, რომელიც ჩემზეა აღრიცხული საკომლე წიგნში, სააღრიცხვო ბარათსა და ცნობა-დახასიათებაში. გთხოვთ, მაცნობოთ, პრივატიზაციის შემთხვევაში, ვის მიერ უნდა იქნეს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ საკუთრების უფლების დადასტურება ხდება სსიპ საჯარო რეესტრის მიერ. შესაბამისად, თქვენი საკუთრების უფლება წარმოიშობა აღნიშნული მიწის ნაკვეთის სსიპ საჯარო რეესტრში თქვენს სახელზე რეგისტრაციის შემდეგ.

**კითხვა: გადავწყვიტე, შევიძინო საცხოვრებელი ბინა თბილისში, შევარჩიე კიდეც, მაგრამ, ეჭვი მაქვს, რომ ბინის პატრონი რაღაცას მიმალავს და, შესაძლოა, ბინა რეალურად მისი საკუთრება არ არის. თუმცა, საჯარო რეესტრში მის სახელზე ირიცხება. გთხოვთ, მაცნობოთ, საკმარისია თუ არა, ბინის შეძენისას დავეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნება ცნობილი. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ, დაეყრდნოთ საჯარო რეესტრის მონაცემებს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში ეწოდება მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას ირიბი ჩვენება და არის თუ არა ყველა შემთხვევაში მოწმის ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ ის დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა წერილობით დოკუმენტს ყველა შემთხვევაში მტკიცებულების ძალა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია.

**კითხვა: მაინტერესებს, სასამართლოში წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულება არის თუ არა ნებისმიერ შემთხვევაში დასაშვები მტკიცებულება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია, მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა ის, ან/და, რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ და რა პირობების დაცვით ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეში არსებული ნივთიერი მტკიცებულებების შენახვა და რა დროის განმავლობაში ინახება ისინი?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების შეცვლას. ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნდება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ძვირფასი ლითონები, ქვები, თვლები, ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, თუ მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს, ინახება საბანკო დაწესებულებაში. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს, ასევე, სხვა ადგილას.

# ინტიმური საუბრები

## მინდა, თავი შევაყვარო

ჩემს სამეგობროში არის ერთი ბიჭი, რომელიც მესამე წელია, მიყვარს. თუმცა, ვერ ვუმხელ, უფრო სწორად, არ ვიმჩნევ, რადგან, შეიძლება, დანარჩენმა მეგობრებმა გამამტყუნონ, ძმაკაცი რომ შემიყვარდა. მაგრამ, რა ჩემი ბრალია, გულს ხომ ვერ ვუბრძანებ?!

ხანდახან ისიც მგონია, რომ მისი შესაფერისი არ ვარ და, რომც გაიგოს, მიყვარს, მაინც არ შევუყვარდები. მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ვხედავ, როგორი გოგოები მოსწონს და რა ტიპშებთან დადის, იმით ფონზე ანგელოზობას აღარაფერი მიკლია. განსაკუთრებით არ მომეწონა მისი ბოლო სიყვარული (საბედნიეროდ, დროებითი). ამიტომ, ცოტა იმედი მომეცა, რომ, შეიძლება, მეც გამიღიმოს ცხოვრებაში ბედმა. მაგრამ, ეს რომ მოხდეს, როგორც ჩემმა ერთგულმა და ჭკვიანმა დაქალმა მირჩია, გეგას სხვა მხრიდან უნდა გავაცნო თავი, ანუ, ჩემი ის ღირსებები დავანახვო, რაც აქამდე არ შეუმჩნევია, თან, ნელ-ნელა უნდა ვაგრძნობინო, რომ მის გარეშე ცხოვრება აღარ შემიძლია. გაგიმხელთ, საახალწლო კარნავალზე, რომელსაც ჩვენი სამეგობრო ყოველ 31 დეკემბერს ვაწყობთ ხოლმე მთელი კოსტიუმებითა და ამბებით, ისეთი სიურპრიზის მოწყობას ვაპირებ ყველასთვის, განსაკუთრებით კი – გეგასთვის, რომ ნამდვილი ბომბი იქნება. მხოლოდ დაახლოებით გეტყვით, რომ ეს იქნება სულ რამდენიმეწუთიანი მინი-წარმოდგენა, რომელიც ფურორს მოახდენს, შოკში ჩააგდებს ყველას. მე კი შედეგად, გეგას სიყვარულით ანთებულ თვალებს დავინახავ.  გამოგიტყდებით და, ცოტათი ახალი წლის ღამის ჯადოსნურობისაც მჯერა – ეს ხომ სასწაულების ახდენის ღამეა და, რატომ არ შეიძლება, ერთი სასწაული მეც ამიხდეს – გეგამ შემიყვაროს?!

**ინგა, 23 წლის.**

## ჩემს რძალს შვილის გაჩენა არ უნდა

ჩემმა ერთადერთმა ვაჟმა განათხოვარი და შვილიანი ქალი შეირთო ცოლად. ცხადია, არ გაგვხარებია არც მე და არც ჩემს მეუღლეს, მაგრამ ჩვენი რძალიც და მისი 7 წლის ბიჭიც საკუთარი შვილიშვილივით მივიღეთ, რადგან, ჩვენმა ბიჭმა გამოგვიცხადა, ეს ქალი მიყვარს და სხვას არავის შევირთავ ცოლადო. ჩვენც პატივი ვეცით მის გრძნობას და ხმა არ ამოგვილია.

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი რძალი უხასიათო ქალია, ქმარს არ უვლის ან ჩვენ არ გვცემს პატივს, მაგრამ, მეჩვენება, რომ ის კარგი ცოლისა და კარგი რძლის როლს თამაშობს და, საერთოდ, ძალიან ეშმაკი ქალი მგონია.

სიმართლე გითხრათ, პატარა გიორგის ძალიან შევეჩვიე და მართლა გულით შემიყვარდა. თვითონაც ძალიან დამიმეგობრდა, სულ კალთაში მიზის და „ბაბუ, ბაბუს" მეძახის. ამიტომ, ნამდვილად არ მწყენია, როცა ჩემმა შვილმა მითხრა, გიორგის ჩემი გვარი და მამის სახელი უნდა მივცეო და მეც და ჩემმა ცოლმაც თანხმობა ვუთხარით. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩემმა შვილმა ეს გააკეთა, ჩემი რძალი აშკარად შეიცვალა. ასე, სათქმელად, ისეთს არაფერს აკეთებს, მაგრამ, რაღაცნაირად იქცევა – სულ პატარა წვრილმანებში ავლენს (ჯერჯერობით), თითქოს ის არის ამ სახლ-კარის მთავარი დიასახლისი, მე და ჩემი ცოლი კი შეხიზნული ნათესავები ვართ.







ამას წინათ ჩემთვის ერთი ძალიან უსიამოვნო რამ მოხდა: გიორგის დაბადების დღე სახლში გადავუხადეთ. რა თქმა უნდა, ჩემი რძლის ნათესავ-მეგობრებიც დაპატიჟეს (ძირითადად ისინი იყვნენ) და, შეთანხმებულებივით, თითქმის ყველა „იმათიანმა" გიორგი, როგორც ჩვენი გვარის გამგრძელებელი და ერთადერთი მემკვიდრე, ისე ადღეგრძელა. ჩემმა შვილმაც აიტაცა ეს სადღეგრძელო და ასჯერ გაიმეორა. ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ მე ჩემი საკუთარი შვილიშვილი მინდა, ჩვენი გენის გამგრძელებელი. კი ბატონო, რადგან შვილიშვილად მივიღეთ ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც, რაც საჭიროა, არაფერს მოვაკლებთ, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს სახლში ჩემმა სისხლმა და ხორცმა არ ირბინოს.

სანამ ჩემი შვილი გიორგის გვარს მისცემდა, ჩემი რძალი სულ იმას ამბობდა, სამი შვილი უნდა გავაჩინოო, ახლა კი საეჭვოდ არის გაჩუმებული.

უფრო სწორად, შიგადაშიგ შემოგვაპარებს ხოლმე, რომ შვილის გაჩენას ჯერჯერობით არ აპირებს, რადგან, კარიერას უნდა მიხედოს.  არ მინდა, ახალ წელს ჩემ გამო ოჯახში უსიამოვნება მოხდეს, მაგრამ, როგორც კი სადღესასწაულო დღეები ჩაივლის, მაშინვე დავუსვამ საკითხს შვილსაც და რძალსაც: ან გამიჩენენ ერთ შვილიშვილს მაინც, ან მემკვიდრედ სულ სხვა ვინმეს გამოვაცხადებ და ბინასაც და ყველაფერ დანარჩენსაც, რაც გამაჩნია, მას დავუტოვებ ანდერძით და მერე მოყვნენ ზღაპრებს კარიერასა და ათას სისულელეზე. ხატზე მაქვს დაფიცებული, რომ მართლა ასე ვიზამ და მიყარონ მერე კაკალი.

***P.S.* *ძალიან მინდა, რომ ეს წერილი წაიკითხონ, იქნებ ორივე გონს მოეგოს (ჩემს შვილსაც ვგულისხმობ, იმიტომ რომ, ისიც ცოლის ჭკუაზეა გადასული, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ბევრ შვილზე ოცნებობდა).***

**შოთა, 69 წლის.**

## იმედი  არ უნდა დავკარგოთ

სტუდენტობის პერიოდში დიდი სტრესი  გადავიტანე. ჩემი ლექტორი შემიყვარდა, რომელმაც თავიდან თვითონ გამოიჩინა ჩემდამი ყურადღება და, ახალგაზრდა, გამოუცდელ გოგოს თავბრუ დამახვია თავისი ზრუნვით, დახვეწილი მანერებით, თბილი დამოკიდებულებით. მანამდე შეყვარებული არ მყოლია და, როგორც იტყვიან, თავით გადავეშვი გრძნობებში. თავიდან ცოტათი ის მზღუდავდა, რომ ჩემი ლექტორი იყო, მაგრამ, მხოლოდ ათი წლით ვიყავი მასზე უმცროსი, ანუ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიჭი იყო – 28-29 წლის.

უბედნიერესი ვიყავი. ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ასეთ მამაკაცს შემახვედრა. რამდენიმე თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ მინდოდა, ასე მომხდარიყო, ჩვენ ერთად გავატარეთ ღამე. რეზიკო მპირდებოდა, რომ უახლოეს დღეებში ჩემს მშობლებთან მოვიდოდა ხელის სათხოვნელად, მაგრამ, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მითხრა, უნდა დავშორდეთო. მე ისტერიკა დამემართა, რადგან, ვერ წარმომედგინა ასეთი ფინალი. რეზომ კი მითხრა, ცოლიანი რომ არ ვიყო, არ დავშორდებოდითო, მაგრამ ჩემი ცოლი ორსულად არის და ვერ მივატოვებო. პირველად მაშინ გავიგე, ცოლი რომ ჰყავდა. რა უნდა მექნა, ან მისთვის რა მომეთხოვა, როცა ყველაფერში თვითონ ვიყავი დამნაშავე. კიდევ კარგი, არ დავფეხმძიმდი, თორემ, რა მეშველებოდა, არ ვიცი.

ამ ამბის მერე რამდენიმე წელი ისე გავიდა, ბიჭთან პაემანი არ მქონია – აღარავის ვენდობოდი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კარგი სამსახური ვიშოვე, მაღალი ანაზღაურებით. საკმაოდ სოლიდური კრედიტი ავიღე, ცოტა ჩემი მშობლებიც დამეხმარნენ და კარგი ოროთახიანი ბინა ვიყიდე. რემონტის ფული აღარ დამრჩა და, ამიტომ, მეგობრებმა მითხრეს, ჩვენ გაგირემონტებთო და, მართლაც, პროფესიონალებივით იმუშავეს. ჩემმა ერთ-ერთმა დაქალმა ქმარი და ძმა მოიყვანა დასახმარებლად – არქიტექტორები არიან და ყველაფერს გემოვნებით გაგიკეთებენო. თემო, თამუნას ძმა, განსაკუთრებით აქტიურად და მონდომებით მუშაობდა. შაბათ-კვირასაც კი მოდიოდა ხოლმე და წვრილმან სამუშაოებს მარტო აკეთებდა. ერთ დღეს კი აღარ მოვიდა. თამუნამ მითხრა, გაცივდა და, რომ გაუვლის, ისევ მოვაო, მაგრამ, თვეზე მეტი ისე გავიდა, არ გამოჩენილა, რადგან გაციება გრიპში გადაეზარდა და გაურთულდა. მთელი იმ თვის განმავლობაში ადგილს ვერ ვპოულობდი, სულ ველოდი, როდის შემოაღებდა კარს. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა და ისეთი წივილ-კივილით შევხვდი, მგონი, სახტად დავტოვე. მერე კი ტირილი დავიწყე და გულში ჩავეკარი საყვედურებით, ასე არასდროს აღარ მოიქცემეთქი – მოკლედ, სიყვარულში გამოვუტყდი. თვითონაც მითხრა, რაც ავად ვიყავი, სულ შენზე ვფიქრობდი, ყოველ ღამე შენ მესიზმრებოდიო. მერე კარგა ხანს ვხვდებოდით, რომ უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი. თემო ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომ სულ დამავიწყა შიში და უნდობლობა მამაკაცების მიმართ. მე არ დამიმალავს ჩემი წარსული, მაგრამ მითხრა, რაც ჩემს გაცნობამდე იყო, არ მაინტერესებს. არც მე ვარ ანგელოზი. მთავარია, რომ ერთმანეთი გვიყვარს და ერთად თავს კარგად ვგრძნობთო. რემონტის დამთავრებიდან დაახლოებით ნახევარ წელიწადში დავქორწინდით და თემო ჩემთან გადმოვიდა, რადგან მის ოჯახში ცოტა ვიწროდ არიან. მე კი ფეხმძიმედ ვარ და ორ თვეში ტყუპი ქალ-ვაჟის დედა გავხდები.

**მეგი, 26 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**პოპულარული პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები" ნინა წკრიალაშვილმა ფინალამდე ოთხი კვირით ადრე დატოვა – მისმა „ცეკვა-თამაშმა" იმაზე მეტხანს გასტანა, ვიდრე ამას თავად ფიქრობდა და ეს არც დაუმალავს. ცეკვაც ვისწავლე და საინტერესო ადამიანებიც გავიცანიო, – ამბობს და იმასაც გვიმხელს, რომ პროექტმა სულზე მოუსწრო და ცხოვრების რთული პერიოდის გადატანაში დაეხმარა, რაც მას ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა.**

# ვის „ღალატობს" ნინა სტამბულში და რა უყვარს მას პაერში

**ნინა**: იმდენი ხანია, კარგად არ მიგრძნია თავი, მიჭირს კიდეც იმის თქმა, რომ ახლა კარგად ვარ. მართალია, ჯერ არ ვმუშაობ, მაგრამ ბოლო სამი თვე, რაც პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში" გავატარე, საკმაოდ დაკავებული ვიყავი. ეს მძიმე პერიოდის გადატანაში ძალიან დამეხმარა. ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობა ძალიან საინტერესო იყო, გავიცანი ბევრი კარგი ადამიანი. ასე თუ ისე, ცეკვაც ვისწავლე, ამ მხრივ დიდი გამოცდილება ნამდვილად არ მქონდა. პროექტში რამდენიმემ არ ვიცოდით ცეკვა, ზოგი მეტად გამოცდილი იყო, ასე რომ, მათთან „გამკლავება" არ იყო იოლი. ვერ ვიტყვი, რომ პროექტის დატოვების გამო გული დამწყდა, პირიქით, გამიკვირდა, აქამდე რომ დავრჩი. მოგებაზე არც მიფიქრია. ეს არის თამაში, რომელსაც ვიღაც მოიგებს, ვიღაც წააგებს. ზოგი ავადმყოფურად განიცდის პროექტიდან გავრდნას, მე ასე არ ვარ. ყოველ ხუთშაბათს მზად ვიყავი, რომ შეიძლებოდა, პროექტი ზუსტად იმ დღეს დამეტოვებინა. არც გულშემატკივრების დიდი გუნდით არ მივლია ცირკში. დედა, და, დისშვილი და ჩემი მამიდაშვილი დადიოდნენ ჩემს მხარდასაჭერად. ერთი-ორჯერ ჩემი ძმაც იყო, კარგად გაერთო, მაგრამ მეტად ველარ მივიტყუე იქ ***(იცინის).*** მე არ ვარ იმ სტილის, რომ მეყიდა ბილეთები, დამერიგებინა ცირკში და მეთხოვა, ჩემი სახელი ეყვირათ. საერთოდ არ მიყვარს ასეთი რაღაცეები. ვისაც უნდა იყვიროს, ვისაც – არა, ძალით ხომ არ ვაყვირებ, დიდი განცდები არ მქონია. წელს მესამედ მქონდა შემოთავაზება ამ პროექტიდან. პირველ ორ სეზონზე უარი ვთქვი. ახლაც მეგონა, რომ ჩემი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, ამხელა დატვირთვას ვერ გავუძლებდი, მაგრამ პირიქით აღმოჩნდა. ამ პროექტმა სულზე მომისწრო და გადამატანინა სტრესი. ახლა აბსოლუტურად ჩვეულ რეჟიმში ვცხოვრობ, ისევ ისეთი ძლიერი ვარ, როგორიც ვიყავი.



**ლამის ანათემაზე გადაცემა მაქვს გადატანილი. ყველა მე დამდევდა: მამაოები, არასამთავრობოები**

**– ხუთი წლის განმავლობაში კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი იყავი, გქონდა ცხოვრების აქტიური რეჟიმი, გაგიჭირდა სამსახურის გარეშე დარჩენა?**

– თავიდან არ მიჭირდა, პირიქით, ისე მომეწონა უმუშევრად ყოფნა, გადავირიე – ყოველდღე ვნახულობდი მეგობრებს, მეტ დროს ვუთმობდი შვილს, დავიწყე ზრუნვა საკუთარ თავზე, რასაც ვერ ვახერხებდი მუშაობის დროს. მოკლედ, ავინაზღაურე ყველაფერი, რაც მაკლდა – მასაჟი, ვარჯიში, ცხოვრების ჯანსაღი წესი. მერე მივხვდი, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება კატასტროფა იყო. ახლა ვგრძნობ, რომ ძალიან მომწყინდა უმუშევრობა და თუ რამეს არ ვაკეთებ, თავს ცუდად ვგრძნობ. ამას დაემატა, ისიც რომ გაზაფხულზე ავტოკატასტროფაში დაიღუპა ადამიანი, ვისთან ერთადაც წელიწადი და ორი თვე ვიცხოვრე. ჩვენ უკვე დაშორებულები ვიყავით, ტელეფონითაც კი არ ვკონტაქტობდით ერთმანეთთან, მაგრამ ეს ძალიან რთული გადასატანი აღმოჩნდა ჩემთვის. ის იყო ძალიან ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ადამიანი. მისმა სიკვდილმა ძალიან დამწყვიტა გული, ეს იყო შოკი ჩემთვის. აღარაფერი მიკვირს, ცხოვრება ისეთი რამაა, კარგისთვისაც მზად უნდა იყო და ცუდისთვისაც. კარგ „პალასას" ცუდი მოსდევს, ცუდს – კარგი. ახლა გული მიგრძნობს, რომ კარგი პერიოდები დამეწყება. ღმერთი არასდროს გვიმზადებს ისეთ ტვირთს, რასაც ვერ გაუძლებ. ცხოვრება გრძელდება და ვიცი, რომ ბევრი კარგი რამ მელის წინ, მათ შორის, ის გრძნობაც, რომელიც ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და მე, ყველაზე მეტად მცვლის.

**– როგორ გცვლის?**

– ძალიან მორჩილი ვხდები. აბსოლუტურ თავისუფლებას ვარ შეჩვეული, ყველა გადაწყვეტილებას თავად ვიღებ, მაგრამ, როცა ჩემს ცხოვრებაში არსებობს ადამიანი, ვინც ჩემთვის ძვირფასია, ძალიან ვიცვლები. ვხვდები დამჯერი, ანგარიშს ვუწევ მის აზრს. რომელ მამაკაცს მოეწონება, ღამის თორმეტ საათზე საწოლიდან ადგე და დაქალებთან ყავის დასალევად წახვიდე. ამიტომაც ვცდილობ, ჩემს მამაკაცს შევუქმნა კომფორტი, რომლის გარეშეც, გამორიცხულია თანაცხოვრება. მე აღარ ვარ იმ ასაკში, რომ ვინმეს რამე ვუმტკიცო. როცა ორ ადამიანს უყვარს ერთმანეთი, მათ ერთმანეთით ცხოვრებაც უნდა შეძლონ.

**– ცოტა ხნის წინ სოციალური ქსელით შენი ახალი, პიკანტური ფოტოები გავრცელდა. სამინისტროში მუშაობის დროს რაც „გაკლდა", ესეც იყო თუ კიდევ ერთი ეპატაჟით „ბრუნდები".**

– ეს არაა ახალი ფოტოები. ეს ფოტოები დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ გადამიღო ძალიან ნიჭიერმა ფოტოგრაფმა ან ვიტალმა. მან ახლა მთხოვა, რომ ფოტოებს განათავსებდა სოციალურ ქსელში. რატომაც არა, შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი ვარ და რა პრობლემაა. თუმცა, თეთრეულში გადაღებულ ფოტოებს, მე ვერ ვუწოდებ, პიკანტურს. უბრალოდ, ესთეტიურად ლამაზი ფოტოებია. რომ დამჭირდეს, კიდევ გადავიღებ პიკანტურ ფოტოებს, ჩემგან ეს ვის უნდა გაუკვირდეს. ექვსი წლის წინ ლამის ანათემას გადამცეს იმ თამამი ფოტოებისთვის, რაც „ფლეიბოისთვის" გადავიღე, მაგრამ, მე მეამაყება, რომ მეყო ძალა და ეს ნაბიჯი პირველმა გადავდგი. პირველი რომ ვიყავი, ჩემზე გადატყდა ჯოხი – ყველა მე დამდევდა, მამაოები, არასამთავრობო ორგანიზაციები. არა უშავრს, სამაგიეროდ, ასე თუ ისე შეიცვალა დამოკიდებულება თამამი გადაწყვეტილებების მიმართ. ეს ახალი ფოტოები საჯაროდ არ დავდე ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, თუმცა კულტურის სამინისტროსთვის ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნება, უცხო ნამდვილად არ იყო. აი, თავადაცვის სამინისტროში რომ მემუშავა და ასეთი ფოტოები გამომემზეურებინა, მაშინ კიდევ შეიძლებოდა, ვინმეს რამე ეთქვა. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ კულტურის სამინისტროში მუშაობისას, განსაკუთრებული აკრძალვები ნამდვილად არ დაუწესებიათ ჩემთვის. მე თვითონ ვხვდებოდი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა და რა – არა.

**– როგორ გაგყავს უმუშევრობის პერიოდი?**

– ეს ერთი წელი საინტერესო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩემ ირგვლივ გაიფილტრა ხალხი. ვგიჟდები ფილტრაციაზე. სამაგიეროდ, დავრწმუნდი, ვინ არიან ისინი, ვისაც ნამდვილად ვუყვარვარ და გული შესტკივა ჩემზე. არა უშავრს, ცხოვრებას თავისი წესები აქვს, კანონზომიერებები, ისიც, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი."

ეს ერთი წელი გადამატანინა სიცოცხლის სიყვარულმა და იმან, რომ ვარ ძალიან დიდი ოპტიმისტი. უკვე კარგად ვარ, ბევრს ვვარჯიშობ, ვკითხულობ, ბევრ დროს ვატარებ სახლში, ჩემს შვილთან, რომლის გამოც წაქცევის უფლება არ მაქვს. ჩემზე კი დადის ლეგენდები, რომ დიდი „ტუსოვშიცა" ვარ, მაგრამ არც ასეა საქმე. პირიქით, სახლში ყოფნა ძალიან მიყვარს. ზაფხულში ვერ ვჩერდები სახლში, მაგრამ ბევრი გართობის მერე, მაშინაც ვცარიელდები ხოლმე. ზამთარში კი სახლში ყოფნას არაფერი მირჩევნია. ხშირად მეგობრები მოდიან ჩემთან. საღამოობით ტელევიზორს ვუყურებ, ვკერავ. გადასარევად არ გამომდის ეს ამბავი, მაგრამ მაინც არ ვეშვები. ერთადერთი, რაც ვერ ავითვისე, „მეოჯახეობაა". ჩემდა სამარცხვინოდ, საშინელი დიასახლისი ვარ. ამ ერთი წლის განმავლობაში, რამდენჯერმე ვიყავი უცხოეთში. მირჩევნია, ყველაფერი მოვიკლო და წელიწადში რამდენჯერმე, რამდენიმე დღით სადმე გავფრინდე. ძალიან მფლანგველი ვარ, მაგრამ მაინც მირჩევნია გავაკეთო დანაზოგი, მხოლოდ ყოველდღიური ხარჯებით შემოვიფარგლო და წავიდე სადმე. იქ კი გემრიელად „ვიშოპინგო." რა ვქნა, მიყვარს ჰაერში ყოფნა. ამის გარდა, არ შემიძლია, სულ აქ ყოფნა. ძირითადად, მეგობრებთან ერთად მივდივარ უცხოეთში. ჩემი საუკეთესო კომპანიონია ჩემი სტილისტი მიშა გასიტაშვილი. ერთად დავწანწალებთ ხოლმე. ამოჩემებული ქვეყნები და ქალაქები მაქვს – მიყვარს პარიზი, ვენა, სამხრეთ იტალიის ქალაქები. გამორიცხულია, წელიწადში ერთხელ არ წავიდე პარიზში. იქ სხვანაირად ბედნიერი ვხდები. დავდივარ ჩემს საყვარელ კაფეებში. ვესაუბრები ყველას, ვისაც კი შეიძლება რამე ვუთხრა. ძალიან მიყვარს სტამბული, ვგიჟდები ამ ქალაქზე. ზოგჯერ 2-3 დღით გავიქცევი ხოლმე მეგობრებთან ერთად. იქ თავს კარგად ვირთობ. ერთ-ორ რამეს ვიყიდი, გემრიელობებს შევჭამ, ბევრს ვიბოდიალებ ფეხით, თმას შევიღებავ.

**– მიშას ღალატობ?**

– ჩემს პატარა მიშიკოს? მიშა გაგებით ეკიდება ამას. იცის, რომ სტამბულში რამდენიმე სალონია, სადაც შეიძლება, ცდუნებას ვერ გაუძლო – თმას თუ ვერ შეიღებავ, დაივარცხნი მაინც. ჩვენ ძალიან დემოკრატიული ურთიერთობა გვაქვს – სტილისტისა და პაციენტის მეგობრულ „ჟანრში".

**– და ამ ერთ წელიწადში ვინ არის შენი ფინანსისტი ასეთი მოგზაურობების დროს?**

– თავიდან, მე ვიყავი საკუთარი თავის ფინანსისტი, მქონდა დანაზოგები. ვერ ვიტან, როცა ვინმეს ფულს ვართმევ, მაგრამ ახლა საპატიო მიზეზი მაქვს და ვსარგებლობ ოჯახის წევრების დახმარებით. რვა წელიწადი თვითონ ვინახავდი საკუთარ თავს და ცოტა ხნით ოჯახის შემოწირულობებით ცხოვრება შეიძლება. თუმცა, ზოგჯერ მეც მაქვს ჰონორარები კონცერტებიდან. დარწმუნებული ვარ, ეს პერიოდი გაივლის და ისევ გავხდები საკუთარი თავის ფინანსისტი. დროდადრო საკუთარი ბიზნესის წამოწყებაზეც ვფიქრობ. დიდი სიამოვნებით მექნებოდა თბილისში ყველაზე კარგი ბუტიკი, მაგრამ მეგობრები მეუბნებიან: ამას არ გირჩევთ, ყველაფერს შენ ჩაიცვამ და გაკოტრდებიო. ჩაცმა რომელ ქალს არ უყვარს, მაგრამ არ ვმალავ, მე ეს უკვე მავნე ჩვევად მექცა ***(იცინის)***

**თამუნა ნიჟარაძე**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეთუნა ვაშაკიძე საქართველოში ერთ-ერთი ძალიან წარმატებული და პროფესიონალი მოდელია, რომლის პოდიუმზე გამოსვლა, არავის ტოვებს გულგრილს. მისი სამოდელო კარიერა უკვე პარიზში, სამოდელო სააგენტო „ფორდში“ გაგრძელდა. ცოტა ხნის წინ კი, ეთუნას ფოტოები ცნობილ გამოცემა „მარიე ჩლაირეში” დაიბეჭდა.**

# როგორ ეგუება შეყვარებულის პარიზში რამდენიმეთვიან გამგზავრებებს ბაჩო კოლელიშვილი და როდის ნერვიულობს მის გამო სააგენტო „ფორდის“ მოდელი ეთუნა ვაშაკიძე

**ეთუნა ვაშაკიძე**: მოდელობა ჩემთვის ნამდვილად არ არის ჰობი. ეს ჩემი საყვარელი საქმეა. ძალიან მიყვარს – ეს არის ერთგვარი რელაქსაცია, განტვირთვა, რომ მერე, სიამოვნება მივიღო. ძალიან მიყვარს გადაღების პროცესი, პოდიუმზე გამოსვლაც, მაგრამ ჩვენებას ფოტოს გადაღება მირჩევნია – ხანგრძლივი და საინტერესოა. 15 წლის ასაკში სერიოზულად დავიწყე მოდელობა, თუმცა მაინცდამაინც არ მინდოდა. ერთ დღესაც თურქეთში, შემთხვევით გავიცანი ჯიჯი, რომელმაც შემომთავაზა, ჩემთან მოდი სააგენტოშიო. დედამ მირჩია: მიდი, სიარულს ისწავლი, მაკიაჟის გაკეთებასო. მივედი, მერე შევრჩი და შევრჩი.

**– მაშინ ალბათ, არც ფიქრობდი, რომ ამ სფეროში ასეთ წარმატებას მიაღწევდი.**

– ცხოვრებაში ასეთი რაღაცეებზე არ ვფიქრობ და არც ვიბრძვი. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ სულ მიმართლებს. ამის გამო კი გავზარმაცდი და არაფერს ვაკეთებ. თუმცა, ეს ხელს მიშლის.

**– როგორ აღმოჩნდი პარიზში, ერთ-ერთ ცნობილ სააგენტო, „ფორდიში“?**

– ჩვეულებრივ, შევედი ინტერნეტში და რამდენიმე სააგენტოში გავაგზავნე ჩემი ფოტოები. ესეც დედაჩემის დამსახურება იყო, რამდენჯერმე მითხრა: გააგზავნე, იქნებ გაგიმართლოსო. თუმცა, არ მჯეროდა, ვფიქრობდი, არავინ ნახავდა და წაიკითხავდა. მაგრამ, ყველაფერი სხვანაირად მოხდა, სააგენტო „ფორდიდან” დამეკონტაქტნენ. ისე აქტიურობდნენ, რომ ცოტა ეჭვი შემეპარა, ამიტომ პარიზში ყველაფერი გა-

**მახსოვს, თბილისში ვიყავი ჩამოსული, როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ ყოველგვარი ქასთინგის გარეშე, უნდა მემუშავა ჟურნალისთვის „მარიე ჩლაირე”**

დავამოწმეთ. დავრწმუნდით, რომ მართლაც „ფორდიდან” მოდიოდა მოწვევა, თუმცა დაახლოებით 6 თვე მიმდინარეოდა მოლაპარაკება. არ მაქვს ისეთი მკაცრი კონტრაქტი, რომ მეკრძალებოდეს რაღაცეები. ყველაფერი შემიძლია გავაკეთო, უბრალოდ, უნდა შევათანხმო. უვადო კონტრაქტი მაქვს და ავტომატურად გრძელდება, ჩვეულებრივ „ფორდის” მოდელი ვარ და მათ საიტზეც დევს ჩემი ფოტოები. 12 აგენტი მყავს, მაგრამ ჩემი პირადი აგენტი რუსია. სააგენტოში მეგობრულია სიტუაციაა, თუმცა ეს ურთიერთობა სამუშაო საათების დამთავრებისთანავე მთავრდება. პარიზში ამ სფეროში დიდი კონკურენციაა, ბევრი ლამაზი გოგონაა. რომ მიდიხარ ქასთინგზე, ფიქრობ: ამირჩევენ თუ არა. ვიყავი სტელა მაკარტნისთან, კომ დე გარსონთან, მაღაზიებში დავდიოდი და სულ ვფიქრობდი: ნეტავ, როგორი გოგონები იქნებიან. სასწაული სიგამხდრის მოდელები არიან პარიზში. ასეთი გამხდრები მე სხვაგან არ მინახავს. ამიტომ ვფიქრობდი: ამათ ფონზე, მე როგორ უნდა ამირჩიონმეთქი. მახსოვს, თბილისში ვიყავი ჩამოსული, როცა დამირეკეს და ყოველგვარი ქასთინგის გარეშე უნდა მემუშავა ჟურნალ „მარიე ჩლაირესთვის”. გადავფრინდი პარიზში, გადაღებაზე სამი გოგონა ვიყავით. ვიცოდი, რომ ერთი კაბა უნდა ჩამეცვა. ამიტომ, ძალიან მალე გამომიშვებდნენ. იტალიელი, ძალიან ცნობილი ფოტოგრაფია აკეთებდა ფოტოსესიას. იმდენად მოვეწონე, მითხრა: მინდა, მხოლოდ შენ გადაგიღო მთელ კოლექციაშიო. უფრო სწორად, ეს კოლექცია კი არ იყო, არამედ თითქმის ყველა წამყვანი ბრენდის: „შანელის“, „ჟივანშის“, „ვალენტინოს“, „ელი სააბის“, „დიორის“, „ვერსაჩეს“, „არმანის“ კოსტიუმს წარმოადგენდნენ. მოკლედ, ის ორი გოგო გაუშვა, მხოლოდ მე დამტოვა. ეს ჩემთვის ცოტა რთული მომენტი იყო, მაგრამ მითხრა: ასეთი რამ ჩვენს სფეროში სულ ხდება, ამიტომ სანერვიულო არაფერიაო. ძალიან საინტერესო გადაღება იყო, თან ჩემს სკამზე დამხვდა წარწერა: ეთუნა, „სელებრითებს” რომ აქვთ ხოლმე.



**არ მაქვს ისეთი მკაცრი კონტრაქტი, რომ მეკრძალებოდეს რაღაცეები. ყველაფერი შემიძლია გავაკეთო, უბრალოდ, უნდა შევათანხმო**

**– ალბათ, ყველაზე მეტად შენი განსხვავებული, სახასიათო გარეგნობა მოსწონთ.**

– უყვართ სლავური ტიპის გოგონები, მაგრამ ისინი უფრო ჩვენებისთვის სჭირდებათ. ფოტოგადაღებისთვის კი საინტერესო გარეგნობის, განსხვავებული, სახასიათო ტიპაჟები მოსწონთ და ამას სულ ეძებენ. ჩემი მენეჯერი მეუბნება, ძალიან განსხვავებული სახე გაქვსო. იქ არავის სჯერა, რომ საქართველოდან ვარ. ბევრს ბრაზილიელი ვგონივარ, ალბათ, უფრო ფორმების გამო.

**– რამე შეცვალეს შენს გარეგნობაში, თუნდაც თმის ფერი?**

– წარბზე მითხრეს, ხელი არ მოკიდო, არ დაიწვრილოო. იმდენად მიყვარს ჩემი თმა, შეჭრა, შეღებვა ჩემთვის ყველანაირად მიუღებელია. რომ ჩავედი, ძალიან გრძელი თმა მქონდა, იქ კი ყველას კარეს ჭრიდნენ. მითხრეს: თმა უნდა შეგჭრათო, მე კი ვუთხარი: ბილეთი ამიღეთ, უკან მივდივარ, თმას არ შევიჭრი-მეთქი. ერთი კვირა მეხვეწებოდნენ, ოდნავ მაინც შეიჭერიო. ბოლოს მთხოვეს: ოდნავ შეითხელე, რადგან ძალიან სქელი თმა გაქვს და გადაღებების დროს შენს ვარცხნილობაზე დროს არავინ დახარჯავსო. მართო წავედი საპარიკმახარეოში და სტილისტს იმდენი ველაპარაკე, გადაიფიქრა, მხოლოდ ბოლოჭამიები მომაჭრა, დამვარცხნა და ასე მივედი სააგენტოში. ისინიც მიხვდნენ, რომ ხვეწნა-მუდარას აზრი არ ჰქონდა და თავი დამანებეს. ახლა, რომ ჩავალ, ისევ მექნება გადაღებები და უკვე სერიოზულად ვემზადები მარტის პარიზის „ფეშენ-ვიქისთვის“. წინა კვირასაც ვიარე ქასთინგებზე. იქ ასეთი წესია: ჯერ უნდა გაგიცნონ და მომავალ წელს არის შანსი, რომ აგიყვანონ. მაგალითად „სელინის” ქასთინგზე ბოლომდე გავედი და ბოლოს მითხრეს: უკვე გაგიცანით და მომავალ წელს რომ მოხვალ, უკვე გვეცოდინება შენს შესახებო. ის, რომ ასეთ ბრენდებთან გაქვს ურთიერთობა, სააგენტო „ფორდის” მოდელად მიიჩნევი, ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ, მე ასეთ რაღაცეებს დიდად არ ვაქცევ ყურადღებას. მახსოვს, მოდელობა რომ დავიწყე, მაშინვე მოვხდი ცნობილი ქართული გამოცემების გარეკანზე და ეს უკვე დიდი წარმატება იყო. ერთ-ერთი გადაღებისთვის მე და ჯიჯი რამდენიმე დღე სააგენტოში ვცხოვრობდით, სულ საღებავებში ვიყავით ამოსვრილები. ჯიჯის და მიკეთებს ხოლმე მაკიაჟს და „რკინის მოდელს” მეძახის, რადგან არასდროს ვიღებ ხმას – არ ვწუწუნებ, ბოლომდე ვითმენ.

**– შენ და ბაჩო კოლელიშვილი თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული, სასიამოვნო წყვილი ხართ. როგორ ეგუება ბაჩო პარიზში შენს რამდენიმეთვიან გამგზავრებებს?**

– არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ახლაც ცოტა დიდი პაუზა გამომივიდა და სულ მეუბნება, უნდა წახვიდე, ივარჯიშო, ფორმაში იყო, წარმატებას უნდა მიაღწიოო. შეზღუდვები, აკრძალვები არ იცის: ეს არ ჩაიცვა, აქ არ წახვიდე, ჩვენებაში არ გამოხვიდე და ასე შემდეგ.

**– მახსოვს, ბაჩო ერთხელ ბიჭოლას ჩვენებაზე გამოვიდა.**

– ერთხელ იყო ბიჭოლას ჩვენებაზე და ამას მეგობრული ჩვენება დავარქვით. ჩემი ძმაც გამოდიოდა, სახალისო იყო. მაშინ გავიცანით მე და ბაჩომ ერთმანეთი და იმის მერე ერთად ვართ. ჩვენი ურთიერთობა ძალიან მალე განვითარდა – ისე, რომ პრანჭვისა და პაემნების ეტაპიც არ გვქონია, უკვე 5 წელია, ერთად ვართ. რაგბი ადრეც მიყვარდა, მაგრამ ახლა ძალიან შემიყვარდა. „ლელოს“ არც ერთი თამაში არ გამიცდენია, თუ გასვლები არ აქვთ. თამაშზე წასასვლელად ისე ვემზადები, თითქოს თეატრში მივდივარ. ოღონდ ძალიან ვნერვიულობ, მეშინია, არაფერი მოუვიდეს. თუ დავინახავ, დაღლილი სახე აქვს, ისე ვნერვიულობ, შეიძლება, სტადიონზე ჩავიდე. ბაჩოს ოჯახსაც ვიცნობ, ძალიან უშუალო ადამიანები არიან. ნათიასთან და ზაზასთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ისევე როგორც ბაჩოს და-ძმასთან. ვმეგობრობ მათთან. ყველა მეკითხება: როდის ვაპირებთ ურთიერთობის სხვა ეტაპზე გადაყვანას. ჯერჯერობით არაფერი გადაგვიწყვეტია. მე ჩემი გეგმები მაქვს, იმას – თავისი. როცა ჩვენს გეგმებს ამოვწურავთ, მერე ვნახოთ.

**ნათია უტიაშვილი**


გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# რა ეტაპებს გადის ქალი სიყვარულში და როდის აღარ უშვებს ის შეცდომას გრძნობის გავლენით

**გრძნობის გავლენით ადამიანები უშვებენ შეცდომებს, რომლებსაც კონკრეტული, ჩამოყალიბებული სახე აქვს. სიყვარული ხშირად გვწყვეტს რეალობას და სულ სხვანაირად გვანახვებს ადამიანებს. ზოგჯერ ისინი სულაც არ არიან ისეთები, როგორებადაც ჩვენ გვეჩვენება. შეყვარებული თვალებით გაცილებით კეთილშობილი, ღირსეული და მომხიბვლელი გვგონია. რეალობა კი ხშირად სხვაა. ერთი სიტყვით, ქალმა სიყვარულზე უნდა იფიქროს, მაგრამ რეალობას არ უნდა მოწყდეს, რათა იმედგაცრუება და ტკივილი არ იწვნიოს.**

**თეიკო** *(30 წლის):* ჩემს ცხოვრებაზე როცა ვფიქრობ და ვიხსენებ, რა და როგორ გავიარე, აშკარად ვხედავ, რა შეცდომებიც დავუშვი. ბუნებრივია, ახლა რამის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ სულ ოდნავ მეტი რომ მცოდნოდა, თუნდაც საკუთარ სურვილებზე, ამდენი ტკივილის გადატანა აღარ მომიხდებოდა. უკვე ზუსტად ვიცი, რომ ძალიან ახალგაზრდისთვის უმთავრესია, თვითონ იყოს შეყვარებული. ყველა ქალი გამიგებს. იმიტომ რომ, ყველასთვის ნაცნობია მდგომარეობა, როცა მთავარია, ვილაც გიყვარდეს. ანუ, შეყვარებულობის განცდას ორგანიზმი გთხოვს საკვებივით და შეიძლება, ისეთ მამაკაცზე იოცნებო, რომელიც ერთხელ სადღაც გინახავს და აღარც შეხვედრიხარ. მერე უკვე დგება ეტაპი, როცა უნდა უყვარდე და გიყვარდეს. ორმხრივი სიყვარული აუცილებელია და სხვანაირად ვერ წარმოგიდგენია ცხოვრება. ვირტუალური სიყვარული ან სიყვარულის „ობიექტი“ ველარ დაგაკმაყოფილებს...

**– ანუ, ქალს სიყვარულში რამდენიმე ეტაპი აქვს?**

– დიახ. სწორედ ამისი თქმა მინდა. შეიძლება, ჩვენ კარგად ვერც ვაცნობიერებთ ამას, მაგრამ ფაქტია – სხვადასხვა ასაკში სხვადასხვანაირი სიყვარული გვჭირდება.

**– მარტო ქალებს, თუ კაცებსაც აქვთ სიყვარულში ეტაპები?**

– მგონი, რომ კაცებსაც აქვთ ასეთი ეტაპები. შეიძლება, ისინი ნაკლებად ფიქრობენ ამაზე. კაცი უფრო სხვანაირადაა მოწყობილი. თუმცა, ხომ გეუბნებით, მე ვერ ვილაპარაკებ ამაზე, არაკომპეტენტური ვიქნები. ქალის სიყვარულის ეტაპებზე ვსაუბრობდით. ყველაზე რეალური და სასურველი მესამე ეტაპია – როცა შენთვის მთავარია, უყვარდე იმას...

**– შენ არ უნდა გიყვარდეს?**

– დამიჯერეთ, როცა უყვარხარ „იმას“, შენც გიყვარდება. შეუძლებელია სხვანაირად. წარმოიდგინეთ, უყვარხარ კაცს და ყველაფერს აკეთებს შენი ბედნიერებისთვის. დარჩები მის მიმართ გულგრილი? ან რა ჯობია, შენ გიყვარდეს და იტანჯებოდე – უყურებდე, როგორ გაურბის თვალები სხვა ქალებისკენ და ითმენდე ამას?! მაშინ, მაზოხისტი უნდა იყო. თუმცა, გეთანხმებით, რომ ასეთი ქალებიც არსებობენ. ახლა რომ ვფიქრობ, რაღაც მომენტში, მეც ვიქცეოდი მაზოხისტივით, როცა სრულიად შეგნებულად ვამართლებდი უღირს საქციელს და ვხუჭავდი თვალებს აშკარა უზნეობაზე. ჩემ მიმართ განხორციელებულ უზნეობას და უსამართლობას ვგულისხმობ, თორემ, ყველა ადამიანს საკუთარი მორალი აქვს და საკუთარი სინდისის წინაშე ვალდებულებაც უნდა გააჩნდეს. ჩემი ქმარი თორმეტი წლით არის ჩემზე უფროსი. მე ის ცამეტი წლისას შემიყვარდა და თავიდან მართლა ჩემ მიერ გამოგონილი სიყვარული მიყვარდა. ვერ ვიჯერებდი, რომ რეალურად იყო შესაძლებელი ჩვენი ურთიერთობა. ცამეტი წლის გოგოს ზუსტად ის ეტაპი მქონდა, რომელზეც ვილაპარაკეთ. მთავარი იყო, მე მყვარებოდა. ის ვერც მამჩნევდა. მაგრამ ეს არ იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი. ოღონდ კი დამენახა და ყველაფერზე თანახმა ვიყავი, არც ეჭვიანობის მომენტები მქონია. მაშინ ამ ყველაფრისგან ძალიან შორს ვიყავი და ბედნიერებასაც სრულფასოვნად შევიგრძნობდი.

**– ვერ მამჩნევდაო, ამბობთ. მაინც ბედნიერი ვიყავიო... იყო კი, თქვენი გრძნობა სერიოზული?**

– მაშინდელი გადმოსახედიდან – იყო და ჯობდა, იქვე მორჩენილიყო ეს ყველაფერი. ვნანობ, ეს სიყვარული მეორე ეტაპზე რომ გადავიყვანე. არ ღირდა. იდეალიზებული, რომანტიკული სიყვარული ასეთივე უნდა დარჩეს. მისი „გამატერიალიზება“ და ხორცშესხმა

**რა ჯობია – შენ გიყვარდეს და იტანჯებოდე, უყურებდე, როგორ გაურბის თვალები სხვა ქალებისკენ და ითმენდე ამას?!**

ყოველთვის ცუდად მთავრდება. შემამჩნია, ექვსი წლის შემდეგ, საერთო მეგობრის დაბადების დღეზე. ეგრევე გადაირია და გაგიჟდა. ერთი წუთით აღარ მომასვენა. სიყვარულს მეფიცებოდა და მეუბნებოდა, თუ მე არ გამომყვები, თავს არ ვიცოცხლებო. მეც წავედი ოცნებებში – როგორ გავყვებოდი ცოლად, გვექნებოდა ულამაზესი ქორწილი და როგორ მატარებდა ხელისგულზე... გავფრინდი ღრუბლებში და კისერიც მოვიტეხე. ცხოვრება არ არის რომანტიზმით გაჟღენთილი და მიწაზე მყარად თუ არ დადგები, პატარა ნიავიც კი მოგერევა.

**– იცოდა, რომ ექვსი წლის წინ შეყვარებული იყავით მასზე?**

– მე ვუთხარი. სულელი ვარ, ხომ? თუმცა, იმ ეტაპზე, როცა გრძნობა იმას გაუჩნდა, მე შედარებით რეალურად ვაზროვნებდი. თუ ვუყვარვარ, მეც შევიყვარებ-მეთქი. მოკლედ, ჩვენი კავშირი შედგა. აღარ მივაქციე ყურადღება იმას, რომ უამრავი გოგო ურეკავდა. რატომ უნდა მაინტერესებდეს მისი „ყოფილები“, როცა ახლა მე ვარ მისი დედოფალი-მეთქი, ვფიქრობდი. შტერი რომ იქნება ქალი. როცა კაცი შეჩვეულია ქალებში წანწალს, ის ამას არ მოიშლის და ვერც სრულფასოვნად შეიყვარებს ვინმეს. ქმარი ისე შევიყვარე, რომ მან მთელი ჩემი სამყარო შეავსო. არავინ და აღარაფერი მაინტერესებდა მის გარდა. ჩემი ყველა ინტერესი მხოლოდ მას უკავშირდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ისიც ზუსტად ასე იყო ჩემ მიმართ განწყობილი.

**– ანუ, სიტყვაზე ენდეთ?**

– ასე გამოვიდა. ოდნავი ეჭვიც არ გამჩენია, რომ ისეთივე ძლიერი გრძნობა არ ჰქონდა ჩემ მიმართ, როგორც მე. ახლა რომ ვაცნობიერებ, მესაკუთრული გრძნობა უფრო აკავშირებდა ჩემთან, ვიდრე სიყვარული. ცოლის კრიტერიუმს ვუკმაყოფილებდი, რატომაც არა? – წესიერიც ვიყავი, ლამაზიც, ჭკვიანიც და კარგი ოჯახის შვილიც. თან, მიყვარდა. ეტყობა, ეს ყველაფერი გაითვალისწინა და ისე შემირთო ცოლად... პრობლემები ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ დაიწყო. ზუსტად ის მესაკუთრული გრძნობა იყო მიზეზი იმ ქცევისა, როგორც მე ის მექცეოდა. უნდოდა, რომ ერთპიროვნული მბრძანებელი ყოფილიყო. მე არ მქონდა უფლება, მეკითხა მისთვის, სად ან რატომ მიდიოდა. რომ დაენახა, მის მობილურს მივეკარე, მომკლავდა.

**– ძალადობდა თქვენზე?**

– ფიზიკური ძალადობა არ ყოფილა. ხელი არ დაურტყამს, მაგრამ ყვირილი და სახლში ნივთების მტვრევა ახასიათებდა. მე კაცი ვარ და სიტყვას არავინ არ უნდა მიბრუნებდესო. „ხელისგულზე“ ტარებაც თავისებურად ესმოდა – ძვირფასი ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ყიდვა. მიაჩნდა, რომ ეს აბსოლუტურად საკმარისი იყო ჩემი ბედნიერებისთვის. პარალელურად, „ნაშებიც“ უნდა ჰყოლოდა, ესეც მისი კაცობის დამადასტურებელი აუცილებელი „ატრიბუტი“ იყო და მე ხმა არ უნდა ამომეღო. ისიც უნდა მეკმარა, რომ ცოლი, ანუ პრივილეგირებული ქალი მის ცხოვრებაში, მე ვიყავი. ეს ჩემთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. მესამე წელს შეგვეძინა შვილი და ჩემმა ქმარმა გამომიცხადა, ახლა შენ ჩემი შვილის დედა

# დონეცკსა და ყაზახეთში მცხოვრები შვილები მამებს საქართველოში ეძებენ

**ჟურნალისტის შენიშვნა**: სამწუხაროდ, დაკარგულ ადამიანთა რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ, ისინი, ვინც დაკარგულ ნათესავებს ეძებენ, მათი პოვნის იმედს არ კარგავენ. დღევანდელ ჩემს რუბრიკაში ორი ისტორიაა: ერთ მათგანში დონეცკში მცხოვრები შვილი, ელენა სერგეის ასული მამედოვა (მამინაცვალის გვარზეა), ეძებს მამას, 1965 წელს დაბადებულ პაატა მახარაშვილს; მეორეში კი, ყაზახეთში მცხოვრები ოლღა ვლადიმირის ასული ვოლჩენკო ეძებს შვილის მამას – 1978 წელს დაბადებულ დავით გრიგოშვილს. ყოვლად შესაძლებელია, რომ პაატას და დავითს აქვთ თავიანთი ოჯახები, მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ამ ისტორიებს მათი ახლობლები ლოიალურად მოეკიდებიან და ნაპოვნ შვილებთან კავშირის დამყარების წინააღმდეგნი არ წავლენ, რადგან, ჩვენ ორმხრივი თანხმობის გარეშე ადამიანებს ერთმანეთთან ვერ დავაკავშირებთ.



***ელენა სერგეის ასული მამედოვა ეძებს 47 წლის პაატა მახარაშვილს.***

**ისტორია I**: ვეძებ მამას, 1965 წელს დაბადებულ პაატა მახარაშვილს. მამაჩემმა და დედაჩემმა (ანჟელა პლუშაევამ) ერთმანეთი უკრაინაში, ქალაქ დონეცკში 1987 წელს გაიცნეს. ყველაფერი, რაც მამის შესახებ ვიცი, არის ის, რომ ის, სავარაუდოდ, ამჟამად საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. პირადად მე, მამისგან მისი გაცნობის გარდა არაფერი მინდა. მისი მხოლოდ ერთი ფოტო მაქვს, სადაც ის დედასთან და ჩემთან ერთად არის გადაღებული. დონეცკში მამაჩემი დაახლოებით 1987 წელს იყო ჩამოსული. ამჟამად მე თვითონაც მაქვს ოჯახი და მეზრდება პატარა შვილი. ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილი იცნობდეს ბაბუას. შეიძლება, მე მყავს ნახევარდაძმები და მათი გაცნობაც მინდა. იმედი მაქვს, ისინიც არ იქნებიან ამის წინააღმდეგნი და ჩვენ ყველანი გავიცნობთ ერთმანეთს. მინდა, მივმართო მამას და ვუთხრა, რომ მე ის ყოველთვის მახსოვდა და მიყვარდა. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მთავარია, ადამიანმა საბოლოოდ არ დაკარგოს თავისი ფესვები და მოიძიოს ისინი, როგორც შეუძლია.



**ისტორია II**: ვეძებ ჩემი შვილის მამას, 1978 წელს დაბადებულ დავით გრიგოშვილს. მე და დავითმა ერთმანეთი ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში გავიცანით 2006 წელს. ჩვენ ერთად ვმუშაობდით საცხობში და დავმეგობრდით, შემდგომ კი მე ჩემს ქალაქში – ეკიბასთუზში დავბრუნდი, სადაც 2007 წლის 24 ნოემბერს გამიჩნდა გოგონა – არინა. არინა დავითის შვილია. მამა-შვილმა ერთმანეთი მხოლოდ ერთხელ ნახა. არინა მაშინ 7 თვის იყო და დავითი ჩვენთან სტუმრად იყო ჩამოსული. მაქვს ფოტო, სადაც ერთად ვართ გადაღებული მე, დავითი და პატარა არინა.



ამჟამად ჩემი გოგონა უკვე 6 წლის არის. მას ძალიან უნდა მამის გაცნობა და ნახვა. დიდი იმედი გვაქვს, რომ დავითს ვიპოვით, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი მას უკვე ოჯახი აქვს, მინდა, იცოდნენ, რომ მე და ჩემი გოგონა დავითისგან არაფერს ვითხოვთ, მხოლოდ ის გვინდა, რომ ბავშვმა მამა გაიცნოს. იმედია, ამის წინააღმდეგი არავინ იქნება. ხოლო, თუ დავითს თვითონ არ ენდომება არინას ნახვა, ვეცდები, ამას გაგებით მოვეკიდო და სათანადოდ ავუხსნა ბავშვს ყველაფერი. თქვენი დიდი იმედი გვაქვს, რომ დავითს გვაპოვნინებთ და ჩვენს ისტორიას გულთან ახლოს მიიტანთ.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიებთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ხარ და მეტი პასუხისმგებლობა გმართებს. ბავშვი შენ უნდა გაზარდო. ვერ ავიტან, ძიძას ან ბებიებს მიუგდო, შენ კი მეგობრებში ან აქეთ-იქით იწანწალოო. არ მომეწონა ეს ამბავი, მაგრამ არც მძაფრად გამიპროტესტებია. ბავშვს მართლაც ვჭირდებოდი.

**– „ნაშებში" სიარულის უფლებას აძლევდით? არ რეაგირებდით ამაზე?**

– იცით, რა იყო? აშკარად და გამაღიზიანებლად ამას არ აკეთებდა. მის „ნაშას" მე არასოდეს შევუწუხებივარ. სახლში რომ იყო, არც ტელეფონზე ურეკავდა ვინმე და არც თვითონ რეკავდა. მეც თავს ვიტყუებდი, რომ ყველაფერი წესრიგში იყო. ვერც იმას ვიტყვი, რომ ძალიან გამოკეტილი ვიყავი. მქონდა, უფრო

## ცოლის კრიტერიუმებს ვუკმაყოფილებდი. მესაკუთრული გრძნობა ჰქონდა ჩემ მიმართ

სწორად, მაძლევდა იმის საშუალებას, მისი ნაყიდი „ბრენდები" გამომემზეურებინა – კინოში, თეატრში და წვეულებებზე დავყავდი, მეგობრებთან. მამაც კარგი იყო. ბავშვს ძალიან ანებივრებდა. მისთვის ყველაფერი საუკეთესო მოჰქონდა. ჩემში პროტესტის გრძნობამ როდის იფეთქა, არ ვიცი. ალბათ, მაშინ, როცა აღმოვაჩინე, რომ მისი საყვარელი ქალი არ ვიყავი. ცოლი ვიყავი, მისი შვილის დედაც ვიყავი, მაგრამ არამც და არამც – საყვარელი ქალი. „ჩემო სიყვარულო" – არასოდეს უთქვამს ჩემთვის. ლოგინშიც ვხვდებოდი, რომ ისე არ მექცეოდა, როგორც სასურველ, საყვარელ ქალს.

**– სიტყვებს ასეთი მნიშვნელობა აქვს?**

– არ აქვს, როცა კაცი ყველაფრით გაგრძნობინებს, რომ მისთვის სასურველი ქალი ხარ. დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ მთელი ეს წლები უსამართლობაში ვცხოვრობდი. ქმრის მიმართ სიყვარული ტვირთად მექცა, თანაც, მომაბეზრებელ ტვირთად. შემაძრწუნებელი იყო გრძნობა, რომელიც ადრე ბედნიერებას მანიჭებდა.

**– ქმარი აღარ გიყვართ?**

– „აღარ მიყვარს" – ასე არა! მიყვარს და სიყვარული მაწუხებს. ესაა პრობლემა. მინდა, ამოვირეცხო გულიდან და გავთავისუფლდე. მშვიდად ამოვისუნთქებდი. მერე კი მოვძებნიდი კაცს, რომელიც მართლა შემიყვარდებოდა. დამაფასებდა და ბედნიერს გამხდიდა. მზად ვარ, ოჯახიც დავანგრო. ძალიან ბევრი ჩავდე ქმართან ურთიერთობაში, ოჯახში, სიყვარულში, მაგრამ დივიდენდები ვერ მივიღე. აღარ მინდა, ასე ცხოვრება. ჩემი ემოციური რესურსები ამოწურულია. ცოლ-ქმარი ერთმანეთს უნდა გრძნობდეს. ერთმანეთით უნდა არსებობდეს. სხვანაირად, ცხოვრებას აზრი არა აქვს. მე ამაში უკვე დარწმუნებული ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გვერდით ის ადამიანი მყავდეს, ვისაც მართლა ვეყვარები... ანუ, სიყვარულის მესამე ეტაპი მჭირდება...

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ეჭვიანი არ ვარ. ქმრის მიმართ ნდობაც მაქვს და არ მეგონა, მისი მივლინებებში სიარული ასეთ მდგომარეობაში თუ ჩამაგდებდა. მეც არ მინდა, მაგრამ, ვნერვიულობ, თანაც, ძალიან. ვცდილობ, როგორმე დავტოვო ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს სისულელეა, მაგრამ მეშინია, არ გადავირიო და რაღაც ისეთი არ ჩავიდინო, ისტერიკად ჩამითვალოს. იქნებ, მარტოობა არ მინდა და მონატრების მეშინია?**

**გამოხმაურება:** დაელაპარაკეთ თქვენს მეუღლეს და უთხარით, რომ გაგიჭირდებათ მის გარეშე ყოფნა... მარტო დარჩენა იმიტომ კი არ გიმძიმთ, რომ ეჭვიანობთ, არამედ იმიტომ, რომ გიყვართ და განშორება გემძიმებათ. მანამდე, საკუთარ გრძნობებშიც გაერკვევით და ყველაფერი კარგად იქნება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**რაც პენიტენციალური სისტემის დეპარტამენტის მრჩეველი ლალი მოროშკინა გათხოვდა, პრესის ფურცლებზე გამოჩენასაც ერიდება და სატელევიზიო არხებზეც იშვიათად ჩნდება. როგორც თავად ამბობს, მეუღლის, ირაკლი ჯაფარიძის გვერდით, თავს მშვიდად გრძნობს და მის ცხოვრებაშიც ახალი ეტაპი დაიწყო. თუ რატომ არიდებს ის თავს პრესის ფურცლებზე მოხვედრას, სად აპირებს ახალი წლის შეხვედრას და რა სიურპრიზი მოუწყო მეუღლემ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა შეცვალა ლალი მოროშკინას ბობოქარ ცხოვრებაში გათხოვებამ და სად აპირებს ის მეუღლესთან ერთად „გაპარვას"

**ლალი მოროშკინა:** ჩემთვის ყველაზე გამორჩეული და საყვარელი დღესასწაული ახალი წელია. როგორც კი დეკემბერი იწყება, ბედნიერების გრძნობა მეუფლება. მხოლოდ ერთი დეკემბერი ჩამშხამდა, როცა მოდულის შენობაში გავატარე. ყველას უყვარს დადებითი ემოცია, საჩუქრები, გალამაზებული ქუჩები – ეს ყველაფერი ბავშვობაში გაბრუნებს და გახსენებს იმ წლებს, როცა თოვლის ბაბუას ელოდი, მოდიოდა და საჩუქრებს ჩუმად გიდებდა ბალიშის ქვეშ. დედა ყოველთვის ახერხებდა, შეეფუთა საჩუქარი და ისე მალულად შეენახა, რომ მე და ჩემს ძმას არ გვენახა და, როცა ახალი წელი დგებოდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ნაძვის ხესთან, ის თოვლის ბაბუას მოჰქონდა. ეს ტრადიცია მერე მე გავაგრძელე და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩემი შვილები უკვე კაცები არიან, ახალი წლის საჩუქრებს ყოველთვის ვახვედრებ ნაძვის ხის ქვეშ და ეს დღე მათაც განსაკუთრებულად უყვართ. ეს ჩვენი ოჯახის ტრადიციაა და მე ეს ფუნქცია შევითავსე – კეთილ თოვლის ბაბუად დავრჩი *(იცინის)*. ახლა, ცხენის წელი მოდის და მისგან ველი მშვიდობასა და სიმშვიდეს. რაც მეც მჭირდება და ქვეყანასაც.

**– წელს სად ხვდები ახალ წელს და რა სიურპრიზს უმზადებ მეუღლეს?**

– მე და ირაკლი ერთმანეთის ყველაზე დიდი საჩუქრები ვართ *(იცინის)*. ეს ახალი წელი არ იქნება განსაკუთრებულად ხმაურიანი ჩვენთვის, რადგან, გადავწყვიტეთ, ჩვენ ორნი, მარტო შევხვდეთ და სადმე, რომანტიკულ გარემოში აღვნიშნოთ.

**– ესე იგი, ამ ახალ წელს შვილებთან ერთად არ ხვდები?**

– ჩემი შვილები უკვე დიდი ბიჭები არიან და მათ თავიანთი სამეგობრო-საახლობლო წრე ჰყავთ. მათთან ერთად უხარიათ ყოფნა და დროის გატარება. ეს კი ჩემი და ირაკლის პირველი ახალი წელია ერთად, ამიტომ, დაგეგმილი გვაქვს, მარტონი შევხვდეთ დღესასწაულს და ჩვენი ახალი წელი მოვიწყოთ. ირაკლი სვანია და, თუ ამინდი ხელს შეგვიწყობს, არ არის გამორიცხული, სვანეთშიც წავიდეთ და იქ მოვიწყოთ



ჩვენი ოჯახის ტრადიცია მე შევითავსე და კეთილ თოვლის ბაბუად დავრჩი

ჯადოსნური და რომანტიკული ახალი წელი. განსხვავებულ გარემოში გვინდა ვიყოთ იმ ღამეს და ეს, ალბათ, ან სვანეთი იქნება, ან უცხოეთის რომელიმე ქვეყანა. დაბადების დღეზე ირაკლიმ სიურპრიზი მომიწყო და ევროპაში გადავფრინდით. ძალიან კარგი დრო გავატარეთ და, ვფიქრობთ, ისევ გავიმეოროთ ევროპაში გასეირნება. ბევრი ვიბოდიალეთ საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის ქუჩებში და ამით ჩვენი ქორწინებაც და ჩემი დაბადების დღეც ერთდროულად აღვნიშნეთ.

**– ამ ბოლო დროს საკმაოდ შეცვლილი ჩანხარ: არსად ჩნდები, არც ჭორები ისმის შენზე და, ზოგადად, ჩრდილში ხარ. რა შეცვალა გათხოვებამ შენში?**

– გათხოვებამ ჩემში ყველაფერი შეცვალა. პირველად ცხოვრებაში, არ მინდა რამის კეთება საზოგადოების ყურადღების მისაქცევად. მინდა, ჩემი ცხოვრება იყოს მხოლოდ ჩემი და ამიტომაც ვერიდები ინტერვიუების მიცემას პირად თემებზე. ყველას ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა გინდა, რომ ის რაღაც სითბო მხოლოდ შენთან იყოს და არ იყოს ყველას განსახილველი თემა. ანუ, ჩემი პირადი მინდა მხოლოდ ჩემს ოჯახში ტრიალებდეს. დამიჯერეთ, ყველაფერს თავისი ეტაპი აქვს და, ამ ეტაპებზე უნდა მოიქცე ისე, როგორც ამას მოითხოვს იმ კონკრეტულ მომენტში საზოგადოება. მაგრამ, დგება ასაკი და პროფესიულად ისეთი მომენტი, როცა ჯობია, ნაკლები ინფორმაცია მიაწოდო საზოგადოებას პირად ცხოვრებაზე. თუ თვითკონტროლი დაკარგე, მაშინ, საზოგადოებისთვისაც უინტერესო ხდები. შესაბამისად, ახლა, ჩემი სამუშაოდან და პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე, აღარ მიმაჩნია, რომ ზედმეტი საჯაროობაა საჭირო. პროფესიული ზრდის ეტაპზე ვარ და, ვფიქრობ, რომ რთულ სამუშაოს ვემსახურები. გარკვეულწილად, ეს არის ის სამსახური, რომ სულ ეკრანზე არ უნდა ჩანდე და ამასაც უკავშირდება ჩემი ერთგვარი ჩრდილში ყოფნა.

**– ესე იგი, სკანდალური და ეპატაჟური ლალი მოროშკინა წარსულს ჩაბარდა?**

– ეს ის ეტაპი იყო, რომელიც უნდა გამევლო, ეს ჩემს წიგნებსაც სჭირდებოდა. ახლა კი სხვა ეტაპზე ვარ და, ვფიქრობ, როცა კითხვის ნიშნები ჩნდება ადამიანზე, ის უფრო საინტერესოა, ვიდრე წიგნივით წაკითხული.

**– წიგნების წერასაც შეეშვი?**

– პირიქით, ახლა საინტერესო პროექტზე ვმუშაობ. წიგნის სამუშაო სახელწოდებაა – „ბალზაკი, პლუს-მინუს ათი", ამაში ნათია გედენიძეც მეხმარება. ვფიქრობ, ეს წიგნი საინტერესო იქნება, რადგან, შეეხება სხვადასხვა პროფესიის და მედიაში მომუშავე ქალებს. უფრო კონკრეტულად კი, ეს იქნება ჩვენს მედიასივრცეში მომუშავე ქალების ოქროს ფონდი.

**ნონა დათეშიძე**


სახლი მარშალ გელოვანის გამზირზე

აქცია მხოლოდ ერთი თვით - 90მ² ბინები ყველაზე ხელსაყრელ ფასად!

* შიდა განვადება – 0%
* VTB-ბანკის სესხი მხოლოდ პირადობის მოწმობით.



გაყიდვების ოფისი: სარაჯიშვილის №1
Tel: +995 32 254 04 27; +995 599 30 14 18
www.ed-development.ge
www.facebook.com/eddevelopment.ge

**მსახიობი ონისე ონიანის გვერდით ადამიანს დარდი და ტკივილი გავიწყდება. მისი აქტიური და იუმორით სავსე ნატურა, არ გაძლევს უფლებას, იფიქრო ცუდზე და მასთან ურთიერთობისას პოზიტივით ივსები. ერთი სიტყვით, მას არც დალხენილი ცხოვრება ჰქონია და არც გასაჭირი მოჰკლებია, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე მეგობრებია, რაშიც ნამდვილად გაუმართლა და, ასევე, ხასიათი, რომელიც მას დაბადებიდან დაჰყვა.**

# როგორ „აღმოაჩინა“ ტყუპისცალი ძმა ონისე ონიანმა და რატომ ემუქრებოდა მას ლევან წულაძე სახლის გადაწვით



27 აგვისტოს ვარ დაბადებული და ხუმრობენ ჩემი მეგობრები, ერთი დღეც დაგეცადა და მარიამი გერქმეოდაო

**ონისე ონიანი**: ბავშვობაში კოსმონავტობაზე არასდროს მიოცნებია, თუმცა, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ მსახიობი გავხდებოდი. ჩემს ოჯახში, არავინ ყოფილა ამ სფეროს წარმომადგენელი. მერვე კლასში ვიყავი, როცა მომინდა მსახიობობა და ამაში დიდი წვლილი ჩემმა მეზობელმა ითამაშა. მე, როგორც იცით, ქუთაისში გავიზარდე. იქ დავამთავრე სკოლა და ვცხოვრობდი მსახიობების

> **ელიავას ბაზრობაზეც ვმუშაობდი, საბურავებს ვყიდდი. არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, თუმცა არ მეთაკილება**

კორპუსში. ჩემი მეზობელი გახლდათ ქუთაისის თეატრის წამყვანი მსახიობი, უნიჭიერესი კაცი, ბატონი ანზორ ხერხაძე. მის ალბომებს ხშირად ვათვალიერებდი და ძალიან მომწონდა სპექტაკლებზე გადაღებული ფოტოები. ვფიქრობდი, მსახიობს როგორი მრავალფეროვანი და სხვანაირი სამყარო აქვს-მეთქი. სხვათა შორის, მე სულ ვამბობ, ზოგ ადამიანს ერთი ცხოვრება აქვს, ზოგს – ორი, ხოლო მსახიობს ბევრი-მეთქი. მე როგორც ჩემი ოჯახი მიყვარს, ისე მიყვარს თეატრი. როგორც წყალი და ჰაერი მჭირდება, ისე მჭირდება სცენა. ამის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია. ამიტომ, მე ვამბობ, რომ ბევრი ცხოვრება მაქვს, რომელიც მაინც არ მყოფნის ***(იცინის).*** სცენა ის ადგილია, სადაც სულიერად ვმშვიდდები და მიყვარს ყოფნა.

**– თუმცა, სცენამდე, საკმაოდ რთული გზა გამოიარე და თუ არ ვცდები, გარეგნობის გამო, სამსახურში აყვანაზეც უარს გეუბნებოდნენ. ასეა?**

– ზუსტად ასეა. ძალიან ადრე, 19 წლისას გამითეთრდა თმა. ეს იყო ოთხმოცდაათიანი წლები, როცა ისეთი გაჭირვება იყო, რომ მოყოლაც არ ღირს. ჩემს ოჯახსაც ისევე უჭირდა, როგორც ყველა დანარჩენს. ვიფიქრე, 24 წლის ვარ, პასუხიმგებლობის გრძნობა მაქვს, გამოსავალს ვიპოვი, არ ვითაკილებ სამსახურს, ოღონდ სისუფთავე იყოს-მეთქი. მართალია, მაშინ უკვე ვიყავი მსახიობი, მაგრამ ისეთი მცირე ანაზღაურება მქონდა, რაში მეყოფოდა ის ფული? თან, უკვე საკუთარი ოჯახი მქონდა. მოკლედ, მივედი ერთ-ერთ რესტორანში და ვთხოვე, ბარმენად მამუშავეთ-მეთქი. ამათვალიერ-ჩამათვალიერეს და უარი მტკიცეს. მივხვდი, ამის მიზეზი ჭაღარა იყო ***(იცინის).*** სიმპათიური, ლამაზი და ახალგაზრდა ბიჭები უნდოდათ და მე იქ ვინ მიმიღებდა? ***(იცინის)*** თქვენ წარმოიდგინეთ, ამას მივხვდი, მაგრამ არ მწყენია. უბრალოდ, გული დამწყვდა იმაზე, რომ დამატებით ფულს ვერ ვიშოვიდი. მეგობრები რომ მხვდებოდნენ, იცინოდნენ, შენ რომ გიყურებთ თავი ბებერი გვგონიაო ***(იცინის).*** მერე, ელიავას ბაზრობაზე მივედი და იქ დავიწყე მუშაობა, საბურავებს ვყიდდი. არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, თუმცა არ მეთაკილება. ის დრო რომ მახსენდება, ახლაც მბურძგლავს. ეს იყო ჩემი გაწელილი და რთული ცხოვრება, რომელიც, მადლობა ღმერთს, დასრულდა და ახლა მხოლოდ მოგონებაა. დილის შვიდ საათზე მივდიოდი ბაზრობაზე, ვყიდდი საბურავებს, მერე თეატრში მოვდიოდი, რეპეტიციაზე. შემდეგ ისევ უკან ვბუნდებოდი ბაზრობაზე და საღამოს სპექტაკლს ვთამაშობდი. აი, ეს იყო ჩემი ყოველდღიური რეჟიმი. დღესაც, ელიავას ბაზრობაზე რომ მივდივარ, დიდი ოვაციებით მხვდებიან ჩემი ძველი თანამშრომლები. გეტყვით იმასაც, რომ მე გზა უცხოეთისკენ ხსნილი მაქვს, მაგრამ არც არასდროს მიფიქრია იქ წასვლა. მე აქ მინდა ყოფნა, მუშაობა და დახარჯვა. მიყვარს ჩემი მშობლიური ჰაერი, მთა და ბარი და ამას არაფერში გავცვლი. სხვათა შორის, მე იღბლიანი ვარ, რადგან გამიმართლა ადამიანებში და ზოგადად, მეგობრებში. რომ არა ისინი, ალბათ, დავიკარგებოდი.

**– ვიცი, რომ ძალიან ბევრი მეგობარი გყავს, რომლებიც უსიტყვოდ გენდობიან და ხშირად ატარებენ დროს შენს გვერდით. ყოველ წელს, დაბადების დღეს, მართლა ლევან წულაძე და მანანა კოზაკოვა გიხდიან?**

– მეგობრებში გამიმართლა და ყველა ჩემი მეგობარი, დედმამიშვილივით მიყვარს. ვგიჟდები მათზე. უფრო სწორად, ასე ვიტყვი: მანანა კოზაკოვა და ჭოლა ჩემი დედ-მამა არიან, დანარჩენი მეგობრები კი – და-ძმა ***(იცინის).*** ექვსი თვე მეუღლესთან, შვილებთან და ძაღლთან ერთად, ჭოლას და მანანას სახლში ვცხოვრობდი. მერე ჩემს გარემონტებულ სახლში რომ გადავედი, ჭოლა მოვარდა და მითხრა, ათი დღე დაგაცლი, ისიამოვნე, დატკბი შენი ახალი რემონტით, მერე ნავთს მივასხამ, ცეცხლს მივცემ, გადავწვავ აქაურობას და ისევ ჩემთან წაგიყვანო ***(იცინის).*** მანანა კი მეუბნებოდა, შენი ცოლი ჩვენი ქალიშვილია, შენ კი სიძე ხარ, ოღონდ კარგი სიძეო ***(იცინის).*** რაც შეეხება დაბადების დღეს, მართლა მანანა და ჭოლა მიხდიან ყოველ წელს. გაშლიან სუფრას და რამდენი სტუმარიც არ უნდა მივაყენო, წარბს არ შეიხრიან. საოცრად კეთილი და თბილი ხალხია. მართლა კარგ დედმამობას მიწევენ ***(იცინის).*** თან, 27 აგვისტოს ვარ დაბადებული და სულ ხუმრობენ ჩემი მეგობრები, ერთი დღეც დაგეცადა და მარიამი გერქმეოდაო ***(იცინის).*** მინდა, ჩემს მეგობრებს ყველა ოცნება ავუსრულო. ნეტავ, ამის შესრულება შემეძლოს. აი, მე და ზურა ბერიკაშვილი, ისეთი მეგობრები ვართ, რომ ამას უკვე დედმამიშვილობაც აღარ ჰქვია. 27 წლის წინ გავიცანით ერთმანეთი და ვამბობ ხოლმე, ის ჩემი ტყუპისცალია-მეთქი. მაგრამ, ერთხელ ისე გამაბრაზა გერმანიაში, რომ შუაგული ევროპიდან „გამოვაბარგე”. სასტუმროში დააგვიანა და გამოვასახლე ნომრიდან. ჯერ ტანსაცმელი გამოვულაგე გარეთ და მერე სასტუმროს ავეჯიც მივაყოლე. ასე გამოვისტუმრე ნომრიდან, ჩემი ტყუპისცალი ძმა, ბატონი ზურიკო. ასე რომ, ხანდახან გაბრაზებაც ვიცი, მაგრამ ეს დროებითია და შემდეგ სასაცილოდ გასახსენებელი.

**ნონა დათეშიძე**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ეკლესია, როგორც იცით, შენდება მაცხოვრის, დედა ღვთისმშობლისა და სხვადასხვა წმიდანის სახელზე და, გარდა იმისა, რომ ტაძარი არის სულიწმიდის, მასში აუცილებლად უნდა იყოს დაცული სიწმიდე, ანუ, ეკლესიის, საკურთხევლების აგების ტრადიცია ყოველთვის იყო დამყარებული და მჭიდრო კავშირში წმიდანებთან და მათ სხეულებთან. წმიდანებისა და მათთან ურთიერთობის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა საბა (ბიკაშვილი):**

# როგორ ადამიანებს არ ივიწყებს არასდროს ღმერთი და რა შემთხვევაში წარმოაჩენს ქრისტიანს საკუთარი ღვაწლი

– ძველად ტაძარი შენდებოდა იქ, სადაც რომელიმე წმიდანი იყო გარდაცვლილი ან დასაფლავებული, უკავშირდებოდა მისი მოღვაწეობის, მარტვილობის ხანას. ეს ადამიანები, წმიდანები, მოწამე-მარტვილები, რომლებმაც თავიანთი საქმით, მოწამეობით დაამტკიცეს საკუთარი სარწმუნოება და ეს აღიარეს მაცხოვრისა და ადამიანების წინაშე, გარკვეულწილად, უფლის მემკვიდრეებიც არიან. თითქმის ყველა ძველ ტაძარშია დაცული ძალიან ბევრი სიწმიდე – ეს, შეიძლება, იყოს წმიდანების უხრწნელი ნაწილები, სხეული, ასევე, წმიდა დანიშნულების საგნები: ჯვარი, ბარძიმ-ფეშხუმი. დღეს ძალიან ბევრი ტაძარი შენდება. შეიძლება, იქ რომელიმე წმიდანი არ გარდაცვლილა, რადგან, პირველ საუკუნეებს, როდესაც იყო ეკლესიების დევნა, ბევრი წელი გვაშორებს. მაგრამ, როდესაც ხდება ეკლესიის კურთხევა, განახლება, იმ ტაძარში აუცილებლად უნდა იყოს სიწმიდე დაცული. სიწმიდის დაცვა ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ, თუ იქ არ იყო წმიდანის საფლავი, არც ძველი ეკლესიის ნაშთი, საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ტრაპეზზე, სადაც შეიწირება უსისხლო მსხვერპლი, წირვა-ლოცვას აღავლენს სასულიერო პირი, ხდება პატარა ადგილების ამოჭრა, იქ ჩააბრძანებენ სიწმიდეებს და დაბეჭდავენ სპეციალური სითხით. ტრაპეზზე დასვენებულია ტილო, რომელსაც ჰქვია ოდიკი და მის გარეშე წირვა-ლოცვა დაუშვებელია. ოდიკზე გამოსახულია ჯვარცმის, გოდების კომპოზიცია, ასევე, ჯვარი, რომლის შუაგულში, უკანა მხრიდან, მოთავსებულია ამა თუ იმ წმიდანის ნაწილი ან სხვა სიწმიდე. ანუ, შეიძლება, ტაძარში არ იყოს წმიდანის საფლავი, მაგრამ, ოდიკი – წმიდა ტილო – თავისთავად არის სიწმიდის მატარებელი და ეს თავისთავად განასახიერებს საფლავს.

**– რატომ არის აუცილებელი წმიდანებისთვის პატივის მიგება და როგორი სახე უნდა ჰქონდეს მას?**

– ყველა ქრისტიანს გვმართებს, მათ სათანადო პატივი მივაგოთ და წირვის, ლოცვის აღსრულებაში ზომიერება დავიცვათ. წმიდანებთან, წმიდა ნაწილებთან ურთიერთობის, პატივისცემის ხარისხს საეკლესიო კანონიკა განაჩინებს: უპირველესი პატივისცემა მიეგება უფალს და, შემდეგ, რა თქმა უნდა, წმიდანებს. დღეს ქრისტიანები აცნობიერებენ იმას, რომ პატივი ჯერ უფალს მიეგება, მერე კი მის წმიდანებს, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წმიდანების პატივისცემის, თაყვანისცემის გარეშე ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია, რადგან, ისინი არიან მაგალითი სარწმუნოებისა, სიყვარულისა, თავდადებისა და მოწამეობისა. იმ დღიდან, როცა ეკლესია დაარსდა, დაიწყო მისი დევნა, შევიწროება, მაგრამ, უწყვეტი იყო კავშირი ზეციურ წმიდანებსა და დედამიწის მკვიდრებს შორის და ეს ახლაც გრძელდება. სწორედ მაშინ, როდესაც ეკლესია განიცდიდა შევიწროებას, ყალიბდებოდა ზეციური დასი მოწამეებისა, წმიდანებისა, რომელიც თავად უფალმა დაადგინა ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის. ისინი ჩვენი მეოხები არიან, შეგვეწევიან, ლოცულობენ, უფალს შესთხოვენ ჩვენს კეთილდღეობას. წმიდანები, მათი უხრწნელი სხეულები, სხვა საეკლესიო სიწმიდეები აღასრულებენ ჩვენთვის უდიდეს სასწაულებს; მათი მეშვეობით მოგვემადლება წყალობა, მადლი, კურთხევა. მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ წმიდა სხეულები კი არ აღასრულებენ სასწაულებს, არამედ, ისინი იარაღი არიან უფლის წინაშე და მათი დახმარებით უფალი აღასრულებს ამა თუ იმ სასწაულს.

**– რადგან 17 დეკემბერს ბარბარობის დღესასწაულს აღვნიშნავთ, მინდა, ყურადღება გავამახვილოთ სწორედ წმიდა ბარბარეზე, რომელსაც საქართველოში დიდ პატივს მიაგებენ, ისევე, როგორც ქართულ ეკლესიაში.**



ძველად ტაძარი შენდებოდა იქ, სადაც რომელიმე წმიდანი იყო გარდაცვლილი ან დასაფლავებული, ან, უკავშირდებოდა მისი მოღვაწეობის, მარტვილობის ხანას

– წმიდა ბარბარე მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა და ეს პერიოდი გამოირჩევა მორწმუნეების გასაოცარი რწმენით, თავდადებით, ერთგულებით თავიანთი სარწმუნოების მიმართ. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ როგორ მიდიოდნენ აქამდე. მოწამეობრივ აღსასრულს ყოველთვის წინ უძღვის ღვაწლი, რომლისთვისაც ადამიანი საკუთარი შინაგანი და გარეგნული მდგომარეობით ემზადება და ის ერთ დღეს ხდება მოწამე. მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ადამიანი აუცილებლად უნდა ეძიებდეს სიკვდილს ქრისტესთვის – ეს არც მართლმადიდებლობის და არც ქრისტიანობის თვითმიზანი არ არის, თუმცა, რაღაც ნაწილაკი ამ ბირთვისა ყოველთვის დევს.

**უნდა ვიცოდეთ, რომ წმიდა სხეულები კი არ აღასრულებენ სასწაულებს, არამედ, ისინი იარაღი არიან უფლის წინაშე და მათი დახმარებით აღასრულებს უფალი ამა თუ იმ სასწაულს**

ამ პერიოდის ადამიანების, წმიდანების ცხოვრებაში ეს მომენტი ძალიან ხშირი იყო, დღეს კი იშვიათობაა, რადგან, ჩვენი დღევანდელი სულიერი მდგომარეობა არ შეესაბამება მათ მდგომარეობას. როდესაც სულიერებაზე ვსაუბრობთ, ადამიანის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო სულიერების მოხვეჭა და არა ბედნიერების ძებნა ამქვეყნად, რადგან, ბედნიერება შეიძლება იყოს ან არც იყოს. მაგრამ, მადლის მოხვეჭა, ადამიანის ცხონება, სასუფეველში დამკვიდრება მის შინაგან პიროვნებაში ხდება და არა გარეთ, სხვაგან. საქართველოში წმიდა ბარბარეს, რომელიც დიდმოწამეების რანგში შედის, განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ და, ის მსახურებაც, რომელიც ამ დღეს აღესრულება, გამორჩეულია. მსახურებები არის რანგების მიხედვით – დაწყებული მეექვსე, უმაღლესი რანგიდან, დამთავრებული პირველი რანგით, ანუ, სადაგი დღის მსახურებით. რა თქმა უნდა, მეექვსე და მეხუთე მსახურება განსაკუთრებით აღმატებულია. როგორც წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, ასევე, წმიდა ბარბარეს დღესასწაულები მეხუთე რანგს მიეკუთვნება, ანუ, აღმატებული რანგია და გამორჩეულია. რაც მთავარია, ის, თავისი არსით, მნიშვნელობით, არ ჩამოუვარდება მეექვსე, ყველაზე აღმატებულ რანგს და ლიტურგიულადაც გამორჩეულია. საქართველოში წმიდა ბარბარეს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, ის მიიჩნევა ბავშვების მფარველად და ხატზე ის ყოველთვის გამორჩეულად არის გამოსახული – ბარძიმით ხელში, რაც ნიშნავს მოწამეობრივი მსხვერპლის, იმ ფიალის მიღებას, რომელიც მან მთელი ცხოვრების განმავლობაში იტვირთა. წმიდა ბარბარეს და, ასევე, სხვა მოწამეების სარწმუნოება იმდენად დიდი იყო, რომ ისინი დროებითზე, წარმავალზე, ამქვეყნიურ სიამეებზე ადვილად ამბობდნენ უარს და მათი მთავარი ორიენტირი იყო ღმერთი, მისი სიყვარული და ერთგულება და, აქედან გამომდინარე, სხვა ყველა ადამიანის სიყვარული. არსებობენ გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც ჩვენგან დავიწყებულები არიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ არასდროს ივიწყებს ღმერთი. უბრალოდ, მათი ღვაწლი არ არის წარმოჩინებული და უფალმა ინება ასე. მაგრამ, არიან გამორჩეული ადამიანები, რომელთა ღვაწლის წარმოჩენა თავად უფალმა ინება. არიან, ასევე, ადამიანები, რომელთა ცხოვრება ეკლესიამ დაწერა, აღწერა, მაგრამ, გარდა ამისა, მათ ცხოვრებას თავად მათივე ღვაწლი წარმოაჩენს. ეკლესიაში არსებობენ მოწამეები და დიდმოწამეები, ანუ, გამორჩეულად დიდი ადამიანები, რომელთა ცხოვრება მათ სიდიდეზე, მათ ღვაწლზე თავად საუბრობს. ყველა ის წმიდანი, რომელიც არ არის დავიწყებული, შესულია თუნდაც ჩვენს მსახურების ტიპიკონში, კალენდარში და ყოველი დღე რომელიღაც წმიდანის სახელს უკავშირდება. წმიდა ბარბარეს ცხოვრება და წამებაც კი გამორჩეული იყო, ენით აღუწერელი და, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტეს წამებასაც მიემსგავსა. ჩვენ ვიცით, რომ წმიდა ბარბარემ, წმიდა გიორგიმ უსასტიკესი წამება დაითმინეს. წმიდა ბარბარეს თავში ჩაარტყეს ჩაქუჩი, სხეული დაუსერეს, ასოები მოაჭრეს და ასე შემდეგ – ეს იყო ენით აუწერელი ტანჯვა და მისივე ცხოვრება წარმოაჩენს მის ღვაწლს. ასე რომ, ამ ადამიანების საქმეები იყო დიდი, ამიტომაც უწოდებს მათ ეკლესია დიდმოწამეებს და, შესაბამისად, მათი ხსნების დღეც, ლიტურგიაც, აღმატებულია.

**ნათია უტიაშვილი**

# სასწაული, რომელსაც ჰემატოლოგები ვერ ხსნიან

აი, უკვე რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში ნეაპოლში ყოველწლიურად დიდებული სასწაული აღესრულება – წმიდა მღვდელმოწამე იანუარიუსის სისხლი ცოცხლდება და თხევად მდგომარეობაში გადადის. ეს 13 სექტემბერს, წმიდანის მოწამეობრივი აღსასრულის წლისთავზე ხდება; ასევე მეორდება მაისის პირველ კვირა დღეს, ზოგჯერ 16 დეკემბერს და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ეს სასწაული თანამედროვე მეცნიერებასა და ფიზიკის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება: მეოთხე საუკუნეში მცხოვრები ადამიანის გამშრალი სისხლი მოულოდნელად თხევადი ხდება, ყველას თვალწინ ეცვლება ფერი, წონა და მოცულობა. ეს საოცარი მოვლენა ტემპერატურისგან დამოუკიდებლად (ის ტაძარში 5-6-დან 30-32 გრადუსამდე მერყეობს) მიმდინარეობს. ყოფილა შემთხვევები, რომ რელიქვარიუმის გახსნისას სისხლი უკვე თხევად მდგომარეობაში აღმოუჩენიათ. მაგრამ, ისიც მომხდარა, რომ სისხლი, მიუხედავად მისდამი აღვლენილი უდიდესი ლოცვა-ვედრებისა, გაყინულ მდგომარეობაში დარჩენილა. მაგალითად, ასე მოხდა 1976 წელს, როდესაც სიწმიდე 8 დღის განმავლობაში იყო გამობრძანებული და სასწაულს ამაოდ ელოდნენ.

მეცნიერებისთვის აუხსნელია სისხლის მოცულობის ცვლილება, რომელიც განთხევადებისას ხან მთელ ჭურჭელს ავსებს, ხან კი, პირიქით, ძალიან მცირდება. იცვლება სისხლის ფერი, ასევე, ცვლილებას განიცდის წონაც. ფიზიკის კანონებს სრულებით ეწინააღმდეგება სისხლის თხევად მდგომარეობაში გადასვლის დროის ხანგრძლივობა. ზოგჯერ ეს მყისიერად ხდება, ზოგჯერ რამდენიმე წუთი, ხან კი მთელი დღე გრძელდება. ანალოგიურად მიმდინარეობს ხელახალი გაყინვის პროცესი.

ფიზიკოსები და ჰემატოლოგები აღიარებენ, რომ, შეუძლებელია, მეცნიერულად აიხსნას ჩვიდმეტი საუკუნის მანძილზე სისხლის მორფოლოგიური ცვლილების გარეშე შენარჩუნება, მოცულობისა და წონის მოულოდნელი ცვლა, თხევად მდგომარეობაში გადასვლა და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია, მოგვცეს განმარტება ამ იდუმალი მოვლენის შესახებ. ყველა მცდელობამ, რომ იგივე პროცესი ლაბორატორიულად, ხელოვნურად ეწარმოებინათ, კრახი განიცადა. სპექტოგრაფიულმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ უეჭველად საქმე გვაქვს ადამიანის ჩვეულებრივ არტერიულ სისხლთან რაიმე ქიმიური ნივთიერებების დამატების გარეშე. ის ჰიპოთეზა, რომ შუა საუკუნეებში სისხლს რაიმე ნივთიერება შეურიეს, სრულიად გაქარწყლდა, ვინაიდან არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ ჭურჭელი მეოთხე საუკუნეშია დაბეჭდილი და გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ მას დავამტვრევთ. იტალიელი მეცნიერი გასტონე ლამბერტინი მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად მივიდა დასკვნამდე: „ენერგიის შენახვის კანონი, პრინციპები, რომლებიც ჰელირებასა და კოლოიდების ხსნადობას მართავს; ორგანული კოლოიდების დაბერების თეორია, პლაზმის გამყარების ბიოლოგიური ექსპერიმენტები – ეს ყოველივე ამტკიცებს, რომ ეს ნივთიერება უპირისპირდება ბუნების ყოველ კანონსა და ყოველგვარ ახსნას, რომელიც ზებუნებრივ მოვლენებს არ აღიარებს. წმიდა იანუარიუსის სისხლი – ესაა ცოცხალი და პულსირებული სითხე... მარადიული სიცოცხლისა და აღდგომის ნიშანი". წმიდა იანუარიუსის სისხლი არ ემორჩილება ბუნების ჩვეულებრივ კანონებს, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, ის უკვე დიდი ხნის წინ გაშრებოდა და ნაცარტუტად იქცეოდა.

რელიკვია განისვენებს კაპელაში, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში აშენდა წმიდანისადმი მადლიერების ნიშნად, ვინაიდან, მან 1526 წელს ქალაქი შავი ჭირისგან იხსნა. რელიკვარიუმის დაჯავშნილ კარადაში ინახება ორი ჭურჭელი: ერთი მათგანი უფრო დიდი ზომისაა და ორი მესამედი ნაწილი სისხლით არის სავსე. უფრო მომცრო ზომის ჭურჭელში სისხლიც ცოტაა. ორივე ჭურჭელი მჭიდროდ არის დაბეჭდილი მყარი მასტიკით, რომელიც აგერ უკვე 16 საკუნეს ითვლის. ჭურჭელი ვერ იხსნება, ამიტომ, ყველა მეცნიერული გამოკვლევის წარმოება მხოლოდ სპექტრული ანალიზის მეთოდით იქნა შესაძლებელი.

წმიდა იანუარიუსი პოცუოლიში 305 წელს მოწამეობრივად აღესრულა. იგი ბენვენტის ეპისკოპოსი იყო. დაიბადა დაახლოებით 275 წელს. ქრისტიანთა დევნის დროს, იმპერატორ დიოკლეტიანეს პერიოდში (234-313 წლები), დიაკონი სესიუსი დააპატიმრეს. ეპისკოპოსი იანუარიუსი შეეწინააღმდეგა ამ უსამართლობას, რის გამოც ნაცვალმა დრაკონციუსმა მას სიკვდილი მიუსაჯა. 305 წლის 13 სექტემბერს წმიდანს თავი მოჰკვეთეს. მოწამეობრივი აღსასრულის ჟამს ერთმა ქრისტიანმა მისი სისხლი იმ ჭურჭელში შეაგროვა, რომელიც დღეს ნეაპოლის საკათედრო ტაძარში ინახება.

მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა იანუარიუსის ხსენებას ძველი სტილით 21 აპრილს (ახალი სტილით 4 მაისს) აღნიშნავს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: თუ შეიძლება, მიპასუხეთ, როგორ ვილოცოთ მათზე, ვინც, არ ვიცით, ცოცხალია თუ მკვდარი?**

**პასუხი**: ასეთ ადამიანზე, როგორც წმიდა მამები გადმოგვცემენ, უნდა ილოცოთ, როგორც ცოცხალზე, რადგან, უფლისთვის ყველა ცოცხალია.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ლოცვის დროს კეთილ საქმეებზე და ღვთივსულიერ აზრებზე შევაჩეროთ ფიქრი?**

**პასუხი**: როდესაც ვლოცულობთ, უნდა შევეწინააღმდეგოთ არა მხოლოდ ამაო გულისთქმას, არამედ, ყოველგვარ აზრებს სულიერი და სასარგებლო საქმეების შესახებაც, რომლებიც უდროოდ გვესტუმრებიან. ამ დროს მხოლოდ ლოცვას უნდა ჩავუღრმავდეთ და ღვთივსულიერად განვაწყოთ თავი ლოცვის დასრულებამდე.



**კითხვა: როდესაც გვსურს განსაკუთრებული მღვიძარების უნარის შეძენა, არსებობს თუ არა ამ დროს წასაკითხი ლოცვა ძილის წინააღმდეგ?**

**პასუხი**: ასეთი ლოცვის საჭიროება არ არსებობს. ძილი ადამიანს ეძლევა სასიცოცხლო ძალების აღსადგენად, ხოლო, ორგანიზმის გადაძაბვას მივყავართ ჯანმრთელობის შერყევამდე, ნერვული სისტემის გამოფიტვამდე და თვით ფსიქიკურ დარღვევებამდე. ასე რომ, იყავით ზომიერი ყველაფერში.

**კითხვა: მითხრეს, რომ, იმ დღეს, როდესაც ვეზიარებით, არ შეიძლება მუშაობა. მართალია თუ არა ეს?**

**პასუხი**: შრომა და კეთილი საქმე არასდროს იკრძალება, მათ შორის, არც ზიარების დღეს. მაგრამ, იმ საქმიანობას, რომელიც შეიძლება გადადოთ, მაინცდამაინც დიდ დღესასწაულს ნუ დაამთხვევთ, ეს არასწორი იქნება. ეცადეთ, ასეთ დღეებში სასიცოცხლოდ აუცილებელი და გადაუდებელი საქმე გააკეთოთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა მამები და მტაცებელი ცხოველები

წმიდანები, უფალთან სიახლოვესთან ერთად, ბუნებისა და შემოქმედის ყველა ქმნილებას უახლოვდებოდნენ და მათთან სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდნენ. სწორედ ამიტომ ემორჩილებოდნენ ამ ადამიანებს მტაცებელი ცხოველებიც კი. წმიდანთა ცხოვრებაში ხშირად გვხვდება ამგვარი სასწაულები.

ღირს იოანე ზედაზნელს ხელმწიფება მტაცებელ ცხოველებზე ჰქონდა. ერთხელ მისი მოწაფე, დიაკონი ილია, წყაროზე წავიდა წყლის მოსატანად და დათვს გადაეყარა, რომელიც დასარწყულებლად წყაროსთან მისულიყო. დიაკონი დაფრთხა, წყლის ჭურჭელი იქვე დააგდო და წმიდა იოანესკენ გაიქცა. როცა შეშინებული მოწაფის ნაამბობი მოისმინა, ღირსი იოანე ზედაზნელი წყაროსთან მივიდა და უზარმაზარი დათვი ნახა, რომელიც წყალს დასწაფებოდა. ღირსმა მამამ მორჩილად უთხრა დათვს: „დალიე, რაკი გწყურია და წადი აქედან; გიბრძანებ, ამიერიდან არც შენ და არც სხვამ შენი მოდგმიდან ადამიანებისთვის ზიანის მიყენება არ გაბედოს". როდესაც დათვმა წმიდანის სიტყვები მოისმინა, თავი მორჩილად დახარა და წყაროს უმალ გაეცალა. იმ დღიდან ზედაზნის მთაზე არა მარტო დათვები, არამედ, სხვა მტაცებლებიც, ადამიანს არ ერჩიან და მის დანახვაზე გარბიან.

***

ღირსი სერაფიმე საროველის გვერდით ბევრს უნახავს უზარმაზარი დათვი, რომელსაც იგი თავისი ხელიდან აჭმევდა. ღამით მის სენაკთან ტყის მხეცები (დათვები, მგლები, მელიები, კურდღლები, ქვეწარმავლებიც კი – ხვლიკები და გველები) მიდიოდნენ. წმიდა მამა გადიოდა მათთან თავისი კალათით, რომელშიც ერთი კვირის სამყოფ პურის მარაგს ინახავდა ხოლმე და ცხოველებს უწილადებდა, მაგრამ, რამდენიც არ უნდა ამოეღო იმ კალათიდან პური, მაინც ყველას ჰყოფნიდა – უფალი სასწაულებრივად ამრავლებდა მას.

***

განდეგილი ბერი წმიდა ანდრია ტყეში ცხოვრობდა. მას ერთი ხარი ჰყავდა, რომელიც მიწის დამუშავებაში ეხმარებოდა. ხარი დათვმა დაუგლიჯა. მაშინ წმიდა მამამ ის დათვი ხარის ნაცვლად შეაბა უღელში და მიწას ამუშავებინებდა. წმიდა ანდრიას ბევრი სხვა გარეული მხეციც მოუშინაურებია.

***

ირლანდიელი ბერი წმიდა გალუსი მეშვიდე საუკუნეში ბოდენის ტბასთან მოსაგრეობდა. განდეგილ ბერთან ტყიდან დათვი გამოდიოდა, რომელსაც ის პურით უმასპინძლდებოდა. მადლობის ნიშნად დათვი ბერს ხის მორებით ქოხის აშენებაში დაეხმარა. ამ ქოხის ადგილას შემდეგ გაშენდა შვეიცარიის ყველაზე დიდი სამონასტრო კომპლექსი – სანქტ-გალენის მონასტერი; ქალაქ სანქტ-გალენის გერბზე კი დღემდე დათვია გამოსახული.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელები მსოფლიო სპორტის ისტორიაში

*ფეხბურთელების უმეტესობა აქტიურ სპორტულ კარიერას 40 წლამდე ამთავრებს, საშუალო სტატისტიკურად – 35-36 წლის ასაკში, თუმცა, არიან გამონაკლისებიც, რომლებიც თამაშს 40 წლის შესრულების შემდეგაც განაგრძობენ, ამის ნათელი მაგალითი კი „მანჩესტერ იუნაიტედის" უელსელი ნახევარმცველი რაიან გიგზი და „ინტერის" არგენტინელი ლიდერი ხავიერ ძანეტი არიან. ორივეს წელს შეუსრულდა 40 წელი, თუმცა, დღევანდელ ნომერში იმ ფეხბურთელებს შემოგთავაზებთ, რომლებმაც კარიერა 40 წლის გადაცილების შემდეგაც გააგრძელეს.*

### სტენლი მეტიუზი: საფეხბურთო კარიერა – 1932-1965 წლები

სერ სტენლი მეტიუზი ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდა და უნიკალური ფეხბურთელია,



რომელსაც ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ერთხელაც არ მიუღია ყვითელი და, მით უმეტეს, წითელი ბარათი. თავისი სპორტული კარიერა სტენლიმ „სტოკ სიტიში" დაიწყო და იქვე დაასრულა 1965 წელს, 33 წლის შემდეგ. 48 წლის ასაკში სტენლი ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, ხოლო უკანასკნელი მატჩი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მან 42 წლის ასაკში ითამაშა, რაც დღემდე რეკორდად ითვლება.

### როჟე მილა: საფეხბურთო კარიერა – 1968-1996 წლები

ლეგენდარული კამერუნელი ფეხბურთელის ვარსკვლავი მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე 1990 წელს, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე აინთო. იმ დროისთვის როჟე უკვე 38 წლის იყო. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი მან, 42 წლის ასაკში, გოლის გატანა მოახერხა რუსეთის ნაკრების კარში და დღემდე ითვლება გოლის ყველაზე ასაკოვან ავტორად მუნდიალების ისტორიაში. როჟე მილა 45 წლის ასაკამდე თამაშობდა კამერუნელ კლუბებში და, მრავალთა აზრით, ნაადრევად დაასრულა კარიერა.



### ბენგტ ანდერსონი: საფეხბურთო კარიერა – 1984 წლიდან – დღემდე

მოქმედი ფეხბურთელებიდან ყველაზე ასაკოვანი შვედი გოლკიპერი, 47 წლის ბენგტ ანდერსონი, შვედური „იორგრიტეს" ღირსებას იცავს. ბენგტი 90-იან წლებში შვედეთის ყველაზე პოპულარულ კლუბ „გიოტებორგში" თამაშობდა და იქიდანვე მიიღო მიწვევა შვედეთის ნაკრებში. კონტრაქტი მას 41 წლის ასაკში დაუსრულდა, თუმცა, მან გადაწყვიტა, გაეგრძელებინა კარიერა და დღემდე საიმედოდ იცავს კლუბის კარს.



### დევიდ ჯეიმსი: საფეხბურთო კარიერა – 1988 წლიდან – დღემდე

იმპოზანტური ინგლისელი გოლკიპერი დევიდ ჯეიმსი ამჟამად ისლანდიის ჩემპიონატში კლუბ „ვესტმანაეირის" ღირსებას იცავს. ჯეიმსი 43 წლისაა და უკანასკნელი მატჩი ინგლისის ნაკრებში მან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა 40 წლის ასაკში. საგულისხმოა, რომ დევიდ ჯეიმსი თავისი ამჟამინდელი კლუბის ფეხბურთელების უმეტესობას ასაკით მამად ეკუთვნის.



### ბრედ ფრიდელი: საფეხბურთო კარიერა – 1989 წლიდან – დღემდე

ამერიკელი ბრედ ფრიდელი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 42 წელი შეუსრულდა ინგლისის პრემიერლიგის ყველაზე ავტორიტეტული მეკარეა. ცნობისთვის, ფრიდელი თავის ამჟამინდელ მწვრთნელზე, პორტუგალიელ ანდრე ვილაჟ-ბოაშზე, 6 წლით უფროსია. ზაფხულში კლუბთან ერთად ის თბილისს ესტუმრა, როდესაც „ტოტენჰემი" ევროპის ლიგის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" დაუპირისპირდა.



## გლობალურმა დათბობამ 30-წლიანი სიცივის რეკორდი მოხსნა

მეცნიერებმა ყველაზე დაბალი ტემპერატურის ახალი მსოფლიო რეკორდი დააფიქსირეს: ანტარქტიდაში, იაპონური პოლარული სადგურის – „ფუძიამას გუმბათის" რაიონში, ტემპერატურა ცელსიუსის სკალით პირველად ჩასცდა მინუს 90 გრადუსს. გაზომვებს ამერიკელი სპეციალისტები თანამგზავრიდან აწარმოებდნენ.

წინა რეკორდიც ანტარქტიდაში დარეგისტრირდა 1983 წელს – მინუს 89,2 გრადუსი და მას შემდეგ ითვლებოდა რუსული სადგური „ვოსტოკი" „სიცივის პოლუსად". სადგური „ფუძიამას გუმბათი" ყველაზე მაღალია ანტარქტიდაზე არსებულ სიმაღლეებს შორის – ზღვის დონიდან 3 786 მეტრზე მდებარეობს.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროს აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შედარებით „მოკრძალებულია" – 70 გრადუსზე ნაკლები – ქალაქ ვერხოიანსკში.

## ლევანდოვსკის კარატისტი ცოლი

დორტმუნდის „ბორუსიისა" და პოლონეთის ნაკრების ლიდერის, რობერტ ლევანდოვსკის მეუღლე, ანა ალმოსავლური ორთაბრძოლებით ყოფილა გატაცებული და რამდენიმე დღის წინ პრაღაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, გუნდურ შეჯიბრში, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა. ერთ-ერთ სოციალურ ქსელში, თავის გვერდზე, რობერტმა პოლონეთის ქალ კარატისტა ნაკრების ფოტო გამოაქვეყნა და დაურთო კომენტარი, რომ ამაყია თავისი მეუღლის მიღწევით.



## შვედეთის ნაკრების სექს-სიმბოლო

ცეცხლოვანმა შვედმა მოდელმა ვერონიკა ტორსელმა შვედეთის ნაკრების ფეხბურთელებს გულახდილი ფოტოსესია მიუძღვნა და ამ გზით გადაწყვიტა, მხარდაჭერა გამოუცხადოს თავისი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს პორტუგალიის ნაკრების დამარცხება მუნდიალის შესარჩევის პლეი-ოფში და 2014 წლის ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ. შვედი სექს-სიმბოლო პერიოდულად ახარებს ფეხბურთის ქომაგებს ფოტოსესიებით. ის განსაკუთრებით „პარი სენ-ჟერმენის" შვედ გოლეადორს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს ქომაგობს და სწორედ პარიზული კლუბისთვის პოზირებს შიშველი.

## სპორტსმენები ყველაზე სასურველი მამაკაცების რეიტინგში

ბრიტანულმა ჟურნალმა „გლამურმა" 2013 წლის 100 ყველაზე სექსუალური მამაკაცის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებთან ერთად, სპორტსმენებიც მოხვდნენ: ვეტერანი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, მოცურავე რაიან ლოჰტე; ასევე, ჩოგბურთელები: ესპანელი რაფაელ ნადალი და ბრიტანელი ენდი მარეი. ცნობისთვის რაფაელ ნადალმა რეიტინგში ისეთ ცნობილ სექს-სიმბოლოებს გაუსწრო, როგორებიც არიან: ჰიუ ჯეკმანი, რობერტ დაუნი-უმცროსი და ორლანდო ბლუმი.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# პოლ უოკერი: „ფორსაჟის" ვარსკვლავის ტრაგიკული სიკვდილი და ფაქტები მისი ცხოვრებიდან

*2013 წლის 30 ნოემბერს კალიფორნიაში, სანტა-კლარიტასთან ახლოს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა ჰოლივუდის ვარსკვლავი პოლ უოკერი – მსახიობი, რომელმაც სახელი გაითქვა მრბოლელებზე გადაღებულ ბლოკბასტერებში, საერთო სახელით – „ფორსაჟი". პოლ უოკერის ტრაგიკული სიკვდილის გამო დროებით გაჩერდა „ფორსაჟის" მეშვიდე ნაწილის გადაღება, ხოლო მისი თაყვანისმცემლების არმიას გლოვა აქვს გამოცხადებული.*



* პოლ უილიამ უოკერი 1973 წლის 12 სექტემბერს დაიბადა ქალაქ გლენდეილში (კალიფორნია). ის ბიზნესმენ პოლ უოკერ-უფროსის და ყოფილი მოდელის, შერილ უოკერის უფროსი შვილი იყო. უოკერები მორმონები არიან. მსახიობს ირლანდიური, გერმანული და ინგლისური ფესვები აქვს.

* პოლ უოკერის სამსახიობო კარიერა 1975 წელს დაიწყო საბავშვო პამპერსების მწარმოებელი კომპანიის – „პამპერს დაიპერსის" სარეკლამო რგოლში.

* პირველი სერიოზული როლი პოლ უოკერმა 13 წლის ასაკში ითამაშა ფილმში „მონსტრები საპირფარეშოში".

* 1980-იან წლების ბოლოდან პოლი სხვადასხვა ტელესერიალში თამაშობდა, რათა თავისი სწავლის გადასახადი კოლეჯში თავად გადაეხადა. მის ოჯახში მიღებული იყო, რომ შვილები თვითონ იხდიდნენ სწავლის გადასახადს.

* პოლ უოკერის კერპი იყო ფრანგი საზღვაო მკვლევარი ჟაკ-ივ კუსტო. სწორედ მის გამო, პოლმა არა სამსახიობო ფაკულტეტზე, არამედ, საზღვაო ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა კალიფორნიის უნივერსიტეტში. ის იმდენად იყო გატაცებული ზღვით, რომ ხმალთევზას დაცვის ფონდის წევრიც კი გახდა. პოლ უოკერის ყველაზე დიდი ოცნება იყო, მონაწილეობა მიეღო მარინის ღრმულის კვლევაში, თუმცა, ეს ოცნება მას აუხდენელი დარჩა.

* პოლ უოკერის სიმაღლე 191 სმ იყო.

* პოლ უოკერის საუკეთესო მეგობარი იყო მისი დუბლიორი, კასკადიორი ოკლი ლემანი, რომელთანაც ის 7 წლის ასაკიდან მეგობრობდა.

* ფილმებს პოლ უოკერის მონაწილეობით საერთო ჯამში კინოგაქირავებაში 1,2 მილიარდამდე დოლარი აქვს მიღებული.

* პოლ უოკერს მეწამული ფერის ქამარი ჰქონდა მიღებული ბრაზილიურ ორთაბრძოლაში – ჯიუ-ჯიცუში.

* პოლს დარჩა 14 წლის ქალიშვილი – მიდოუ რეინი, რომელიც ამჟამად დედასთან ერთად ცხოვრობს ჰავაის კუნძულებზე.

* პოლ უოკერს სარბოლო ავტომობილების კოლექცია ჰქონდა – სულ 18 ცალი „ბოლიდი".

* სხვადასხვა დროს პოლ უოკერს რომანები ჰქონდა ჰოლივუდელ ლამაზმანებთან: დენიზ რიჩარდსთან, ჯესიკა ალბასთან და ჯეიმი კინგთან.

# რომელ ძვირფას ნივთებს ანიჭებენ უპირატესობას მილიარდერები და მილიონერები

*მილიარდერები და მილიონერები, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ან პოლიტიკური მოვლენების მიუხედავად, მაინც განაგრძობენ უზარმაზარი თანხების ხარჯვას ძვირფასი ნივთების, რარიტეტული ავტომობილებისა და ხელოვნების შედევრების შესაძენად. გთავაზობთ ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული „შოპინგის" შედეგებს.*

### დონალდ ტრამპი

„მაიკროსოფტის" მეწილისგან, პოლ ალენისგან, დონალდ ტრამპმა 100 მილიონ დოლარად შეიძინა კერძო თვითმფრინავი – „ბოინგ-757" და „ტიუნინგი" გაუკეთა. სავარძლის ქამრები ტრამპმა ოქროში ამოავლო და, სანტექნიკაც ოქროში ამოვლებული მოწყობილობებით გაალამაზა. თვითმფრინავი, ასევე, აღიჭურვა სრულიად ახალი, ულტრათანამედროვე ელექტონული მოწყობილობებით.

### რიჩარდ ბრენსონი

ბრიტანელმა მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა წყალქვეშა ნავი „ნეკერ ნიმფი" შეიძინა



და მისი გაქირავება დაიწყო კვირაში 25 ათას დოლარად. ბიზნესი საკმაოდ წარმატებულია, რადგან, მსურველები ცოცხალ რიგში ეწერებიან, რომ დატკბენ 360-გრადუსიანი პანორამული ხედით წყლის ქვეშ.

### ლარი ელისონი

„ორაკლის" მფლობელმა ლარი ელისონმა მალიბუში 20 მილიონ დოლარად შეფასებული ვილა შეიძინა, რომელიც აღჭურვილია აუზებით, ჩოგბურთის კორტებითა და ფუნიკულიორით, რომელიც ვილას ქვედა ეზოსთან აკავშირებს.

### დევიდ კოხი

გლობალური დათბობის თემით გატაცებულმა ამერიკელმა მილიარდერმა დევიდ კოხმა შეიძინა საჰაერო ბურთი, რომელიც კურსირებს ამერიკის ტერიტორიაზე და კლიმატის ცვლილების შესახებ აწვდის ინფორმაციას მილიარდერის პრეს-სამსახურს.



### პოლ ალენი

„მაიკროსოფტის" ერთ-ერთი მფლობელი, პოლ ალენი, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი თვითმფრინავების კოლექციონერია. მის კოლექციაში უკვე 20-მდე ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელია, რომელთა საერთო ღირებულება 5 მილიონი დოლარია.

### მაიკლ ვერეტი

ამერიკელი მილიონერი და კოლექციონერი მაიკლ ვერეტი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავების პირადი ნივთების კოლექციონერობით არის გატაცებული. მისი ერთ-ერთი ბოლო შენაძენია პოპ-მეფის – მაიკლ ჯექსონის ლეგენდარული წითელი ქურთუკი კლიპიდან „თრილერი", რომელშიც ვერეტიმ 1,8 მილიონი დოლარი გადაიხადა აუქციონზე.

# ნელსონ მანდელა – „აპარტეიდთან" მებრძოლი აფრიკელი რაინდი

*ლეგენდარული ნელსონ მანდელა 2013 წლის 5 დეკემბერს, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი და ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იყო. ადამიანმა, რომელმაც 27 წელი გაატარა ციხეში სიმართლის გამო, სამუდამოდ შევიდა მსოფლიო ისტორიაში, როგორც „აპარტეიდთან" მებრძოლი რაინდი.*

* ნელსონ მანდელა დინასტია ტემბუს წარმომადგენელია. იგი 1918 წლის 18 ივლისს დაიბადა სოფელ მვეზოში, ქალაქ უმტატისთან ახლოს. მისი დიდი ბაბუა (მამის მხრიდან) ტემბუს დინასტიის უფროსი იყო. მანდელას მამას ოთხი ცოლისგან 12 შვილი ჰყავდა. ნელსონი მესამე ცოლისგან დაიბადა და თავდაპირველად მამამ მას ჰოლილალი უწოდა, თუმცა, მოგვიანებით, სკოლაში მისულ მანდელას ინგლისური ენის მასწავლებელმა ნელსონი დაარქვა. ბავშვობაში ნელსონი გატაცებული იყო სირბილითა და კრივით. ის ფორტ-ჰერის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ნელსონის თქმით, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მაჰათმა განდიმ, რომელსაც ის თავის მასწავლებლად მიიჩნევს. ნელსონ მანდელას ჰქონდა მესამე სახელიც – მადიბა, რომლითაც მას მხოლოდ სამშობლოში იცნობდნენ. ეს სახელი აფრიკული ტომის – კოსას წევრებმა შეარქვეს.

* ნელსონ მანდელამ 27 წელი გაატარა ციხეში. ის 1964 წელს დააპატიმრეს სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით და 27 წლიდან 17 წელი იგი ერთკაციან საკანში იჯდა. თავისი პატიმრობის დიდი პერიოდი მანდელამ კუნძულ რობენზე მდებარე ციხეში გაატარა, ხოლო უკანასკნელი წლები – პოლსმურის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში და კეიპტაუნის „ვიქტორ ვერსტერის" ციხეში. მანდელას სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. პატიმრობის პერიოდში მან დაუსწრებლად დაამთავრა სწავლა ლონდონის უნივერსიტეტში და მიიღო იურისტის ბაკალავრის დიპლომი. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ მანდელა 1990 წელს გაათავისუფლა.

* ნელსონ მანდელა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ისტორიაში პირველი შავკანიანი პრეზიდენტია. ის 1994 წელს აირჩიეს პრეზიდენტად და თანამდებობას 1999 წლამდე იკავებდა, რის შემდეგაც საბოლოოდ წავიდა პოლიტიკიდან. პრეზიდენტობის პერიოდში მანდელამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა გაატარა: მან შემოიღო უფასო სამედიცინო დახმარება 6 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის და გაატარა განათლების რეფორმა.

* 2009 წლის 18 ივლისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ეს დღე „ნელსონ მანდელას მსოფლიო დღედ" გამოაცხადა. თარიღი სპეციალურად დაამთხვიეს მანდელას დაბადების დღეს. გაეროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ნელსონ მანდელა გაეროს იდეალების სიმბოლო და კერპია.

* 1993 წელს, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ნელსონ მანდელა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა მშვიდობის დარგში. იგი, ასევე, ფლობს აკადემიკოს ანდრეი სახაროვის სახელობის პრემიას – „თავისუფალი აზროვნებისთვის". გარდა ამისა, ჟურნალ „ქრიეიტორ საინტესის" ვერსიით, ნელსონ მანდელა ყველა დროის მსოფლიოს 100 გენიოსის რიგებში ფიგურირებს.

**გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ**



## მოამარაგეთ ორგანიზმი საჭირო ნივთიერებებით

ყველა ადამიანი ცდილობს, რაციონში ისეთი პროდუქტები ჩართოს, რომლებიც მდიდარია ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებით. სამწუხაროდ, ბევრს ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ არასწორი შეხედულება აქვს. მაგალითად:

სალამოს კვება ასუქებს – ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან წონაში მომატებაზე მოქმედებს არა ის, თუ დღის რომელ მონაკვეთში იკვებებით, არამედ ის, თუ რას მიირთმევთ და რა რაოდენობით.

ახალი ხილი და ბოსტნეული ჯანმრთელობისთვის კარგია – დიდი რაოდენობით ახალი ხილისა და ბოსტნეულის ჭამით კუჭს ძალიან ტვირთავთ, რასაც შედეგად მოსდევს მუცლის შებერვა და კუჭის აშლა. ბოსტნეულის დიდი ნაწილი ცოცხალი სახით უნდა ჭამოთ, ნაწილი კი – მოშუშული. მოშუშულ სტაფილოსა და პომიდორში არსებული ბეტა-კაროტინი ორგანიზმის მიერ უკეთ შეითვისება.

ცხიმი ცხიმად გარდაიქმნება – ცხიმი საკმაოდ მაღალი ენერგეტიკული ღირებულების ნაერთია და ამიტომ ის დიდი რაოდენობით კალორიებს შეიცავს – გრამ ცხიმში 9 კილოკალორიაა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ უნდა ამოიღოთ რაციონიდან. ყველა ცხიმი ერთნაირად საზიანო არ არის. მაგალითად, ზეითუნის ზეთი არის ცხიმი, რომელსაც ზღვისა და მდინარის თევზი შეიცავს – საჭიროა და მნიშვნელოვანი ადამიანის ჯანმრთელობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რეგულარულად მიიღებთ ზეითუნის ზეთს, სისხლში ქოლესტერინის შემცველობა მკვეთრად შემცირდება.

ახალგამომცხვარი პური მავნებელია – ეს არ შეეფერება სინამდვილეს. მისი ერთადერთი უარყოფითი თვისება ის არის, რომ ახალი პურის დიდი რაოდენობით ჭამას მოჰყვება გაზების დაგროვება ნაწლავებში. ასევე, მატულობს სხეულის მასა. ამიტომ, ის მცირე რაოდენობით უნდა ჭამოთ.

კარტოფილი გასუქებას იწვევს – ეს მცდარი ინფორმაციაა. ერთი ულუფა კარტოფილი, როგორც მოხარშული, ისე შემწვარი, მხოლოდ 12 კილოკალორიას შეიცავს, ხოლო, ამავე რაოდენობის კარტოფილის ჩიპსი – 368 კილოკალორიას. ამიტომ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მომზადებული ეს ბოსტნეული.

გაყინული ბოსტნეული არ არის სასარგებლო – ეს არ შეეფერება სიმართლეს. კარგად და სწორად გაყინული პროდუქტები ისეთივე სასარგებლოა, როგორც ახალი. გაყინული ბოსტნეული ვიტამინებსაც ინარჩუნებს.

ასევე, წონაში ვერ მოიკლებთ საკვებზე უარის თქმით. თუ ორგანიზმს საკვები მოაკელით, ის ეკონომიურ რეჟიმზე გადავა. იმისთვის, რომ ორგანიზმმა ერთი კილოგრამი ცხიმი დაწვას, საშუალოდ ათი ათასი კალორიის ეკონომია უნდა მოახერხოს. ამიტომ, შიმშილის ნაცვლად, ჯობია, გადახედოთ საკვებ რაციონს და შესაბამისად დააბალანსოთ ის. გადაანაწილეთ ყოველდღიური რაციონი ისე, რომ თქვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იყოს და არა ზიანის მომტანი.

## რატომ გროვდება თირკმელებში ქვები

საკმაოდ გახშირებული ნაღველკენჭოვანი და თირკმელკენჭოვანი დაავადებების მკურნალობა მხოლოდ ოპერაციული მეთოდით ხდება. არადა, ნაღვლის ბუშტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღვიძლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ამიტომ, ჯობია, საქმე ოპერაციამდე არ მიიყვანოთ. ქვები და ქვიშა ნაღვლის ბუშტსა და თირკმელებში ორგანიზმის მიერ არაორგანული კალციუმის გამოძევების უუნარობის ბუნებრივი შედეგია. ამ არაორგანული კალციუმის ორგანიზმში დაგროვებას კი, განაპირობებს კონცენტრირებული შაქრისა და სახამებლის საკვებად გამოყენება.

ნაღვლის ბუშტი უშუალოდაა დაკავშირებული ღვიძლთან, ნაღვლისა და ღვიძლის სადინარების საშუალებით კი – სისხლის მიმოქცევასთან. მიღებული საკვები საჭმლის მომნელებელ ტრაქტში იშლება. მისი შემადგენელი ელემენტები, სისხლის მეშვეობით გადადის ღვიძლში გადასამუშავებლად. კონცენტრირებული მარცვლეული და ფქვილეული პროდუქტები, განსაკუთრებით კი სითბურად დამუშავებული, ბოლომდე არ გადამუშავდება. სახამებლის მოლეკულები წყალში არ იხსნება, მათ შემადგენლობაში კი შედის არაორგანული კალციუმი. ცოცხალი ორგანული კალციუმი წყალში იხსნება და ის აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის. ასეთ კალციუმს შეიცავს ცოცხალი ხილი, ბოსტნეული და მათი ახალგამოწურული წვენი. ის გადადის ღვიძლში და ორგანიზმი მას მთლიანად ითვისებს.

სითბურად დამუშავებულ სახამებელსა და შაქრებში არის არაორგანული კალციუმი, კერძოდ, ორგანიზმისთვის უცხო ელემენტი. მას ორგანიზმიდან აძევებს სისხლი და ლიმფა. ასე რომ, არა მარტო სხეულის ფორმის, არამედ, ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც, არ არის სასურველი ფქვილეულის, ტკბილეულისა და საკონდიტრო ნაწარმის მიღება. ამ დროს იმატებს, ასევე, არაორგანული კალციუმის რაოდენობა და ზემოთ აღნიშნულ ორგანოებში წარმოიქმნება ქვიშა და ქვები.

სხვათა შორის, კენჭოვანი დაავადების მკურნალობა წვენებითაც შეიძლება. მაგალითად, გაწურეთ ერთი ცალი ლიმონი, წვენი ჩაასხით ჩაის ჭიქაში და დაასხით მდუღარე წყალი ისე, რომ ჭიქა მთლიანად არ აივსოს და დალიეთ უზმოზე მთლიანად. საღამოსაც იგივე გააკეთეთ.

მთელი დღის განმავლობაში მიიღეთ 10 წილი სტაფილოს, 3 წილი კიტრისა და 3 წილი ხახვის წვენი. ქვების დაშლასა და მის გამოდევნას დასჭირდება ერთი კვირა. თუმცა, გააჩნია ქვის ზომასა და ქვიშის რაოდენობასაც.

თუ მკურნალობის დროს ტკივილი იგრძენით, ესე იგი, ქვები იშლება და ქვიშის გამოდევნის პროცესი დაიწყო. ამ დროს მიიღეთ სპაზმის მოსახსნელი და ტკივილგამაყუჩებელი აბები.

## რა დაავადებაა მონონუკლეოზი და რა სიმპტომები ახასიათებს მას

მონონუკლეოზი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც თან ახლავს ტემპერატურის მომატება, პერიფერიული ლიმფური კვანძების გადიდება, ღვიძლისა და ელენთის გადიდება, სახის შეშუპება. ის, თითქოს ჩვეულებრივ პათოლოგიას ჰგავს. ერთი შეხედვით, საოცრად ჰგავს ციტომეგალოვირუსულ, ადენოვირუსულ ინფექციებს, ჰეპატიტს, წითურას, მაგრამ რადიკალურად განსხვავდება მათგან.

დაავადების გამომწვევია ჰერპესვირუსთა ერთ-ერთი ვირუსი. ინფექციის წყაროა მონონუკლეოზით დაავადებული ყველა ადამიანი და ასევე, ვირუსის მატარებელი. დაავადება გადაეცემა კონტაქტური გზით, დაინფიცირებული საკვებითა და წყლით, სათამაშოებით, ვირუსით დაბინძურებული საგნების გამოყენებით და სხვა. ინფექციის გადატანის შემდეგ, ორგანიზმი იძენს მდგრად იმუნიტეტს, ანუ დაავადება აღარ მეორდება.

მისი ინკუბაციის პერიოდი ხუთი დღიდან ორმოცდაათ დღემდე გრძელდება. დაავადება მწვავედ იწყება. ავადმყოფს აღენიშნება მაღალი ტემპერატურა, ყლაპვის დროს ყელის ტკივილი, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, კისრის ლიმფური კვანძების გადიდება. ასევე, დაავადებიდან დაახლოებით მეოთხე დღეს, კვანძები დიდდება იღლიის ქვეშ, იდაყვის, საზარდულის არეში და სხვა მიდამოებში.

ინფექციური მონონუკლეოზის დროს ავადმყოფს აღენიშნება პირ-ხახის დაზიანება ტონზილოფარინგიტის სახით. ანთებითი ცვლილებები ვითარდება ნუშურა ჯირკვლებზე ანუ გლანდებზე. ზოგჯერ კი ძლიერი ანთებითი ცვლილებების გამო, ისინი მკვეთრად დიდდება და სუნთქვა ძნელდება. ამ დროს, ხახის უკანა ნაწილი წითელი და ნადებიანია. ასევე, ინფექციური მონონუკლეოზით დაავადებულ ადამიანს გადიდებული აქვს ელენთა და ღვიძლი. ღვიძლის დაზიანების გამო, შესაძლებელია, სიყვითლეც განვითარდეს. ავადმყოფს შეშუპებული აქვს ქუთუთოები, ტანზე უჩნდება სხვადასხვა სახის გამონაყარი. ინფექციური მონონუკლეოზი საკმაოდ მძიმე დაავადებაა და ის განსაკუთრებულ ყურადღებ-

ას საჭიროებს პირველივე ნიშნების გამოვლენისთანავე. პათოლოგია იშვიათად რთულდება, რასაც თან სდევს ელენთის გასკდომა, ზემო სასუნთქი გზების შევიწროება, მენინგიტი, ენცეფალიტი. ამის გამო აუცილებელია, მკურნალობის კურსის დროულად დაწყება, რათა სავალალო შედეგამდე არ მივიდეს ადამიანი.

### იკურნება თუ არა მენინგოკოკური ინფექცია

მენინგოკოკური ინფექცია საკმაოდ საშიში დაავადებაა. ინფექციის წყაროა ბაქტერიის მქონე დაავადებული ადამიანი. ბაქტერია ორგანიზმში ხვდება ცხვირ-ხახის გზით. ადამიანი ამას თავად ვერ გრძნობს. დაავადების შედარებით მარტივი გამოვლენაა ცხვირ-ხახის ფორმა, რომელიც ჩვეულებით გრიპს წააგავს, ამასთანავე, შეინიშნება ჩირქოვანი ნადები საყლაპავზე, ცხვირის, ხახის, ნუშურა ჯირკვლების შეშუპება და შეწითლება. ხშირად დაავადება ამით მთავრდება, ზოგჯერ კი ვითარდება გართულება, კერძოდ, სხეულის ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევს. არტერიული წნევა კი ჯერ იმატებს, შემდეგ კი მკვეთრად ეცემა. აღინიშნება ძლიერი თავის ტკივილი, პირის სიმშრალე, კუნთების ტკივილი, კიდურებზე შეინიშნება წითელი შეფერილობის, ამობურცული გამონაყარი. ხანდახან დაავადებას ერთვის ფილტვების, სახსრების, გულის კუნთის ანთება.

მენინგიტი ზოგჯერ ვითარდება ძლიერი თავის ტკივილით, მომატებული მგრძნობელობით სინათლის შუქზე, ხმაურზე, შეხებაზე და ასე შემდეგ. ეს სიცოცხლისთვის საშიში დაავადებაა, რადგან, თუ ავადმყოფს დროულად არ აღმოუჩინეთ დახმარება, შესაძლოა, დაავადება გართულდეს და განვითარდეს შოკი, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა ან ტვინის შეშუპება. დროული და ინტენსიური მკურნალობის შედეგად კი, ადამიანი დაახლოებით ორ-სამ კვირაში შეიძლება გამოჯანმრთელდეს.



ეს დაავადება განსაკუთრებით ბავშვებშია საშიში. თუ ბავშვს გამოჯანმრთელების შემდეგ ჩაუტარდება ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა და დადასტურდება, რომ ის არ არის ბაქტერიამატარებელი, გამოჯანმრთელებიდან დაახლოებით ერთ კვირაში, მასთან სხვა ბავშვის კონტაქტი აღარ არის საშიში. თუმცა, მასზე ფსიქონევროლოგიური მეთვალყურეობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ერთი-ორი წლის განმავლობაში.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: როგორ მკურნალობენ პაპილომა-ვირუსს, რომ მომავალში კიბო არ განვითარდეს?**

**პასუხი:** დაავადების უსიმპტომო მიმდინარეობის შემთხვევაში, მკურნალობა არ არის საჭირო. პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია: ფონური დაავადებების დროული დიაგნოსტიკა და კომპლექსური მკურნალობა (პაპ-ტესტი და კოლპოსკოპია); ჰორმონულ-მეტაბოლური სტატუსის აღდგენა; ეთიოტროპიული (ინფექციების) თერაპია; უკვე განვითარებული დაზიანებების მკურნალობა (კრიოდესტრუქცია, კონიზაცია, ექსციზიო).

**კითხვა: 78 წლის ქალბატონს აქვს საშვილოსნოს გამოვარდნა. თუ შეიძლება მდგომარეობის შემსუბუქება ოპერაციის გარეშე და რითია ეს შესაძლებელი? აქვს შარდვის პრობლემები და აწუხებს წელის ტკივილი.**

**პასუხი:** საშვილოსნოს დაწევისა და გამოვარდნის მკურნალობის რადიკალური და ეფექტური მეთოდია ქირურგიული ოპერაცია. ასაკოვან პაციენტებს ზოგჯერ ორგანოს კვეთენ. დღეს ფართოდ არის დანერგილი ნაკლებინვაზიური (ლაპარასკოპიული, ვაგინალური ანუ საშოსმხრივი) მეთოდები. საშოს გამოვარდნისას ამ უკანასკნელის კედლები მენჯის ფუძეზე ქვემოთ მდებარეობს. საშოს წინა კედელთან ერთად დაწევას განიცდის შარდის ბუშტი; უკანა კედლის დაწევას კი, ჩვეულებრივ, სწორი ნაწლავის წინა კედლის დაწევა ახლავს თან.

**კითხვა: მაინტერესებს ჩასახვიდან რამდენ დღეში აჩვენებს ტესტი პასუხს?**

**პასუხი:** ტესტი დაახლოებით 2 კვირის ორსულობას აჩვენებს და მისი ჩატარება სასურველია რიგითი მენსტრუალური ციკლის გადაცდენის მეორე-მესამე დღეს.

**კითხვა: რას ნიშნავს საშვილოსნოს ჰიპერტონუსი?**

**პასუხი:** საშვილოსნოს ჰიპერტონუსი, ანუ, საშვილოსნოს ტონუსის მომატება, ნიშნავს ამ ორგანოს ნაადრევ შეკუმშვებს, რომლებიც იწყება მშობიარობის მოსალოდნელ ვადაზე გაცილებით ადრე, ორსულობის ადრეულ პერიოდში. საშვილოსნოს ჰიპერტონუსი დამოუკიდებელი დაავადება არ არის, ის მიუთითებს ქალის ორგანიზმში არსებულ პათოლოგიურ მდგომარეობაზე, რომლის იგნორირება არ შეიძლება, რადგან, შესაძლოა, ორსულობის შეწყვეტის მიზეზიც გახდეს.

**კითხვა: არსებობს თუ არა მამაკაცებში ძუძუს კიბო? თუ არსებობს, რა სიმპტომები აქვს და რამდენად ხშირია?**

**პასუხი:** მამაკაცებში სარძევე ჯირკვლების კარცინომა ძალიან იშვიათად გვხვდება. ძირითადი სიმპტომი არის წარმონაქმნის გაჩენა ჯირკვალში. სიმსივნე, უმთავრესად, ლოკალიზებულია დვრილის არეში, არეოლის ქვეშ ან მიმდებარედ. ხშირად აღინიშნება სისხლიანი გამონადენი დვრილიდან. შორს წასულ შემთხვევაში აღინიშნება კანის დაწყლულება. იღლიისქვეშა მიდამოში სიმსივნის გავრცელებისას აღინიშნება იღლიის ფოსოში არსებული ლიმფური კვანძების გადიდება და გამკვრივება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### გამოდევნეთ ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებები

ორგანიზმი აუცილებლად ითხოვს გაწმენდას. თუ ის არ არის გაწმენდილი ტოქსინებისა და ნალექებისგან, ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნით. დაგროვილი ტოქსინებისა და ნალექებისგან ორგანიზმის გაწმენდის ბევრი ხალხური რეცეპტი არსებობს.

ერთი თვის განმავლობაში, ყოველ საღამოს, ერთ სუფრის კოვზ მოხარშულ და გატარებულ ხორბალს დაასხით ერთი ჭიქა კეფირი ან მაწონი და მიირთვით ძილის წინ.

ერთი კვირის განმავლობაში დაიცავით დიეტა – მიირთვით მხოლოდ წყალზე დამზადებული უცხიმო და მსუბუქი ბოსტნეულის სუპები, ხილი, წვენები, ბალახეული ჩაი და მინერალური წყალი.

მოიწყვეთ კვირაში ორჯერ განტვირთვის დღე. მიირთვით მხოლოდ ბოსტნეულის წვენები.

აფთიაქში იყიდეთ მინდვრის შვიტა და ორი კვირის განმავლობაში, დღეში ორჯერ, მისი ჩაი დალიეთ.

ყოველ დილით, დალიეთ ცივი წყალი, რომელშიც ლიმონის წვენს, ორ კოვზ ვაშლის ძმარსა და ერთ კოვზ თაფლს აურევთ.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ვინ დაუწვა წიგნები და დაუწყევლა ოჯახი ჯანსუღ ჩარკვიანს

*„ცხოვრება მიდის მასხრულად, მიმზერს სამარე პირღია, აღარც საფლავზე გავსულვარ, აღარც ცრემლები მიღვრია... სუყველაფერი წყალს მიაქვს, შხამი თაფლივით გამტკბარა, ჩემს დროსაც ყავლი გასვლია – ალბათ, სხვისი დრო დამდგარა.” – ყველას თავისი სიცოცხლის წიგნი აქვს. ჩემი წიგნი ხალხის მიერაა შექმნილი. მე სიჩუმით არასოდეს მიხმაურია. მთელი ჩემი სიცოცხლე ჩემს ხალხთან ერთად ვხმაურობდი და ვიბრძოდი ჩემი ხალხის თავისუფლებისათვის! რაც მთავარია, ვიარე სიყვარულის გზით, რამეთუ, კარგად ვიცი: ღმერთი სიყვარულია!“*

*სულ ახლახან, მწერალთა კავშირმა ჯანსუღ ჩარკვიანს სახალხო პოეტის, ხოლო ჭაბუა ამირეჯიბს სახალხო მწერლის წოდება მიანიჭა. ჩვენ დღეს ბატონი ჯანსუღის ცხოვრების დღიურებს გაგაცნობთ. ვფიქრობთ, მოგეწონებათ.*

### ალორძინებულ ზვიდონებს

რა გრძნობაა დიდი ბაბუობაო, – მკითხეს ერთხელ. ალბათ სიყვარულზე უფრო, სიამაყისა და წასვლის გრძნობაა. ვიღაცამ რომ მითხრას, მის შვილსაც მოესწარიო, ცოტა მეუხერხულება, იმიტომ რომ, ვთქვათ და, ჩამიარა გვერდით და ვერ მიცნო, მაშინ რას შვრები? ხომ აღარ შეიძლება, შვილიშვილის შვილი იცნო. ვერ იცნობ და, ამიტომ, აღარ უნდა იყო აქ. აი, შვილიშვილის გრძნობა უფრო სხვაა – მეტი სიახლოვეა, მეტი სიამაყეა, მეტი ურთიერთობაა... ამიტომ, იმდენად ვარ შეჩვეული ამ გრძნობას, რომ, არ ვნანობ. იმიტომ, რომ გენიალური ცხოვრება მაქვს განვლილი, გენიალური სიმდიდრით კი არა, ისეთი, სხვანაირი, ჯიგრიანი, სავსე ერთგულებით, სიმართლით, ბიჭობით, ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, თავის ჩხუბებით, ყოველმხრივ. მთელი თაობის ჭეშმარიტი ნაწილი იმ საქართველოშია, ზეციურში... ერთხელ, ცაგერში ვარ ჩასული, ჩემს ძველ, წინაპრების კუთხეში. ლადო ასათიანი ჰყავდა იმ კუთხეს, იცით, ალბათ. ჩავედი. ერთ ჩემს ამხანაგს მივემხრე – კენჭს იყრიდა პარლამენტში. გამოვიდა ვიღაც ძველი ზვიადისტი – თურმე, აღმოჩნდა, ისიც კენჭს იყრის. გამოვედი, რაღაც ჩემი ვთქვი. იმ მხარემ დამისტვინა. მოკლედ, ისეთი რაღაცები გააკეთეს, ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი... რა გაგიკეთებია ლეჩხუმისთვისო, – წერილიც მომივიდა. რა უნდა გავაკეთო, მე ვარ ჯანსუღ ჩარკვიანი. ისე, ერთხელ, ვეებერთელა ფული გადავრიცხე, მეწყერი რომ ჩამოწვა ლეჩხუმში და დავწერე ასეთი ლექსი ცაგერში – „ალორძინებულ ზვიდონებს” (იქ, მართლაც ალორძინებულია ეს ზვიდონები): რაო, რა ბრძანეთ, ლადო მიყვარსო, ლადოს აზრი და სიტყვა? როცა მოვკვდები, მეც შემიყვარეთ – თქვენ წასულები გიყვართ. რადგან შეხება არ გვაქვს სანთელთან, არა გვაქვს რწმენა მწირი, ამიტომ, წესი გახლავთ ქართველთა – ჯერ მოკლავს, მერე ტირის.” ქართველ კაცს რომ უყვარს მკვდარი პოეტი, მიცვალებული, ისე, ალბათ, მსოფლიოში არავის. ფილმი გადაიღეს ძალიან საინტერესო – „მარტოობის ორდენის კავალერი”. მაშინ რატომ ჰყავდათ მარტოდმარტო მიტოვებული გალაკტიონ ტაბიძე, ვიკითხოთ ახლა, რაშია საქმე, რატომ იყო მარტოობის ორდენი კავალერი?


ბ. მესერერი, ჭ. ამირეჯიბი, ჯ. ჩარკვიანი, ბ. ახმადულინა, ნ. დუმბაძე


ჯანსუღ ჩარკვიანი ნოდარ დუმბაძესთან და სხვა მეგობრებთან ერთად


ნოდარ დუმბაძე და მამა-შვილი – ჯანსუღ და თაკო ჩარკვიანები

### კარვის ქალები

აი, როგორც პირველი კოცნა, ისე დამამახსოვრდა ის სიბინძურე, როდესაც 1991 წელს ვერის ბაღში ჩემი წიგნები დაწვეს იმ ეგრეთ წოდებულმა „კარვის ქალებმა.“ ჩემს სიცოცხლეში ეს არ დამავიწყდება. არ შეიძლება, საქართველოს წიგნის დამწველი ჰყავდეს და ის ერი წიგნიერი იყოს. მეგობარმა მითხრა: არა უშავს, ჯანსუღ, იქ „ვეფხისტყაოსანიც“ დაწვესო. ამ გადასახედიდან ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ესე იგი, შენ ვიღაც ხარ, თორემ, ამას არასდროს გააკეთებდნენ. მთავარია, ის იფიქრო, ვინ გააკეთა შენთვის კარგი. ისე, შური ყველგან არის, მაგრამ, მისი განმარტება არსად მინახავს, გარდა სულხან-საბა ორბელიანისა – „შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“. მსოფლიოში ციხე ყველგან შიგნიდან ტყდება, მაგრამ, მხოლოდ ქართველსა აქვს ნათქვამი ეს – ციხე შიგნიდან ტყდებაო. არსად არ არის ნათქვამი – ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო, მხოლოდ ქართველმა თქვა... იმდენი უმადური კაცი მყოლია თურმე და, ახლა გავიგე, ამ სიბერეში. ახლა მეუბნებიან: ბიჭო, შენ არ იცოდი, ეგ რა „ახვარი“ იყოო? არ ვიცოდი, ბატონო, რა ვიცოდი? იმას არ გთხოვ, მადლობა გადამიხადე-მეთქი, მაგრამ, უბედურებაში ნუ მიხდი. თურმე, გძულდი და არ ვიცოდი; თამაშობდი, რომ გიყვარდი.




ჯანსუღ ჩარკვიანი ცოლ-შვილთან ერთად

### არა ჭამო, ჯანსუღ...

... ნოდარ დუმბაძემ, ჩემმა დიდმა მეგობარმა, ერთ-ერთ რაიონში პედაგოგებს შეატყობინა – ჯანსუღ ჩარკვიანს შეხვედრა უნდა მოვუწყოთო. ჩავედით და, გზაზე რომ მივდივართ, ვხედავ, სულ ყვავილებს მიფენენ. მივდივარ და თან ჩემთვის ვამბობ გულში: „არა ჭამო, ჯანსუღ.“ ამ დროს ვიღაც სახელოში მწვდა: „არ დაიჯერო, ჯანუკი, ბიჭო.“ გავოცდი, რა... გავიდა მართლაც დრო, ათი წელი. დღესაც კი მაქვს იმ მასწავლებელი ქალის წერილი შენახული. მე ამისთანა წყევლა ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია. შვილიშვილებს მიწყევლიდა. სულ ვფიქრობდი ჩემთვის, როდის იყო ეს ქალი მართალი. ახლა, რა თქმა უნდა, და არა მაშინ, როცა გზაზე ყვავილებს მიფენდა და ლამაზი სიტყვებით მამკობდა.

### ასათიანის № 10...

...ძილში ტელეფონის ხმა ჩამესმა... სხვა გზა არ მქონდა და გავიღვიძე. საათს დავხედე – ოთხი საათი იყო... ალბათ, უჭირს ვიღაცას, ძალიან უჭირს... ზარი არ წყდება. ავიღე ყურმილი, ხოლო იქიდან ვიღაცამ სამჯერ ჩამძახა: „ფხუკ, ფხუკ, ფხუკ...“ ისე კი, როგორ უნდა უყვარდე კაცს, რომ, შენი გულისთვის სამი ფხუკის გამო, ღამის ოთხ საათზე ადგეს და ცხოველურად „მოგეფეროს“?! დიდი ფხუკიანი კაცია ვიღაცაა, დიდი ფხუკიანი... მეორე დღეს ერთმა ქალბატონმა დამირეკა და საიდუმლოდ გამანდო: თქვენ რომ კაცი გირეკავთ და ტელეფონში ფხუკუნებს, ის კაცი ასათიანის ათ ნომერში ცხოვრობსო... მე სულმა წამძლია და გავიკითხე ასათიანის ათი ნომერი. კანონზომიერი საოცრება შევიტყვე – ასათიანის ათ ნომერში საცხოვრებელი სახლი არაა, ასათიანის ათ ნომერში მოთავსებულია რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო...


ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი

### ზამბახსაც გალღვიძებოდა...

პირველი ლექსი ლენინს საბჭოთა პოეტებიდან გალაკტიონ ტაბიძემ უძღვნა, მაგრამ, გალაკტიონს სულ ფეხებზე ეკიდა ლენინი, უბრალოდ, გზას უკვალავდა თავის გენიალურ პოეზიას. გეფიცებით, სტალინელი არ ვარ, მაგრამ, ისტორიას ვცემ პატივს. ერთხელ, პარიზში ვარ და ფრანგებს ვთხოვე, ნაპოლეონის საფლავი მაჩვენეთ-მეთქი. სადღაც დიდ დარბაზში შევედით, რამდენიმე საფეხურით ზემოთ ამიყვანეს. ვფიქრობ – სად ავყავარ, ამ კიბეების თავზე დამარხეს-მეთქი? თურმე, ზემოთ უნდა ახვიდე, ქედი უნდა მოიხარო და იქიდან უნდა გადახედო საფლავს – აი, ფრანგი და ნაპოლეონი! რა, ვინმეზე ნაკლები დიქტატორი იყო?! – აი, ეს ვერ გავიგე. იქნებ, იმ კუთხიდან შევხედოთ სტალინს: „ზამბახსაც გალღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა...“ ან – ილიას თვალით. თუ გენიოსი იყო, ხომ უნდა თქვა, რომ გენიოსი იყო?! ლენინი რატომ ჰყავთ იქ, რა, შენი სტალინი იქ არ იყო?!

## შენ ვერა ხარ კარგად...

... ქალთა სკოლას ლექსებს ვუწერდი და იქიდან ვილაც მპასუხობდა. ეს გოგო ირმა ჩხეიძე აღმოჩნდა, მერე ერთმანეთი გავიცანით. ისეთი სიყვარული გაჩნდა... ოთხი წელი დავდიოდით. უგანათლებულესი გოგო იყო, მაგრამ, მარტო განათლება რომ ჰქონოდა, არ მომეწონებოდა. ისე მოვაწერეთ ხელი, მის მშობლებს არ გაუგიათ. მამამისმა რომ გაიგო, გაუხარდა; დედამისს, რატომღაც, არ მოვწონდი. ჩემებმაც არაფერი იცოდნენ. ხელი სოლოლაკში, ჯაფარიძის ქუჩაზე, ჩემს სახლთან ახლოს მოვაწერეთ. იქიდან რომ გამოვედით, დედაჩემს დავუძახე. დედაჩემმაც გამოიხედა ფანჯრიდან – რა იყოო. ცოლი მოვიყვანე-მეთქი. შენ ვერა ხარ კარგადო, მითხრა. მერე მკითხა – რა გვარიაო. ჩხეიძე-მეთქი. ამოიყვანე, ამოიყვანეო, – გადმომძახა... პირველი მამუკა დაიბადა. ზღვაზე ვიყავით დასასვენებლად. მითხრეს, იქნებ, ბათუმში ჩაიყვანო ცოლი, ჩარკვიანია მთავარი ექიმი სამშობიაროშიო. წავედით. დამხვდა ჩარკვიანი. რა გინდაო, – მკითხა. ბიჭი-მეთქი. წადი, შენს ძმაკაცებთან ერთად, გაიარ-გამოიარე და, რომ მოხვალ, ბიჭს დაგახვედრებო. წავედი და, მართლაც, რომ მივედი, ოთხი საათისთვის, მამუკა დამხვდა დაბადებული. რვა წლის შემდეგ თაკო გაჩნდა. ძალიან გამიხარდა გოგოს დაბადება. ჩემი მეუღლის დედის სახელი დავარქვით. მე და ჩემს შვილებს ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა გვქონდა.



ჯანსუღ ჩარკვიანი შვილთან ერთად



ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და გურამ სალარაძე მეგობართან ერთად



ჯანსუღ ჩარკვიანი ნოდარ დუმბაძესთან და სხვა მეგობრებთან ერთად

***

„ჯანსუღ ჩარკვიანი აუხირდა ნოდარ დუმბაძეს – არ შეიძლება ყველა გურული ენამოსწრებული იყოს, ეს შენ აგდის ხუმრობა ხელზე და მერე გურულებს აბრალებო... ერთხელაც, მიიპატიჟა გურიაში ნოდარმა სტუმრად ჯანსული. ჩაასხეს პოეტის „ჟიგულიში" ბენზინი და წამოვიდნენ ხიდისთავისკენ. გამოსცდნენ დაფნარს და მათი თავგადასავალიც საჯავახოს გადასახვევიდან დაიწყო, სადაც გურული გლეხი დაემგზავრათ ჩოხატაურამდე. ვერ იცნო გლეხმა ვერც ერთი და ზის უკანა სავარძელზე თავისთვის, წყნარად. ჯანსული ენას არ აჩერებს, ხუმრობს და დროდადრო ნოდარს გადახედავს ირონიულად – ესეც შენი ენაკვიმატი გურულებიო! მერე გაეცნო გლეხს – პოეტი ვარო და თავისი ახალი ლექსების პატარა ბროშურა აჩუქა. გურულმა გადმოაბრუნა და ბოლო გვერდზე გადაშალა, იქ, სადაც წიგნებს ფასი აწერია ხოლმე. პატარა ბროშურა იყო და ფასიც პატარა ჰქონდა – 15 კაპიკი. გურულს გაეცინა და პირველად ამოიღო ხმა: „ცარიელი რვეული 20 კაპიკი ღირს, ბიძია, და, რას წერ ამფერს, შენი წიგნი 5 კაპიკით ნაკლები რომაა?!" ხმა აღარ ამოუღია ჯანსულს. ის კი არა, ისე ინერვიულა, გზაზე არხეინად მიმავალ გოჭს დაეჯახა და სული გააფრთხობინა. გააჩერეს მანქანა, მიიხედ-მოიხედეს და კაციშვილის ჭაჭანება არაა გზაზე. ახადეს მანქანას საბარგული და, ის იყო, გოჭი უნდა ჩაედოთ შიგ, რომ მაღალი მთის კალთაზე დაკიდებულ ყანაში მომუშავე გლეხმა გადმოსძახა: „ნოდარა, ბიჯო, არ მითხრა, ახლა, საავადმყოფოში მიგყავს მაი გოჭი! დადევი მაქანე და მასტუმრე მაი ხალხი!.."



ჯანსუღ ჩარკვიანი – რედაქტორი

**ეკა პატარაია**





**ავი თვალის არსებობის უძველესი დროიდან სჯეროდათ. ცნობილი ექიმი და მათემატიკოსი ავიცენა წერდა, რომ ხშირად სული სხვა სხეულზე მოქმედებს, მაგალითად, ავი თვალის ზემოქმედებითო. მართალია, დაიჯერებთ თუ არა მის არსებობას, ეს მხოლოდ თქვენი საქმეა, მაგრამ, ფაქტია, რომ ავი თვალის მაგია არსებობს. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეზოთერიკოსს, ქალბატონ ნელის, რომელმაც მეტად დასაფიქრებელი და თავის დასაცავი საინტერესო რჩევები და რეკომენდაციები მოგვაწოდა.**

# როგორ უნდა მიხვდეთ, ხართ თუ არა გათვალული და რა სიმპტომები ახასიათებს თვალით მოჯადოებულ ადამიანს

**ნელი**: მაგიაში გათვალვა შედარებით მსუბუქი ზემოქმედების სახეა, მაგრამ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მას ბოროტების მოტანა არ შეუძლია. პირიქით, შესაძლოა, ეს სერიოზული დაავადების მიზეზიც კი გახდეს. გათვალვის ფუძე ენერგეტიკაში უნდა ვეძებოთ. უკანასკნელ ხანს, როდესაც ბიოენერგიის მეცნიერულად შესწავლა დაიწყო, ბევრი მაგიური მოვლენა, რომელიც მისტიკურ საბურველში იყო გახვეული, სრულიად ახალი სახით წარმოჩინდა. ხალხური გადმოცემით, საკმარისია ავი მზერა, რომ ადამიანი „აილებს თვალს," მაგრამ, სინამდვილეში თვალი, როგორც ორგანო, არაფერ შუაშია. ადამიანის შინაგანი ბიოენერგია გამოსხივდება კიდურებით, მაგრამ, ყველაზე ძლიერად ის თვალის საშუალებით მოქმედებს. ამ დროს თვალები, ასე ვთქვათ, გამტარების ფუნქციას ასრულებს. თვალი მინიმალური დანაკარგებით გამოასხივებს დადებითად ან უარყოფითად დამუხტული ენერგიის კონცენტრირებულ სხივებს.

**– ესე იგი, დამუხტვა ადამიანის შინაგან მდგომარეობაზეა დამოკიდებული?**

– შინაგანი განწყობა შესაბამისად მოდულირდება ენერგეტიკულ დამცავ გარსზე, გავლენას ახდენს აურაზე და აბჯარში ჩნდება ნახვრეტები, რომლებიც საერთო ენერგეტიკულ ველსაც არღვევს. უარყოფითი ენერგეტიკული ველი ორგანიზმამდე აღწევს. მაგალითად, ამ არხებით კარგად სარგებლობენ ენერგოვამპირები – ისინი ორგანიზმიდან ან მისი ცალკეული ორგანოებიდან ქაჩავენ ენერგიას, შედეგი კი ცნობილია – დაავადებები, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარება. დარღვეული ბიოველი დაავადებების სათავე ნამდვილად ხდება. ორგანიზმი ცდილობს თავდაცვას და ეგრეთ წოდებული აბჯრის აღდგენას, რაც ხშირად ორგანიზმის შინაგანი რეზერვების ხარჯზე მიმდინარეობს, რაც მის გამოფიტვასა და დაავადებას იწვევს. ადამიანმა შეიძლება, არაერთი ენერგეტიკული ნახვრეტი ატაროს თავისი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ, ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმათთვის, ვინც გარკვეულ მდგომარეობას მიაღწიეს საზოგადოებაში. ისინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან და მათკენ მუდმივადაა მიმართული მოშურნეთა მზერა, ეს კი სამუდამოდ აჩნდება მათ ბიოველს და მძიმე დაავადებების მიზეზი ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენერგეტიკული „ისრები" ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს. თუ ადამიანს ძლიერი და ინტენსიური ბიოველი აქვს, მასზე „ისრები" გავლენას ვერ ახდენს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც კოსმოსიდან მიღებულ ენერგიას, ასე ვთქვათ, სუფთა სახით აგროვებენ ორგანიზმში და გადასცემენ.

**– შინაგანად სუფთა, კეთილი და სათნო ადამიანიც ხდება გათვალვის მსხვერპლი?**

– შინაგანი ძალა და სუფთა ბიოველი მას ასეთი თავდასხმებისგან კარგად და საიმედოდ იცავს. ამიტომ, თუ შეამჩნევთ, რომ გათვალვის მსხვერპლი გახდით, გადახედეთ საკუთარ მორალურ მხარეს და შესაბამისი კორექტივები შეიტანეთ თქვენს ცხოვრებაში. თუ აღმოაჩინეთ, რომ რამეს სწორად არ აკეთებთ და თქვენვე შეცვლით მას, ამით ძალიან ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან. ყველაზე ხშირად გათვალვის მსხვერპლი ქალები და ბავშვები ხდებიან. საერთოდ, ქალები, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით მგრძნობიარენი არიან და მათზე ზემოქმედებაც უფრო ადვილია. გათვალვისთვის სულაც არ არის აუცილებელი უშუალო კონტაქტი, ის, შესაძლოა, ფოტოსურათზე ზემოქმედებით, ფიქრის ძალის დახმარებით, ან, თუნდაც, ტელეფონით საუბრის დროს მოხდეს.

**– როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, გათვალულია თუ არა?**

– დაახლოებით ერთი ან ორი წუთის განმავლობაში ხელში გამხმარი პურის გული დაიჭირეთ და შემდეგ წყალში ჩააგდეთ. თუ პური ერთი-ორი წუთის შემდეგ ჩაიძირა, სუსტი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებით. ამ მეთოდით ბავშვების დიაგნოსტიკაც შეიძლება: დააჭერინეთ ხელში გამხმარი პურის გული და შემდეგ იგივე გაამეორებინეთ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. თუ აღმოაჩენთ, რომ ბავშვი ზემოქმედების ქვეშაა, აუცილებლად მონათლეთ, თუ არ არის მონათლული. ამის შემდეგ მისი ბიოველი საგრძნობლად გაძლიერდება და დაცულიც იქნება. თუ ბავშვი მონათლულია, ამ შემთხვევაში, სხვა საშუალებების გამოყენებაა საჭირო. ყველაზე ხშირად უარყოფითი ენერგია შარდისა და ოფლის სახით გამოდის ორგანიზმიდან. ამიტომ, ბავშვის ოფლიანი და შარდიანი ტანსაცმელი აუცილებლად უნდა გამოხარშოთ და დიდხანს გაფინოთ მზეზე. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შელოცვებს. შელოცვები, ფაქტობრივად, ვიბრაციაა, რომელიც რეზონანსში მოდის ადამიანის ბიოველთან და მის გააქტიურებას იწვევს.

**ყველაზე ხშირად გათვალვის მსხვერპლი ქალები და ბავშვები ხდებიან**

**– ცნობილია, რომ ესა თუ ის ნივთი ავი თვალისაგან იცავს ადამიანს. დღესაც, ცრუმორწმუნე მშობლები მოუნათლავ ბავშვებს ქინძისთავს ამაგრებენ ტანსაცმელზე; სახლის შესასვლელთან ცხენის ნალს კიდებენ ბოროტი თვალისგან დასაცავად... ეს თუა გამართლებული და თუ გვიცავს ბოროტი თვალისგან?**

– გეტყვით რომ, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იმ დაავადებათა სიაც კი იყო შედგენილი, რომლებსაც ავი თვალი იწვევდა. ზრდასრულებში ეს იყო: სიგამხდრე, სიმსივნეები, დამბლა, კრუნჩხვა, მელანქოლია, სიბრმავე, ეპილეფსიური შეტევები; ბავშვებში კი – უძილობა, გულისრევა, თავის ტკივილი, შიშები, უმადობა. ასეთ დროს ადამიანს ხშირად ეცვლებოდა სახის ფერი, ეწყებოდა მუცლის ტკივილი, ხელები უოფლიანდებოდა. ბავშვს კი გათვალვის ნიშნებს მაშინ ატყობდნენ, თუ ის მოულოდნელად გაფითრდებოდა, პულსი აუჩქარდებოდა, სიცხეს აუწევდა და გაოფლიანდებოდა. ხშირად მეკითხებიან: ვიცით რომ ბოროტ თვალს ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია და, როგორ გამოვიცნოთ ავი თვალი და რა მეთოდებით დავიცვათ მისგან თავიო. მოკლედ, სხვადასხვა ხალხს, უძველესი დროიდან, სხვადასხვა ნიშანი გააჩნდა ავთვალიან ადამიანთა გამოსაცნობად. ხშირად ასეთ ნიშნებს მიაწერდნენ წითურებს, ელამ ადამიანს, ფიზიკური დეფექტის მქონეებს, მეტისმეტად შავთვალა ან თვალებგადმოკარკლულებს. არადა, ცნობილია, რომ გათვალვა და ახლობლებისთვის ზიანის მიყენება ნებისმიერს შეუძლია, თანაც, ხშირად თითქმის გაუცნობიერებლად. უფრო მეტიც, ასეთ დროს ადამიანი ვერც კი ხვდება, როგორ საფრთხეს უქმნის გარშემო მყოფთ.

**– ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ავი თვალისგან თავის დაცვა შეუძლებელია?**

– სულაც არა. თუ გეჩვენებათ, რომ თქვენს ნაცნობებს შორის ვინმეს ავი თვალი აქვს, ან რკინას უნდა მოჰკიდოთ ხელი, ან თითები გადააჯვარედინოთ. როგორც ცნობილია, მაგები ამბობდნენ, ზოგიერთი ნივთი ამ მხრივ განსაკუთრებულ დამცავ ფუნქციებს ატარებსო. მაგალითად: დანა, ხანჯალი, ცული, ბოქლომი, ლურსმანი, ნემსი და ასე შემდეგ. ამიტომ არის, რომ, თუნდაც გასალები ფართოდ გამოიყენებოდა ეტრუსკებსა და ძველ ეგვიპტელებში როგორც თილისმა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თილისმა კი ნალია, რომელიც ძველთაგანვე ქალის სასქესო ორგანოს სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ის ავი თვალისა და ბოროტებისგან იცავდა ოჯახს.

**ნონა დათეშიძე**

## წინ, დასახული მიზნისკენ!

არსებობენ ქალები, რომლებიც ცხოვრობენ პრინციპით: „ვთქვი და გავაკეთე!“ ამას ხმამაღლა კი არ ამბობენ, უბრალოდ, იციან, რომ სხვანაირად ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევენ. ნუ გგონიათ, რომ ამ ტიპის ქალები რამე ჯადოსნურ ძალას ან უნარს ფლობენ. უბრალოდ, შეუძლიათ, დაისახონ კონკრეტული მიზანი და სწორად შეარჩიონ მისკენ მისასვლელი გზა. ასევე, მზად არიან შეცდომებისთვისაც – არ აშინებთ ისინი და, სჯერათ, რომ გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს. თუკი მოინდომებთ, თქვენც ისწავლით ამ ყველაფერს. მთავარია, გადახედოთ თქვენს ცხოვრებას, გააანალიზოთ ის და გაარკვიოთ, რა გაკლიათ. იქნებ, სულ ტყუილად ნერვიულობთ და პანიკობთ?! იქნებ, თქვენ სულ რამდენიმე ნაბიჯი გაქვთ გადასადგმელი და წარმატებაც აღარ დააყოვნებს?!

დაიწყეთ იმით, რომ კარგად გააცნობიერეთ, ყველა თქვენი წამოწყება წარმატებული ვერ იქნება. ანუ, სწორად განსაზღვრეთ თქვენი შესაძლებლობები და პრიორიტეტები. თუ მღერით და სმენა გაქვთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოპერის მომღერლის კარიერას გაიკეთებთ. გაცილებით რეალური ვარიანტია, დაიკლოთ წონაში – თუ ეს გჭირდებათ, ან გახდეთ უფრო მოდური და თანამედროვე; გათხოვდეთ, თუკი ამისი სურვილი გაქვთ, ან იშოვოთ უკეთესი სამსახური – ერთი სიტყვით, არ დაიკრიფოთ გულხელი, არ ინერვიულოთ სხვების წარმატებებზე და იმოქმედეთ...

## ბრძენი არ ხმაურობს

ბრძენი ცოლი ყოველთვის მოგებულიაო, – ამბობენ. თუ ქალი სკანდალებს არ აწყობს, ან, ძალიან იშვიათად აწყობს, ქმრისთვის სასურველ პარტნიორად დარჩება. მაგრამ, სათქმელად ადვილია – სკანდალი არ მოაწყოთ, მით უფრო მაშინ, როცა ემოციური, მგრძნობიარე და გადაღლილი ხართ – შეიძლება, ნებისმიერ მომენტში „აფეთქდეთ“.

თუმცა, ამერიკელი ფსიქოლოგები მაინც გვირჩევენ, რომ ყველაფერი მხოლოდ სუსტ სქესზეა დამოკიდებული და მხოლოდ ქალს შეუძლია, ჩააქროს კონფლიქტი, სანამ ის ძალიან გამწვავდება.

ყველაფერს აქვს მნიშვნელობა – მიმიკას, ჟესტებს, საუბრის, ჩხუბის მანერასა და ტონს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ, ის წყვილები, სადაც ქალი ჩხუბის დროსაც კი ახერხებს, იყოს დიპლომატიური, არ ამცირებს ქმარს შეურაცხმყოფელი სიტყვებით, არ დასცინის მას, არ ეხება მის თავმოყვარეობას გაცილებით სწრაფად ახერხებენ კონფლიქტის ლიკვიდაციას. ქალს აქვს ნიჭი, სკანდალი პატარა წვრილმანიდანაც მოაწყოს. მაგრამ, თუ გამოიჩენს გონიერებას და შეძლებს საკუთარი თავის, ემოციების მოთოკვას, მხოლოდ მოგებული დარჩება.

სხვათა შორის, ჩხუბში ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, როგორ იქცევა ამ დროს ქმარი. კაცის რბილი, დამთმობი ხასიათი ოჯახში სტაბილურობის გარანტი ვერასოდეს იქნება.

## რწმენა ყველაფერია!

წელიწადი იწურება. შეიძლება, თქვენ მასზე უფრო დიდ იმედებს ამყარებდით და ისე არ გაგიმართლათ, მაგრამ, არასოდეს დაკარგოთ რწმენა იმისა, რომ ხვალ ყველაფერი უკეთ იქნება. დაიწყეთ იმით, რომ იყავით გულახდილები საკუთარ თავთან. მაგალითად, რა უფრო გინდათ – გახდეთ ჭეშმარიტად წარმატებული თუ, ვიღაცას დაუმტკიცოთ, რომ ძალიან მაგარი ხართ? პრინციპში, არც ეს სურვილია დანაშაული – რატომაც არა?! მაგრამ, რომ გამოგივიდეთ, უნდა გაითვალისწინოთ ერთი პატარა დეტალი – ფსიქოლოგიური განწყობა, რწმენა საკუთარი ეფექტურობისა. იმისთვის, რომ ეს რწმენა გაამყაროთ, დროდადრო დაუბრუნდით საქმეს, რომელიც კარგად გამოგდიოდათ. სულერთია, რა იქნება ეს, თუნდაც კულინარია იყოს. მთავარია, შექება დაიმსახუროთ და საკუთარი თავი თავადვე მოგეწონოთ, მერე უკვე აღარც ახალი წამოწყებისთვის გაგიჭირდებათ ხელის მოკიდება.

არავითარი ილუზიები – თუ ოცნებებში ძალიან მაღლა გაფრინდებით, შედეგად იმას მიიღებთ, რომ რეალობას დიდი ხნით მოსწყდებით, ეს კი საქმეს არ გამოადგება. სასწრაფოდ მოიხსენით ვარდისფერი სათვალე და, კი არ შეინახოთ, გადააგდეთ. მერე კი ნელნელა ყველაფერი აეწყობა, მთავარია, გახსოვდეთ – რწმენა ყველაფერია!

## ფანატიზმის გარეშე

დევიზი – „არ დანებდე არასოდეს“ – ლამაზად და ღირსეულად ჟღერს. კეითლშობილებაა, როცა უკან არ იხევ, მაგრამ, ჭკვიანი ადამიანი არასდროს შეეჯახება ერთსა და იმავე ბარიერს. მეტისმეტმა სიჯიუტემ – და ეს სწორედ რომ სიჯიუტეა – შეიძლება, სერიოზული ზიანიც მოგაყენოთ.

თუკი მიზანი, რომელიც დაისახეთ, თქვენგან ბევრ მსხვერპლს მოითხოვს, ნუ მოებლაუჭებით მას გაафთრებით. სალი აზრი აუცილებლად გიკარნახებთ: „საკმარისია, უნდა გავჩერდე!“ – და დაუჯერეთ მას.

იცით ჭეშმარიტება – ვინც გონიერია, ის თმობსო? ეს სიმართლეზე მეტია. კაპიტულაციას ზოგჯერ გაცილებით მეტი ვაჟკაცობა სჭირდება, ვიდრე მიზნისკენ სწრაფვას. მიზანი აკვიატებულ იდეად არ უნდა გექცეთ. დაფიქრდით, განა ასეთი მნიშვნელოვანია ის თქვენთვის?!

ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ, ის, ვისაც აქვს უნარი, დროულად თქვას უარი მიზანზე, რომელიც მის ინტერესებში არ შედის, მოითხოვს აბსოლუტურ თავგანწირვას და ფუჭ შრომას, მალე ხდება წარმატებული; ნაკლებად აწუხებს სტრესები და დეპრესია; გამოირჩევა ხალასი ბუნებით, კარგი ჯანმრთელობით, შესანიშნავი კომუნიკაციითა და ადამიანების მოხიბვლის ნიჭით. ხოლო, თუ ასეთი ადამიანი ქალია, ვერც ერთი მამაკაცი მას გულგრილად ვერ ჩაუვლის...

## კონკრეტული ნაბიჯები

მარტო იმის თქმა, რომ „მე მინდა“ – საქმეს წინ ვერ წაწევს და ვერც ვერაფერ ღირებულს შეგაქმნევინებთ. წინსვლას აქვს ეტაპები, რომლებიც ზუსტად უნდა განსაზღვროთ.

იფიქრეთ წინასწარ, რა სიძნელეები შეიძლება შეგექმნათ ცხოვრებაში და საიდან შეიძლება ელოდეთ „დარტყმას“, რომელიც ხელს შეგიშლით დასახული მიზნების განხ-



ორციელებაში. ყოველთვის გქონდეთ სათადარიგო ვერსია. უნდა იცოდეთ, როგორი რეაქცია გექნებათ პრობლემებზე, შეფერხებებზე, ვინმეს აგრესიაზე, შურზე... ანუ, საკუთარ თავს უნდა იცნობდეთ.

გახსოვდეთ, ძალიან იღბლიანები მხოლოდ ერთგულები არიან, რომლებსაც ყოველთვის ყველაფერში უმართლებთ. ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანებისთვის მარცხი გარდაუვალია. ნუ შეეცდებით, ყველა საქმეში იბრწყინოთ და ყველაფერი ხელის ერთი აქნევით გამოგივიდეთ. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ისაუბრეთ საკუთარ თავთან და უთხარით მას: თუკი დაიღლები, აუცილებლად გავჩერდები და დავისვენებ. პატარა, ხანმოკლე ტაიმ-აუტები, უბრალოდ, აუცილებელია! ამით გაუფრთხილდებით ნერვებს და ახლებურად შეაფასებთ სიტუაციას, რომელიც, შესაძლოა, სულაც აღარ აღმოჩნდეს ისეთი უიმედო, როგორიც ერთი შეხედვით გეჩვენებოდათ!

გონივრულად გათვალეთ თქვენი ძალები და აღიჭურვეთ მოთმინებით – ეს უკვე კონკრეტული ნაბიჯებია ბედნიერებისკენ!

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# სამარხვო დიეტა

ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ მარხვის პერიოდში ზოგი საგრძნობლად იმატებს წონაში. ეს რომ არ მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მარხვა არ ნიშნავს მხოლოდ ცხოველური საკვების ამოღებას რაციონიდან; მარხულობის დროს ადამიანმა უნდა მიიღოს მცენარეული საკვები მცირე რაოდენობით. ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, არ უნდა გაძღეს, თუნდაც ხილით ან ბოსტნეულით, რადგან, ნაყროვანება უკვე აღარ ითვლება მარხვად.

მივსდიოთ ამ პრინციპს და დავარეგულიროთ როგორც ყოველდღიური კვების რეჟიმი, ისე თითოეული ულუფის შემადგენლობა და რაოდენობა.



მარხვის პერიოდში უნდა იკვებოთ დღეში 5-6-ჯერ. ბოლო კვება არ უნდა გადასცილდეს საღამოს 19 საათს. თითოეული ულუფა (სითხის გარდა) არ უნდა აღემატებოდეს 200 გრამს. მთლიანად ამოიღეთ მენიუდან თუნდაც სამარხვო პურფუნთუშეული, მაიონეზი და მსუყე კერძები. ხილი და ბოსტნეული მიიღეთ უმი, მოხარშული ან მოთუთქული სახით. ბურღულეული მოამზადეთ წყალზე (მცირეოდენი ზეთითა და მარილით, ან – თაფლით). პურის ნაცვლად მიირთვით „ხლებცის“ ფირფიტები (თითო კვებაზე თითო ცალი) ან დიეტური პურის თითო პატარა ნაჭერი.

რადგან წვნიანის გარეშე, შეიძლება, კუჭნაწლავის მოქმედება დაგერღვეთ, მოამზადეთ (უცხიმოდ) სამარხვო ბორში, ვერმიშელიანი ან მუხუდოს სუპი (თითო ჯერზე 2 ჩამჩა).

თუ ბრინჯიან ან კარტოფილიან კერძს მოიმზადებთ, კარტოფილი გაფცქვენით, დაჭერით და ნახევარი საათის განმავლობაში დადგით გამდინარე წყლის ქვეშ; ბრინჯი კი რამდენჯერმე გარეცხეთ, დაასხით მდუღარე წყალი, ნახევარი საათი ასე გააჩერეთ და შემდეგ კიდევ გარეცხეთ ორ-სამჯერ. ამ მეთოდით, ორივე პროდუქტს მაქსიმალურად გამოაცლით სახამებელს.

მოერიდეთ შემწვარ-მოხრაკულ, სუნელებიან ან წიწაკიან კერძებს.

რაც შეეხება სითხეს, როგორც წესი, დღის განმავლობაში უნდა დალიოთ 2 ლიტრი წყალი, გაზგასული მინერალური და ხილისა და ბოსტნეულის ახალგამოწურული (უშაქრო და უმარილო) წვენები. აუცილებელია დღეში ერთხელ 1 ჭიქა ტომატის წვენი დალიოთ (2 სავსე ჩაის კოვზი ტომატ-პასტა გახსენით 1 ჩაის ჭიქა ოთახის ტემპერატურის წყალში) – ის ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნასა და ცხიმების წვას.

ცხიმების აქტიუროი მტერია გრეიპფრუტი და ანანასი. ამიტომ, თუ გაქვთ საშუალება, მიირთვით დღეში ერთხელ მაინც.

რაც შეეხება სალათებს, შეიძლება ითქვას, რომ „კარტ ბლანში“ გაქვთ, ოღონდ, შეგახსენებთ: მაიონეზის გარეშე.

თუ ამ წესებს სრულიად დაიცავთ, შობის დღესასწაულს ვალმოხდილი და ლამაზ ფორმაში შეხვდებით.

წარმატებებს გისურვებთ!

# საჭირო რჩევები

* ლიფტინგის ეფექტს ჩვეულებრივი კიტრით შეგიძლიათ, მიაღწიოთ: დაჭერით ის რგოლებად, წამოწექით და მთელ სახეზე მჭიდროდ დაიფინეთ 10-15 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი წაისვით თქვენი მკვებავი (კიტრის რგოლების მოშორების შემდეგ არ ჩამოიბანოთ).

* სპეციალური ჩხირით ნუნების შეწევა გაგიადვილებთ, თუ გაიკეთებთ შემდეგ აბაზანას: ერთად ათქვიფეთ 2 სადილის კოვზი ანანასის წვენი და 1 კვერცხის გული, ამ ნარევში ჩაყავით ხელები და 5-10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

* თუ ქუთუთოებისთვის მუქი „ჩრდილი“ გამოგელიათ, შეგიძლიათ, ის წარბების ფანქრით შეცვალოთ.

* თუ გსურთ, რომ თმა ძალიან არ გაგიცხიმიანდეთ, თმის ნიღაბი შეიზილეთ მხოლოდ ძირებში და 15 წუთზე მეტხანს არ გაიჩეროთ. შემდეგ კი ჩამოიბანეთ ათქვეფილი კვერცხის გულით და წყალში გაზავებული ძმრით.

* რუჟის („რუმიანა“) ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ კრემის კონსისტენციის მქონე ტუჩის საცხი (თანაბრად რომ წაისვათ, „სპინჟი“ გამოიყენეთ).

* კრემ-პუდრის ალტერნატივად შეგიძლიათ გამოიყენოთ მაკიაჟის ქვეშ წასასმელი ბაზა, რომელიც დღის კრემში იქნება შერეული.

* ხელების, ასევე, როგორც სახის პილინგი, უნდა გაიკეთოთ რეგულარულად, ოღონდ, არასდროს გამოიყენოთ უხეში სკრაბი. შეგიძლიათ, მჭადის ფქვილში ან დაფქულ „ჰერკულესში“ შეურიოთ გვირილის ნახარში, ლიმონის წვენი და ცოტაოდენი ზეითუნის



ზეთი (უნდა მიიღოთ ჭადის ცომზე ოდნავ თხელი მასა) და ამ ნარევით გაიკეთოთ პილინგი.

* დეკოლტეს ზონაში კანი ყველაზე ნაზია. ამიტომ, უნდა გამოიყენოთ ძალიან რბილი სკრაბი, რომ კანი არ დაგეკაწროთ.

* შედარებით უხეში სკრაბი (მაგალითად, ხილის დაფქული კურკები ან თხილისა და კაკლის დაფქული ნაჭუჭი) უნდა გამოიყენოთ იდაყვების, მუხლებისა და ქუსლების პილინგის შემთხვევაში.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რა შეიძლება, გამოვიყენო სახის კანის მატონიზებელ საშუალებად და როდის უნდა წავისვა?**

**პასუხი:** მატონიზებელ საშუალებად შეგიძლიათ, გამოიყენოთ ედელვაისის, ვარდის ან გვირილის ექსტრაქტის შემცველი ტონიკი ან ლოსიონი. მასში დასველებული ბამბის ტამპონით სახე კარგად გაიწმინდეთ. დილით – მაკიაჟის წასმის წინ და საღამოს – მაკიაჟის მოხსნის პროცედურის შემდეგ. მატონიზებელ საშუალებას რომ წაისვამთ, სახე არ ჩამოიბანოთ, აცადეთ, კანზე შეგაშრეთ და მხოლოდ ამის მერე გაიკეთეთ მაკიაჟი (დილით), ან წაისვით მკვებავი კრემი (საღამოს).

**კითხვა: გამიგია, რომ კანისთვის კარგია საფუარის ნიღაბი. თუ შეიძლება, მასწავლეთ, როგორ დავამზადო სახლში და, საერთოდ, როგორი ტიპის კანს უხდება ის?**

**პასუხი:** საფუარის ნიღაბი რეკომენდებულია ნორმალური ტიპის კანისთვის. 50 გრამ საფუარს დაასხით 2 სადილის კოვზი მდუღარე წყალი, ცოტა ხანს გააჩერეთ და მერე კარგად ასრისეთ. შეურიეთ 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, ისევ კარგად აურიეთ და წაისვით სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით თქვენი მკვებავი.

**კითხვა: შეიძლება თუ არა სახის მასაჟი თვითონ გავიკეთო და, საერთოდ, რა წესების დაცვაა აუცილებელი მასაჟის დროს?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეიძლება, თვითონ გაიკეთოთ მასაჟი, მაგრამ, ეს არ იქნება სრულყოფილი პროცედურა.

სახის მასაჟის გაკეთების დროს უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

1. არ შეეხოთ ქუთუთოებს.

2. ქუთუთოების შეშუპების შემთხვევაში, მასაჟის დროს, დახუჭულ თვალებზე დაიდეთ გვირილის ან ცაცხვის ნახარშში დასველებული და ოდნავ გაწურული ბამბის ტამპონები.

3. არ შეჭმუხნოთ სახე, განსაკუთრებით კი მასაჟის კეთების პროცესში და მის შემდეგაც.

4. მასაჟის გაკეთების შემდეგ 15-20 წუთი წამოწექით ან სავარძელში ჩაჯექით და თავი საზურგეზე გადაწიეთ.



**კითხვა: რა შემცველობის უნდა იყოს თვალის გელი?**

**პასუხი:** სასურველია, თვალის გელში შედიოდეს: გლუკოზა, A და E ვიტამინები, ოხრახუშის ექსტრაქტი. არ გამოიყენოთ კრემები, რომლებშიც შედის ლანოლინი, რადგან, შესაძლოა, კანი შეგიშუპდეთ და გაგიწითლდეთ.

**მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ**

# რა თქვა სტალინმა „საიდუმლო სერობაზე“, სადაც მეფის ოჯახს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს



დოკუმენტი, რომლის ასლიც არ არსებობს 1918 წლის 16 ივლისის პოლიტბიუროს სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერია. „საიდუმლო სერობა“ მეფის ოჯახის ბედზე სამსჯავროდ შეიკრიბა იმ დღეს კრემლში. ზოგიერთი ჭორის თანახმად, რომელსაც ტროცკისტული ბლოკის დაქირავებული აგენტები ავრცელებდნენ, მეფის ოჯახის ამოწყვეტა სტალინს ჰბრალდება, რაც მტკნარი სიცრუეა და მას ეს სტენოგრაფიული ჩანაწერი აქარწყლებს. 1918 წლის 16 ივლისს, საღამოს 16 საათზე, კრემლში პოლიტბიუროს დახურული სხდომა გაიმართა, რომელზეც ყველა წევრი არ ყოფილა მიწვეული. მას ესწრებოდნენ – ლენინი, სტალინი, ტროცკი, ორჯონიკიძე, კიროვი, სვერდლოვი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, ტომსკი და კომისარი გოლოშჩოკინი, რომელსაც სპეციალური მოხსენება უნდა წაეკითხა მეფის ოჯახის მდგომარეობის შესახებ და საერთოდ, მის ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე. სხდომის სტენოგრამას ლენინის მდივანი, ელენა სტასოვა წერდა. სხდომა ლენინმა გახსნა და ორწუთიან გამოსვლაში აღნიშნა, რომ: „ამხანაგმა გოლოშჩოკინმა კომისარ ბელობლორდოვის საიდუმლო ტელეგრამა წარმოადგინა, სადაც წერია, რომ ეკატერინბურგი 3 დღეში დაეცემა და შესაძლებელია, მეფის ოჯახის დახსნა, რაც ჩვენ ზედმეტ პრობლემებს შეგვიქმნის“. შემდეგ სიტყვა გოლოშჩოკინმა აიღო, რომელმაც ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა და დაასკვნა, უახლოეს დროში თეთრგვარდიელები ფრონტს გაარღვევენო და წინადადება შემოიტანა, პოლიტბიუროს მეფის ოჯახის დახვრეტის ბრძანება დაემტკიცებინა. შემდეგ, ჯერ ტროცკი გამოვიდა, რომელსაც ორჯონიკიძე და სვერდლოვი მიჰყვნენ. დანარჩენებმა თავი რომ შეიკავეს გამოსვლისგან, სიტყვა კვლავ ლენინმა აიღო და ეს საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. უდავო იყო, რომ პოლიტბიურო დახვრეტის ვერდიქტს გამოიტანდა. უეცრად სტალინი ფეხზე წამოდგა, სიტყვა ითხოვა და დასტური რომ მიიღო, დაიწყო: „ამხანაგებო, უპირველესად, ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა მთლიანად სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის (ტროცკის) კისერზეა. თუმცა, ჩემი ინფორმაციებით, ეკატერინბურგში არცთუ ისე საგანგაშო მდგომარეობაა სამხედრო თვალსაზრისით. თუ მაინცდამაინც საჭიროება მოითხოვს, შეგვიძლია, იქ საგანგებო რაზმი გავაგზავნოთ და მეფის ოჯახი აქეთ გადმოვიყვანოთ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ უკიდურესი ზომების. ეს ჩვენ პოლიტიკურ დივიდენდებს არ შეგვმატებს საერთაშორისო წრეებში და არც ისტორია გვაპატიებს ასეთ სისასტიკეს. მე გთხოვთ, ყველა კარგად დაფიქრდეთ, აწონ-დაწონოთ ეს წინადადება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ გადაწყვეტილება. ვიმეორებ, მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ მათი განადგურების და ეს ნაბიჯი რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც კი, წინ დაუხვდებათ ჩვენს მემკვიდრეებს“. ტროცკიმ, სტალინის ბოლო ფრაზაზე ირონიულად გაიცინა და შხამიანი რეპლიკა ისროლა: „წლების შემდეგ როგორ გეგმავთ მოვლენებს, როდესაც სიტუაცია ყოველ საათში იცვლებაო“. სტალინს პასუხი არ გაუცია და ლენინს შესვენება სთხოვა. 19.00 საათზე შესვენება გამოცხადდა და ლენინმა ყველას მოუწოდა, ერთ საათში ისევ შეკრებილიყვნენ. ამასობაში სტალინი ორჯონიკიძესა და კიროვს შეუერთდა, რომლებიც გაცხარებული საუბრობდნენ და მათთან ერთად კრემლის ოვალური სასადილოსკენ გაემართა. მოგვიანებით, სტალინის მდივანი, ბაჟანოვი ყვებოდა: „მე მოპირდაპირე მაგიდასთან ვიჯექი და თვალს არ ვაშორებდი სტალინის, კიროვისა და ორჯონიკიძის საუბარს. სტალინი, მისთვის უჩვეულო ემოციურობით ლაპარაკობდა და რაღაცას უმტკიცებდა მათ. ისინი კი უხმოდ უსმენდნენ“. როგორც ეტყობა, სტალინმა ბოლომდე ვერ დაარწმუნა ისინი, მაგრამ კიროვსა და ორჯონიკიძეს დახვრეტის ვერდიქტზე ხელი არ მოუწერიათ და კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს. სხდომა, ლენინის მაგიერ, ტროცკიმ განაახლა და ეტყობოდა, ეს შეთანხმებულად მოხდა, რადგან, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლენინს არ სურდა, ამ სასტიკ პროექტს მისი სახელი დარქმეოდა. სინამდვილეში, ლენინის იდეა იყო მეფის ოჯახის ამოწყვეტა, რაც მისი შურისძიების (ძმის გამო) პროგრამის ბოლო აკორდს წარმოადგენდა. როგორც ეტყობა, შესვენებაზე ტროცკიმ და ლენინმა მოქმედების ახალი ტაქტიკა შეიმუშავეს. მეორე სხდომაზე, რომელიც 6 საათს გაგრძელდა, ტროცკიმ 7-ჯერ აიღო სიტყვა, ლენინმა – 4-ჯერ, კამენევმა, ზინოვიევმა და ტომსკიმ – 2-2-ჯერ, ხოლო სტალინმა, რომელიც კვლავ ბოლოს გამოვიდა, მხოლოდ ერთხელ. უკვე ღამის პირველი საათი იყო, სხდომის მონაწილეები რომ დაიშალნენ, 3 საათზე კი ისევ შეიკრიბნენ. სხდომა კვლავ ტროცკიმ განაახლა, რომელმაც თქვა: „კომისარ ბელობორდოვისგან რამდენიმე წუთის წინ ტელეგრამა მოვიდა, რომელსაც ახლავე წაგიკითხავთ. შემდეგ მან ქაღალდი გაშალა და ტექსტის კითხვა დაიწყო: „თეთრგვარდიელთა ცალკეული შენაერთები ქალაქის მისადგომებთან იმყოფებიან და წუთი-წუთზე მათ დამხმარე ძალები შეუერთდებიან. ჩვენ სისხლისგან ვიცლებით, უნარი აღარ შეგვწევს, მათი ზეწოლა შევაჩეროთ და ნება დაგვრთეთ, საგანგებო ბრძანება შევასრულოთ“. საგანგებო ბრძანება მეფის ოჯახის ლიკვიდაციას ნიშნავდა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოყვანილიყო სისრულეში. ტროცკის გამოსვლის შემდეგ პაუზა ჩამოვარდა. ყველა დუმდა, მათ შორის ტროცკიც და სტალინიც, ხოლო ლენინი, რომელიც აქეთ-იქით იყურებოდა, წამოდგა და თქვა: „მეფე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაუვარდეს ხელში თეთრგვარდიელებს. ეს ჩვენს რევოლუციურ მონაპოვარს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. თქვენ რევოლუციის რაინდები ხართ და ისტორიული პასუხისმგებლობა გაკისრიათ. მოგიწოდებთ, ნუ გაექცევით ამ პასუხისმგებლობას და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეთ“. ეს, ფაქტობრივად, მეფის ოჯახის წინააღმდეგ სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა, რაც კენჭისყრისას აისახა. ათიდან შვიდმა სასიკვდილო განაჩენს მისცა ხმა, ორმა თავი შეიკავა და მხოლოდ სტალინი იყო წინააღმდეგი. კენჭისყრა ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო დასრულებული, რომ გოლოშჩოკინი შიფროგრამის ტექსტს გადასცემდა სააპარატოდან, რომელშიც ეწერა: „დაუყოვნებლივ მოიყვანეთ მოქმედებაში საგანგებო ბრძანება, რომელიც პოლიტბიურომ დაამტკიცა 17.07.1918.06 სთ“. სხდომის მონაწილეები რამდენიმე წუთში დაიშალნენ და თავიანთ კაბინეტებსა და საცხოვრებელ ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ. სტალინი, ორჯონიკიძე და კიროვი კი სტალინის კაბინეტში აგრძელებდნენ საუბარს, რომელსაც ასე იხსენებდა ორჯონიკიძე: „სტალინი მძიმე ნაბიჯებით დადიოდა კაბინეტში და განუწყვეტლივ ეწეოდა. ოთახში საშინელი ბოლი დადგა, თუმცა ისეთი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავით, რომ ფანჯრის გაღება არც ერთს არ გაგვხსენებია. კობა შეჩერდა, ჩიბუხი პირიდან გამოიღო და თქვა: „ლენინი შეცდა, მას ეს არ უნდა ექნა, რადგან ახლა ჩვენი შიდა და გარე მტრები ორმაგად გაიზრდება. ჩვენ კი სასტიკი ბრძოლების გადატანა მოგვიწევს. ძალიან დიდი მსხვერპლი იქნება და ეს უშუალოდ მისი (ლენინის) და იმ დანარჩენების კისერზე იქნება, ვინც ეს უაზრობა გააფორმა. მათ ვერ შეუგნიათ, რომ სისხლი საუკუნეების ქარტეხილებზე გადადის და სანამ სამაგიეროს არ მიიღებს, არ დაოკდება“. სტალინი მე მომმართავდა. მივხვდი, რომ ის სისხლის აღების დიდ მასშტაბებს გულისხმობდა, რაც სულ რამდენიმე კვირაში ისეთი სისასტიკით გაჩაღდა, რომ კიდით-კიდემდე მოიცვა ეს უზარმაზარი ქვეყანა“.

ორჯონიკიძე სამოქალაქო ომს გულისხმობდა, რომელმაც მილიონობით სიცოცხლე შეიწირა და რამდენჯერმე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მარცხის პირასაც იდგა ამ ომში, რადგან იმხელა რკალი შეიქმნა მის გარშემო, რომ მისი დაცვა და გაძლება მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის ადამიანს შეეძლო, ისეთს, როგორიც სტალინი იყო. ტროცკი, ბუხარინი, კამენევი, სხვები და თვით ლენინიც კი, იუდენიჩის შემოტევის წინ, უკან დახევას და პეტროგრადის დატოვებას აპირებდნენ. რომ არა სტალინის ურყევი ნება, პეტროგრადი დაეცემოდა, რასაც მთელი რუსეთის დაცემა, საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება და ბურჟუაზიის აღდგენა მოჰყვებოდა. ერთ-ერთ სამხედრო თათბირზე, რომელზეც ტროცკი სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებს განიხილავდა, მან პეტერბურგის დათმობის იდეა წამოაყენა, რასაც ლენინიც დაეთანხმა და სხვა წევრებიც მზად იყვნენ საამისოდ. მაშინ სტალინი ფეხზე წამოიჭრა, რაც მისთვის უჩვეულო იყო და ძალზე უხეშად გააწყვეტინა სიტყვა ტროცკის: „გაიხსენეთ 17 ივლისი, იმდროინდელი ატმოსფერო და იმ გადასახედიდან შეხედეთ დღევანდელ სიტუაციას. მაშინ ეს დამღუპველი გადაწყვეტილება რომ არ მიგველო, შიდა ფრონტზე ბრძოლა მნიშვნელოვნად გაგვიადვილდებოდა. კარგი, რაც იყო, იყო... ამას უკვე ველარ ვუშველით, მაგრამ დღესაც რომ იგივეს იმეორებთ და კვლავ ისტორიის სასწორზე აგდებთ რევოლუციის ბედს, ეს უკვე კატასტროფის ტოლფასი შეიძლება გახდეს. უკვე მეორედ მოგიწოდებთ, რომ მედგრად დავდგეთ და ვიმეორებ, მეორე შეცდომას უკვე ნამდვილად აღარ გვაპატიებს ისტორია. თუკი მაინც არ გაჭრის ჩემი არგუმენტები და რევოლუციური სამხედრო საბჭო დედლურ პოზიციას დაიკავებს, მე პოლიტბიუროს დავტოვებ, ყველა თანამდებობიდან გადავდგები და რიგით მეომრად წავალ პეტროგრადის დასაცავად. დარწმუნებული ვარ, მისი დაცემა რევოლუციური დროშის დაცემას გამოიწვევს, რაც ჩვენი კატასტროფით დასრულდება“. სტალინის ამ უჩვეულო ემოციურმა სიტყვამ მონუსხა ძველი ბოლშევიკები და ყველამ ერთხმად მისცა ხმა პეტროგრადის დაცვას. ზინოვიევმა წინადადება შეიტანა, რომ ეს საქმე უშუალოდ სტალინისთვის ჩაებარებინათ და ტროცკისთვის სადავეები ჩამოერთმიათ. თუმცა, იმავდროულად, ტროცკი სამხედრო საქმეთა კომისრად რჩებოდა. ამ წინადადებასაც ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, მათ შორის ტროცკიმაც და იქვე გადასცა ქალაქის დაცვის უფლებამოსილება. სულ რამდენიმე დღეში ქალაქზე სასტიკი, მრავალმხრივი იერიში განხორციელდა, მაგრამ სტალინმა წარმატებით დაიცვა ის და რამდენიმე კვირაში საპასუხო იერიშზე გადავიდა.

**ნიკა ლაშაური**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ სურნელს ანიჭებენ უპირატესობას კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები

***კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს თავისი საყვარელი სურნელი აქვს, უფრო სწორად, ასტროლოგიურად, სურნელის დამახასიათებელი გემოვნება. თუ თქვენი საყვარელი ადამიანისთვის სუნამოს შერჩევა გსურთ, უნდა იცოდეთ, როგორი არომატი შეურჩიოთ, რომ კმაყოფილი დარჩეს. ასე რომ, ეგრეთ წოდებული „პარფიუმერიული გემოვნება“ ნებისმიერი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანისთვის განსხვავებულია და ამის ცოდნა აუცილებელია. სხვათა შორის, კუროს, ლომის, მორიელისა და მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ამჯობინებენ, მდგრადი სურნელის პარფიუმერიას, რომელიც არ ქრება გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც. ვერძის, კირჩხიბის, თხის რქისა და სასწორის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები კი მეორე ადამიანს აფასებენ მისი სურნელის შეგრძნების პირველივე შთაბეჭდილებით; ტყუპები, ქალწულები, მშვილდოსნები და თევზები კი ამჯობინებენ, ისეთი სუნამო დაისხან, მათი ქუჩაში გავლის შემდეგ რომ კვალს ტოვებს და სხვებისთვის მკვეთრად შესამჩნევია.***

**ვერძის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს მკვეთრი სურნელი უყვართ. ხშირად უპირატესობას, სპორტულ ხაზს ანიჭებენ. მათთვის არომატში მთავარია იმპულსი და ინდივიდუალობა. ვერძს სუნამო გარშემო მყოფებისგან უნდა გამოარჩევდეს, რათა ყველამ შეიგრძნოს მისი სურნელი და დაინახოს, რა განსხვავებული, ქალური, ძლიერი და, იმავდროულად, ნაზი არსებაა მათ წინაშე.

**კუროს** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს მოტკბო სურნელი უყვართ. უპირატესობას ანიჭებენ ყვავილების, ხილის არომატსა და ბალახების კომპოზიციას. ხშირად იციან ამოჩემება და რომელიღაც ერთ არომატს ვერ ელევიან. ასტროლოგიურად ისინი „ტკბილი” ადამიანების სიაში არიან. ასევე, იზიდავთ, ვანილისა და პუდრის სურნელი.

**ტყუპების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები ტყის, ბალახის, სოიოს სურნელს ამჯობინებენ და ხშირად იცვლიან სუნამოებს. ამ მხრივ ერთფეროვნება მათ აღიზიანებთ. ძირითადად, აფასებენ ახალგაზრდულ და მოდურ ბრენდებს. ყოველთის იციან, რა დროს რა იპკურონ, რომ გარემოებებსაც მოერგონ და გარშემო მყოფებიც არ გააღიზიანონ თავისი პარფიუმერიით.

**კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული სუნამოს არჩევისას განწყობაზეა ორიენტირებული. ამიტომ, არასდროს იცის, რა არომატი სურს. ცვალებადი გემოვნების გამო, მას ბევრი პარფიუმერიის შეძენა უწევს. თუმცა, უპირატესობას მაინც ბუნებრივ, სადა, მინდვრის ყვავილების არომატს ანიჭებს.

**ლომის** ნიშნის ქვეშ დაბადებულიები სუნამოსა და სხვა პარფიუმერიული ნაწარმის არჩევისას კაპრიზულები არიან. ყოველთვის უნდათ რაღაც განსხვავებული, ძვირფასი და დახვეწილი. ცდილობენ, არომატის მაგიური ძალით მოხიბლონ გარშემო მყოფები და ამით შეუქმნან შთაბეჭდილება. ასე რომ, თუ მათთვის საჩუქრად გადაწყვეტთ სუნამოს ან ნებისმიერი პარფიუმერიული ნაწარმის შეძენას, ყურადღება გაამახვილეთ ფასსა და მის მოდურობაზე.

**ქალწულები**, პირველ ყოვლისა, საკუთარი სხეულის სისუფთავეზე ზრუნავენ. კოსმეტიკითა და სუნამოთი ისინი საკმაოდ დელიკატურად სარგებლობენ, რადგან უპირატესობას სუფთა სხეულს ანიჭებენ. თუ მისთვის საჩუქრად გადაწყვეტთ პარფიუმერიის შერჩევას, გირჩევთ, უპირატესობა ნაზად შესაგრძნობ არომატს მიანიჭოთ.

**სასწორები** დიდ ყურადღებას ანიჭებენ სილამაზესა და გარეგნობას. უყვართ ზომიერების დაცვა და ცდილობენ, საკუთარი სუნამოს სურნელით არ გააღიზიანონ სხვები. უპირატესობას ანიჭებენ მშვიდ, მსუბუქ და დახვეწილ სურნელს. თუმცა, მისი შერჩევისას, ასევე, უნდა გაითვალისწინოთ პარფიუმის ფასი და მოდურობა.

**მორიელის** ნიშნით დაბადებულებს ისეთი სუნამო უნდა შეურჩიოთ, რომელიც ხაზს გაუსვამს მის სექსუალურობას, მიმზიდველობასა და პიროვნულობას, რადგან ის ცდილობს, გარშემო მყოფები თავისი არომაგიის მახეში გააბას. ამიტომაც არ იშურებენ ფულს ისეთი პარფიუმერიის შესაძენად, რომლითად, ფარულად და მომაჯადოებლად იმოქმედებს სხვებზე. ასე რომ, ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულს უნდა შეურჩიოთ უჩვეულო, მისტიკური პარფიუმი, რომელიც, აღმოსავლური არომატით გაჯერებული, ერთდროულად გამჭოლიც იქნება და ტკბილიც.

**მშვილდოსნებს** უყვართ სუნამოების ხშირი ცვლა, თუმცა ეს სულაც არ მეტყველებს მათ მერყევ ხასიათზე. უბრალოდ, მიაჩნიათ, რომ ერთი და იგივე სურნელი მომაბეზრებელია. უპირატესობას ანიჭებენ ცნობილ ბრენდებსა და პრესტიჟულ პარფიუმს. უყვართ ბევრი სუნამოს დასხმა, რომ ამით ყურადღება მიიპყრონ. ყოველთვის მზად არიან, თავის სხეულზე გამოსცადონ ახალი სურნელი. ასე რომ, შეგიძლიათ, მისთვის შეარჩიოთ როგორც ტკბილი, ასევე, გრილი არომატის სუნამო და მიუძღვნათ საჩუქრად.

**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები დიდ ყურადღებას აქცევენ ისეთ სურნელს, რომლითაც კიდევ უფრო გამოიკვეთება მათი ქალურობა. უყვართ კლასიკური ბრენდები და არომატები; არ უყვართ სუნამოების ცვლა და, თუ თავისი არომატი აღმოაჩინეს, შესაძლოა, დიდხანს ვეღარც შეელიონ. უყვართ როგორც ტკბილი, ისე ზღვის სურნელის კოსმეტიკა და პარფიუმერია.

**მერწყულები** ხშირად იცვლიან გემოვნებას და უყვართ მსუყე, მძიმე არომატები. ყურადღებით აკვირდებიან მოდის ტენდენციებს, ყოველთვის იციან რა სურნელია მოდაში და სწორედ ამის მიხედვით ირჩევენ პარფიუმერიულ ნაწარმს. ასევე, უყვართ ექსპერიმენტები და, შეუძლიათ, დღის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა არომატის სუნამო იპკურონ.

**თევზები** ისეთ სურნელს ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც მათ სინაზესა და სისუსტეს უსვამს ხაზს. ამით ისინი ადვილად აბამენ მახეში საპირისპირო სქესს. უყვართ ტკბილი, ყვავილოვანი, ნაზი და რბილი არომატი. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები ხშირად იცვლის გემოვნებას და შეუძლიათ, ისეთი სუნამოც იპკურონ, მოდაში რომ აღარ არის, მოძველებულია, მაგრამ, ტკბილ, რომანტიკულ მოგონებებს აღძრავს მათში. უმეტესად კი, იმ სურნელს ანიჭებენ უპირატესობას, რომელსაც რეკლამა უკეთდება და მისი ბრენდი საკმაოდ ცნობილი და მოდურია.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1988 წლის 31 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე. რა არის ჩემი კარმული მისია და რომელი პროფესია იქნება ჩემთვის წარმატებული? ასევე, მაინტერესებს, რომელ ქვეყანაში ცხოვრებაა ჩემთვის მიზანშეწონილი?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისიაა, იყოთ აქტიური, ენერგიული. შეგეძლოთ საკუთარ თავზე ინიციატივის აღება, ლიდერული თვისებების წარმოჩენა, უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთების გამოვლენა. იმავდროულად, დაეყრდენით ინტუიციას და დაიცავით საკუთარი საიდუმლო. იყავით ოპტიმისტი, დაეყრდენით კეთილშობილებას, ცოდნის ბაზას, გამოცდილებას, კომუნიკაბელურობას – ეს თქვენთვის წარმატების მომტანიცაა და კარმულ-კოსმიური მისიაც. უცხოეთში თქვენ ბევრი პრობლემა და ბარიერი გელით. თუმცა, თუ ორგანიზებულობასა და დისციპლინას გამოავლენთ, იქნებით შეუპოვარი და მომთმენი, მაშინ, შესაძლოა, ეს ბარიერები და წინაღობები გადალახოთ. ქვეყნებიდან კარგია: ინგლისი, დანია, სირია; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ალასკა, ავსტრალია, შვედეთი, ვენესუელა, ყაზახეთი, ვიეტნამის აღმოსავლეთი მხარე, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, რუსეთიდან – მოსკოვი. პროფესიებიდან კი კარგია და წარმატების მომტანი: სპორტი, მანქანათმშენებლობა, მანქანების დიზაინი ან ბიზნესი, საინჟინრო სფერო, სამეცნიერო-კვლევითი სფერო, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო-საგამომგონებლო სფერო, საავიაციო ბიზნესი ან შემოქმედება, სამაშველო საქმიანობა, ხელოვნების ფართო სპექტრი, სამხედრო სტრუქტურები; მედიცინის სფერო ცოტა რთულია, თუმცა, თუ შემართებას გამოიჩენთ, შესაძლოა, წარმატებას მიაღწიოთ.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

20 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

21 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

17 დეკემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„რეპეტიციის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: ზურა ბეგალიშვილი, ქეთა შათირიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

20 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

21-22 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„დოდოს მოლოდინში"** - პრემიერა - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ვატო ჯულელი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

17 დეკემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 5 - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

17 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

18 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

20 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მშვენიერი ქართველი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

21 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

22 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 4სთ.;*

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164 ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

17-18-19 დეკემბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 19.00 - **„ჩიტის მოტანილი ამბავი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ანა ნიკოლაშვილი, ნანა შონია, დარეჯან ჯოჯუა, ვახტანგ ახალაძე, ვანო დუგლაძე, სოსო ხვედელიძე; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

20 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ანდერგრაუნდი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, რამაზ იოსელიანი, ბექა ჯუმუტია, ნიკა წერედიანი, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ვანო დუგლაძე, გუგა კახიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

21 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„თავისუფალი წყვილი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, პაატა ბარათაშვილი, ვანო დუგლაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„7 პ.პ"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: გიორგი ყიფშიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

19 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

20 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დარიუშ ეზერსკი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

21 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

22 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90**

21-22 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„სიყვარულისთვის"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), ქორეოგრაფი: თინათინ ქოიავა; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 293-11-06**

21 დეკემბერი, **შაბათი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22 დეკემბერი, **კვირა** 12.00, 14.00 - **„ზღაპარი სალთან მეფეზე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარი კიტია, მიხეილ არჯევანიძე, კარინა ყენია, სოფო ლომჯარია, აპოლონ კუბლაშვილი, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37 ტელ.: 99-63-14**

17 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„პრიმანჭული"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

20 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„დანკოს გული"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კირა მებუკე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.*

## ორშაბათი 16 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"ვერცხლის ტბის განძი"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.05 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 21.00 თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" 22.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" 00.00 მხ/ფ **"ლამაზი ანტონიო"**.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ფულთან თამაში 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) 23.30 – სასწრაფო დახმარება 00.30 მხ/ფ **"ფლამანდიური დაფა"** 02.20 სერ. **"ლიკვიდაცია"** 1 სერ.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.**"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 ნიჭიერი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 შიშის ფაქტორი 02.00 მხ/ფ 04.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 მხ/ფ **"მეტიჩარა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 კვირიაკე 12.10 დოკ/ფ "მარბენალი" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.00 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 16.55 დოკ/ფ "ველური ბუნება" 17.20 დოკ/ფ "სულიკო კოროშინაძე" 18.10 ქართული მულტფილმი 18.20 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 დოკ/ფ "ჭუნირი" 19.35 მხ/ფ **"დედუნა"** 20.40 ძილი ნებისა 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ "ფთილა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 მულტფილმი სონიკ-ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) 12.40 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ.) 14.30 "მონიტორის გამოძიება" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.25, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "მდუმარენი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები".

## სამშაბათი 17 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 14.00 მხ/ფ **"პროფესიონალი" პროფესიონალებს შორის"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.15 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 23.30 მხ/ფ **"ჯულიან პო"** (კ. სლეიტერი) 01.00 დ/ფ " იაოს წელიწადი" I II ნაწილი.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 02.55 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 იმედის გმირები 15.15 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ახალი ქართული ხმა 21.50 ახალი ქართული ხმა (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"მოჩვენებების ქალაქი"** 02.10 სერ. **"ლიკვიდაცია"** 2 სერ.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.**"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 დოკ/ფ "ჭუნირი" 06.30 სპექტაკლი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.10 მხ/ფ **"დედუნა"** 13.10 დოკ/ფ "ფთილა" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10, 18.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 განთიადის სტუმარი 15.50 კონცერტი-დები გოგოჭურები 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ/ფ **"ქორწილი"**,**"ქოლგა"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.30 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 წმინდა დიდმოწამე ბარბარე 23.25 ჩვენი ფონდი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 მულტფილმი სონიკ-ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) 12.50, 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.25, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "მდუმარენი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**16 – 22 დეკემბერი**

*დარბაზი 1*

11.30, 13.40, 15.40, 17.50, 20.00, 22.30 - **„მრ. ძიძა“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 16.00, 18.00 - **„გივი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.15 - **„მანდარინები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 17.30, 20.00, 22.30 - **„ქერი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

15.00 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში“**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.15 - **„ბოლოჯერ ვეგასში“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.30, 19.30, 22.30 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში“**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 13.50, 15.50, 17.50 - **„ინდაურები“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

19.50, 22.30 - **„ბოლოჯერ ვეგასში“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი“**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 13.50 - **„ინდაურები“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

15.50, 17.50, 20.00, 22.30 - **„მრ. ძიძა“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.05 - **„მრ. ძიძა“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.05, 18.05 - **„ინდაურები“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ბოლოჯერ ვეგასში“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.30, 16.00, 19.15, 22.30 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში“**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ჰამბურგული









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამამდე ღორის რბილი ხორცი, 1 ლიტრი წყალი, 300 გრამი მწვანე ლობიო, 1 ცალი მოზრდილი, ოდნავ მჟავე მსხალი, დაფნის ფოთოლი, სუნელები, მარილი, შავი პილპილი, სურნელოვანი პილპილის ბურთულები, ოხრახუში, გარნირად – მოხარშული კარტოფილი.

**მომზადების წესი:** ხორცი მოათავსეთ მდუღარე მარილწყალში და ხარშეთ საშუალო ცეცხლზე 30 წუთის განმავლობაში. დაკონსერვებული ლობიო წამოადუღეთ და დაწურეთ. მსხალი გათალეთ, გაჭერით ოთხად და მოაშორეთ კურკები. ხორცში ჩაამატეთ ლობიო, დაფნის ფოთოლი, სუნელი, პილპილი და ხარშეთ კიდევ 30 წუთი. ბოლო ათი წუთი მათთან ერთად უნდა მოხარშოთ მსხალიც (ანუ, უნდა ჩაამატოთ კერძში მეოცე წუთზე). ხორცი ამოიღეთ ქვაბიდან, დაჭერით წვრილად, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ხორცის ნაჭრები ისევ ჩააბრუნეთ ქვაბში და მოათავსეთ ლობიოსა და მსხლის ზემოდან. ფანტასტიკური ბულიონია, უჩვეულოდ არომატული გემოთი.

მიირთვით მოხარშულ კარტოფილთან ერთად. ზემოდან მოაყარეთ მსხვილად დაჭრილი ოხრახუში.

# გამომცხვარი ხეკი







**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი ხეკი, 6 ჩაის კოვზი არაჟანი, 2 ჩაის კოვზი მაიონეზი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 2 ჩაის კოვზი ლიმონი, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 2 სადილის კოვზი საფანელი, 0,5 ჩაის კოვზი შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ხეკი დაჭერით ულუფებად. სათითაოდ წაუსვით პილპილი და მარილი. ერთმანეთში აურიეთ მაიონეზი, არაჟანი, მდოგვი და ლიმონის წვენი, ეს სოუსი მოასხით ნაჭრებად დაჭრილ თევზს და მოათავსეთ მაცივარში 1 საათის განმავლობაში. გამოიღეთ, გადმოალაგეთ ფოლგაზე და ზემოდან მოაფრქვიეთ საფანელი. დააწყვეთ ტაფაზე და 20 წუთის განმავლობაში აცხვეთ 200 გრადუს ტემპერატურაზე.

# ონა
## კრემი

## ძირითადი უპირატესობები

### კრემი

- მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა მოკლე დროში
  ინარჩუნებს კრემის მოცულობას
- "ონა კრემი" ინარჩუნებს ხილის
- და ვანილის ბუნებრივ არომატს

ასევე აუმჯობესებს და აძლიერებს მათ განსაკუტრებულ გემოს

### ორცხობილები

- უზრუნველყოფს შენახვის ხანგრძლივ ვადას და უნარჩუნებს ნამცხვრებს პირვანდელ სახეს
- "ონა კრემის" მეშვეობით ძალიან გემრიელ და ხრაშუნა ორცხობილებს მოამზადებთ

### შენახვის პირობები:

"შეინახეთ "ონა კრემი" 18 - 20 გრადუსამდე ტემპერატურის მქონე მშრალ ადგილას !

## რეცეპტები

### კრემი

- 2 კგ "ონა კრემი"
- 1 კგ შაქარი
- 1/2 ლიმონი
- 1 ლიტრი წყალი



### სიროფის მომზადება

- ადუღეთ 1კგ შაქარი წყალში 5 წუთის განმავლობაში
- დაუმატეთ ნახევარი ლიმონი და ადუღეთ კიდევ 5 წუთი
- დააცადეთ სიროფს გაგრილება ოთახის ტემპერატურაზე, არ შედგათ მაცივარში

### კრემის მომზადება

- ათქვიფეთ "ონა კრემი" მიქსერით საშუალო სიჩქარეზე 5 წუთის განმავლობაში
- გააგრძელეთ ათქვეფვა მიქსერით შემდეგი 2 წუთის განმავლობაში მაღალ სიჩქარეზე
- ჩაასხით სიროფი ნელა, სანამ ათქვეფვა გრძელდება



### ნამცხვრები

- 500 გ "ონა კრემი"
- 300 გ შაქარი
- 300 გ თბილი წყალი
- 700 გ ფქვილი
- 5 გ ვანილი

- ათქვიფეთ "ონა კრემი" მიქსერში 3 წუთის განმავლობაში
- დაუმატეთ შაქარი და ათქვიფეთ კიდევ 3 წუთის განმავლობაში, ამასობაში დაუმატეთ ვანილიც
- ნელა დაუმატეთ თბილი წყალი და განაგრძეთ თქვეფვა კიდევ 5 წუთის განმავლობაში
- მიქსს დაუმატეთ ფქვილი და აზილეთ სანამ ცომად არ იქცევა
- ჩაასხით მასა კრემის ტომარაში და დაასხით სასურველ ზომაზე ღუმელის ტაფაზე
- გამოაცხვეთ 180 გრადუსზე 5 წუთის განმავლობა

PREMIUM
CREAM FORMULA

მიირთვით გემრიელად !

# სლობოდა

## კვერცხი ფარშირებული ორაგულით




### ინგრედიენტები:

- 5 კვერცხი
- 150 გრ ოდნავ მარილიანი ორაგული
- მაიონეზი სლობოდა
- ოხრახუში(ან ნებისმიერი სხვა მწვანილი გემოვნებით)

### მომზადების წესი:

- მოხარშული კვერცხი გაჭერით ორ ნაწილად
- გამოცალეთ გული
- კვერცხის გული დაანაწევრეთ
- მწვანილი დაჭერით წვრილად
- შეურიეთ კვერცხის გული და მწვანილი
- დაუმატეთ მაიონეზი სლობოდა, აურიეთ
- მიღებული მასა განათავსეთ ნახევრად გაჭრილ კვერცხში
- ორაგული დაჭერით თხელ ზოლებად
- ზოლები დაახვიეთ რულეტებად
- რულეტები ჩადეთ გაჭრილ კვერცხში
- გააფორმეთ მწვანილით

## პომიდორი ყველთან და ნიორთან ერთად




### ინგრედიენტები:

- 350 გრ პომიდორი
- 100 გრ ყველი
- 2-3 კბილი ნიორი
- მაიონეზი სლობოდა
- მწვანილი გემოვნებით

### მომზადების წესი:

- ყველი გახეხეთ წვრილ სახეხზე
- დაუმატეთ დაჭყლეტილი ნიორი
- დაუმატეთ მაიონეზი სლობოდა და აურიეთ
- პომიდორი დაჭერით მრგვალად (სისქე დაახლოებით 6-8 მმ)
- პომიდორზე განათავსეთ ყველის მასა
- გააფორმეთ მწვანილით

## ჯადოსნური ტორტი




იცით თუ არა, რომ მაიონეზი სლობოდათი შესაძლებელია უგემრიელესი ტორტის მომზადება.
თუ არა, მაშინ მოუმზადეთ საახალწლოდ თქვენს ოჯახს "ჯადოსნური" ტორტი და ერთად ისიამოვნეთ !

### ინგრედიენტები:

ცომი

- 6 კვერცხი
- 200 გრ შაქარი
- 250 გრ მაიონეზი სლობოდა "პროვანსალი"
- 1 ქილა შედედებული რძე
- 500-550 გრ ფქვილი
- 2 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი

კრემი

- 700-800 გრ არაჟანი
- 200 გრ შაქარი

### მომზადების წესი:

- შეურიეთ შაქარი კვერცხს
- დაამატეთ მაიონეზი სლობოდა და აურიეთ
- დაუმატეთ შედედებული რძე, აურიეთ
- დაუმატეთ გამაფხვიერებელი და ფქვილი, მოზილეთ ცომი
- ფორმაში, მოსმული კარაქით, გადმოიტანეთ ცომი 1 სმ-ზე
- შედეთ 180 გრადუსამდე გაცხელებულ ღუმელში, გამოაცხვეთ 20-25 წუთი 3-4 ცალი ნამცხვარი
- მოამზადეთ კრემი: არაჟანი ათქვიფეთ შაქართან
- გამომცხვარი ნამცხვრები გაჭერით ჰორიზონტალურად
- თითოეულ ნაჭერ ნამცხვარს კრემი წაუსვით კარგად
- გამზადებული ტორტი გააფორმეთ გემოვნებით (შეგიძლიათ ტორტს წაუსვათ არაჟანის კრემი და მოაყაროთ გახეხილი შოკოლადი)



სლობოდა
განახლებული მაიონეზი მხოლოდ
ნატურალური შემადგენლობით
უკვე ახალი შეფუთვით
ცოცხალი საკვები
СЛОБОДА
майонез 67%
СЛОБОДА
Живая еда
ПОСТНЫЙ
СЛОБОДА
айонез 67%
ГОСТ
НАТУРАЛЬНЫЙ ПРОДУКТ
ОРГАНИК • КОНТРОЛЬ
СЛОБОДА
ПРОВАНСАЛЬ
сლობოდა сლობოდა сლობოდა сლობოდა сლობოდა


ონა®
კრემი
ONA Cream
PREMIUM
CREAM FORMULA
ONA Cream
უფრო მეტი ვიდრე კრემი
ონა კრემი
ონა კრემი

# სალათა „გემრიელი“








**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 200 გრამი მოხარშული ძეხვი ან ლორი, 0,5 კონა მწვანე სალათა, 1 ცალი კვერცხი, 2 სადილის კოვზი ნაღები, 2 სადილის კოვზი ფქვილი, ნახევარი კონა მწვანე ხახვი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 ქილა ზეთისხილი, მარილი და მაიონეზი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ძეხვი (ლორი) დაჭერით წვრილ ჩხირებად, ერთმანეთში შეურიეთ ნაღები, ფქვილი, წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, კვერცხი და აურიეთ კარგად, ამ ნაზავისგან გამოაცხვეთ ძალიან თხელი ბლინები და დააქუცმაცეთ. ხელით დაანაწევრეთ მწვანე სალათის ფოთლებიც. ზეთისხილი დაჭერით რგოლებად. დაჭერით ქამა სოკო და ხახვი და  დაბალ ცეცხლზე ერთად მოხრაკეთ ზეთში, ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ ერთად, მოასხით ცოტა მაიონეზი და ამოურიეთ. უყავით მარილი.

# არასამარხვო სალათა











**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ლორი, 200 გრამი რბილი ყველი, 2-3 ცალი კვერცხი, 300 გრამი ქამა სოკო, 1-2 ცალი ბულგარული წიწაკა, 3-4 ცალი ცოცხალი კიტრი, 300 გრამი არაჟანი, მარილი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 კონა მწვანე სალათა, ჯანჯაფილი.

**მომზადების წესი:** დაჭერით კუბიკებად ლორი, კიტრი, ბულგარული წიწაკა და, დაუმატეთ მაგრად მოხარშული, დაჭრილი კვერცხი. ცოტა ჯანჯაფილი გახეხეთ (ან გამოიყენეთ ძირა) და შეურიეთ დანარჩენ ინგრედიენტებს. სოკო გაარჩიეთ, დაჭერით რგოლებად (მსხვილი სოკოები შეარჩიეთ), შებრაწეთ ზეთში და უყავით ცოტა მარილი. მზა სოკო ჩაუმატეთ სალათას (ცოტა დატოვეთ მოსართავად). სალათის ფოთლები ხელით დაფლითეთ (მშრალი უნდა იყოს, რომ სალათაში სითხე არ შეჰყვეს). მოასხით სოუსი: ღრმა თასში მოათავსეთ არაჟანი, მარილი და ცოტა მდოგვი, კარგად აურიეთ, მოასხით სალათას და კიდევ აურიეთ. მორთეთ სოკოთი და სალათის ფოთლებით. შეგიძლიათ, ლანგარზე ლამაზად მოათავსოთ და რამე ფორმაც მისცეთ.


სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# ქათამი გოგრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი გოგრა, 1 ძირი პრასი, 2 ძირი ნიახური, 2-3 თავი წითელი ხახვი, 600 გრამი კარტოფილი, 1 ქათამი, 100 მილილიტრი ზეთი, 1-2 სადილის კოვზი პაპრიკა, 0,5 ჩაის კოვზი ხმელი ქონდარი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გოგრის რბილობი საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით. მსხვილად დაჭერით ნიახური და პრასი, კარტოფილი – კუბიკებად, ხოლო ხახვი – თხელ ნახევარწრეებად. ქათამი გაასუფთავეთ და გაამშრალეთ. ზეთში აურიეთ მარილი, წიწაკა და პაპრიკა, ნახევარი ბოსტნეულს მოასხით, ნახევარი კი ქათამს წაუსვით და გააჩერეთ 30 წუთი. ბოსტნეული და ქათამი გადაიტანეთ საცხობ ფორმაზე, გადააფარეთ ფოლგა და 45 წუთის განმავლობაში 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში შეწვით. მზა კერძს მოაყარეთ ქონდარი.



# ქათმის ღვიძლი ალუბლის სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი გაყინული, უკურკო ალუბალი, 50 გრამი წითელი ხახვი, 20 გრამი ნედლი ჯანჯაფილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 100 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 1 სადილის კოვზი თაფლი, 2 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო,“ 300 გრამი ქათმის ღვიძლი, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 1 სადილის კოვზი კარაქი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით თხელ ნახევარწრეებად. ჯანჯაფილი დაკეპეთ. 1 სადილის კოვზი ზეთი გააცხელეთ ტაფაზე და ხახვი და ჯანჯაფილი ოდნავ მოშუშეთ. დაასხით ბოსტნეულის ბულიონში არეული თაფლი, ბალზამიკო და 5 წუთის განმავლობაში თავახდილი ადუღეთ. დაუმატეთ შუა-შუა გაჭრილი ალუბლები, წამოადუღეთ და თბილად შეინახეთ. ღვიძლს მოაყარეთ მარილი, ამოავლეთ ფქვილში და შეწვით ტაფაზე გაცხელებული ზეთისა და კარაქის ნარევში (4-5 წუთი ეყოფა). დაუმატეთ სოუსი, ამოურიეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. გემოვნებით დაუმატეთ მარილი და პილპილი.

# ინდაურის ფილე ბრინჯით

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ინდაურის მკერდის ფილე, 400 გრამი ტკბილი წითელი წიწაკა, 2 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 სადილის კოვზი პაპრიკა, 200 გრამი გრძელი ბრინჯი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 600 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 400 გრამი დაკონსერვებული პომიდორი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ინდაურის ხორცი საშუალო ზომის ნაჭრებად დაანაწევრეთ. წიწაკას ამოაცალეთ თესლი და პატარა ნაჭრებად დაჭერით, წვრილად დაჭერით ხახვი და ნიორი. სქელძირიან ქვაბში ან ტაფაზე დაასხით ზეთი, დაუმატეთ ინდაურის ხორცი და სწრაფად შებრაწეთ მაღალ ცეცხლზე და მოაყარეთ მარილი და წიწაკა. შემდეგ ცეცხლს დაუწიეთ, დაუმატეთ დაჭრილი ბოსტნეული და ამოურიეთ. 1-2 წუთის შემდეგ დააყარეთ პაპრიკა, ბრინჯი, ტომატ-პასტა, ბოსტნეულის ბულიონი, დაჭყლეტილი პომიდორი და 20 წუთის განმავლობაში საშუალო ცეცხლზე ხარშეთ თავდახურული. ბოლოს დაუმატეთ მარილი და წიწაკა.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 18 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ "ვინეტუ I" 17.00 ტ/სერ. "სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00 ტ/სერ. "ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. "მაფიოზი" 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 23.30 მხ/ფ "ოპერაცია "მფრინავი".

06.45 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55 ქრონიკა 10.05 სერ. "ცივი გული" 11.20, 12.05 სერ. "სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ 16.03 სერ. "დაბრუნება" 17.50, 19.03 სერ. "უდანაშაულო" 20.50 სერ. "სილა" 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) 23.30 მხ/ფ "გატა-ცებული" (ნ. კეიჯი) 01.10 სერ. "ლიკვიდაცია" 3 სერ.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."ერ-თგულების ქალა" 11.00 სერ."ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "სიყვარული და შურისძიება" 17.00 სერ. "ნათია და ნათია" 18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფილმი (ტიტ.).

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.30 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.15 დოკ/ფ "ლელოს შემობრუნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.15 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ "ქორწილი","ქოლგა" 13.30 "შუადღე" ერთ-სულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი-ანა ყიფიანი 16.45 კვირიაკე 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 ქართული მულტფილმი 18.20 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ათოვდა ზამთრის ბაღებს" I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 ეპოქის სახელები - ამბოსი ხელაია 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ვარძია" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 მულტფილმი სონიკ-ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"(გამ) 12.50, 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 18.25, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი 19.00 სერიალი "მდუმარენი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე".

## ხუთშაბათი 19 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ "ის ჩემზე უარესია" 17.00 ტ/სერ. "სიყვარულის საიდუმ-ლოებები" 18.00 ტ/სერ. "ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. "მაფიოზი" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ "მარილში".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45 ქრონიკა 10.05 სერ. "ცივი გული" 11.20, 12.05 სერ. "სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. "დაბრუნება" 17.50, 19.03 სერ. "უდანაშაულო" 20.50 სერ. "სილა" 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები (პ/ე) 00.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" 01.00 მხ/ფ "ქალები" (მ. რაიანი) (ტიტ.) 03.00 სერ. "ლიკვიდაცია" 4 სერ.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ერთგულების ქალა" 11.00 სერ."ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "სიყვარული და შურისძიება" 17.00 სერ. "ნათია და ნათია" 18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფილმი (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.10 დოკ/ფ "ფარავნის მორჩილნი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 დოკ/ფ "ვარძია" 11.10 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები - ნიკო ნიკოლაძე 12.10 მხ/ფ "ათოვდა ზამთრის ბაღებს" I სერ. 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05, 18.05, 21.00 პატრიარ-ქის ქადაგება 15.25 განთიადის სტუმარი 15.55 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.20 კონცერტი - ქართული სული 18.20 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ათოვდა ზამთრის ბაღებს" II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.30 დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" 22.45 კვირიაკეს სიუჟეტი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ღირსი მამა სერაპიონ ზარზმელი". 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნე-ბაზე.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 მულტფილმი სონიკ-ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"(გამ) 12.50, 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.25, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 სერიალი "მდუმარენი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე".

## პარასკევი 20 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ "განძთა კუნძული" 17.00 ტ/სერ. "სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00 ტ/სერ. "ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.05 "შეხვედ-რები მცხეთაში" 21.00 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ "მარილივით თეთრი" 01.00 მხ/ფ "ფლეპი" (ენ. ქუინი).

06.45 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05 ქრონიკა 10.05 სერ. "ცივი გული" 11.20, 12.05 სერ. "სიყვარულის საფრთხე" 12.05 სერ. "სიყვარულის საფრ-თხე" 29–ე სერია (ბ) (გაგრძელება) 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. "დაბრუნება" 17.50, 19.03 სერ. "უდანაშაულო" 20.50 სერ. "სილა" 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" 01.00 მხ/ფ "მელანქოლია" 03.20 სერ. "ლიკვიდაცია" 5 სერ.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ერთგულების ქალა" 11.00 სერ."ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.00 კურიერი 16.00 სერ. "სიყვარული და შურისძიება" 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო"

20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.10 დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" 11.00 მოკ/ფ **"უსახელო უფლისწული"** 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.10 მხ/ფ **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** II სერ. 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "გზა ნათელი" (მთავარანგელოზთა ხატის მოგზაურობა) 18.10 ქართული მულტფილმი 18.20 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ **"ეი, მაესტრო"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ქართული გამბიტი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 მულტფილმი სონიკ-ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 18.25, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "მდუმარენი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## შაბათი 21 დეკემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00 ან/ფ "დათვი იოგი" 10.30 საბ. ან/სერ. **"ტატონკას თავგადასავალი"** 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყორჩალების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: რიჰარდ ვაგნერი 14.00 მხ/ფ **"დაუვიწყარი მოგზაურობა"** 16.30 "გურმანია" 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.00 "ეტალონი" 21.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.30 "წითელი ზონა" 23.30 მხ/ფ **"ბოროტების ყვავილი"** 01.20 მხ/ფ **"მიჩივლე"**.

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" მე–10 სერ. 08.25 მხ/ფ **"მოუშორებელი ჭირი"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 12.45 სერ. **"ჰანა მონტანა"** 14.30 ახალი ქართული ხმა 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** (ტ. შვაიგერი) 01.55 სერ. **"ლიკვიდაცია"** 6 სერ.

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი 11.00 იღბლიანი ბორბალი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 23.00 რა? სად? როდის? 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"ეი, მაესტრო"** 13.35 დოკ/ფ "ქართული გამბიტი" 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - **"დონ ჟუანი"** მაყვალა ქასრაშვილი 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 ჟურნალისტის დღიური 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ **"ელენე, ტროას დედოფალი"** I სერ.

7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

## კვირა 22 დეკემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ. "სურვილების ქვა" 10.00 "ეტალონი" 11.00 საბ. ან/სერ. **"ტატონკას თავგადასავალი"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქართული მხ/ფ **"მწვერვალი"** 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 **ფეხბურთი** საქართველოს სუპერთასი: **"დინამო"**/ /თბილისი/ - **"ჩიხურა"**/ /ჩიხურა/ (პ/ტრ) 19.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 სპექტაკლი: **"პეპო"** 00.30 მხ/ფ **"ლეონი"** (ჟ.რენო) 02.40 დ/ფ "ვინ არის ჯექსონ პოლოკი".

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ **"რა იქნებოდა"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 მხ/ფ **"უიმბილდონი"** 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 პანორამა (60 წთ) 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 00.00 მხ/ფ **"ქილერები"** (ტ. სელეკი) 01.50 სერ. **"ლიკვიდაცია"** 7 სერ.

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 21.00 P.S 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15 სიახლენი 10.45 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"მაისის თოვლი"** 13.20 გამოყენებითი ხელოვნება 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.15 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები - ნიკო ნიკოლაძე 17.20 სღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 დოკ/ფ "უდაბნო" 19.40 მხ/ფ **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.40 მხ/ფ **"ელენე,ტროას დედოფალი"** II სერ.

7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 18.30, 0.00 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

### ვერძი



მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას. შეამცირეთ გადაადგილებები. ამ პერიოდში დაწყებულმა სასიყვარულო ფლირტმა, შესაძლოა მხოლოდ პრობლემები შეგიქმნათ პირად ცხოვრებაში. მეტი დრო გაატარეთ სახლში და ეცადეთ ბინის მოწყობაზე იზრუნოთ.

### კურო



გაგალიზიანებთ აკრძალვები და შეზღუდვები. გაიზრდება თქვენი თავდაჯერებულობა, რაც მეტ პრობლემას შეგიქმნით კოლეგებთან. ნუ გარისკავთ და მაქსიმალურად ეცადეთ, არ აჰყვეთ პროვოკაციებს. ფრთხილად იყავით უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებთან. ახალი სასიყვარულო კავშირი კი მყარი და ხანგრძლივი იქნება.

### ტყუპები



გარშემო მყოფების ნდობას ადვილად მოიპოვებთ. ეს კი დაგეხმარებათ საქმეების ადვილად და წარმატებულად შესრულებაში. მეტი დრო გაატარეთ საყვარელი ადამიანისა და ოჯახის წევრების გვერდით. ეს მეტ სიამოვნებას და სიმშვიდეს მოგგვრით. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, დროულად მიაკითხეთ ექიმს.

### კირჩხიბი



იმოქმედეთ დროულად პრესტიჟის და მატერიალური მდგომარეობის დონის ასამაღლებლად. მეგობრებთან ზღვარგადასული დროსტარება ხელს შეგიშლით საქმეების დროულად დასრულებაში. მოგზაურობები დადებითად აისახება თქვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

### ლომი



სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას, გამოავლინეთ თქვენი ერუდიცია და კომპეტენტურობა. ერიდეთ ინტრიგებს და ნუ გარისკავთ. გაიზრდება სასიყვარულო შეხვედრების რიცხვიც. კარგი დროა მკურნალობის დასაწყებად.

### ქალწული



მოგიწევთ ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება და არაერთი პრობლემის მოგვარებაზე ფიქრი. გადაადგილებისას იყავით მეტად ყურადღებით. არ არის გამორიცხული, ზოგიერთებთან, ვინც, თქვენს ცხოვრებაში ნეგატიურად ერევიან, საერთოდ გაწყვიტოთ კონტაქტი.

### სასწორი



მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საქმე გექნებათ, ნუ იტყვით უარს მეგორბულ შეხვედრებსა და გართობაზე. კარგია გამოცდების ჩაბარება და სწავლა. სასიყვარულო სფეროში კი დიდი გამოცდა გელით. ეცადეთ, იყოთ ფრთხილი და წინდახედული საყვარელი ადამიანის გვერდით. კარგია უცხოელებთან ურთიერთობა.

### მორიელი



გარშემო მყოფების მოქმედებები თქვენში აგრესიას გამოიწვევს, რაც დაპირისპირების მიზეზი გახდება. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში ჯობია, გააზრებულად იმოქმედოთ და დაგეგმოთ ყველა სამომავლო ნაბიჯი. კარგია, თუ დროს დასვენებისთვისაც გამონახავთ და ძალებს აღიდგენთ.

### მშვილდოსანი



მიმდინარე მოვლენები და ფაქტები, მოგცემთ საშუალებას, ადვილად გაუმკლავდეთ საქმეებს და მოიწყოთ პირადი ცხოვრება ისე, როგორც გსურთ. ჯობია, უარი თქვათ რადიკალურ გადაწყვეტილებებზე და ყურადღება გამოიჩინოთ საყვარელი ადამიანების მიმართ.

### თხის რქა



საგრძნობლად მაღალი იქნება თქვენი ავტორიტეტი და ბევრი ადამიანი გაითვალისწინებს თქვენს რჩევებს. მეტი დრო დაუთმეთ პირადი პრობლემების მოგვარებას, სასიყვარულო ურთიერთობას და გარეგნობის მოწესრიგებას. კარგია დამატებითი ცოდნის მიღება.

### მერწყული



წარმატებას მოგიტანთ შესრულებული სამუშაო. ახლობლების დახმარებით კი, ადვილად შეძლებთ ავტორიტეტის ამაღლებას. არ გარისკოთ, რადგან მაღალია დანაკარგების ალბათობა. საყვარელი ადამიანისთვის კი შესაძლოა, დრო არ დაგრჩეთ, რაც მის გაღიზიანებას გამოიწვევს. ამიტომ, დრო სწორად გადაანაწილეთ.

### თევზები



წინასწარ დაალაგეთ გეგმები და იმოქმედეთ მშვიდად. არ არის გამორიცხული, მოულოდნელი მოვლენების წინაშე აღმოჩნდეთ, რაც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის. კარგი პერიოდია სასიყვარულო და პირადი ურთიერთობების მოსაგვარებლად.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 1 იანვარი, 11 სთ: 05 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ავანტიურულ მოქმედებებს, სულსწრაფობასა და უყაირათობას. ატარეთ ყვითელი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, იასამნისფერი ან ცისფერი სამოსი, ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, აკვამარინი, ნეფრიტი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საქმიანი კონტაქტები, მოლაპარაკებები, საბანკო ოპერაციები, სამედიცინო კვლევა, სავაჭრო გარიგებები. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა! მოჭარბებულია კოსმიური ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, აგრესიის, ცდუნებების, შეცდომების დაშვების ალბათობას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მაღალია მოტყუებისა და ღალატის ალბათობა. ატარეთ ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი, ცისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჯესპილიტი, ამაზონიტი ან რუხი ტოპაზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები, კუჭი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### ოთხშაბათი

აკონტროლეთ ხასიათში შური, ეჭვიანობა და ემოცია. ნუ გასცემთ დაპირებებს. არ ვარგა სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. ატარეთ ვერცხლისფერი, მწვანე, ნაცრისფერი, ცისფერი, იისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ამეთვისტო, აქატი, მალაქიტი, ოპალი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ინტიმური კავშირები, ვაჭრობა, სანათესაო ურთიერთობები, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამოავლინეთ მეტი თავდაჭერა. აკონტროლეთ ემოცია. დაეყრდენით ინტუიციას. ატარეთ მწვანე, თეთრი, ვერცხლისფერი, იისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მარგალიტი, მწვანე იასპი, გიშერი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სესხის აღებას, ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია ახალი ნივთების შეძენა, ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება კუჭი, კუჭქვეშა ჯირკვალი, მკერდი, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი

აკონტროლეთ აზრები და სიტყვები. ატარეთ წითელი, ყვითელი, ოქროსფერი, შინდისფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, სასიყვარულო კავშირები. კარგია იურიდიული საქმეების შესრულება, ახალი სამსახურის დაწყება, მშენებლობა, გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ზამთრის დღე-ბედობაა! მოიმატებს იუმორის გრძნობა, მეგობრული კონტაქტების სურვილი, ახალი ნაცნობობის ალბათობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი, მთის ბროლი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია ძვირფასეულობის შეძენა. სუსტდება გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეაგტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

კარგია ხელოვნებასთან ურთიერთობა, ვარჯიშების ჩატარება, ბუნებასთან კონტაქტი. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი, ოქროსფერი, შინდისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ქრიზოპრაზი, ბრილიანტი, ფირუზი, ლალი, სარდიონი ან ლაბრადორი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა. კარგია გართობა, მეგობრული კონტაქტები, თმის შეჭრა, საჩუქრების შეძენა. სუსტდება გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა, ხერხემალი, ნაწლავთა სისტემა, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**მთვრალაშვილი-კერვალიშვილი**

გადმოცემის თანახმად, გვარი **მთვრალაშვილი კერვალიშვილების** გვარიდან იღებს სათავეს.

ვინმე პეტრე **კერვალიშვილი**, წარმოშობით რაჭველი, მეფე ერეკლესთან მზარეულად მსახურობდა. კარგი და კეთილი კაცი ყოფილა და ერეკლეს ძალიან ჰყვარებია. პეტრეს 12 წელი შვილი არ ჰყოლია და ერთ მშვენიერ დღეს ვაჟი შესძენია. ღვინოს არ ეტანებოდა, მაგრამ იმ დღეს სიხარულისგან გათამამებულა, დაულევია და მთვრალს ჩასძინებია. როცა მეფეს მზარეული მოუკითხავს, უთქვამთ, მთვრალია და სძინავსო. ერეკლეს, მეორე დღეს დაუბარებია პეტრე, მასაც მოკრძალებით უთქვამს, ვაჟი შემეძინა და ამის გამო დავთვერიო. მაშინ მეფეს უბრძანებია, ბავშვს გვარად **მთვრალაშვილი** მიეცით და გაათავისუფლეთ ყველა ბეგარისგან, მამული კი მიეცით სოფელ პატარძეულშიო.

გვარის შეცვლის გამო **კერვალიშვილები** ძალიან გაბრაზებულან და სიონის ეკლესიაში პეტრე შეუჩვენებიათ.

მიუხედავად ამ ისტორიისა, **მთვრალაშვილები** შემდგომ კმაყოფილები იყვნენ, რადგან მათ გვარი თვით მეფე ერეკლემ უბოძა.

მას შემდეგ **მთვრალაშვილებს** რაჭაში არ დაედგომებოდათ და სხვაგან გადასახლებულან. სავარაუდოდ, ამ გვარის წარმომადგენლები ონის რაიონის სოფელ სიორიდან უნდა იყვნენ პირვანდელი წარმოშობით.

**მთვრალაშვილი** მცირერიცხოვანი გვარია.

საქართველოში 103 **მთვრალაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 90, საგარეჯოში – 9, ოზურგეთში – 4.

**ბეკურაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეკური.**

**ბეკურაშვილი** და ემინტოშვილი ერთი და იგივე გვარია.

ენრიკო **ბეკურაშვილი**, იგივე ემინტოშვილი, დიდი ენაგეთის აღწერაში, მოიხსენიება 1823 წელს.

დიდ ენაგეთში მცხოვრები იოსებ **ბეკურაშვილი** 1873 წელს ამავე სოფლის ეკლესიაში შვილს უნათლავს ფარცხისელ ივანე წულაძეს.

ამავე ძირისაა გვარი **ბეკურიშვილი**.

საქართველოში 411 **ბეკურაშვილი** ცხოვრობს.

87 – **ბეკურიშვილი.**

**თედორაძე-თევდორაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თეოდორე**, რაც ბერძნულად „ღვთის საჩუქარს" ნიშნავს. ბერძნული **თეოდორედან** შემდგომ ქართულში **თევდორე** გავრცელდა. გვაქვს ასევე, მისგან ნაწარმოები ქალის საკუთარი სახელები – **თეოდორა** და **დოროთა.**

სახელ თევდორესგან ნაწარმოები გვარებია **თედეიშვილი, თედელური, თედეშვილი, თედოზაშვილი, თედორაშვილი, თედიაშვილი, თევდორაშვილი, თევდორაძე.**

„ალისმერეს მცხოვრებ ივანე **თედორაძეს** ქუთაისის საყდრის ბეგარა ემართა 1558 წელს".

საქართველოში 2 115 **თედორაძე** ცხოვრობს: ხელვაჩაურში – 487, ბათუმში – 226, აბაშაში – 206. არიან სხვაგანაც.

**თვალიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თვალია.**

იაკობ **თვალიაშვილი** 1791 წლის დამლევს მოხსენიებულია მღვდელი კოკარასშვილის მიერ როსტომ და გიორგი დავითაშვილებისადმი გაცემულ პირობის წიგნში.

ამავე ძირისაა გვარები: **თვალაძე, თვალაშვილი, თვალაბეიშვილი, თვალავაძე, თვალთავაძე, თვალოძე.**

საქართველოში 714 **თვალიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 206, გორში – 116, ახმეტაში – 75, არიან სხვაგანაც.

**ზაქარიაშვილი**

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ზაქარია**, რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ღმერთს ახსოვს." მისი კნინობით-ალერსობითი ფორმებია: **ზაქრო, შაქრო, შაქარა.**

1873 წელს, კოდაში მოიხსენიებიან **ზაქარიას** შვილები.

მსგავსი წარმოშობისაა გვარები: **ზაქარია, ზაქარეიშვილი, ზაქარიაძე, ზაქარაძე, ზაქრაძე, ზაქროშვილი.**

საქართველოში 603 **ზაქარიაშვილი** ცხოვრობს:

387 – **ზაქარიშვილი**.

26 – **ზაქაროვი**.

**მათიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მათე** – რომელიც ძველი ებრაული წარმოშობისაა და „ღვთის საჩუქარს" ნიშნავს.

„კოდაში მცხოვრებ საბატონო ყმას, სოლომონ **მათიაშვილსა** და სჯულიერსა ცოლსა მისსა მარიამს, 1834 წელს დაებადათ ვაჟი მიხეილ. სახელი განათლა და მონათლა კოდის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმა, იაკობ აბრამის ძე ხუროშვილმა."




მოგვიანებით, გვარი **მათიაშვილი** რუსულის გავლენით მატინოვად ჩაწერეს. ამავე ძირისაა გვარები: **მატიაშვილი, მათესშვილი, მათეშვილი, მატიკაშვილი.**

**მატიაშვილების** ერთი შტო 1886 წლის აღწერით, შემდეგ აზატაშვილად ჩაეწერა.

საქართველოში 2 870 **მათიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 336, საგარეჯოში – 301, გურჯაანში 272. არიან სხვაგანაც.

20 – **მატიაშვილი**.

**ანთაძე**

გვარი **ანთაძის** ფუძეა საკუთარი სახელი **ანთა, ანთია. ანთა** ქართველთა წარმართული ღვთაების ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც საკუთარ სახელად ქცეულა.

**ანთებს** ადრე სლავებს ეძახდნენ, ამიტომ **ანთაძის** დღევანდელი მიახლოებითი თარგმანი იქნებოდა რუსიშვილი ან რუსიძე.

**ანთები** იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები: **ანთია, ანთიძე, ანთელავა** და სხვები.

ამავე ძირისა და წარმოშობისაა გვარები **ანთაიძე, ანთაური.**

**ანთაძეები** გურიის აზნაურთა სიაში არიან შეყვანილები.

საქართველოში 2 225 **ანთაძე** ცხოვრობს: თბილისში – 536, ქობულეთში – 434, ოზურგეთში – 317. არიან სხვაგანაც.

**ბერია-ბერიაშვილი**

ილია მაისურაძემ დაწვრილებით აღწერა **ბერ** ძირისგან წარმოქმნილი გვარ-სახელები.

**ბერი** იგივეა, რაც ვაჟი, ძე, ყმა. მისგან წარმოქმნილია როგორც საკუთარი, ისე მეტსახელები.

საქართველოში გავრცელებულ 25 000 გვარს შორის, **ბერიძეებს** პირველი ადგილი უჭირავთ, **ბერიძედან** წარმოქმნილია 33-ზე მეტი გვარი.

**ბერიდან** კი წარმოშობილია გვარები **ბერია** და **ბერიაშვილი**. მეცნიერებს არ დაუდგენიათ და არც უცდიათ დაედგინათ, რომელი უფრო ადრე გაჩნდა.

საქართველოში 1 698 **ბერია** ცხოვრობს: თბილისში – 375, ჩხოროწყუში – 364, ზუგდიდში – 231. არიან სხვაგანაც.

2 994 **ბერიაშვილი**: თბილისში – 1 052, კასპში – 453, სიღნაღში – 377. არიან სხვაგანაც.

**გორაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გორა.**

1721 წელს ასურეთში მოხსენიებულია იასე სოლოღაშვილის ყმა – ბასილა **გორაშვილი.**

ზოგადად, ამ გვართან დაკავშირებით ისტორიულ მასალებში, საკმაოდ მწირი ინფორმაცია გვხვდება.

საქართველოში 84 **გორაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 25, დედოფლისწყაროში – 17, საგარეჯოში – 12. არიან სხვაგანაც.

**ხარჩილავა-ხარჩილაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხარჩილა.**

ამავე ძირისაა გვარი **ხარჩილაძე.**

საქართველოში ორივე გვარი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ, რაოდენობის მიხედვით **ხარჩილავა** ჭარბობს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ორივე ერთი და იგივე გვარია.

ასევე, გვხვდება ტოპონიმები **ლეხარჩილე** – სოფელი ფუისქურის მარცხენა მხარეს, **ლახარჩილე** – უბანი ჯვარში, **ნახალჩილუ** – ფერდობები ოჩხომურის მარცხენა მხარეს, **სახარჩილო** – უბნები ხამისკარსა და ყულევში.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის, **ხარჩილავას** რაოდენობის მიხედვით 360-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში 2 225 **ხარჩილავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 718, წალენჯიხაში – 707, თბილისში – 237. არიან სხვაგანაც.

**მოისწრაფიშვილი-მოისწრაფეშვილი**

გვარი გვხვდება ორი ფორმით, კერძოდ, **მოისწრაფიშვილი** და **მოისწრაფეშვილი**.

მათ პირველ საცხოვრებლად დაფიქსირებულია ლანჩხუთი.

**მოისწრაფა, მოისწრაფე** საკუთარი სახელია. დროზე ადრე დაბადებულ შვილზე ამბობენ – **იჩქარე, ისწრაფე, მოისწრაფეო** და აქედან წარმოიშვა ეს სახელიც.

საქართველოში 184 **მოისწრაფეშვილი** ცხოვრობს: ლანჩხუთში – 179, თბილისში – 3, ოზურგეთში – 2.

567 **მოისწრაფიშვილი**: თბილისში – 134, ბათუმში – 133, ოზურგეთში – 109, არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მხატვრული ტანმოვარჯიშე თათია დონაძე, რომელიც წლების განმავლობაში სპორტის ამ სახეობაში ნომერ პირველი და ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მოგვიანებით, ფართო საზოგადოებამ ჯერ „მის საქართველოზე“ გაიცნო, შემდეგ კი გადაცემა „ნიჭიერში“. თათია ამჟამად ბანკში მუშაობს და, პარალელურად, „მაესტროს“ დილის გადაცემიდან – „მაღვიძარა“ მაყურებელს ვარჯიშით აღვიძებს.**

# რის მოზომვა უჭირს ყოველ დილით თათია დონაძეს და ითხოვს თუ არა საოცრებებს ის მამაკაცისგან

**თათია დონაძე:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დავამთავრე მაგისტრატურა – ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. ჯერ ვმუშაობდი დაცვის პოლიციის – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, შემდეგ ბანკში დავიწყე მუშაობა.

**– ბანკში გიწევს დრესკოდის დაცვა, დილიდან საღამომდე ერთ ადგილზე ჯდომა, კლიენტების მომსახურება. სპორტის შემდეგ, როგორ მოგწონს მუშაობის ასეთი სტილი?**

– სპორტის შემდეგ რთული იყო ჩემთვის ამასთან შეგუება. დარბაზი ჩვენი სახლი იყო – საკმაოდ რთული, დატვირთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრება მქონდა, ბევრს ვმოგზაურობდით, 20-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი. მაგრამ, თავად მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ტანვარჯიშის გარდა, სხვა პროფესიაც უნდა მქონოდა. არ მინდოდა, ჩემი საბოლოო პროფესია მწვრთნელობა ყოფილიყო. თუმცა, მაქვს დიპლომი, რომლის დახმარებითაც შემიძლია, პროფესიონალ მწვრთნელად ვიმუშაო. მოკლედ, სპორტის შემდეგ ბანკში მუშაობა გამიჭირდა, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ არ მომწონს. პირიქით, ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

**– მახსოვს, როგორც ტანმოვარჯიშეს, სერიოზული მიღწევები გქონდა.**

– საქართველოს ჩემპიონი ვარ მრავალგზის, საერთაშორისო ტურნირებიც მაქვს მოგებული, მსოფლიო ჩემპიონატზე კლუბებს შორის ფინალისტები ვიყავით – ეს საქართველოსთვის ძალიან კარგი შედეგია. მაშინ იაპონიაში ტარდებოდა შეჯიბრი, სამნი ვიყავით, მეშვიდე ადგილი დავიკავეთ და ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევა იყო. საჭირო იყო რუსეთში, უკრაინაში გვევარჯიშა, წამყვან ქვეყნებში წავსულიყავით შეკრებებზე, რომ კიდევ უფრო კარგი შედეგი გვქონოდა. თვეობით უნდა ვყოფილიყავით იქ. ეს კი საკმაოდ დიდ ხარჯებს მითხოვდა, რის საშუალებაც არ იყო, არც ახლა არ არის. თუმცა, იმ დროს ფედერაციის სათავეში ნელი სალაძე მოვიდა და მისი დახმარებით გაუმჯობესდა სიტუაცია: დაფინანსებაც გვქონდა და იმის საშუალებაც, რომ ტურნირებში მიგვეღო მონაწილეობა. მაგრამ, ეს ჯერ მაინც არ არის საკმარისი.

**– ამის გამო დაანებე თავი?**

– ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო მომიწია თავის დანებება. უბრალოდ, ეს ყველაფერი რომ ყოფილიყო, უფრო მეტი წარმატება მექნებოდა, რადგან ჩემი მონაცემები ნამდვილად მაძლევდა ამის საშუალებას. ტანვარჯიში მოკლევადიანი სპორტია, მაქსიმუმ 20-22 წლამდე ივარჯიშო. ამიტომაც, 20 წლის ასაკში დავანებე თავი. ჩავთვალე, რომ სპორტში ჩემი თავი ამოვწურე. რომ გამეგრძელებინა, მეტი მიღწევები მაინც აღარ მექნებოდა. ამიტომ, გადავწყვიტე, სხვა საქმისთვის მიმეხედა. ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მივიღე, სპორტში ჩემი საქმე გავაკეთე. რომ შემეძლოს წარსულში დაბრუნება, ისევ იგივეს გავაკეთებდი. მაგრამ, პირველი პერიოდი ძალიან რთული იყო. აქედან გამომდინარე, დეპრესიული მომენტებიც მქონდა. რომ გაიღვიძებ და უცებ მიხვდები: არ იცი რა უნდა აკეთო, არ მიდიხარ დარბაზში. არადა, 12 წელი დაპროგრამებული ხარ: იღვიძებ დილით, იღებ ჩანთას, მიდიხარ დარბაზში და იქ ხარ დაღამებამდე. უცებ აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი დამთავრდა, აღარ არის. მაგრამ, შემდეგ პირადი ცხოვრებით ჩავანაცვლე და ასე თუ ისე, ადვილად გადავიტანე.

**– ხომ არ გათხოვდი?**

– გათხოვილი არ ვარ და მიხარია, რადგან ვფიქრობ, ეს ბევრ რამეში შემიშლიდა ხელს.

**– შეყვარებულიც არ გყავს?**

– არსებობს ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი, ყოველ შემთხვევაში, მარტო არ ვარ.



**ნემსებით გიყუჩებენ, მაგრამ მაინც ძალიან რთულია. ამ ყველაფერს რომ გავუძელი, იმიტომ მეჩვენება ცხოვრება მარტივი**

**– რა ეტაპზეა თქვენი ურთიერთობა?**

– ვერ ვიტყვი, რომ ეს ურთიერთობა ოფიციალურია. უბრალოდ, სიმპათიები მაქვს ერთი ადამიანის მიმართ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ბედნიერი ვარ, რომ ვინც აქამდე მომწონდა თუ მიყვარდა, დღეს ჩემ გვერდით არ არის. ბედნიერი ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე თავის დროზე, რადგან, მერე ისეთი რაღაცეები მოხდა, მივხვდი, ეს ადამიანი არ იყო ღირსეული და არ იმსახურებდა ჩემ გვერდით ყოფნას. საერთოდ, განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვ მამაკაცისგან. ზოგადად, ქართველ კაცებს სჩვევიათ – ქალი რაღაცაში უნდა შეზღუდონ. ეს არის ის, რასაც ვერასდროს ავიტან. სხვა, რამე საოცრებას ნამდვილად არ ვითხოვ.

**– მახსოვს, ადრე „ნიჭიერში“ გამოდიოდი და შენმა ლამაზმა ნომერმა მაყურებლის, ჟიურის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა.**

– იმ დროს სპორტისთვის თავი მქონდა დანებებული. მეორე სეზონში მივიღე მონაწილეობა, თვითონ დამიკავშირდნენ. თავიდან არ ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ მერე დავფიქრდი: საქართველოში ხალხმა არ იცის, რა არის მხატვრული ტანვარჯიში. მე კი შემეძლო გამეკეთებინა ისეთი რამ, რაც ხალხს ნამდვილად მოეწონებოდა, გაუკვრიდებოდა და სპორტის ამ სახეობას კარგად გაიცნობდა. მეც გამიცნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, 12 წელი ვვარჯიშობდი, ამდენ ქვეყანაში გამქონდა საქართველოს სახელი, რატომ არ უნდა მიცნობდეს ხალხი?! ასე რომ, გადავწყვიტე მონაწილეობა და ამის შემდეგ ტანვარჯიშზე სიარულის ბევრი მსურველი გამოჩნდა. მეც მწერენ ხოლმე: მინდა, შენნაირი ტანმოვარჯიშე გამოვიდეო. მიხარია, რომ ამ საქმეში მეც გარკვეული წვლილი შევიტანე. დღევანდელ თაობაში პირველი ტანმოვარჯიშე ვარ, რომელიც ხალხმა ასე გაიცნო.

**– ტანვარჯიშისთვის თავის დანებების შემდეგ ვარჯიშს განაგრძობ?**

– თავიდან ძალიან მიჭირდა. რომ ველარ ვიხარჯებოდი, ენერგიას ვერ ვხარჯავდი, რასაც ორგანიზმი წლების განმავლობაში მიჩვეული იყო, თავს ცუდად ვგრძნობდი. ამიტომ, პირველი-ორი წელი ცეკვით ჩავანაცვლე, ნელნელა შევამცირე დატვირთვა და ახლა აღარ მჭირდება ისეთი ფიზიკური აქტივობა, როგორც ადრე. სამსახურიც მაკმაყოფილებს, არ ვგრძნობ თავს ცუდად.

**– სპორტი ადამიანს უყალიბებს ცხოვრების სტილს, დისციპლინას.**

– ჯერ ერთი, უფრო მეტად შრომისმოყვარე, ამტანი ხდები და შემდეგ ბევრი რამ ძალიან მარტივი გეჩვენება. ზოგჯერ ადამიანი ისეთ რამეზე დაიწუწუნებს, ვფიქრობ: რა აწუწუნებს-მეთქი. ჩემთვის უკვე აღარაფერია გადაულახავი და შეუძლებელი, სპორტმა იმდენად გამაკაჟა. დღეში 8-9 საათი ვარჯიში არ არის ადვილი. ამიტომაც, ვურჩევ ხალხს, რომ ცხოვრებაში ბევრ რამეს უფრო მარტივად შეხედონ, გაცილებით რთული რაღაცეებიც არსებობს.

**– ტრავმებიც ხშირად გქონია?**

– სპორტში ტრავმები ძალიან ხშირია, რა თქმა უნდა, მქონია სერიოზული ტრავმებიც. ზოგჯერ მკურნალობ, მაგრამ არის შემთხვევა, შეჯიბრზე მიდიხარ და არ გაქვს დრო, იმკურნალო. ამიტომ, იძულებული ხდები, ან ნატკენი ფეხით, ან ამოვარდნილი დისკით წახვიდე, ივარჯიშო. როცა შეჯიბრია, ვერ გამოტოვებ. ნემსებით გიყუჩებენ, მაგრამ მაინც ძალიან რთულია. ამ ყველაფერს რომ გავუძელი, იმიტომ მეჩვენება ცხოვრება მარტივი.

**– ამჟამად „მაესტროს“ დილის გადაცემა – „მაღვიძარაში“ მუშაობ და ხალხს შენთან ერთად ვარჯიშისკენ მოუწოდებ.**

„მაღვიძარადან“ თვითონ დამიკავშირდნენ, ალბათ, „ნიჭიერში“ ვყავდი მათ ნანახი. ჩემთვისაც მისაღები იყო მათი წინადადება, მეორე სამსახურს თავისუფლად შევუთავსე. ცოტ-ცოტას რომ ვვარჯიშობ, მეც მსიამოვნებს, ჩემთვისაც კარგია. თან, ხალხისგან რომ ვხედავ დადებით ემოციებს – შენთან ერთად მეც ვვარჯიშობო, მიხარია, მომწონს ეს სამსახური. სულ ვფიქრობ, ისეთი ვარჯიშები შევარჩიო, ხალხს არ გაუჭირდეს გაკეთება. ჩემთვის ეს ცოტა რთული მოსაზომია, რადგან მოქნილი ვარ, ნავარჯიშები და მგონია, რომ ზოგი ვარჯიში ადვილია. მაგრამ, მერე რთული აღმოჩნდება ხოლმე. ამიტომაც, გოგონები მახლავს და მათ რომ ვაკეთებინებ ვარჯიშს, ვხვდები, რომელია მათთვის მისაღები. ჩემი გამოცდილებიდან პატარა რჩევებსაც ვუზიარებ და მგონია, რომ ეს ყველაფერი ხალხისთვის მისაღებია. როცა შენს სხეულს, კუნთებს ფლობ, სულ სხვანაირი ადამიანი ხდები. ძალიან მიყვარს კამერა, სცენა და მიხარია, რომ „მაესტროში“ აღმოვჩნდი. შიგადაშიგ, როცა კონცერტებია, მეძახიან, იქაც ვმონაწილეობ და ესეც სასიამოვნოა ჩემთვის.

**ნათია უტიაშვილი**

# ვინ და როგორ გაიტაცა 75 მილიონის ღირებულების ძვირფასეულობა „კაგებეს“ მანქანიდან

### „ტვირთი №337“

– ამხანაგო ვარლამ, „ტვირთი №337“ ათ წუთში წამოვა. ჩემი ადიუტანტი პირადად დაესწრება გადმობარების პროცესს და მიღება-ჩაბარების აქტი მას გამოატანეთ! – „ჩეკას“ კომისარმა ნესტორ ესაკიამ ყურმილი დაკიდა და იქვე მდგომ ადიუტანტს, ტიტე ხუბუას უთხრა:

– წაიღეთ ტვირთი. აბა, შენ იცი!

ვარლამ ზარიძე საქართველოს ცენტრალური ბანკის საცავის უფროსი იყო, „ჩეკას“ კომისარი ნესტორ ესაკია კი საქართველოს „ჩეკაში“ ექსპროპრიაციებს კურირებდა. ხოლო „ტვირთი №337“, ქართველი ჩეკისტების მიერ ექსპროპრიაციის გეგმის მიხედვით, ბურჟუაზიისა და სამღვდელოებისთვის ჩამორთმეული ძვირფასეულობა იყო.

ძვირფასეულობით სავსე ყუთის ზომები იყო ერთი მეტრი სიგრძეში და ნახევარ-ნახევარი მეტრი სიგანესა და სიმაღლეში. ყუთი უჟანგავი ფოლადისგან იყო დამზადებული, პირთამდე სავსე და 102 კილოგრამს იწონიდა, საიდანაც ყუთი 30 კილოგრამს იწონიდა, დანარჩენი 72 კილოგრამი კი – ექსპროპრირებული ძვირფასეულობის წონა. „ჩეკას“ ექსპერტის პირველადი შეფასებით, „ტვირთი №337-ის“ შიგთავსის მინიმალური ღირებულება 3 მილიონ მანეთს აღწევდა, რაც იმ პერიოდისთვის, ანუ 1926 წლისთვის, ასტრონომიული თანხა იყო.

„ტვირთი №337“ „ფორდის“ მარკის მსუბუქ ავტომობილში, უკან მოათავსეს. მას მიჰყვებოდა ოთხი ადამიანი: მძღოლი ივანე შაყულაშვილი, ოპერმუშაკი გიზო კეკელიძე, ოპერმუშაკი დურმიშხან დოდაშვილი და კომისარ ნესტორ ესაკიას ადიუტანტი – ტიტე ხუბუა. მანქანა „ჩეკას“ შენობის ეზოდან გამოვიდა, რომელიც მთაწმინდაზე, შევჩენკოს ქუჩაზე მდებარეობდა. მას სულ რაღაც ორიოდე კილომეტრი უნდა გაევლო და სოლოლაკში, ბანკში მისულიყო. მთავარი მარშრუტი რუსთაველის გამზირზე გადიოდა, სადაც ძვირფასეულობით სავსე მანქანა უნდა დაშვებულიყო, მაგრამ, ტვირთის უფროსმა ტიტე ხუბუამ მძღოლ შაყულაშვილს უთხრა:

– ზემოდან გადადი. სოლოლაკში მთაწმინდის გავლით წავიდეთ!

შაყულაშვილი ბრძანებას დაემორჩილა და მთაწმინდის აღმართს აუყვა, ვიწრო ქუჩებით სოლოლაკში გადავიდა და ამჟამინდელი ჭონქაძის ქუჩით დაეშვა ქვევით. მოსახვევთან ეტლმა ამოუხვია. ხუბუამ მძღოლს უთხრა:

– იმ ეტლთან შეაჩერე და ჩემი ბრძანების გარეშე ადგილიდან არ დაიძრა!

შაყულაშვილი კვლავ დაემორჩილა ხუბუას და „ფორდი“ ეტლთან შეაჩერა. მძღოლის გვერდით მოკალათებულმა ხუბუამ კი ორი „ნაგანი“ ამოიღო და მძღოლი და ორი ჩეკისტი მანქანაშივე ჩაცხრილა. შემდეგ მანქანიდან გადმოხტა, უკანა კარი გააღო და ეტლიდან გადმოსულ ორ მამაკაცს უთხრა:



– ჩქარა, აიღეთ ყუთი და წავედით!

ეტლიდან გადმოსულებმა ყუთი ეტლში ჩადეს. ერთ-ერთი მათგანი კოფოზე დაჯდა და ეტლი ადგილიდან დაძრა, ხუბუა და მეორე მამაკაცი კი ეტლში მოკალათდნენ. ცხენებმა ჭენებ-ჭენებით ჩაათავეს სოლოლაკი, სიონისა და მეტეხის ხიდის გავლით ღვინის აღმართი აიარეს და ავლაბრის ერთ-ერთ ეზოში შევიდნენ. მამაკაცებმა ძვირფასეულობით სავსე ყუთი სახლში შეიტანეს, მაგიდაზე დადეს და ერთ-ერთმა მათგანმა ხუბუას უთხრა:

– აბა, გავიყოთ ნადავლი და დავიმალოთ, თორემ, ალბათ, უკვე მთელი „ჩეკა“ ფეხზე დგას და, თუ გზები შეკრეს, თბილისიდან ვერ გავალთ.

ხუბუამ ისევ ამოაცურა ნაგანები, ორივე მამაკაცი იქვე დახოცა და მათი ცხედრები იატაკის ქვეშ, სარდაფში ჩაყარა, შემდეგ ძვირფასეულობით სავსე ყუთი გახსნა, კარგად დაათვალიერა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა:

– ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. „ტვირთი №337“ ჩვენთანაა. სულ მალე ზღაპრულ ცხოვრებას დავიწყებთ...

ავლაბრის კერძო სახლ-კარი, სადაც ტიტე ხუბუამ ორი მამაკაცი მოკლა, ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნოდა. ტიტემ იქ ორი დღე და ღამე დაყო. მესამე დღეს, საღამოს რვა საათზე, მასთან შავპიჯაკიანი მამაკაცი მივიდა და ჰკითხა:

– რა ქენი?

– ბესო და კაკო მაშინვე დავხოცე და იატაკის ქვეშ ჩავყარე. ძვირფასეულობა ხელუხლებელია და ყუთში დევს, ყუთი კი მაგიდის ქვეშაა, – მიუგო პიჯაკიანს ხუბუამ და ჰკითხა: ქალაქში რა ხდება, მეძებენ?

– გეძებენ და დღესვე უნდა გავიდეთ. მოდი, ყუთი გადავიტანოთ და წავიდეთ.

ხუბუამ და პიჯაკიანმა ძვირფასეულობით სავსე ყუთი ეტლში შეინახეს, რომლითაც პიჯაკიანი იყო მოსული. პიჯაკიანის თხოვნით, ისინი კვლავ სახლში შებრუნდნენ. პიჯაკიანმა ხუბუას ნაგანიდან ორჯერ ესროლა თავში და იქვე მოკლა, იქაურობას ნავთი მოასხა და ცეცხლი წაუკიდა. შემდეგ გარეთ გამოვიდა, ეტლით ქვევით დაეშვა და უკვე მეტეხის ხიდიდან დაინახა, თუ როგორ მოეკიდა ცეცხლი სახლს, სადაც სამი მამაკაცის ცხედარი ეგდო...

### 40 წლის შემდეგ

1966 წლის მაისში, ვაკის პარკთან ახალ საცხოვრებელ კორპუსს აშენებდნენ და, ფუნდამენტს რომ თხრიდნენ, ბულდოზერმა მიწიდან უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული ყუთი ამოაგდო, რომელზეც ამოტვიფრული იყო: „საქართველოს ჩეკა“. ყუთი ცარიელი აღმოჩნდა და მისთვის შეიძლება არც არავის მიექცია ყურადღება, მაგრამ, რადგანაც „ჩეკას“ ბეჭედი ერტყა, ის საქართველოს უშიშროების კომიტეტს გადასცეს. იქ კი მალევე დაადგინეს, რომ ეს სწორედ ის ყუთი იყო, რომლითაც 1926 წლის 25 აპრილს ექსპროპრირებული ძვირფასეულობა გადაჰქონდათ და მის გამო ექვსი ადამიანი დახოცეს. საბედნიეროდ, ცოცხალი აღმოჩნდა გამომძიებელი ნოდარ მიქაძე, რომელიც „ტვირთი №337-ის“ გატაცების საქმეს იძიებდა. ის 74 წლის პენსიონერი იყო, მაგრამ, ყველაფერი კარგად ახსოვდა და მასთან სახლში მისულ თავის ახალგაზრდა კოლეგას, თემურ გოცირიძეს უთხრა:

– ძალიან ჩახლართული, სისხლიანი და კარგად ორგანიზებული საქმე იყო. ყველა კვალი ტიტე ხუბუასთან ერთად გაქრა, რომლის უკანაც მთავარი დამნაშავე იდგა და, სავარაუდოდ, სწორედ მან გაიტაცა ძვირფასეულობა, მთავარი მოწმე კი საკუთარი ხელით მოკლა.

– ხუბუას უკან მდგომების სავარაუდო ეჭვმიტანილთა სია თუ შეადგინეთ?

– შევადგინეთ. ასეთი სულ ოთხი ადამიანი იყო, მაგრამ, ოთხივე საფუძვლიანად გადავამოწმეთ და სუფთები აღმოჩნდნენ. მახსოვს, ნესტორ ესაკიას, რომელიც ექსპროპრიაციებს კურირებდა და რომლის ადიუტანტიც იყო ხუბუა, გულმა დაარტყა, საავადმყოფოში მოხვდა და კარგა ხანს მკურნალობდა. მან გადადგომის პატაკიც კი დაწერა, მაგრამ, არ დააკმაყოფილეს; პირიქით, ბერიამ ის დააწინაურა კიდეც. შემდეგ მოსკოვშიც თან იახლა და კარგა ხანს იქ მუშაობდა და გენერლობაც მიიღო. ბერიას დაპატიმრებამდე ერთი წლით ადრე ესაკია საქართველოში დაბრუნდა და ერთ-ერთი მაღალი პოსტი ჩაიბარა უშიშროებაში. თუმცა, ბერიას დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო, დამბლა დაეცა, ლოგინად ჩავარდა და მხოლოდ ამან იხსნა დაჭერისგან.

– ახლა ცოცხალია?

– 1962-ში გარდაიცვალა, ოთხი წლის წინ.

– კარგი, ბატონო ნოდარ, მეტს აღარ შეგაწუხებთ. დიდ მადლობას გიხდით, კარგად ბრძანდებოდეთ, – თემურ გოცირიძე გამოემშვიდობა პენსიონერ კოლეგას და წამოვიდა.

„კაგებეს“ 30 წლის კაპიტანს, თემურ გოცირიძეს ინტუიცია ჰკარნახობდა, რომ „ტვირთი №337-ის“ საქმეში ნესტორ ესაკიას ხელი ერია. ამიტომ, „კაგებეს“ გარდაცვლილი გენერლის დოსიეს შესწავლას შეუდგა, თუმცა, საეჭვოს ვერაფერს მიაგნო და იმედი თითქმის გადაეწურა, როდესაც ერთი საგულისხმო ფაქტი აღმოაჩინა, კერძოდ, ის, რომ ადრე ესაკიები ვაკეში, საკუთარ სახლში ცხოვრობდნენ, იმ მონაკვეთში, სადაც მშენებლებმა „ჩეკას“ შტამპიანი ყუთი იპოვეს. გოცირიძე თითქმის დარწმუნდა, რომ „ტვირთი 337-ის“ გატაცება ესაკიას ორგანიზებული იყო, ხუბუა კი შემსრულებლად ჰყავდა და ბოლოს თავიდან მოიშორა. კაპიტანმა დაადგინა, რომ ნესტორ ესაკიას ცოლი – მართა, შვილი – ლავრენტი და შვილიშვილი – ნესტორი ცოცხლები იყვნენ. მართა 80 წლის მოხუცი იყო. ნესტორი მეექვსე კლასში სწავლობდა, 36 წლის ლავრენტი კი თბილისის უშიშროების სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო და პოდპოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. გოცირიძე მიხვდა, რომ პატარა შეცდომაც რომ მოსვლოდა, „სუკის“ მაღალჩინოსანი მისგან სველ ადგილს დატოვებდა. ამიტომ, ფრთხილად შეუდგა მოკვლევას და დაადგინა, რომ ესაკიებს წყნეთში კერძო აგარაკი ჰქონდათ, რომელიც მათ 1951 წელს, ანუ, ნესტორის მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე მიიღეს. გოცირიძე ვარაუდობდა, რომ გარდაცვლილი გენერალი განძს აგარაკზე ინახავდა და მისი შვილი, ლავრენტი, საქმის კურსში არ იყო, რომ მამამისმა „ტვირთი №337“ გაიტაცა.

თემურ გოცირიძემ, პირადი რისკის ფასად, ესაკიების დაცარიელებული აგარაკი ჩუმად გაჩხრიკა, რისთვისაც ნაღმის მოსაძებნი მოწყობილობა გამოიყენა და სხვენის სქელ კედელში სამალავი აღმოაჩინა, სადაც ოთხი ცალი საშუალო ზომის ბიდონი იყო დამალული, რომლებშიც „ტვირთი №337-ის“ ძვირფასეულობა იყო ჩალაგებული და თითოეული 16 კილოგრამს იწონიდა, ტარის გარეშე. გოცირიძემ მეორე დილით პატაკი დაწერა სუკის თავმჯდომარის, ალექსი ინაურის სახელზე, რომელშიც აღიარებდა, რომ ესაკიების აგარაკზე უკანონოდ შევიდა, თუმცა, იქვე აღნიშნავდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. იმავე დღეს „კაგებეს“ სპეცჯგუფმა ესაკიების აგარაკიდან 40 წლის წინ გატაცებული ძვირფასეულობა ამოიღო. შეფასების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის 75 მილიონი მანეთი ღირდა. პოდპოლკოვნიკმა ლავრენტი ესაკიამ გადადგომის პატაკი დაწერა და სამსახურიდან წავიდა, თემურ გოცირიძე დააწინაურეს და მაიორობა მიანიჭეს.

**ნიკა ლაშაური**

# სისხლიანი ანგარიშსწორება ახალგაზრდებს შორის – რა გახდა დანაშაულის მიზეზი: ეჭვიანობა თუ ნათხოვარი ფეხსაცმელი

21 წლის ილია მ-შვილი და მისი მეგობარი შორენა ქ-ძე სხეულის დაზიანებებით საავადმყოფოში დაზარალებული გოგონას სახლიდან წაიყვანეს. ახალგაზრდა ბიჭს სხეულის დაზიანება გულ-მკერდის არეში ჰქონდა მიყენებული, შორენა ქ-ძე კი მხარში იყო დაჭრილი.



გოგონას მდგომარეობა მსუბუქი გახლდათ, რაც შეეხება ილია მ-შვილს, მას ქირურგიული ოპერაციის ჩატარება დასჭირდა.

პირველადი მონაცემებით, ახალგაზრდები შემთხვევით დაწყებულ დაპირისპირებაში, მათთვის უცნობმა მამაკაცმა დაჭრა. თუმცა, მოგვიანებით დადგინდა, რომ ინციდენტს, რომლის შედეგადაც, ახალგაზრდები საავადმყოფოში მოხვდნენ, როგორც ოპერატიული ინფორმაციით სამართალდამცველებისთვისაც გახდა ცნობილი, ბევრი თვითმხილველი ჰყავდა. სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა, რომ ილია მ-შვილსა და შორენა ქ-ძეს სხეულის დაზიანებები თანაკლასელმა, 21 წლის მალხაზ კ-შვილმა მიაყენათ, რომელიც წარსულში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისთვის იყო გასამართლებული.

გამოძიების მიხედვით, მალხაზ კ-შვილს დაზარალებულ ახალგაზრდებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. უფრო მეტიც, ის წარსულში შორენა ქ-ძის შეყვარებულიც იყო. თუმცა, მათი ურთიერთობა მას შემდეგ დასრულდა, რაც მალხაზი გისოსებს მიღმა მოხვდა. ციხიდან გათავისუფლებული მალხაზ კ-შვილი შორენასთან მაინც მეგობრობდა და საერთო ახლობლების მეშვეობით, ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. თუმცა, მალხაზის ცუდი ხასიათის გამო, მეგობრები მასთან ურთიერთობას მაინც თავს არიდებდნენ. მან ყველაზე მეტად ილია მ-შვილი ამოიჩემა, რომელიც შორენასთან დაახლოებული იყო. იმ დღეს, როცა თანაკლასელებსა და მეზობლებს შორის ინციდენტი მოხდა, ახალგაზრდები შორენა ქ-ძის სახლში იყვნენ შეკრებილნი და მის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ინციდენტში მონაწილე პირთა და თვითმხილველთა ჩვენების მიხედვით, ამ დაბადების დღეზე დაუპატიჟებლად მივიდა მალხაზ კ-შვილიც. ამონაწერი მოწმის, ნატალია ქ-შვილის ჩვენებიდან: „უკვე დაშლას ვაპირებდით, როდესაც შორენასთან სახლში მალხაზი მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსვლა არ გაგვხარებია, მაინც კარაგდ შევხვდით და ეს არც ერთმა არ შევიმჩნიეთ. მალხაზი მოსვლისთანავე აუხირდა ილია მ-შვილს, ეჭვიანობდა, რომ ილია შორენას ხვდებოდა. მოგვიანებით გავიგე, რომ კინკლაობის მიზეზი გახდა ფეხსაცმელი, რომელიც ილია მ-შვილმა მალხაზს ინციდენტამდე ერთი თვით ადრე მისცა და ის კი უკან აღარ უბრუნებდა. კამათი სუფრასთან დაიწყო, მალხაზმა ილია ქუჩაში გაიხმო საქმის გასარჩევად. ისინი ეზოში გავიდნენ, ალბათ, ათი წუთი იქნებოდა გასული, შორენაც ბიჭებს გაჰყვა. ცოტა ხანში ატყდა ჩოჩქოლი, ყველა გარეთ გავვარდით და დავინახეთ, რომ დაჭრილი ილია ძირს ეგდო, მალხაზი კი ფეხებს ურტყამდა. დანით მხარში იყო დაჭრილი შორენაც, მას მხარი სისხლით ჰქონდა მოსვრილი.”

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, მალხაზ კ-შვილი შემთხვევის ადგილს მაშინვე გაერიდა. დაჭრილი ახალგაზარდები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეგობარი რომ პასუხისგებისგან ეხსნათ, განაცხადეს, უცნობი ადამიანი დაგვესხა თავსო. მოგვიანებით, დაზარალებულმა შორენა ქ-ძემ სამართალდამცველებთან განაცხადა, რომ ადამიანი, ვინც მას და მის მეგობარს დაზიანებები მიაყენა, მათივე მეგობარი მალხაზ კ-შვილი იყო. ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „როცა ეზოში გავედი, მალხაზი და ილია უკვე ჩხუბობდნენ. მალხაზი მას ეუბნებოდა: მაგ ბოტასების გამო, მთელ ბიჭებს ჩემზე ალაპარაკებო. ილია კი უხსნიდა, რომ მე ფეხსაცმელი გათხოვე, შენ კი „დაწერება” გადაწყვიტეო. უცებ მალხაზმა დანა ამოიღო, ბნელოდა, მაგრამ დავინახე, როგორ დაარტყა დანა გულში. მე ილიას გადავეფარე, ამ დროს ვიგრძენი, რომ დანა მეც მომხვდა – ეს მაშინ მოხდა, როცა მალხაზმა ილიას მეორედ მოუქნია დანა. ილია ძირს ეგდო, მალხაზი ზედ გადამახტა და წიხლები დაუშინა. დანა ისევ ხელში ეჭირა. ჩემს კივილზე სახლიდან სტუმრები გამოცვივდნენ და მალხაზი გააკავეს. არ მახსოვს, როგორ გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. ყველა მე და ილიას შემოგვეხვია, მანაც დრო იხელთა. ის მანქანით იყო მოსული და როგორც ჩანს, იქაურობას მანქანითვე გაერიდა”.

სამართალდამცველებმა მალხაზ კ-შვილი ინციდენტიდან ორი საათის შემდეგ დააკავეს. მისი ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა დანაშაულის იარაღი – დანა, რომლითაც მან ორ მეგობარს სხეულის დაზიანებები მიაყენა. მალხაზ კ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მოგვიანებით, მოკვლევით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილიდან გაქცეულმა ახალგაზრდამ რამდენიმე მეტრში მანქანით მოხუცი ქალი გაიტანა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა საავადმყოფოში გადაიყვანა. მალხაზ კ-შვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა ავტოსაგზაო შემთხვევის თვითმხილველებმა, მისი ავტომობილის დაფიქსირება შეძლეს. მოკლედ, ნასვამმა მალხაზ კ-შვილმა ერთ საღამოს სამი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება შეძლო.

სასამართლო პროცესზე მალხაზ კ-შვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. მისი განმარტებით, ილია მ-შვილს დანა შეგნებულად დაარტყა, გოგონას კი მხარში ჭრილობა უნებურად მიაყენა. გვაშველებდა და ამ დროს მოხვდა დანაო, – განაცხადა მან სასამართლო პროცესზე. რაც შეეხება დაპირისპირებას, რომელიც მას ბავშვობის მეგობართან ნათხოვარი ბოტასების გამო მოუხდა, ამასთან დაკავშირებით განმარტა: რომ ილია მ-შვილი ამ ფეხსაცმლის გამო მის ღირსებას და პატივს ლახავდა, უბანში ცუდ ხმებს უვრცელებდა და ეს დანაშაულიც საკუთარი ღირსების დასაცავად ჩაიდინა. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულის დაცვის მხარის შუამდგომლობები და მალხაზ კ-შვილს, რომელმაც სამ ადამიანს სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა, რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**16 დეკემბერი**

1653 – ოლივერ კრომველი გახდა ინგლისის ლორდ-პროტექტორი (ფაქტობრივი დიქტატორი).

1773 – ამერიკის კოლონიებში დაიწყო აჯანყება ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ.

1899 – დაარსდა საფეხბურთო კლუბი „მილანი“.

1979 – ამერიკელმა ავტომრბოლელმა სტენ ბარეტმა პირველმა გადალახა ხმოვანი ბარიერი სპეციალური ავტომობილით.

**17 დეკემბერი**

1538 – რომის პაპმა პავლე მესამემ ეკლესიიდან განკვეთა ინგლისის მეფე ჰენრი მერვე. ინგლისი პროტესტანტული ქვეყანა გახდა.

1777 – საფრანგეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა სცნო.

1903 – ჰაერში აიჭრა ძმების – უილბერ და ორუილ რაიტების, პირველი თვითმფრინავი (ავიაციის დაბადება).

1982 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ტუტსი“ დასტინ ჰოფმანის მონაწილეობით.

**18 დეკემბერი**

1865 – ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად გაუქმდა მონობა.

1912 – ამერიკის კონგრესმა აკრძალა ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინარ ემიგრანტთა შესვლა.

**19 დეკემბერი**

1863 – ინგლისელმა ფრედერიკ უოლტონმა დააპატენტა ლინოლეუმი.

1909 – დაარსდა საფეხბურთო კლუბი „დორტმუნდის ბორუსია“.

1917 – კანადაში სტარტი აიღო ნაციონალური ჰოკეის ლიგის პირველმა ჩემპიონატმა.

1997 – ამერიკის შეერთებული შტატების ეკრანებზე გამოვიდა ჯეიმს კემერონის ფილმი „ტიტანიკი“.

**20 დეკემბერი**

1880 – ბროდვეიზე (ნიუ-იორკი) აინთო პირველი ელექტრონული ქუჩის განათება.

1892 – ალექსანდრ ბრაუნმა და ჯორჯ სტილმანმა მიიღეს პატენტი პნევმატურ საბურავებზე.

1924 – ციხიდან დროზე ადრე გაათავისუფლეს ადოლფ ჰიტლერი.

1939 – სტალინს მიენიჭა „სოციალისტური შრომის გმირის“ წოდება.

1990 – ედუარდ შევარდნაძე გადადგა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან.

**21 დეკემბერი**

1192 – ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკანა გზაზე ტყვედ ჩაუვარდა ავსტრიის ჰერცოგ ლეოპოლდს.

1879 – ბევრს ჰგონია, რომ ამ დღეს დაიბადა იოსებ სტალინი, თუმცა არ შეესაბამება სინამდვილეს. სტალინი 1878 წლის 6 დეკემბერს დაიბადა.

1898 – პიერ და მარია კიურებმა აღმოაჩინეს რადიუმი.

1902 – ლონდონში გამოჩნდა საავტომობილო მოძრაობის პირველი მარეგულირებელი – პოლისმენი ზოლებიანი ჯოხით.

1913 – გაზეთში „The New York World“ გამოქვეყნდა პირველი კროსვორდი (32-სიტყვიანი).

1982 – ვერტმფრენ „მი-28-ს“ პირველი ფრენა.

**22 დეკემბერი**

1216 – რომის პაპმა ჰონორიუს მესამემ დაამტკიცა დომინიკელ ბერთა ორდენი, ეს ორდენი მომავალში ინკვიზიციის მთავარი დამრტყმელი ძალა გახდა.

1882 – ედუარდ ჯონსონმა გამოიგონა ნაძვის ხის ელექტროგირლიანდები.

1933 – მარკუს ვან დერ ლიუბეს მიუსაჯეს სიკვდილი ბერლინის რაიხსტაგის დაწვისთვის.

1989 – რუმინეთში დაემხო ჩაუშესკუს რეჟიმი.

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: როგორ უნდა მივხვდე, რომ ძაღლს ამა თუ იმ საკვების მიმართ აუტანლობა აქვს?**

**პასუხი:** თუ თქვენს ძაღლს საკვებისადმი აუტანლობა აქვს, ამას აუცილებლად შეამჩნევთ: მას დაეწყება ღებინება, ასევე, ფაღარათი ან მუცლის შებერვა გაზების დაგროვების გამო. არ არის გამორიცხული, დაეწყოს კანის ქავილი და სიწითლე, ქერტლი, ყურების ქრონიკული პრობლემები, ცემინება, ხველა და ასე შემდეგ. როგორც კი ძაღლი ამ სიმპტომებს გამოავლენს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ვეტერინარს, რომელიც დაუსვამს სწორ დიაგნოზს და სათანადო მკურნალობას დაუნიშნავს. საკვებისმიერი ალერგიის ხშირი მიზეზი ძაღლებში უმეტესად საქონლის ხორცი და რძის პროდუქტებია. ჩემი კეთილი რჩევა იქნება, ნუ მიაჩვევთ ცხოველს თქვენი საკვების ნარჩენების ჭამას და არც ტკბილეულია მათთვის რეკომენდებული. საკვებისადმი მგრძნობელობა ყველაზე ხშირია სიცოცხლის ადრეულ სტადიაზე. ასევე, არის ძაღლის რამდენიმე ჯიში, რომლებსაც უფრო ხშირად ემართებათ ეს, მაგალითად კოკერსპანიელი, ტერიერი და ასე შემდეგ. თუ შენიშნავთ, რომ თქვენს ძაღლს აუტანლობა აქვს საკვებისადმი, მაშინვე მიმართეთ ვეტერინარს, რომელიც დაგეხმარებათ პრობლემის მარტივად გადაჭრაში. სასურველია, თუ ცხოველს მხოლოდ სპეციალისტის მიერ რეკომენდებული წესით გამოკვებავთ. გეტყვით იმასაც, რომ მზა საჭმელები ძაღლებისათვის ძალიან კარგია, თუმცა, ისიც სწორად უნდა იყოს შერჩეული.

**კითხვა: ყოველთვის აქტუალურია ცოფის თემა, რომლისაც ადამიანებს ყოველთვის ეშინიათ და, ხშირად, არა მარტო კბენის, არამედ, ცხოველის მიერ კანის გაკაწვრის შემდეგაც სათანადო აცრებს იკეთებენ პროფილაქტიკისთვის. რეალურად მართლა ასეთი საშიშია?**

**პასუხი:** გეთანხმებით, რომ ცოფი მართლაც არ არის ხელწამოსაკრავი თემა. თუ ადამიანები საჭიროების დროს უყურადღებოდ ტოვებენ ცხოველის ნაკბენს, ეს ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. ამიტომ, თუ შემთხვევით ცხოველი კბილს გაგკრავთ ან გიკბენთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც ჩაგიტარებთ შესაბამის მკურნალობას. გახსოვდეთ, ცოფი მსოფლიო მნიშვნელობის დაავადებაა, რომლის აღმძვრელ წყაროდ ითვლებიან შინაური და გარეული ცხოველები. კბენის დროს ვირუსი ხვდება ქსოვილში, საიდანაც მიგრირებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში პერიფერიული ნერვების საშუალებით. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 12 დღიდან და, შეიძლება, გაგრძელდეს ერთ წლამდე, მაგრამ, ძირითადი ხანგრძლივობა 4-6 კვირაა.

აღნიშნული პერიოდი მცირდება ვირუსის მაღალი კონცენტრაციის დროს, თავზე ან კისერზე კბენის შემთხვევაში. ცოფის მკურნალობა არ არსებობს და კლინიკის გამოვლინების დროს შედეგი ყოველთვის სასიკვდილოა. ამიტომ, ვაქცინაცია ეფექტური პროფილაქტიკის საშუალებაა, რომელიც აუცილებელია ყველა ძაღლისა და კატისთვის და უნდა ჩაუტაროთ ყოველწლიურად. ცოფით დასნებოვნების პროფილაქტიკისთვის აუცილებელია, დროულად აცრათ თქვენი ძაღლი დაავადების საწინააღმდეგოდ; ჩაუტაროთ რეგულარული დერატიზაცია კერძო სახლებში. შეეცადეთ, არ გაიყვანოთ ცხოველი ცოფისთვის არაკეთილსაიმედო ადგილებში.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო დეკემბერა?**

**პასუხი:** ზაფხულში მზეს მოარიდეთ, განსაკუთრებით – მწველ მზეს, ზამთარში კი სინათლე არ მოაკლოთ. ქოთანი არ შეატრიალოთ ხოლმე, თორემ, კვირტები დასცვივდება. ასევე, არ ვარგა მისთვის ორპირი ქარი და ზედმეტი ტენი. ზაფხულში, ზომიერ კლიმატში, შეგიძლიათ, აივანზე გაიტანოთ, ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ მზე ძალიან არ უნდა აცხუნებდეს. მთელი წლის განმავლობაში იდეალურია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ეს მცენარე სიგრილეში უფრო მეტხანს იყვავილებს.

**კითხვა: როგორ გავახარო შეფლერა?**

**პასუხი:** შეფლერა ნაკლებად ჭირვეული მცენარეა. მას კარგი განათება უყვარს. მისთვის ნორმალური ტემპერატურა 18-24 გრადუსია. რაც უფრო თბილა, მით მეტი ტენიანობა სჭირდება. აქტიური ზრდის პერიოდში ტენი არ მოაკლოთ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ, მაგრამ, მიწას მთლიანად ნუ გამოაშრობთ. ზრდის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. შეგიძლიათ, სიმაღლეში ზედმეტად გაზრდილი მცენარე გაზაფხულზე შუაზე გადაჭრათ – ასე გვერდითი ტოტები ამოუვა და გაიბუჩქება. კარგია, თუ სასტუმრო ოთახში დადგამთ. სუფთა ფოთლები მცენარეს სიჯანსაღეს უნარჩუნებს. ისინი ხელისგულზე დაიდეთ და სველი ნაჭრით რეგულარულად გაწმინდეთ ხოლმე. ეს მიმზიდველი, ჭრელფოთლიანი მცენარე საკმაოდ გამძლეა და ხანმოკლე მოუვლელობასაც კი აიტანს. ის კარგად ეგუება ჰაერის სიმშრალეს და უძლებს თითქმის ყველანაირ პირობებს.

**კითხვა: როგორ მოვუარო იაპონურ არალიას?**

**პასუხი:** ეს მცენარე ზაფხულში ხშირად უნდა მორწყათ. თუ ფოთლები მოიწყენს, ესე იგი, წყალი აკლია. მის ნიადაგს რეგულარულად სჭირდება განოყიერება. კომპაქტური ტოტები და მწვანე ფოთლები კაშკაშა სინათლეში უკეთ იზრდება. მცენარე სიგრილეში ამყოფეთ, ზამთრობით 2-3 გრადუსიც საკმარისია. თუ არალიას გაზაფხულზე გაკრეჭთ, ახალი გვერდითი ტოტები ამოუვა. მაღალი ტემპერატურისა და სუსტი განათების პირობებში ის ფორმას დაკარგავს. ფოთლები გაუწმინდეთ ხოლმე და ზედმეტად წამოზრდილი ტოტები მოაჭერით. მოზრდილმა არალიამ, შეიძლება, თეთრი ყვავილებით იყვავილოს, თუმცა, ოთახის არალია ძალიან იშვიათად ყვავის. ის ყვავილების გარეშეც ძალიან ლამაზია და ამავე დროს, იოლად გასახარებელი. ეს გამძლე მცენარე ზამთრის სიცივესაც კარგად იტანს. სასურველია, თუ მას ნათელ ჰოლში დადგამთ. ის დაახლოებით 55 სანტიმეტრი სიმაღლის იზრდება და დიდი ადგილი არ სჭირდება.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ნოლინას ბინაში გაზრდა და როგორ გავახარო?**

**პასუხი:** ეს მცენარე იოლად მოსავლელია. თუ ბინაში ნათელი დიდი ოთახი გაქვთ, ის ძალიან კარგად გაიზრდება. მისთვის მთავარია, სინათლე არ მოაკლოთ და ზედმეტად არ მორწყათ. მას მაქსიმალური სინათლე სჭირდება. მთელი წლის განმავლობაში მცენარისთვის საკმარისია 16-20 გრადუსი ტემპერატურა. ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთარში კი – შედარებით იშვიათად. წელიწადის არც ერთ სეზონზე ამ მცენარეს ზედმეტი მორწყვა არ სჭირდება. არც მისი წყალში ჩადგმაა კარგი, რადგან ის ნახევარუდაბნოს პირობებსაა მიჩვეული. იმისათვის, რომ ფესვები არ დაულპეს, ნოლინა ჩარგული უნდა იყოს კარგი დრენაჟის მქონე მიწაში. თუ ზამთრის ბაღი გაქვთ, ის აქაც კარგად იგრძნობს თავს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: გთხოვთ, მირჩიოთ, რომელი „ჯიპი“ უფრო გამძლე და იაფია შესანახად – „ჰონდა სიარვი” თუ „ტოიოტა რავ 4” და რა გადაუჭრელი პრობლემა შეიძლება, შეექმნას „სიარვის” ისეთი, საქართველოს პირობებში რომ არ გამოსწორდება?**

**პასუხი:** ორივე ავტომობილი საკმაოდ კარგი და იოლი შესანახია, მაგრამ „ჰონდა” გაცილებით დიდია, შესაბამისად, უფრო კომფორტულია ოჯახისთვის, ფიზიკურად დიდი ადამიანის ჩასაჯდომად და თუნდაც, ბარგის გადასატანად. იმავდროულად, ის „ტოიოტაზე” ნაკლებ საწვავს მოიხმარს. ორივე ავტომობილს აქვს ერთი დიდი პრობლემა – მართვის ავტომატური კოლოფი. მისი დაზიანების შემთხვევაში, მოგიწევთ ახლის შეძენა მეორადი ნაწილების ბაზრობაზე ან მაღაზიებში, რადგან მისი აღდგენა ძალიან რთულია და თან, ძვირი ჯდება. თუ არჩევანს მართვის მექანიკურ კოლოფზე გააკეთებთ, ის ორივე მოდელს უსაზღვროდ გამძლე აქვს. მის რესურსს ავტომობილის ექსპლუატაციის ბოლომდე ვერ ამოწურავთ. მაგრამ, თუ აქცენტს მაინც მართვის ავტომატურ კოლოფზე აკეთებთ, ის „ტოიოტას” უფრო გამძლე აქვს.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი „ოპელ ფრონტერა”. რამდენად გამოსადეგია ის საქართველოს პირობებში და აქვს თუ არა კარგი გამავლობა?**

**პასუხი:** „ოპელ ფრონტერას” ვერავის ვურჩევ. უფრო მეტიც, ვიტყოდი, რომ ეს უზარმაზარი კორპორაციის, საავტომობილო გიგანტის, „ოპელის” ჩავარდნაა. ეს არის ავტომობილი, რომელსაც არც გამავლობა უვარგა, არც მანევრი და არც სხვა რამ. იქნებ რაიმე სხვა შეარჩიოთ იმავე კლასში, მაგალითად „ნისან ტერანო”, რომელსაც დაახლოებით იგივე ფასი აქვს.

**კითხვა: მყავს „ოპელ ასტრა”, 1997 წლის „ჰეჩბექი“, 1.4-იანი ძრავით, V16 „ეკოტეკი”. ძალიან მინდა, შედარებით ძლიერი ძრავა ჩავაყენო ისე, რომ „ხადავოიში” ბევრი არაფრის შეცვლა დამჭირდეს. კომპიუტერის და გაყვანილობის ხელახლა მომართვა ხომ არ მომიწევს? კიდევ რისი შეცვლა დამჭირდება და დაახლოებით, რა ხარჯებთანაა ეს დაკავშირებული?**

**პასუხი:** ამ ტიპის ავტომობილის ასე გადაკეთება, ყოველთვის უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე გაყიდვა და ისეთძრავიანის ყიდვა, რომელიც უფრო გაწყობთ. როგორც წესი, ძალიან ბევრი წვრილმანია გადასაკეთებელი და მოსარგები. მაგალითად, როგორიცაა: ძრავის სადგარები, ყუმბარები, მოდების ქურო, წყლის და დენის გაყვანილობების ცალკეული ნაწილები და სხვა.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ნისან ქაშქაი”. უკანა ნაწილში ისმის პლასტმასის ჭრიალი. ეს ამ ავტომობილის დეფექტითაა გამოწვეული, თუ რაიმე პრობლემა აქვს? იქნებ დამიხასიათოთ ამ მანქანის დადებითი და უარყოფითი მხარეები.**

**პასუხი:** ზოგადად, „ქაშქაის” ახასიათებს ასეთი ხმაური, რაც გამოწვეულია არცთუ ისე ხარისხიანი სამაგრებით, გადაბმებით, პლასტმასის ხარისხით და სხვა. ამის გამოსასწორებლად, მოგიწევთ, ხელოსანთან მისვლა ან თავად უნდა იპოვოთ, საიდან მოდის ეს ხმა და რაიმე სწრაფი მეთოდებით აღმოფხვრათ. არსებობს სპეციალური საპოხი მასალები, ქაფი, რითიც ამ პრობლემას უცებ მოაგვარებთ. რაც შეეხება ავტომობილის დადებით და უარყოფით მხარეებს, ზოგადად, ის ძალიან თხელი მასალითაა შექმნილი – სულ უმნიშვნელო საგზაო შემთხვევის დროსაც კი, სერიოზულად ზიანდება. ამავე დროს, ის არცთუ ისე ეკონომიურია, როგორიც, წესით უნდა იყოს. დადებითი თვისებებიდან გამოვარჩევ იმას, რომ იაპონური სტილისაა. ეს კი გულისხმობს მისი სისტემების კარგ მუშაობას – იქნება ეს სავალი ნაწილი, ჰიდრავლიკა, წყლის მიწოდების სისტემა თუ სხვა. ავტომობილს აქვს კარგი მანევრი და ვიზუალურადაც ძალიან ეფექტურია.

**კითხვა: მყავს „ტოიოტა რავ 4”, 2002 წლის, დიზელზე. გავლილი აქვს 194 000 კილომეტრი. მოძრაობის დროს, შიგადაშიგ, ძრავა თითქოს „იგუდება”. ავტომობილს ვაჩერებ, ადგილზე ვამუშავებ და მდგომარეობა სწორდება. გაზის მიცემის შემდეგ კი, ისევ იწყებს ეგრეთ წოდებულ „მოგუდვას.“ იქნებ ამიხსნათ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** უპირველესად, საჭიროა, ჰაერისა და საწვავის ფილტრების შეცვლა, ამ სინდრომებს სწორედ ფილტრების გაბიდვნა იწვევს. ამიტომ ის გაბიდვნის, ამოვსების მდგომარეობამდე არ უნდა მიიყვანოთ და ქარხნიდან მითითებულ დროში უნდა შეცვალოთ. თუ ფილტრების შეცვლამ მდგომარეობა არ გამოასწორა, მიმართეთ დიზელზე ორიენტირებულ სპეციალურ პროფილაქტიკას – ფონიჭალიდან რუსთავისკენ მიმავალ გზაზე, მარჯვენა მხარეს, როგორც კი ფონიჭალას გაცდებით. იქ საქართველოში საუკეთესო დიზელის ხელსაწყოები, მოწყობილობები და ხელოსნები არიან. სერვისცენტრის ნომერია: 591137722.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**კითხვა: იქნებ დამიხასიათოთ „მერსედესი“ „ცე” კლასის კუპე, 3.2-იანი ძრავით და „ბეემვე” „დუტი ტროიკა”, რომელი რა პლუსებით გამოირჩევა?**

**პასუხი:** კარგი იქნებოდა, თუ ძრავას „ბეემვეს” შემთხვევაშიც მოიხსენიებდით. ჩემი ვარაუდით, საუბარი გაქვთ 3.0-იანი ძრავის მქონე „ბეემვეზე“. მაგრამ, ამ ორი ავტომობილის ერთმანეთთან შედარებას აზრი არ აქვს, იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც მანევრით, ისე კომფორტით, აჩქარებით, ხასიათით... შედარებისთვის, „ბეემვეს” შემთხვევაში, წარმოვიდგინოთ სპორტულად და იმავდროულად, მოდურად ჩაცმული ადამიანი; „მერსედესის” შემთხვევაში კი, – კლასიკურად ჩაცმული, ჰალსტუხიანი, ელეგანტური მამაკაცი. რა პლუსებიც ამ ადამიანებს აქვთ ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, იგივე შეგიძლიათ მოარგოთ თქვენ მიერ დასახელებულ ავტომობილებს.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ფლინის ცოლი / პოეზია
პატარა შალვა / სახლში ანუ?
თელავთანაა / ვეფხვის ნაშიერი
ბანქოს სჭირდება
სუფთა წონა / თავისებურება
მთა / ყარაჩაი ჩერქეზეთშია
მეხორცე / ინგლისი
კვერენჩხილაძე
ძველი დინამოელი
წვერის სალებავი
სიარულის შედეგი
ძველ პურს ექიდება
ნელი ტემპი მუსიკაში
ჩვენი მთიელების სალოცავი
სკანდინავიური ლეგენდა
რამინის სატრფო
დიდი ჯოხი
ვალის ძირითადი ნაწილი
წყალზე გადაადგილების საშუალება
ვაშლის ღვინო



ჭოტი
ჭიკარტი თავისი არსით
პარკოსანი მცენარე
კაცის რუსული სახელი
ხორციანი სადილი
გარანტია / მდიდარი კაცი
ნათესი / ტორტილა
ზოგჯერ თავს ესხმის
იაპონელი მწერალი
იაპონიის ქალაქი
ისრის წვერი
ნაკადული
ქალის სამოსი
გარდაბნის სოფელი / ნახმარი
(.......) ზაქარიაძე
ინტერნეტის ფსევდონიმი
ქადრაკის ჩიხი
წყალს ქაჩავს
გრეხის წინაა
იხილე ფოტო
ჩემპიონთა გაერთიანება
უკრაინის პარლამენტი
ჯართის ხმა
მექსიკაში ბევრია
ხილში ბევრია
უუფლებო კაცი
ნორვეგიელი კომპოზიტორი
ქიაბერის მამა
მომაბეზრებელი სიძველე
დუმბაძის ქურდი
ანტილოპა / ერთად ანუ? / წყალკურთხევა
პატარა მამრი / უსიტყვო მსახიობი
ნიაღვრის სადინარი
რესურსი
სომხეთის ქალაქი
მთვარეს ახლავს
დიდი აკაკი
მოწრუპა ამუ? / ვაზირის კოლეგა
ილიას ყაჩაღი
მინერალური წყალი
გაზაფხულის თვე
არბიტრი / ბოჩოლა
ყაზახი აშული / პატარა ირაკლი
ფიროსმანი
მუხლშია
ჩინური სამაგიდო თამაში
ბალახის ჩრდილი / (........) ქვეშეთი
ლუის კეროლი „(.........)“ საოცრებათა ქვეყანაში“
იოვოვიჩი
ძვ.ესპან. ფეხბურთელი / ბილიკი
XIX ს ინგლისელი პოეტი
შუა აზიის სახელმწიფო / კარგი ამინდი

| C1 | C2 | C3 | C4 | C5 | C6 | C7 | C8 | C9 | C10 | C11 | C12 | C13 | C14 | C15 | C16 | C17 | C18 | C19 | C20 | C21 | C22 | C23 | C24 | C25 | C26 | C27 | C28 | C29 | C30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 1 | | | 4 | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | 1 | | | 1 | | | | | | |
| | | | | | 3 | | 3 | 3 | 1 | 1 | 5 | 4 | 1 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | | 5 | 1 | 1 | 5 | 1 | | | | | |
| | | | | | 1 | 3 | 1 | 1 | 5 | 5 | 1 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 5 | 1 | 5 | 1 | | | | |
| | | | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 6 | 6 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 15 | | | |
| | 3 | 8 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 | 4 | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 7 | 3 | 7 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 7 | 3 | 7 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | | | 20 |
| | | | | 1 | 1 |
| | 2 | 4 | 5 | 5 | 1 |
| | 1 | 4 | 5 | 5 | 1 |
| | 2 | 5 | 5 | 5 | 1 |
| | 1 | 5 | 5 | 5 | 1 |
| | 2 | 6 | 5 | 5 | 1 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | | 24 |
| | | | | 2 | 2 |
| | | | 1 | 2 | 2 |
| | | | 2 | 2 | 2 |
| | | | 2 | 6 | 2 |
| | | 2 | 5 | 6 | 6 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 |
| | 3 | 5 | 2 | 2 | 5 |
| | | | 7 | 6 | 7 |
| | | 3 | 3 | 3 | 3 |
| | | | | 7 | 7 |
| | | | | 5 | 5 |
| | 6 | 3 | 10 | 3 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | | 7 | | 6 | | 8 | 4 |
| | 7 | 8 | 5 | | 3 | 1 | | |
| 2 | | 4 | | 1 | | 7 | 3 | 5 |
| 6 | 8 | 1 | 2 | | 7 | | 5 | 3 |
| 4 | | 9 | 3 | 6 | 1 | 2 | 7 | |
| | 2 | | 4 | | 8 | 6 | | 9 |
| 5 | | 2 | | 8 | | 3 | | 7 |
| | 4 | | 6 | | 2 | | 9 | 1 |
| 1 | | 6 | | 7 | | 8 | | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | 5 | | 4 | | |
| | 7 | | 4 | | | | | 9 |
| 4 | | | | | 2 | | 5 | |
| | 9 | 4 | | 1 | | | | 2 |
| 7 | | | 2 | | 3 | 1 | | 4 |
| | 2 | | | | 5 | | 6 | 3 |
| 9 | | 5 | | 2 | | 3 | | 8 |
| 2 | | | 5 | | 8 | 9 | | 6 |
| | | 8 | | 9 | | 2 | 4 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ორი ოვალით დაიწყეთ მულტფილმის გმირების ხატვა

2. ჩახატეთ წრეები და სხვა ფიგურები

3. გამოკვეთეთ თვალები და მიახატეთ ხელები

4. ფეხებიც არ დაგავიწყდეთ

5. დაასრულეთ ნახატი

6. გააფერადეთ



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე სპილოს მივიდეს ბანანებთან



## რომელი ძაღლის ჩრდილია



# ცხვარი და მგელი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ მგელი ცხვრის ფარაში შევარდა და ერთ ბატკანს კოცნა და ფერება დაუწყო.

– რას შვრებიო, – ჰკითხა ძაღლმა.

– ვეთამაშები და ვეფერებიო, – უთხრა მგელმა.

– მაგ ბატკანს თავი დაანებე, თორემ მე ვიცი, როგორც უნდა მოფერებაო, – უთხრა ძაღლმა.

ეს არაკი ქურდებსა და მატყუარებზეა ნათქვამი.

## რიცხვრებუსი

,,3, 10,, ,,3, 10,, ,,0

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| მიწისქვეშა ტრანსპორტი / ყვავილი | | | გარეული ღორი / რიცხვი | |
| | | | | |
| დიდი ნემსი / გამხმარი ხილი | | | | |

# სად გირჩევნიათ ყოფნა

*ადამიანებს უყვართ მეგობრების, ახლობლების, ნაცნობების წრეში ყოფნა. ზოგი განმარტოებას ამჯობინებს. თქვენ სად გრძნობთ თავს კარგად?*

**1. იდეალური ზამთარი თქვენთვის არის:**

ა) თოვლიანი და არც ისე ცივი;

ბ) ზამთარი მიყვარს. სულერთია, როგორი იქნება ის;

გ) არ ყინავდეს... თოვლიც თუ მოვა.

**2. გიყვართ სადღესასწაულო მაგიდის, ნაძვის ხის მორთვა?**

ა) ძალიან, ბავშვობიდან ვგიჟდებოდი ამ საქმიანობაზე;

ბ) ვალდებულების გამო ვრთავ. ისე, მეზარება;

გ) არა. რა საჭიროა.

**3. ადამიანის ცხოვრება უნდა იყოს...**

ა) ტრადიციული. მორალზე დაფუძნებული;

ბ) უბრალო და მარტივი;

გ) ეგზოტიკური. სიახლეებით, სიურპრიზებით სავსე.

**4. ვისთან ერთად გიყვართ ყოფნა?**

ა) მხოლოდ ყველაზე ახლობელ ადამიანებთან;

ბ) ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან;

გ) მხოლოდ იმ ერთადერთთან, ვინც მიყვარს.

**5. ხშირად ყიდულობთ ახლობლებისთვის საჩუქრებს?**

ა) დიახ. მიყვარს, როცა ადამიანებს ვაბედნიერებ;

ბ) მხოლოდ დღესასწაულებზე;

გ) როცა სადმე მივდივარ, იქიდან ჩამომაქვს საჩუქრები.

**6. ღამე – ეს არის დრო, როცა...**

ა) შემიძლია, დავრჩე მარტო, საკუთარ თავთან;



ბ) შემიძლია, გავერთო და ახლობლებს დრო დავუთმო;

გ) შემიძლია, დავისვენო და მოვეშვა.

**7. სრულფასოვანი ოჯახური ურთიერთობა შეუძლებელია:**

ა) ოჯახური ტრადიციების გარეშე;

ბ) ურთიერთსიყვარულის, პატივისცემის გარეშე;

გ) ხანმოკლე განშორების გარეშე.

**პასუხები და შედეგები:**

*როცა პასუხების უმრავლესობა არის „ა“: თქვენთვის იდეალური მდგომარეობაა ოჯახური გარემო. გიყვართ და შეგიძლიათ ოჯახის წევრებთან ყოფნა და მათთან გართობა. ზრუნავთ საკუთარ თავზეც და არ გეზარებათ, დრო თანაბრად გაანაწილოთ ახლობლებსა და საკუთარ პერსონას შორის. გიჟდებით, ისე მოგწონთ და გიყვართ ოჯახური ტრადიციები.*

*პასუხების უმრავლესობაა „ბ“: გართობის მოყვარული ხართ. მოგწონთ ხმაურიანი კომპანიები, ხალხმრავლობა... როცა გარშემო ბევრი ადამიანი გახვევიათ, თავს ისე გრძნობთ, როგორც თევზი წყალში. ენერგიას თითქოს საერთოდ არ ხარჯავთ, ისეთი სიცოცხლით სავსე ხართ.*

*პასუხების უმრავლესობაა „გ“: მარტოობა გიყვართ. თავს კარგად საკუთარ ნაჭუჭში გრძნობთ. თუმცა, უარს არ ამბობთ ზოგჯერ მოგზაურობაზეც. ის ცნობისმოყვარეობას გიკმაყოფილებთ, ბევრი ადამიანი გგლით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი პიროვნება ხართ.*

## აღმოჩენას დიდხანს ელოდნენ

იცით, როგორ ხსნიდნენ კონსერვებს, სანამ მისი გასახსნელი არ არსებობდა? – ჩაქუჩით და ბრტყელტუჩათი. 1810 წელს გაჩნდა და დაპატენტდა პირველი კონსერვის ქილა. მისი ავტორი გახლდათ ინგლისელი პიტერ დიურანი. მაგრამ, მან თავის გამოგონებას გასახსნელი არ მოაყოლა. 1824 წელს გამოშვებული ხორცის კონსერვის ქილას პირდაპირ ეწერა – გახსენით ჩაქუჩის გამოყენებითო. ლითონის სისქე, რომლითაც მაშინ არმიისთვის კონსერვებს ამზადებდნენ 5 მილიმეტრს აღწევდა. ჯარისკაცები მას შაშხანის დანებით ხსნიდნენ. თვად დაკონსერვების იდეის ავტორი და რეცეპტის შემქმნელი იყო არა დიურანი, არამედ, ფრანგი ნეკოლა ამპერი. დიურანისა და ამპერის პატენტები 1812 წელს შეიძინეს ჯონ ჰოლმა და ბრაიან დონკინმა. მათვე ააშენეს 1813 წელს ლონდონში პირველი საკონსერვო ქარხანა და უშვებდნენ კონსერვებს სპეციალურად ბრიტანელი არმიისთვის. თითო კოლოფი ნახევარ კილოგრამზე მეტს იწონიდა. მზადდებოდა ხელით. ერთი მუშა ერთი საათის განმავლობაში 4-6 ქილაზე მეტს ვერ ამზადებდა და ამიტომაც ძვირი ღირდა.



კონსერვის პირველი გასახსნელის ავტორი გახლავთ ინგლისელი რობერტ იეიტსი. თავის კონსტრუქციაზე პატენტი მან 1855 წელს მიიღო, მაგრამ, წარმოებაში ფართოდ არ დაინერგა – ისინი ჰქონდათ მხოლოდ კონსერვის გამყიდველებს, რომლებიც ქილას ხსნიდნენ და ისე ატანდნენ მყიდველს. 1858 წელს ამერიკელმა ეზრა უორნერმა კონექტიკუტის შტატიდან, დააპატენტა „კონსერვების გამხსნელი“ – უცნაური ფორმის, არც ისე მოსახერხებელი დანა. მერე საქმეში სამხედრო გამომგონებლები ჩაერივნენ. ამერიკელებმა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჩიკაგოში დააპატენტეს ამერიკის სამხედრო არმიის დანა „პ-38“ – კონსერვის გასახსნელის თარიღად სწორედ 1858 წელი უნდა მივიჩნიოთ.

## დრო ცვლის ყველაფერს!

პირველი თვითგორია – ბავშვების საყვარელი გასართობი, თავიდან სულაც არ შექმნილა მათთვის. 1890 წელს დამზადებული თვითგორია, რომელიც ინგლისში, ლითონისგან შექმნეს, 15 კილოგრამს იწონიდა. მისი ბორბლების დიამეტრი 450 მილიმეტრი იყო და ძალიან ჰგავდა ველოსიპედს.

1918 წელს ფრანგებმა „სამოკატი“ ხისგან დაამზადეს და ამით მისი წონა 3 კილოგრამამდე შეამცირეს. ბორბლების დიამეტრი კი 80 მილიმეტრი იყო.

რუსებმა, მაშინდელ საბჭოთა კავშირში, 1964 წელს, შექმნეს „სამოკატი“ ლითონისა და რეზინისგან. ბორბლების დიამეტრი 130 მილიმეტრი იყო და მთლიანად 6 კილოგრამს იწონიდა. ყველაზე თანამედროვე თვითგორია გააკეთეს შარშან, სამხრეთ კორეაში. მასალა მინაბოჭკოვანი ქსოვილია. ბორბლების დიამეტრია 150 მილიმეტრი. განკუთვნილია უფროსებისთვის და იწონის 8 კილოგრამს.

**გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ**



# ინტელექტუალური მკვლელი

## სტენლი ელინი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჯორჯ ჰანეკერს თავისმა შეფმა (რომლის ინტელექტითაც მოხიბლული იყო ჯორჯი), მისტერ ულრიხმა, ჭადრაკი აჩუქა. უბრალო ჭადრაკი კი არა, სპილოს ძვლისა და შავი ხის, მოჩუქურთმებული და ძალიან ძვირფასიც. თან, ჭადრაკის ხელმძღვანელიც მოაყოლა და ცნობილ მოჭადრაკეებზე დაწერილი წიგნებიც. ჯორჯ ჰანეკერმა ჭადრაკი უძვირფასესი განძივით მიიტანა სახლში და ცოლს აჩვენა.

– სხვათა შორის, კარგი იქნება, თუ ჭადრაკის თამაშს შენც ისწავლი.

ლუიზამ წარბები გაოცებით აზიდა და ქმარს ზიზღით შეხედა:

– მეცოდები. ჭადრაკი რა კაცის საქმეა! ახლა გინდა, მეც ჩამითრიო მაგ სისულელეში? მაგ შენს ულრიხსაც ვერ ვიტან, საზიზღარი ვინმეა, ამპარტავანი და, როცა სტუმრად მოდის, ისე მიყურებს, როგორც არარაობას.

– უსამართლო ხარ, – გააპროტესტა მისტერ ჰანეკერმა, – შესანიშნავი ადამიანია. თავის საგანძურს შეელია და დაუნანებლად მაჩუქა. ამას ყველა არ გააკეთებდა.

– ჰმ, საგანძური! შენ, გატყობ, ბევრი დრო გაქვს, ჭადრაკისთვის რომ მოგიცლია, სულელო. კარგი, გამოიცვალე, ყველაფერი თავის ადგილას ჩამოკიდე და ვივახშმოთ... ჩემი იმედი ნუ გექნება, ჭადრაკის თამაშზე ვერ მოვცდები, ისედაც უამრავი საქმე მაქვს. შენს გასაკეთებელსაც მე ვაკეთებ და, არანაირი სურვილი არ მაქვს, ჭადრაკის შესწავლაც დავიწყო.

– ულრიხმა მითხრა, ვინც სერიოზულად მოჰკიდებს ხელს ჭადრაკის თამაშს, მის გარეშე ცხოვრებას ველარ შეძლებსო.

– უკვე გითხარი, ჩემი იმედი ნუ გექნება-მეთქი!

მისტერ ჰანეკერმა ამოიოხრა. პრინციპში, სხვას არც ელოდა. ლუიზას და მას არასდროს ჰქონიათ საერთო ინტერესები. ქალს არ უყვარდა ოპერაში სიარული და უფრო მდარე ხელოვნება აინტერესებდა; მისტერ ჰანეკერს არ მიჰყავდა სახლში მეგობრები, რადგან, მის ცოლს ეს აღიზიანებდა; არ დადიოდნენ გამოფენებზე, პრემიერებზე... სამაგიეროდ, ლუიზა შესანიშნავი დიასახლისი იყო: სახლი ყოველთვის იდეალურ წესრიგში ჰქონდა და ყოველ კაპიკს უფრთხილდებოდა... ქმრის გასაოცრად, თხუთმეტი ათასი დოლარის დაზოგვაც კი შეძლო და, ახლა შეეძლოთ, სიბერეს მშვიდად შეხვედროდნენ. ერთი სიტყვით, მისტერ ჰანეკერი, ასე თუ ისე, მაინც არ უჩიოდა ბედს.

მისტერ ულრიხი მართალი აღმოჩნდა: ჭადრაკმა მალე ისე შეიყოლია, რომ დროზე ადრეც კი მორბოდა სამსახურიდან, რომ დაფა გაეშალა და პარტიას ჩასჯდომოდა. ნელ-ნელა დაოსტატდა კიდეც. ღამ-ღამობით ცნობილ მოჭადრაკეთა პოპულარულ პარტიებს ეცნობოდა... გადიოდა დრო და სულ უფრო მწვავედ გრძნობდა პარტნიორის ნაკლებობას. ეს შემაძრწუნებელი განცდა მთელ მის გონებას დაეპატრონა. ცოცხალი პარტნიორი ოცნებად ექცა. გადაწყვიტა, საკუთარ თავში მეორე მოჭადრაკე „ჩაესახლებინა“ და მასთან დაეწყო პაექრობა. ეს იდეა მალე ისე აეკვიატა, რომ მოსვენება დაკარგა. თუმცა მისმა წარმოსახვამ შეძლო, წარმოედგინა „ის“ – მეტოქე, რომელიც მას ტოლს არ დაუდებდა. და, დაიწყო... საღამოები ჭადრაკის თამაშში გადიოდა. შავებით ყოველთვის თვითონ თამაშობდა, თეთრები „პარტნიორს“ დაუთმო. გააკეთებდა სვლას, ადგებოდა და ჭადრაკის დაფას საპირისპირო მხრიდან მიუჯდებოდა. ლუიზასთვის ეს სასაცილო საყურებელი იყო, ამიტომ, ერთხანს ითმინა... სავარძელში მჯდარი, ჩუმად ადევნებდა თვალს ქმრის საქციელს და ხითხითებდა, თან ქსოვდა... მაგრამ, ყველაფერს საზღვარი აქვს და ბოლოს ისიც გაღიზიანდა.

– სულელივით იქცევი! – დაუყვირა ქმარს, – შეგიძლია, ჭადრაკის დაფა შემოაბრუნო, წინ და უკან რისთვის დარბიხარ?

მისტერ ჰანეკერს წარბი არ შეუხრია, ჭადრაკის თამაშში მთელი არსებით იყო ჩაფლული, მაგრამ, შენიშნა, რომ მისი მოწინააღმდეგე დაიძაბა და ქალისკენ წყრომით გაიხედა. ერთბაშად მისტერ ჰანეკერმა აღმოაჩინა, რომ მის წინ თავისი შეფი, მისტერ ულრიხი იჯდა.

– როგორი შეუფერებელი მეუღლე გყავს, ჰანეკერ. საერთოდ არ შეუძლია, რომ გაგიგოს და მხარი აგიბას. მეც როგორ ვერ მიტანს! ისე მიყურებს ხოლმე, ვგრძნობ, რომ ვძულვარ. ძნელია, ასეთ ქალთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

მისტერ ჰანეკერი უხერხულად შეიშმუშნა და გაწითლდა.

– არა. არც ისეთი ცუდია, – სცადა ცოლის დაცვა, – უბრალოდ, წუხს, რომ საერთოდ აღარ ვეკონტაქტებით. მობეზრდა და ვერც გავამტყუნებ.

– როგორი კეთილშობილი ხარ. მე ასეთ ცოლს ვერ გავუძლებდი. იცი, როგორ მიჭირს აქ მოსვლა? საშინელებაა, მისი სიძულვილით სავსე მზერის ატანა. სიმართლე რომ გითხრა, ჭადრაკის სიყვარული და შენი პატივისცემა მაიძულებს, აქ მოვიდე...

– ო, არა, უარს ნუ იტყვით ჩემთან მოსვლასა და თამაშზე! ამ საღამოების გარეშე ცხოვრება ველარ წარმომიდგენია, – შეეხვეწა მისტერ ჰანეკერი.

– თუ გინდა, ერთი კვირით შვებულებას მოგცემ და დღისითაც ვითამაშოთ ხოლმე, – შესთავაზა მისტერ ულრიხმა.

მისტერ ჰანეკერს სახე გაუბრწყინდა:

– მართლა? გამაოგნებელი ახალი ამბავი მითხარით. ნელ-ნელა ვსწავლობ, ხომ, თამაშს?

– მინდა გითხრათ, რომ თავბრუდამხვევი წარმატებები გაქვთ. ძალიან ნიჭიერი ხართ. საშუალო დონეს უკვე გასცდით. ჯერსჯერობით ამ პარტიაშიც თანაბარი ძალები გვაქვს.

ჯორჯი გაწითლდა:

– მართლა?

– რა თქმა უნდა... მაგრამ, პარტიის გადადება მოგვიწევს – თქვენი ცოლი ისე გვიყურებს, სკანდალი გარდაუვალია.

– ო, არა. ხვალამდე ვერ მოვითმენ. მინდა, ჩემი შესაძლებლობები გაჩვენოთ.

– ჯორჯ... თქვენი მეუღლე... – უცებ ულრიხს თვალები აენთო, – არა, ამ ქალის მზერას ვერ ვუძლებ. უნდა წავიდე... შეიძლება, ხვალაც ვერ მოვიდე.

– რამ შეიძლება, ხელი შეგიშალოთ? – შეშფოთდა ჯორჯ ჰანეკერი.

– ლუიზამ, მაგალითად...

– ჯორჯ, არ გესმის, ჯორჯ? – გარკვევით გაისმა ლუიზას გამყინავი ხმა, – უკვე აღარც მელაპარაკები. ახლა მოვალ და მაგ ჭადრაკს იატაკზე გადმოგიყრი. ეს უკვე მეტისმეტია!..

ულრიხი ასადგომად წამოიწია.

– მეცოდები, ჯორჯ, ეს ქალი ნამდვილი კოშმარია...

– არა არა, სულელი ქალია, მაგრამ კარგი მეუღლეა და საკმაოდ ნორმალური მეგობარიც... – მისტერ ჰანეკერი სასოწარკვეთილი ცდილობდა ცოლის დაცვას.

– ჯორჯ, უკანასკნელად გაფრთხილებ: მოეშვი მაგ სისულელეს და ყურადღება მომაქციე!..

– აჰა, ახლა მოვა და ამ ჭადრაკს თავზე დაგვაყრის, – ირონიულად ჩაიცინა მისტერ ულრიხმა.

ჯორჯმა ცოლისკენ გაიხედა – ლუიზა მართლაც უახლოვდებოდა მაგიდას... აი, ჭადრაკის ფიგურასაც შეახო ხელი... უცებ, ჯორჯის თვალწინ, მისტერ ულრიხმა ჭადრაკის დაფას სტაცა ხელი და ქალს მთელი ძალით ჩასცხო სახეში. ლუიზა უსულოდ დავარდა ძირს და გახეთქილი საფეთქლიდან სისხლმა ამოასხა...

ინსპექტორმა სინანულით შეხედა სავარძელში მჯდარ, ერთ წერტილზე მიშტერებულ ჯორჯ ჰანეკერს და ექსპერტს მიუბრუნდა:

– საცოდავი... ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ პიროვნების გაორება სჭირს?

– ასეა. მკვლელობა თავად ჩაიდინა უფრო სწორად, იმ არსებამ, რომელიც მასში ჩასახლდა და ეს უბედური მისტერ ულრიხს ეძახის... გვამი შეგიძლიათ წაიღოთ. ყველაფერი ცხადზე ცხადია – შიზოფრენიის მძიმე ფორმაა. ის ახლა საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციასაც ვერ მოახდენს... რას იზამთ, შიზოფრენია საშიში დაავადებაა. ნეტავი, ამ საწყალმა ქალმა რითი გააღიზიანა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მხოლოდ ქალებისთვის

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №48-50(676)**

გელა გაჩუმდა და იატაკს ჩააშტერდა. მარიმ ცოტა ხანს აცადა, მაგრამ, პასუხი რომ ვერ მიიღო, წამოდგა, კარისკენ დაიძრა და გზადაგზა მიაყარა:



– მე ყველაფერი გითხარი. როცა ტექნიკურ საკითხებს მოაგვარებ, დამირეკე და მე თვითონ მოვიყვან ანუკას სასამართლოშიც და საჯარო რეესტრშიც.

– ეგ საქმე არ გამოვა, – ამოიქშინა გელამ.

– რას ჰქვია, არ გამოვა? შენ კიდევ იმედი გაქვს, რომ ანუკა შეგირიგდება?

– შერიგება არც მინდა. ბინის საქმე არ გამოვა.

– რატომ? როგორ თუ არ გამოვა?

– ისე, რომ მე ბინის მფლობელი აღარ ვარ.

– რომლის აღარ ხარ?

– არც ერთის.

– გამარკვიე, ერთი, რაებს ბოდავ? – გადაირია მარი და ყოველგვარი ზომიერების გრძნობა დაკარგა, – აბა, ის ორი ბინა ვისია?

– იყვირე, რამდენიც გინდა! – ხმას აუწია გელამაც, – საბურთალოს ბინა ჩემს შვილს დავუმტკიცე!

– რომელს?

– ანდროს.

– მერე, მოგიგვარებია უკვე და რა გაღრიალებს? – გაუკვირდა მარის.

– იმ ანდროს კი არა, ამას, პატარა ანდროს, – ცოტა ნირწამხდარმა ჩაილაპარაკა გელამ.

მარი მიხვდა, რაც მოხდა და ეცადა, ჭკუიდან არ გადასულიყო. ამიტომ, შეძლებისდაგვარად მშვიდად უთხრა ყოფილ სიძეს:

– მერე, ეგ რა პრობლემაა! „იმ“ ანდროს მეორე ბინა გადაუფორმე!

– რომელი მეორე?

– ის, რომელშიც ახლა ცხოვრობს შენი ყოფილი ოჯახი – ვერაზე, კალანდაძის ქუჩაზე რომ მდებარეობს.

– არ გამოვა-მეთქი! – ისევ გაღიზიანდა გელა.

– არ შეიძლება, გავიგო, რატომ?

– შეიძლება, – გელას ხმაში ერთდროულად გაისმა ირონიაც, ნიშნის მოგებაც, ჯიბრიც, – ის ბინა დაგირავებულია საკმაოდ დიდ თანხად და, ალბათ, ველარც გამოვისყიდი, იმიტომ, რომ ჩემი ბიზნესი დაღმართისკენ მიექანება, სხვა შემოსავალი კი ჯერჯერობით არ გამაჩნია.

– ისე, რომ მოახერხო გამოსყიდვა, სურვილი თუ გექნებოდა, რომ ის ბინა შენი შვილებისთვის მიგეცა? – მარი ძალიან ეცადა, გესლი შეერია ხმისთვის.

– ეგ კი უკვე შენი საქმე არ არის, ლაწირაკო და დაახვიე აქედან, სანამ მთელი ხარ! – იყვირა გელამ.

– მე კი წავალ, შე უბედურო, მაგრამ... – მარიმ წინადადება ველარ დაასრულა, რადგან, კარში დოინჯშემოყრილი და ირონიულად მოღიმარი ნატა დაინახა.

– გელა, ვინ არის ეს გოგო, ნათესავი ჩამოგივიდა სოფლიდან?

– ნამდვილად შენი შესაფერისი გიპოვია, გენიოსო, – მიმართა მარიმ გელას, შემდეგ კი ნატას მიუბრუნდა: შენ კი, მახინჯო ძუკნავ, გოგო არ ვიყო, თუ შენივე ხელით არ შემოგახევინო ეგ დაჩაგრულისა და წამებულის საბურველი და შენი ნამდვილი სახე არ დავანახვო ამ ბოთეს, თავი შენს ქმრად რომ წარმოუდგენია, სინამდვილეში კი რიგით მეშვიდე საყვარელია – ეს, რაც მე ვიცი, თანაც, მხოლოდ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ჩაო! მაპატიეთ, რომ თაფლობის თვე ცოტათი ჩაგიმწარეთ, გვრიტუნებო! ბაი!.. – და მარი ისე სწრაფად გამოვიდა ნატას ბინიდან, რომ გელამ და ნატამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრეს.

სადარბაზოში გამოსული მარი უცბად უკან შებრუნდა და ღია კარში გაშტერებით მდგარ გელას მიმართა:

– ერთგულო მეუღლევ, მზრუნველო მამავ და მოყვარულო შვილო, დედაშენს რას უპირებ, ხომ არაფერს დამაბარებ იმ საცოდავ მოხუცთან?

მაგრამ, სანამ გელა პასუხს მოიფიქრებდა, ნატა გამოერკვა და სისინით უთხრა:

– ის „საცოდავი მოხუცი“ თავის საყვარელ რძალთან დარჩება. ან, თუ არ მოისურვებს მასთან ყოფნას, მოხუცთა თავშესაფრის დირექტორი ჩემი ახლობელია და ერთ ადგილს მომიხერხებს როგორმე. თავის შესანახ ფულს კი, იმედი მაქვს, ქმარი დაუტოვებდა. ასე რომ, ჩემო ძვირფასო, ჩემი სახლის გზა ყველამ დაივიწყეთ. მე აქ საქველმოქმედო ორგანიზაცია არ მაქვს და არც ერთის ფეხი არ ვნახო აქ მოდგმული, თორემ...

– თორემ რა, შენს ყოფილ საყვარლებს დაუძახებ და „ვიშიბალებად“ დანიშნავ, რომ შენი ახალი კურო დაიცვან? იცი, რაზე ვგიჟდები? იმაზე კი არა, რომ ეს ბოთე გამოიჭირე, ის მაგიჟებს, შენ როგორ მიაჩნდი მეგობრად ანუკასა და მის დაქალებს, როგორ ვერ მიხვდნენ, რომ შურიან, ბოროტ ქუჩის ქალს გაუყადრეს თავი, მაგრამ, ვხვდები, რაც მოხდა – ოთხივეს შეეცოდე უპატრონო, სოფლიდან გამოგდებული გოგო. ჰო, შენ წარმოიდგინე, გავარკვიე შენი წარსული: 15 წლიდან ბოზობდი. მარტო შენს სოფელში სამ კაცს დაუნგრიე ოჯახი. 16 წლისას უკვე ორი აბორტი გქონდა გაკეთებული. მესამე აბორტი არც ერთმა ექიმმა აღარ გაგიკეთა დიდი ანაზღაურების საფასურადაც კი, რადგან, ნაყოფი უკვე დიდი იყო და ვერავინ გარისკა. ამიტომ, იძულებული გახდი, გაგეჩინა, მაგრამ, ახალშობილი სოფლის განაპირას, ნაგავსაყრელზე დააგდე. თუმცა, ხომ გაგიგია – არ არსებობს საიდუმლო, რომელიც ადრე თუ გვიან არ გაცხადდება. ჰოდა, შენი ამბავიც გაიგო ხალხმა – ვიღაცამ დაგინახა ბავშვის გადაგდების დროს, მამაშენს მიუტანა ამბავი და, ცხადია, სხვებსაც უთხრა. ეს საშინელება კი არც სოფელმა გაპატია და არც ოჯახმა და ამიტომაც გამოგაგდეს სოფლიდან. მერე კი თბილისში ვიღაც ფულიანი ბებერი გამოიჭირე და იმან მოგაწყო ინსტიტუტში.

– გაჩუმდი! – საშინელი ხმით იკივლა ნატამ, – გაჩუმდი, თორემ, ჩემი ხელით დაგახრჩობ, შე პატარა ბოზო! – ნატა მთლიანად კანკალებდა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. არ ეგონა, მის საშინელ საიდუმლოს თუ გაიგებდა ვინმე. მერე გაო-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.......................................

მარიკა 599 24 28 31



გნებული, გელასკენ მიბრუნდა და მთელი ჯავრი მასზე ამოიყარა: შენ რაღას მიშტერებიხარ და უსმენ ამ ქუჩის გოგოს ბოდვას? იმის ნაცვლად, რომ ცოლი დაიცვა და კუდით ქვა ასროლინო ამ ცილისმწამებელ ნაბიჭვარს, დაგილია პირი ლენჩივით და ამდენის უფლებას აძლევ! კაცი ხარ ამის შემდეგ? შენი იმედი უნდა მქონდეს?

– ეს ყველაფერი მართალია? – ჩუმად ჰკითხა გელამ და ნატას შეშინებულმა გახედა.

– რა იდიოტი ხარ! რა თქმა უნდა, ტყუილია! ამას როგორ უჯერებ, ვერ ხვდები, რომ ჩემი ოჯახის დანგრევას ცდილობს?

– ჰო, კარგი, დამშვიდდი, ნუ მიაქცევ ყურადღებას, სახლში შევიდეთ, – გელა შეეცადა, ნატა ბინაში შეეყვანა. კარს რომ კეტავდა, მარის მიუბრუნდა და დამუქრებით უთხრა: აღარ გაბედო და ჩემს ცოლს შეურაცხყოფა აღარ მიაყენო, თორემ, ციხეში ჩავასმევინებ შენს თავს! გაეთრიე აქედან! უფლებას არ მოგცემ, ჩემი ცოლ-შვილის მყუდროება დაარღვიო. გაეთრიე-მეთქი!

– ნატა შენი ცოლია და ის პატარა ბავშვი – შენი შვილი? დარწმუნებული ხარ? ეჭვიც არასდროს შეგპარვია, რომ შენ ხარ მამა? მე ასე დარწმუნებული არ ვიქნებოდი – ხომ იცი, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში, შე საბრალო ამება! – მარიმ რამდენიმე საფეხური ჩაიარა, მერე ისევ მიუბრუნდა გელასა და ნატას და ბოლო ფრაზა უთხრა: ისე, ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი შესაფერისი წყვილი – ორი ნაგავი! – და სწრაფად ჩაირბინა კიბე.

გაგიჟებული ნატა მარისკენ დაიძრა, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რომ რამე მოეხელთებინა და ამ თავხედი გოგოსთვის თავი გაეხეთქა, მაგრამ, დაუპატიჟებელი სტუმარი უკვე სადარბაზოდან გადიოდა და მეზობლების გასართობად აღარ მოინდომა სეირის მოწყობა. „ნეფე-პატარძალს" კარგა ხნით დაერღვა იდილია. ნატა გარეთ აღარ გამოჰყოლია მარის – ზედმეტ ალიაქოთს მოერიდა, არ უნდოდა, ისედაც ამრეზილი მეზობლებისთვის ახალი საჭორაო მასალა მიეცა.

***

... ძალიან გაუჭირდა, მაგრამ, მარიმ ანუკას ყველაფერი უამბო. ანუკა გაოგნდა. „ესე იგი, ქუჩაში გაგვყარა, – ფიქრობდა შეძრული ქალი, – ბავშვებიც გაწირა, დედამისიც"...

– მარის კი საკმაოდ ვრცელი, თუმცა, მხოლოდ ერთი წინადადება უთხრა:

– არ გეწყინოს, მაგრამ, მართლა სოფლის აშარი დედაკაცივით მოქცეულხარ. მე შენ იქ საჩხუბრად და საქმეების გასარჩევად არ გამიშვიხარ, თანაც, დარეკვა გთხოვე, და არა მისვლა... მაგრამ, ნატას ამბები საიდან გაარკვიე, მართლა ასეთი საშინელი ადამიანია?

– ჩემი მეგობრის ცოლია იმ რაიონიდან, საიდანაც ნატაა ჩამოსული და იმან გამიგო ყველაფერი. ვიცი, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ისე მომინდა, ორივე გამემწარებინა, რომ თავი ვერ შევიკავე, – დაეთანხმა მარი.

– კარგი, რაც იყო, იყო. ხვალიდან სხვანაირად ვიცხოვრებთ, – თითქოს თავისთავს უთხრა ანუკამ.

მარის ეუცნაურა დეიდაშვილის ხმა და გაოცებულმა შეხედა – ის გაშტერებით იყურებოდა სადღაც შორს, ფანჯრის მიღმა და მარი მიხვდა, რომ იმ რამდენიმე წუთში ანუკაში საოცარი გარდატეხა მოხდა – მის წინ ახლა სხვა ქალი იჯდა: მტკიცე, ძლიერი, თავის თავში დარწმუნებული და... საყვარელი მამაკაცისგან მიტოვებული.

***

რამდენიმე დღის შემდეგ ანუკამ ბარგის შეკვრა დაიწყო. მარი მიხვდა, რომ ვერ გადაათქმევინებდა და ამიტომ ხმის ამოუღებლად ეხმარებოდა. როდესაც ანუკას დედამ გაიგო შვილის გადაწყვეტილება, კინაღამ გული გაუსკდა.

– ასე ფარ-ხმლის დაყრა არ შეიძლება, დედიკო, უნდა იბრძოლო!

– რისთვის ვიბრძოლო, დედა?

– ქმრისთვის, ოჯახის შენარჩუნებისთვის!

– რომელი ქმრისთვის ვიბრძოლო, დედაჩემო, იმ ქმრისთვის, რომელიც სიტყვითა და საქმით იმას მიმტკიცებს, რომ აღარ ვუნდივარ?! ძალით და ბრძოლით შენარჩუნებული და ჯაჭვით დაბმული ქმრის დედაც ვატირე! რად მინდა ვიღაც ძუკნასთან ზიარი ქმარი? ვნახოთ, ვინ დარჩება წაგებული – მე თუ ის. ძალიან გთხოვ, დედა, მისი სახელი აღარ მიხსენო, იყო და არა იყო რა! მე ახლა ქვრივი ვარ, ან, მარტოხელა დედა – როგორც გინდა, ისე ჩათვალე. როგორმე უიმისოდაც გავზრდი ჩემს შვილებს... – ანუკას ხმაში ისეთი სიმტკიცე იგრძნობოდა, რომ დედამისმა შეპასუხება ველარ გაბედა.

***

ანუკამ მშობლებთან ახლოს იქირავა, ოროთახიანი ბინა – ახალგარემონტებული და სანახევროდ მოწყობილი. ხვალიდან ახალ ბუდეში უნდა გადასულიყო და ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო. თავისი ბარგი და ავეჯი უკვე გადატანილი ჰქონდა. მხოლოდ საწოლები და სამზარეულოს ნივთები დარჩა წასაღები. არაფრისთვის ხელი არ უხლია, რაც გელას ან მისი მშობლების ნაყიდი იყო.

დილას მუშები მოვიდნენ, საწოლები აკეცეს, ყუთები ერთმანეთზე შეაწყვეს და ყველაფერი საბარგო მანქანაში ჩაზიდეს. გასვლისას ანუკამ ერთხელ კიდევ მოავლო სევდიანი მზერა კედლებს, რომლებშიც ამდენი წელი გაატარა. ის იყო, კარი უნდა გაეხურა, რომ ტელეფონმა დარეკა. აღარ იცოდა, რა ექნა – შებრუნებულიყო და ეპასუხა თუ უკანმოუხედავად გასცლოდა აქაურობას. ბოლოს მაინც მივიდა ტელეფონთან:

– გისმენთ!

– სამ დღეში ბინა დაცლილი იყოს, ქალბატონო და ხელს არაფერი გააყოლო – რაც მანდ არის, ყველაფერი ჩემს შვილს ეკუთვნის. მინდა, გაგახარო, ჭირიმე: ბანკმა ბინის გაყიდვის უფლება მოგვცა. ასე რომ, ბანკის ვალსაც გავისტუმრებთ და კარგა გვარიანი თანხაც დაგვრჩება. თბილისში რომ ჩამოვედი, ლამის ათი წელი ვიცხოვრე ქირით, ახლა კი შენ ნახე, როგორია ქირით ცხოვრება! არც პირად ცხოვრებაში მიმართლებდა. შენ რატომ უნდა გეჯობნა ჩემთვის? იმიტომ, რომ თბილისში დაიბადე და გაიზარდე?! მე თუ სოფლიდან ჩამოვედი, იმიტომაც ვერ წაგართვი ყველაფერი?! იცი, როდის წაგართვი ქმარი? რესტორანში რომ ვიქეიფეთ კურსელებმა, იმ დღიდან ერთი კვირის შემდეგ, შენი უერთგულესი და შენზე ყურებამდე შეყვარებული შენი ყოფილი თანამეცხედრე ჩემს საწოლთან იდგა მუხლებზე და სიყვარულს მეფიცებოდა...

– რატომ ჩაიდინე ეს? – ჩაიჩურჩულა შეძრწუნებულმა ანუკამ.

– იმიტომ, რომ მეც მინდოდა ბედნიერება! მეც მინდოდა, ვინმეს ისე ვყვარებოდი, როგორც მაშინ შენ უყვარდი გელას! სულ ერთი ადამიანის ხვედრი რატომ უნდა ყოფილიყო ბედნიერება?

– მერე, ხომ გყავდა მაშინ შეყვარებული, რად გინდოდა ცოლიანი კაცი? – ანუკამ ეს კითხვა დაუსვა და უცებ საოცარი სიმშვიდე დაეუფლა – იგრძნო, რასაც უპასუხებდა ნატა და, ერთადერთი გრძნობა, რამაც მთელი მისი არსება მოიცვა, სიბრალული იყო – სიბრალული გელასა და ნატას მიმართ.

– გინდა, თქვა, „საყვარელიიო", არა, ჭირიმე? ბოლომდე კულტურული და მორიდებული ხარ. ჰო, მყავდა, მაგრამ, ჯერ ერთი, იმას ფული გამოელია; მეორეც, ის საყვარელი იყო და არა შეყვარებული, ანუ, არ მიყვარდა ისევე, როგორც მისი წინამორბედნი და, მესამე – შენს ქმარს მეტი ფული

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



– რა-ა?! – ნატა ასეთ პასუხს არ ელოდა. ეგონა, ანუკა აყვირდებოდა, ატირდებოდა, ლანძღვასა და გინებას აუტეხდა, გული გაუსკდებოდა შეურაცხყოფისგან. იმან კი ერთი სიტყვა უთხრა და იქით გაუხეთქა გული, – გაიმეორე, რა თქვი? – ჩაეკითხა გაოგნებული.

– ორივე მეცოდებით, ძალიან საბრალოები ხართ, იმიტომ რომ, ახლაც არ გიყვართ ერთმანეთი და, საერთოდ, ეს ნაბიჯი მართლა სიყვარულმა კი არ გადაგადგმევინათ – მაშინ კიდევ რაღაც გამართლება ექნებოდა თქვენს საქციელს, – არამედ, სულ სხვა რამემ: შენ – შურმა და ბოღმამ, იმას კი – სიდებილემ. ახლა, რაც შეეხება ბინას: დღეიდან ეს ბინა დაცლილია და რაც გინდათ, ის უყავით. გელას ნივთები ყველაფერი ადგილზეა. ღმერთმა ყველაფერი ისე მოგახმაროთ, როგორც დაიმსახურეთ, – და ანუკამ ნელა დაკიდა ყურმილი.

***

ძნელად, მაგრამ, ანუკა მაინც შეეგუა ახალ მდგომარეობას. უფრო მობილიზებული და მკაცრი გახდა. დედ-მამა და მარი ძალიან ეხმარებოდნენ. ბავშვებიც თითქოს გრძნობდნენ დედის მდგომარეობას და, ცდილობდნენ, დარდი შეემსუბუქებინათ. მამას საერთოდ აღარ ახსენებდნენ, უფრო მეტიც – ცდილობდნენ, აღარც ეფიქრათ მასზე, თუმცა, გულის სიღრმეში გრძნობდნენ, რომ ის დღეები ენატრებოდათ, როცა გელაც მათთან ერთად ცხოვრობდა და ყველანი ბედნიერები იყვნენ. ერთი სიტყვით, მამა მაინც ენატრებოდათ, მაგრამ, ცდილობდნენ, ეს მონატრება განედევნათ გულიდან, რადგან, მიუხედავად მათი პატარა ასაკისა, ხვდებოდნენ, რომ მამამ მათაც (და არა მარტო დედას) უღალატა.

– ისე, მამა რომ მოვიდეს, რას იზამ? – ჰკითხა ერთ საღამოს ლელიკომ ძმას. ანდრო ჯერ დაიბნა, რადგან, ასეთ კითხვას არ ელოდა, მერე მოიღუშა და უნებურად მუშტები მოკუმა.

– კარს არ გავუღებ, – თქვა მოგვიანებით, – შენ?

– არ ვიცი. ალბათ, გავუღებ, თუ დედიკო არ იქნება სახლში. მომენატრა...

– მეც, – გამოტყდა ანდრო, – მაგრამ, მაინც არ გავუღებ. დიდი რომ ვიყო, ერთი კარგად მივბეგვავდი.

– გაგიჟდი? მამას სცემდი?

– ჰო, ვცემდი. იმიტომ, რომ ის კაცი ჩვენი მამა აღარ არის. თითქმის წელიწადი

ჰქონდა, თანაც, უკეთეს წრეში ტრიალებდა და მეც მინდოდა საზოგადოებაში გამოსვლა. გინდა, უკეთესი გითხრა?

– არ მინდა... – გააჟრჟოლა ანუკას, მაგრამ ყურმილი მაინც არ დაკიდა.

– მაინც გეტყვი. გახსოვს, შარშან შენს დაბადების დღეზე რესტორანში რომ წაგიყვანა გელამ? გახსოვს? – ჩაეკითხა ნატა.

– ჰო... – ანუკას გაახსენდა შარშანდელი დაბადების დღე და გული შეეკუმშა.

– ისიც გახსოვს, მობილურზე რომ დაურეკეს?

– ჰო... – მექანიკურად უპასუხა ანუკამ.

– ისიც გახსოვს, რომ გითხრა, სამსახურიდან მირეკავენ, თხუთმეტ წუთს დამელოდე, გასაღებს მივუტან და მოვალო?

– ჰო... – ანუკას ცოტაღა აკლდა ისტერიკამდე.

– იმ ზარის „ავტორი“ მე ვიყავი. სამშობიაროდან ვრეკავდი – ჩემი ერთი დაქალი აბორტს იკეთებდა და ექიმის ფული არ ჰქონდა. სხვათა შორის, ისიც ცოლიანი კაცისგან იყო ფეხმძიმედ, თანაც, მდიდრისგან. ჰოდა, იმ სულელმა არ დამიჯერა, რომ ვეხვეწებოდი, გააჩინე-მეთქი. ახლა კი ნანობს, მე რომ მიყურებს, მაგრამ, რაღა დროს... ერთი სიტყვით, შენმა საყვარელმა ქმარიკომ სამშობიაროში აბოროტის ფული მოიტანა, მერე ჩემი დაქალი სახლში მივიყვანეთ, იქიდან კი ჩემთან წამოვიდა. შუაღამისას ძლივს გამოვაგდე. ვეუბნებოდი, შენი ცოლი, ალბათ ისევ რესტორანში ზის და გელოდება-მეთქი. ჰოდა, მელოდოსო, – სიცილით კვდებოდა.

– ტყუილია... – ჩაიჩურჩულა ანუკამ.

– გეგონოს. ერთი სიტყვით, ასეა, ჭირიმე. არ შეიძლება, ერთ მეგობარს ყველაფერში ბედი სწყალობდეს და მუდამ ბედნიერი იყოს, მეორე კი...

– მეცოდები... – გულწრფელად აღმოხდა ანუკას.

გავიდა და ერთხელ არ უცდია ჩვენი ნახვა. დაერეკა მაინც, – თქვა ანდრომ, მერე კი ძალიან მტკიცედ დაამატა: რომ გავიზრდები, მაინც ვცემ, თანაც, ძალიან მწარედ, – და ოთახიდან გავიდა.

***

ბავშვები ახალ სკოლას მალე შეეჩვივნენ. აქ უფრო მშვიდად გრძნობდნენ თავს – არავინ იცოდა მათი ოჯახის ამბავი და, ამიტომ, არც არავინ აწუხებდა ზედმეტი კითხვებითა თუ ორაზროვანი მზერით. ორივე კარგად სწავლობდა, არც საქციელს უწუნებდნენ მასწავლებლები და ანუკასაც უხაროდა, რომ ამ მხრივ მაინც არ ჰქონდა პრობლემები. თან, სკოლა ძალიან ახლოს იყო – სახლიდან ორმოცდაათ მეტრში და ბავშვები თვითონ დადიოდნენ. თუ ანუკა სახლში არ იყო, ბებიასთან და ბაბუასთან ადიოდნენ სადილად, გაკვეთილებსაც იქვე ამზადებდნენ და საღამომდე იქ რჩებოდნენ.

გადიოდა დრო. ანუკას სამსახურის საქმეც კარგად აეწყო: მთელი ქალაქის ელიტამ მასთან დაიწყო სიარული, როგორც საუკეთესო კოსმეტოლოგთან. ერთ დროს ფუფუნებით განებივრებულმა, მომჭირნედ ისწავლა ცხოვრება. სოლიდური შემოსავლის წყალობით კი საკმაო თანხას მოუყარა თავი, ქალაქის ცენტრში ფართი იყიდა, გაარემონტა და საკუთარი სილამაზის სალონი გახსნა. მაღალ დონეზე მოწყობილი სალონი მალე გახდა მოდური, ანუკას შემოსავალმაც იმატა და ერთ წელიწადში მანქანა იყიდა, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი ბინის მშენებლობაშიც შეიტანა ფული. ერთი სიტყვით, ანუკა ნამდვილი საქმიანი ქალი გახდა: ძალიან მოვლილი, ძალიან მომხიბლავი, საკუთარ თავში დარწმუნებული, საკმაოდ მკაცრი, საკმაოდ ოფიციალური და... ოდნავ სევდიანი.

– ზოგს რა ბედი აქვს, – აბმობდნენ ზურგსუკან ანუკას ძველი ნაცნობები.

– თითქოს ქმართან გაყრა მოუხდაო, გარეგნობითაც კიდევ უფრო დამშვენდა და, ბარე ორ ქალს არ ექნება ასე აწყობილი ბიზნესი. ეჰ, უმართლებს ზოგიერთს! – ოხრავდნენ შურიანები.

– ყოჩაღ, ქალო! სხვა ხელს ჩაიქნევდა, მოეშვებოდა, ბედს დანებდებოდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა, ამან კი შეუძლებელი შეძლო, – აქებდნენ მოკეთეები.

მაგრამ, ბევრმა არ იცოდა და არც აინტერესებდა, ყველა ამ სიკეთეს რამდენი წლის თავდაუზოგავი შრომა, ტირილში თეთრად გათენებული ღამეები, საყვარელი მამაკაცის გარეშე გატარებული ახალგაზრდობა ედო საფუძვლად. ხშირად შვილების თვალებში შემჩნეულ სევდას გამოუფხიზლებია ანუკა და ახალი ენერგიითა და ძალით აუვსია. არც ცრემლი დაუნახვებია ვინმესთვის და არც თავისი გასაჭირი შეუჩივლია; არც ოხვრა და კვნესა გაუგია მისგან ვინმეს – ხელისგულზე გაზრდილმა ნებიერამ უდრტვინველად ზიდა თავის ჯვარი და სულიერად და ფიზიკურად დაცემული ოჯახი ისე წამოსწია, ბევრს შეშურდებოდა. ანდრო სკოლას რომ ამთავრებდა, მაშინ გადავიდნენ ახალ ბინაში. ბავშვები ბედნიერები იყვნენ და ამაყობდნენ დედით. ანუკაც ხარობდა შვილებით. ეხვეწებოდა მოხუც მშობლებს, ჩემთან გადმოდით, დიდი ბინა გვაქვს, ყველა დავეტევითო, მაგრამ, მოხუცებს თავიანთ ბუდეში ერჩივნათ ყოფნა. აღარც ლელა ჩამოსულა ქუთაისიდან – დარჩა თავის დასთან და

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

თითქმის ყოველდღე რეკავდა შვილიშვილებთან. ბევრს ეხვეწა ანუკა, ჩემოვალ და წამოგიყვანო, მაგრამ, ვერ დაითანხმა – თავისი შვილის საქციელის შემდეგ რცხვენოდა, რძალს დასწოლოდა კისერზე და ისევ დის ოჯახში დარჩენა არჩია.

ანუკა ყოველთვიურად უგზავნიდა დედამთილს ორას დოლარსა და საჩუქრებს. შორიდან ცდილობდა, ყურადღება არ მოეკლო მოხუცისთვის, რომელიც მართლა უყვარდა და ეცოდებოდა, რადგან, თავის ბედოვლათ შვილს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ტელეფონითაც კი არ მოუკითხავს. თუმცა, ანუკა მაშინაც უგზავნიდა გარკვეულ თანხას დედამთილს, როცა საკუთარი შვილებისთვის ცარიელი პური ჰქონდა საუზმედაც, სადილადაც და ვახშმადაც. წელიწადში ორ-სამჯერ ანუკა შვილებთან ერთად ჩადიოდა ქუთაისში. ერთი სიტყვით, ყველაფერს ახერხებდა, ყველაფერს ასწრებდა, ყველასთვის იცლიდა, ყველა ახსოვდა, საკუთარი თავის გარდა.

მომწონებელი და ხელის მთხოვნელი არც მანამდე აკლდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მყარად დადგა ფეხზე, ხელის მთხოვნელებმაც იმრავლეს და მისი გულის მოგების მსურველებმაც. მათ შორის საკმაოდ ცნობილი უცხოელი ბიზნესმენებიც იყვნენ. მაგრამ, ანუკამ თავის ბედის კარს დიდი ბოქლომი დაადო და სამუდამოდ ამოქოლა. მას ველარ წარმოედგინა ვერც ერთ მამაკაცთან ვერანაირ დონეზე ურთიერთობა, გარდა საქმიანისა. უფრო მეტიც – ყველა მამაკაცი მის თვალში მეტ-ნაკლებად ნაძირალა იყო. არც ფლირტი და სასიყვარულო ისტორიები აღელვებდა და აინტერესებდა. ამ მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფრიგიდული გახდა. ერთი სიტყვით, ანუკამ ყველაფერი პირადული უარყო და მთელი დარჩენილი ცხოვრების შვილებისა და ახლობლებისთვის მიძღვნა გადაწყვიტა. ამაში ეკლესიაც ძალიან დაეხმარა – მთლიანად მიენდო უფალს და მისი შეწევნით შეძლო თავისი უბედურების დაძლევა. თუმცა, იყო პერიოდი, რომ ძალიან გაუჭირდა მარტოობა. მას, როგორც ყველა ნორმალურ ახალგაზრდა ქალს, უნდოდა, გვერდით ჰყოლოდა მოსიყვარულე მამაკაცი, რომელიც იზრუნებდა მასზე, მოეფერებოდა, მის თავს მკერდზე მიიყრდნობდა და ეტყოდა: ნუ გეშინია, მე შენთან ვარ. ჩვენს სიყვარულს ვერავინ და ვერაფერი მოერევაო; ან, როგორც ქალს, გაანებივრებდა, ფოიერვერკებს მოუწყობდა... მოკლედ, ნამდვილი სიყვარული ენატრებოდა. მას მერე, რაც გელამ მიატოვა, სხვადასხვა დროს სულ ორჯერ ჰქონდა მცდელობა, მრავალფეროვანი თაყვანისმცემლებიდან უფრო ღირსეულთან აეწყო ურთიერთობა, მაგრამ, ორივე ურთიერთობა საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა, რადგან, ვერც ერთმა „რჩეულმა“ ვერ „გაქაჩა“ კაცობაში. ორივე ჩაიჭრა, უფრო სწორად – გაიშიფრა: საბედნიეროდ, ანუკა ორივე შემთხვევაში დროულად მიხვდა, რომ არც ერთი არ იყო ნამდვილი მამაკაცი. თუმცა, საზოგადოებაში ისეთი სახელი ჰქონდათ, ყველა ქალი მათთან ურთიერთობაზე ოცნებობდა, თუნდაც ფლირტის დონეზე. ანუკა კმაყოფილი იყო თავისი საქციელით, რომ ორივე „რომანი“ თვითონვე ისე გაასაიდუმლოა, რომ არავის არაფერი გაუგია. შესაბამისად, არც ურთიერთობების პროცესს და არც გაშორებას, არ მოჰყოლია ჭორების აგორება. მაგრამ, ანუკამ საბოლოოდ ხელი ჩაიქნია სიყვარულზე, მამაკაცებზეც და საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს: როგორც ჩანს, არ ვარ ისეთი ქალი, რომლისთვისაც მამაკაცს კაცობისა და რაინდობის სურვილი გაუჩნდებაო. ამიტომ, თითქმის დაივიწყა, რომ ქალი იყო, თანაც – ლამაზი ქალი და მამაკაცებს საერთოდ აღარ აქცევდა ყურადღებას.



ექვსი წელი ისე გავიდა, ანუკას გელა არც თვითონ, არც სხვისი მეშვეობით არ შეხმიანებია – არც შვილები უკითხავს, არც დედა და არც თავად ანუკა. გელას მეგობრები, მართალია, იშვიათად, მაგრამ, ხანდახან მაინც დაურეკავდნენ ხოლმე და ზრდილობის გამო ჰკითხავდნენ, ხომ არაფერი გჭირდებაო. ეს სატელეფონო ზარებიც ძირითადად მას შემდეგ გახშირდა, რაც ანუკა რესპექტაბელური ქალი გახდა. მანამდე კი, როცა მიტოვებული ანუკა ორი პატარა ბავშვით სხვის ჭერს იყო შეფარებული, თითქმის არავინ გაჰკარებია. ანუკას არც სწყენია და არც გაკვირვებია, რადგან, არ შეიძლებოდა, გელას მეგობრები გელაზე ბევრით უკეთესები ყოფილიყვნენ.

არც ანუკას უკითხავს გელას ამბავი, მაგრამ, ჭორიკანა დაქალებმა რამდენჯერმე მოუსისინეს: გელა ყურებით უჭირავს ცოლს. ბავშვს ქმარს აზრდევინებს, თვითონ კი აღმა-დაღმა დაგრიალებსო; ერთმანეთში ძალიან ცუდად არიან და ხშირად ჩხუბობენო; გელა გაკოტრდა და ცოლს მისი სახლიდან გაგდება უნდა, თუმცა, ჯერჯერობით არაფერი გამოსდის, რადგან, გელას წასასვლელი აღარსად აქვსო; გელა ძალიან ნანობს თავის საქციელს, მაგრამ, ვერ ბედავს ყოფილი ცოლის ნახვასო; ველარ იცნობ, ისეა გამხდარი და გაყვითლებული, აშკარად რაღაც სჭირს მაგ უბედურსო... ანუკას კი ნერვიც არ უტოკდებოდა, არანაირი გრძნობა აღარ გააჩნდა იმ კაცის მიმართ, ვინც ოდესღაც მთელ ქვეყანას ერჩივნა. თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც სძულდა, როგორც ეს გელას სახლიდან წასვლის შემდეგ დაემართა და აღარც ებრალებოდა. იმასაც კი ვერ იხსენებდა, რა ფერის თვალები ჰქონდა ყოფილ ქმარს, როგორი ხმა... ერთი სიტყვით, მას ეს კაცი აღარ ახსოვდა, თითქოს არც არასდროს იცნობდა.

***

ერთ დილას ანუკას ანიმ დაურეკა და ჰკითხა, ამ საღამოს რას აპირებო.

– შენთან მოსვლას, იუბილარო, – უპასუხა ანუკამ.

– ჩემთან აღარ მოხვიდე, „მარიოტში“ მოდი, 7 საათზე იქ ვიქნებით გოგოები. კარგად გამოიპრანჭე, იცოდე, ოთხივე ისე უნდა ვბრწყინავდეთ, ყველა უნდა დავშოკოთ! გელოდები! – ჩასძახა ყურმილს ანიმ.

ანუკამ მეგობრის დაბადების დღისთვის ნაყიდი საჩუქარი – მობილური ტელეფონი – ლამაზ პარკში ჩადო და რესტორანში წასასვლელად ტანსაცმელი შეარჩია: მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ძვირფასი, ვარდნილი ქსოვილისგან შეკერილი შავი შარვალი, კრემისფერი აბრეშუმის, ბრეტელებიანი ულამაზესი მაისური და შარვლისავე პიჯაკი. სამკაულიც შესაბამისი გაიკეთა – სვაროვსკის ბეჭედი, საყურეები და ყელსაბამი. ვარცხნილობა უკვე გაკეთებული ჰქონდა, ფრჩხილებიც – მოწესრიგებული. მხოლოდ მაკიაჟი რჩებოდა. დრო კი საკმაოზე მეტი ჰქონდა. მარის დაურეკა და სთხოვა, თუ შეგიძლია, ამ საღამოს ბავშვებთან დარჩეო. მარი, როგორც ყოველთვის, ახლაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და სიხარულით დათანხმდა – ჩემმა მოხუცებმა ისე შემშალეს, აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი, სიამოვნებით მოვალო. ანუკას შვილები წამოიზარდნენ და მარი კარგად გრძნობდა თავს ამ მშვიდი და გონიერი მოზარდების საზოგადოებაში.

4 საათი სრულდებოდა, მარი რომ მოქაქანდა. მის დანახვაზე ანუკას გული გაუნათდა. თავს გადამხდარი უბედურების გადატანაში მარი ისე დაეხმარა, რომ ძალიან შეეჩვია და მიეკედლა.

– მაკიაჟს მე გაგიკეთებ, – შესთავაზა მარიმ.

– კარგი, ოღონდ, ჯერ არა, წასვლის წინ, თორემ, ყველაფერი ამეზილება სახეზე.

– კი ბატონო. მანამდე ყავა დავლიოთ, თითო ღერი მოვწიოთ და, სანამ ბავშვები მოვლენ, ცოტა წავიჭორაოთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


გაციების პირველივე ნიშნებისას

მ ი ი ღ ე თ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-50(676)

## სხვადასხვა ენაზე

ლევანმა გაოცებით შეხედა სავარძელში შინაურულად მოკეცილ ცოლს, რომელსაც ფეხებზე პლედი ჰქონდა შემოხვეული და, პატარა ბავშვივით, სიამოვნებით ჭამდა ქიშმიშს.

– შენ რა, სახლში ხარ? აბა, რომ დამირეკე, ნინისთან ერთად კინოში მინდა წასვლაო?!

– გადავიფიქრე. რატომღაც, ისევ სახლში მომინდა ყოფნა. კარგია, ადრე რომ მოხვედი. რა მომიტანე?

ლევანმა ხელში შერჩენილ ყუთს დახედა:

– ჰო, ეს ჩვენს კონდიტერს ვთხოვე, შენთვის ნამცხვრები ჩაეწყო.

– რა საყვარელი ხარ... – ლიზამ თვალები მინაბა, – ძალიან მანებივრებ. იმედია, არ მეტყვი, რომ ეს ბავშვის გამო ხდება.

– არა, რა თქმა უნდა. ეგ რამ გაფიქრებინა? – ლევანმა ყუთი მაგიდაზე დადო, ცოლთან მივიდა და თავზე აკოცა, – ჩემი პატარა, ჭირვეული გოგო... იცი, რა მოვიფიქრე? პატარა ივენთის მოწყობა მინდა, ახალი კაფე რომ გავაპიარო. ხომ კარგი აზრია?

– შესანიშნავი. მიყვარს კარგი ივენთები, მაგრამ, რომელი კაფე უნდა გააპიარო?

– რასაკვირველია, ის – ზამთრის ბაღითა და აკვარიუმებით. რეკლამა ყველაფერს სჭირდება. თუ სწორად „შევფუთავ“ ამ ყველაფერს, მალე ჩემი კაფე ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მოდური ადგილი გახდება.

ლიზას გაეღიმა.

– რა გაცინებს? – გაუკვირდა კაცს.

– შენგან პირველად გავიგონე სიტყვები „პრესტიჟული“ და „მოდური“... ადრე ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდი.

– იმიტომ, რომ ჩემი ყველა რესტორანი ისედაც მოდური და პრესტიჟულია.

– მართლა?

– ჰო, აბა?! კაფე კი ცოტა სხვა თემაა. ქალაქში ბევრი კაფეა... ამიტომ, საჭიროა, ერთხელ „აიტაცონ,“ მერე კი ავტომატურ რეჟიმში წავა და წავა. იმდენი შრომა ჩავდე მასში, ასე რომ არ მოხდეს, ძალიან მეწყინება.

– ბომონდის წევრი უნდა გახდე? ლევან, შენ რომ არასოდეს გაინტერესებდა ასეთი რაღაცეები და ზოგჯერ სნობსაც კი მეძახდი?

ლევანი ცოლს გვერდით მიუჯდა და მუცელზე მოეფერა:

– შევიცვალე. მინდა, შენი უკეთესად მესმოდეს, მეტი დრო რომ გავატაროთ ერთად და ჩემ გვერდით არ მოგეწყინოს.

– პირიქით რომ მოხდეს და შენ მოგწყინდეს ჩემ გვერდით? – პატარა ბავშვივით გაბუსხა ტუჩები ლიზამ, – მე ხომ ბავშვით ვიქნები დაკავებული. მოგეწონება მზრუნველი დედიკო? ჩემში ვნებიანი, სასურველი ქალი რომ ველარ დაინახო?

– აი, თურმე, რაზე ფიქრობ. იმიტომაც ხომ არ მეუბნებოდი ამდენ ხანს ბავშვის გაჩენაზე უარს? ლიზა, როცა შენში მარტო ვნებიან, სასურველ ქალს ვხედავდი, მოსვენება მქონდა დაკარგული – ვეჭვიანობდი და ვნერვიულობდი... ძალიან ვნერვიულობდი... ახლა კი, ეს ბოლო პერიოდი, მშვიდად ვარ და ამ სიმშვიდეს არაფერში გავცვლი.

ლიზამ კმაყოფილმა გაიცინა:

– მართლა? მართლა ასე ფიქრობ?

– რა თქმა უნდა. ეჭვი ხომ არ გეპარება?! ვერ ხედავ, როგორ „გამოვსწორდი?“ სულ შენ გვერდით ყოფნა მინდა და, როგორც კი დროს ვიხელთებ, მაშინვე სახლისკენ გამოვრბივარ. სულ მენატრები და ჩვენი შვილიც მენატრება...

– კარგია. სამზარეულოში უკოფეინო ყავაა. თუ არ გეზარება, მე ის გამიკეთე, შენთვისაც მოიდულე და ნამცხვრები გავსინჯოთ.

– თან, ივენთზეც დავილაპარაკოთ, – ლევანს თვალები აუციმციმდა, – ხომ დამეხმარები?

– მე? რანაირად?

– ხალხი უნდა დამიპატიჟო... საჭირო ხალხი, რა თქმა უნდა – შენი „ვიპ“ მეგობრები და თანამშრომლები...



ლიზა შეიჭმუხნა და აიმრიზა:

– რა საჭიროა?

– როგორ არ არის საჭირო, ძალიანაც საჭიროა. მე ჩემი მხრიდან იმ კომპანიის ბიჭებს დავპატიჟებ, ჩემს რეკლამაზე რომ ზრუნავენ ამდენი ხანია.

– ვის?

– ხომ გითხარი, ვისაც. ჩემი კაფე-რესტორნების რეკლამა ვანდე და მართლაც თავდაუზოგავად იმუშავეს. ძალიან კარგი ხალხია. თანაც, ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო კომპანიად ითვლება, ხალხი იცნობს და რეკლამას წაადგება.

– როგორც გინდა, თუმცა, მე ასე არ ვფიქრობ. ანუ, ის ბიჭი უნდა მოვიდეს, ერთხელ რომ გამაცანი საფირმო კერძის გასინჯვისას?

– ისიც და სხვებიც. მართლა კარგი ხალხია, მოგეწონება.

– მე საკმარისზე მეტ ადამიანს ვიცნობ და მომწონს. არ ვარ დაინტერესებული ნაცნობ-მეგობართა წრის გაფართოებით.

ლევანს ეუცნაურა ცოლის სიტყვები, მაგრამ, ჭირვეულობა მის ორსულობას დააბრალა და დიდი მნიშვნელობა ამ ამბისთვის არ მიუნიჭებია. ზოგადად, ძალიან კმაყოფილი იყო ლიზაში მომხდარი ცვლილებებით.

– შენს დაქალებსაც ხომ მოიყვან?

– კი, რა თქმა უნდა... – ლიზას უცებ სახე გაუნათდა და ეშმაკურმა ღიმილმა გაუპო ბაგე, – ესე იგი, კარგად გევერთობით? – გასძახა სამზარეულოში მყოფ ქმარს.

– აუცილებლად, – პასუხი ოდნავ დაუგვიანა ლევანმა და, როცა ლანგრით ხელში ოთახში შემობრუნდა, ჰკითხა: მოხვედი გუნებაზე?

– ჰო, რა ვიცი. უცებ მივხვდი, რომ გართობა მომნატრებია. როდისთვის გეგმავ?

– კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მზად იქნება. მინდა, ფურშეტის მენიუს შერჩევაში მიიღო მონაწილეობა.

– არა! შენ ისედაც იცი, რა მიყვარს. ამიტომ, ბოლომდე გენდობი.

– მაშინ, შევეცდები, ცოტა გაგაოცოთ შენც და შენი მეგობრებიც, – ლევანმა ცოლს თვალი ჩაუკრა და ყუთს თავსახური ახადა, – ჯერ ესენი ნახე... ახალი კონდიტერი მყავს, ფრანგია. საოცრებებს სჩადის, ძალიან მოგეწონება.

ლიზამ ცხნობისმოყვარედ ჩაიჭყიტა ყუთში.

– ოჰო, ტრიუფელით დავიწყებ... ვნახოთ, შენი ფრანგი შეძლებს ჩემს გაოცებას თუ ვერა...

***

ქეთიმ პალტოს ღილები შეიკრა და სახე წამოწეულ საყელოში ჩამალა.

– გმადლობ, მშვენიერი ფილმი იყო. იმდენი ხანია, კინოში არ ვყოფილვარ...

თომამ დაირცხვინა:

– მადლობა მე არ მეკუთვნის. ეს მთლიანად ლიზას იდეა იყო და კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. ასე რომ, მადლობას ვერ მივიღებ. აი, სხვა დროს თუ კიდევ მექნება შანსი თქვენი კინოში დაპატიჟების, სხვა საქმეა.

ქეთიმ თავი გააქნია, უარყოფის ნიშნად:

– არა მგონია. უნდა ვაღიაროთ, რომ ლიზას ინიციატივა-გეგმა ჩავარდა – არ გაამართლა. მეც აღარ მინდა, თქვენ შეგაწუხოთ და თავიც მოვიტყუო, რომ ჩემი ქმარი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მე სად ვარ და რას ვაკეთებ. როგორც ჩანს, ეს ამბავი საერთოდ არ აღელვებს. არა უშავს, უარესსაც უძლებენ. ეტყობა, ორივეს ძალიან შეგვეშალა – მეც და იმასაც. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. იშვიათად მხვდებიან თქვენნაირი ადამიანები, მით უფრო – მამაკაცები.

– არა, არა, თქვენს მეუღლეზე ასე ნუ ფიქრობთ. მასზე არანაირი ინფორმაცია არ გაქვთ, ანუ, არ იცით, შეიტყო თუ არა თქვენზე რამე. ამიტომ, დასკვნის გაკეთებასაც ნუ იჩქარებთ. ყველაფერი სულ სხვანაირად შეიძლება იყოს, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. სახლამდე მიგაცილებთ.

– არა, საჭირო არ არის. მანქანამდე მიმიყვნეთ და ჩემით წავალ.

– როგორც გენებოთ. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ურთიერთობა.

ქეთიმ გაიღიმა:

– კარგია, თუ ერთ მამაკაცს მაინც არ ვგონივარ პრეტენზიული, ანჩხლი და „ისტერიჩკა“.

თომა შეწუხდა:

– აი, ისევ ნერვიულობთ.

– ჰო, არ გამოვიდა. ერთბაშად ბევრ სიახლესთან მომიხდა შეჯახება და სიმშვიდის შენარჩუნება მიჭირს.

– მესმის თქვენი. მაინც გირჩევთ, არ ინერვიულოთ.

ქეთიმ სანწყლად გაიღიმა.

***

ვახომ გამეტებით მიაჭირა ფეხი „გაზის“ სატერფულს. ბორბლებმა უსიამოვნოდ დაიღრჭიალეს.

– ცოტა ნელა, – გააფრთხილა გიგიმ და უცებ შეჰყვირა: მოიცადე, ქეთია იქ!..

ვახო გვიან მიხვდა, რას ეუბნებოდა გიგი და მკვეთრად დაამუხრუჭა

– ვინ ქეთი, ჩემი ცოლი?!

– ჰო, შენი ცოლი. შეხედე, მოპირდაპირე მხარეს, მანქანასთან. ვიღაც ტიპი ხელზე ჰკოცნის და ემშვიდობება.

– ოხ, მე მაგის... – იბღავლა ვახომ და მანქანიდან ისკუპა... გიგიც უკანვე მიჰყვა, მაგრამ გზის მოპირდაპირე მხარეს გადასვლა გაუჭირდათ. მანქანების რაოდენობა, მიუხედავად გვიანი დროისა, საკმარისზე მეტი იყო და არც ერთი არ აპირებდა გზის დათმობას, ასე რომ, ველარც ქეთის მიუსწრეს, რომელიც მანქანაში ჩაჯდა და წავიდა და ველარც იმ ტიპის კარგად შეთვალიერება მოახერხეს, ქეთი თავის მანქანამდე რომ მიიყვანა.

ვახო უკან, თავის ავტომობილთან დაბრუნდა და ხელი გამეტებით დასცხო საქარე მინას.

– ნელა, ბიჭო, არ ჩაამსხვრიო.

– ჩაამსხვრეს, მაგის!.. – ვახომ ისეთი უშვერი სიტყვების კორიანტელი დააყენა, რომ გიგიც კი შეწუხდა:

– გეყოფა, რა... გინებით რას შეცვლი? ხომ ნახე და დარწმუნდი, მათ შორის ისეთი არაფერი ხდება.

ვახო ჭარხალივით განითლდა და გიგის ავად დაუბრიალა თვალები:

– შენ, მგონი, გააფრინე, ხომ? რა იდიოტობას ლაპარაკობ და მიმტკიცებ?

– დამშვიდდი, ვახო. რა დაგემართა? – გიგი სერიოზულად დააფრთხო მეგობრის აგრესიულმა ტონმა.

– ახლა დავმშვიდდე? ვერ გადამირჩება ვერც ქეთი და ვერც ეგ იდიოტი კავალერი. ორივეს მოვკლავ და კარგს იზამ, შენც თუ არ მომყვები ხელში, თორემ, საკუთარ თავზე და საქციელზე პასუხს არ ვაგებ.

– ძალიან გთხოვ, მომისმინე: რომელი კაცი კოცნის ნაშას ხელზე-მეთქი, ამას ვგულისხმობდი, – სიტუაციის შერბილება სცადა გიგიმ და სინამდვილეში ცეცხლზე ნავთი დაასხა. ვახომ გადარეულივით იბღავლა:

– რაო? ჩემი ცოლი „ნაშაა“?!

– აუ, შენ რა ტიპი ხარ, ტო... გაგიჟდი და იყვირე – რას მიაღწევ ამით? შეგიძლია, მომისმინო და ადამიანურად გაიგო, რას გელაპარაკები? ძალიან ცუდად ხარ, ვხვდები, მაგრამ ისიც უნდა დაინახო, რომ შენს დახმარებას ვცდილობ. იმის თქმა მინდოდა, რომ არ ჰგავდნენ შეყვარებულებს-მეთქი. ანუ, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ პატივს სცემს და მათი ურთიერთობა მხოლოდ დასაწყის სტადიაზეა.

– ვა, საიდან ასეთი დასკვნების გაკეთების უნარი? დედუქციის ნიჭმა გაიღვიძა შენში თუ იურისპრუდენციის სიყვარულმა იფეთქა? ორივეს რომ კისერს მოვუგრეხ, მერე დამჭირდება შენი სამართლებრივი ხედვები.

– აუ, რა ტყუილუბრალოდ ირევი. მე დავჯდები, რა, საჭესთან. ისეთი გაგიჟებული ხარ, ხელებიც კი გიკანკალებს.

– ნუ გეშინია, არ დაგამტვრევ. დაჯექი მანქანაში და გაჩუმდი!

გიგიმ ამოიოხრა და უსიტყვოდ დაემორჩილა. ასეთ განერვიულებულ და გაღიზიანებულ ვახოსთან კამათს აზრი მაინც არ ჰქონდა.

ვახომ ძრავა აამუშავა და ორივე ხელი გამეტებით დასცხო საჭეს.

– ამის დედაც! ახლა სად წავიდე?

– ჩემთან, სად უნდა წახვიდე? ხომ არ ფიქრობ, რომ ასეთ სიტუაციაში ქეთის ნახვა და მასთან ლაპარაკი ღირს?

– ქეთისთან ლაპარაკი საერთოდ აღარ ღირს, – გამოსცრა ვახომ, – ეს საკითხი უკვე



გარკვეულია. ახლა ერთადერთი რაღაც მინდა – ფაქტზე დავიჭირო და მერე ვანახვებ, როგორ უნდა ჩემთვის რქების დადგმა.

– ფაქტში რას გულისხმობ? – თავისი ჭკუით, უწყინარი კითხვა დაუსვა გიგიმ და მიიღო კიდეც ვახოსგან საპასუხო შეუვირება:

– რატომ გინდა, დამაკონკრეტებინო, სადისტი ხარ? და, საერთოდ, სხვა ენაზე რატომ მელაპარაკები? კაცი არა ხარ? ჩემი რატომ არ გესმის?

გიგიმ ხელები გაშალა:

– მესმის, მესმის, მაგრამ...

– რა მაგრამ, ქეთის გამართლებას რატომ ცდილობ?

– მე ვცდილობ? რა სისულელეა, საიდან მოიტანე? პირიქით.

– ტელეფონი გირეკავს, უპასუხე! – შეუღრინა ვახომ. გიგიმ რაღაც ჩაიბურტყუნა და მობილურს დასწვდა.

– გისმენთ... დიახ, ბატონო ლევან. როგორ არა, გიცანით... გასაგებია... დიახ, დიახ... მოსაწვევებიც ჩვენ უნდა დაგიბეჭდოთ? დიახ, რა თქმა უნდა... ვეტყვი ვახოს.

გიგიმ მობილური დადო:

– ლევანი იყო.

– ლევანი ვინღაა?

– რესტორნების ქსელის მეპატრონე. აი, ის... – გიგის უნდოდა ეთქვა, ჩვენი ზუკას საყვარლის ქმარიო, მაგრამ, დროზე შეიკავა თავი.

– მერე, რა უნდა?

– კაფეს ხსნის და ივენთზე გვეპატიჟება. მოსაწვევებიც უნდა დავუბეჭდოთ.

– აღარაფერი მაინტერესებს... – ვახომ ისევ შეიგინა, – ჩემი ბედის დედაც...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**დიდი საახალწლო ფასდაკლება სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი – 2010-ში“**

ერთ საატესტატო საგანში მომზადება – 23 ლარიდან; ერთი საგანი ეროვნული გამოცდებისთვის – 60 ლარიდან!

მოემზადე სასწავლო ცენტრ **„პროფესიონალი – 2010-ში“** და გახდი სტუდენტი – ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების საწინდარია!

**მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №5, (რუსთაველის მეტროსთან); დიღმის მასივი, რობაქიძის ქუჩა №7. ტელეფონის ნომრები: 555-63-48-01; 2-30-71-13.**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მიიღეთ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ქურდული ცხოვრება

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-50(676)

ნაკოლშჩიკი ოცდაორიოდე წლის ბიჭი იყო და ისე საქმიანად და დამაჯერებლად მიხსნიდა, თუ როგორ უნდა მოვხვედრილიყავი ოქროს ცეხში გვირაბის მეშვეობით, იფიქრებდი, მთელი ცხოვრება ჩალიჩის მეტი არაფერი გაუკეთებიაო. ერთი სიტყვით, გასტრონომიდან გვირაბის გათხრა შესანიშნავად გამოგვივიდა. რა თქმა უნდა, ღამით ვმუშაობდით და არანაირ კვალს არ ვტოვებდით. ორ კვირაში ყველაფერი მზად იყო და მილიციის შენობაში მოთავსებულ ოქროს ცეხში მშვიდობიანად შევძვერით. სეიფიც იქვე გავხსენით და იქიდან დიდძალი ოქრო წამოვიღეთ, რომელიც სამართლიანად განაწილდა. ამ საქმემ კი მილიციის უფროსი უკიდურესად გააცოფა და ბესპრეძელს მიჰყო ხელი, თუმცა, სამმართველოს უფროსმა, ბესარიონ აბრალავამ, ის თავის კაბინეტში გამოიძახა და შეახურა:

– რა ხდება შენს უბანზე? ხალხი ჩივის – ამბობს, უკანონოდ აგვიკლოო. რას ერჩი უდანაშაულო ხალხს? გირჩევნია, ოქროს გამტაცებლები დაიჭირო, თუ ტრაკი გაქვს, ხალხს კი ნუ აწიოკებ შენი უუნარობის გამო! შენ გგონია, არ ვიცი, რომ იმ ცეხის პოლნი წილში ხარ და ამან გაგაცოფა?! ჭკვიანად იყავი, საქმეს მიხედე და ბესპრეძელს თავი დაანებე, თორემ, შენს შემცვლელს უმალვე ვიპოვი!

ამ საუბრის შინაარსი თავად აბრალავამ მომიყვა, როდესაც იმავე საღამოს სახლში მომაკითხა, თავის მანქანაში ჩამისვა და მითხრა:

– კობრა, პირველად გადაურჩი სასჯელს და ჩემი კაბინეტიდან მშვიდობით გაგიშვი. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კოლეგის პირწმინდად გასუფთავებაში შენი ხელი ერია. ახლაც ასეა და ამჯერად აღარ გაგიშვებ. გამოტყდი დანაშაულში. ოქრო დააბრუნე და, პატიოსან სიტყვას გაძლევ, არ შეგეხები.

– ძია ბესო, ამ საქმეში სუფთა ვარ, – ვუთხარი აბრალავას, მან კი სიტყვა გამაწყვეტინა და ხმას აუწია:

– როგორც იმ საქმეში, ხომ?

– დიახ, როგორც იმ საქმეში, – მშვიდად მივუგე მილიციის სამმართველოს უფროსს და თვალი თვალში გავუყარე.

– მაგარი ნაგალი ხარ, ასე უტიფრად რომ მატყუებ.

– არ გატყუებ, ძია ბესო, ამ საქმეში სუფთა ვარ.

– როგორ არ მატყუებ, ბიჭო, სანამ შენ და ბერძენა სროკზე იყავით, თბილისში კი არა და საქართველოში არ ხდებოდა ასეთი ქურდობები. ერთი თვეც არაა გასული და კილოგრამობით ოქრო მოიპარეს, თანაც, მილიციის შენობიდან. ასეთ რამეს თქვენ გარდა, ვერავინ ჩაიდენდა.

– ძია ბესო, ნუთუ ისეთი სულელი გგონივარ, რომ მილიციის შენობაში საქურდავად შევიდოდი?

– სულელი რა შუაშია, პროფესიონალი ხარ.

– მით უმეტეს, ძია ბესო.

– რა მით უმეტეს, ბიჭო, – ვერ მიხვდა აბრალავა, მე კი დავუკონკრეტე:

– ის, ძია ბესო, რომ პროფესიონალი ქურდი მილიციის შენობას არც კი გაეკარება, რაც არ უნდა დიდი კუში ეგულებოდეს იქ. სხვა თუ არაფერი, ხომ შეიძლებოდი, ვინმეს დავენახე? მე ხომ აქ კედლებიც მიცნობენ და, მინდა ახლა მე ტუფტა სროკი?! ბოლო-ბოლო, დასაცინი გავხდებოდი და მეტყოდნენ: მილიციაში საქურდავად რამ შეგიყვანაო. არა, ძია ბესო, მე არ ვყოფილვარ.

აბრალავა ისე გააოცა ჩემმა პასუხმა, რომ წამით დაბნეულმა შემომხედა, მაგრამ, მალევე გამოერკვა და მითხრა:

– კობრა, თავს ნუ მომაკვლევინებ. შენ რა, შენი უბნის ხისთავა ინსპექტორი ხომ არ გგონივარ? გინდა, დამაჯერო, რომ, არ იცი, როგორ გაიტანეს ოქროს ცეხი?

– საიდან, ძია ბესო?

– შენ არ იცი, რომ მილიციაში გვირაბით შევიდნენ?

– გვირაბით?

– კობრა, თავს ნუ ისირებ, შენი ნამოქმედარია და ახლავე კაპეზეში წაგიყვან! – ღრიალებდა ბესარიონ აბრალავა.

მე ორივე ხელი შევატყუპე, წინ გავიშვირე და მილიციის სამმართველოს უფროსს მშვიდად ვუთხარი:

– აი, ჩემი ხელები. დამადე ბრასლეტები, ძია ბესო და გადამიყვანე კაპეზეში. შეგიძლია, პრესებშიც გამატარო და თავადვე დარწმუნდე, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ.

– რა სიმართლეს?

– როდის იყო, ძია ბესო, რომ გვირაბებს ვთხრიდი? ჩემი სპეციალობა ბაითში შესვლაა და არა შახტიორობა. თანაც, კარგად იცი, რომ თბილისში მაინც არ ვჩალიჩობ.

– გასწი ხელები და აქედან დამეკარგე! – მითხრა აბრალავამ და დაამატა: იცი, რომ უფაქტებოდ არ დაგიჭერ და ამიტომ მებლატავები. არადა, ეს საქმე ნაღდად შენი გაკეთებულია. კარგად იცოდე, რომ, თუკი შენს კვალზე გამოვალთ, ვერაფერი გიშველის. გგონია, ვერ გამოვალთ, ხომ?

– ვერ გამოხვალთ, ძია ბესო, ნამდვილად ვერ გამოხვალთ, რადგან, ამ საქმეში სუფთა ვარ.

– კარგი, წადი, – ჩაეცინა აბრალავას, მანქანის კარი საკუთარი ხელით გამიღო და დაამატა: ფაქტით ჩამივარდები ხელში და ამ საუბარსაც მაშინ გაგახსენებ.

– ტყუილად გაქვს ამის იმედი, ძია ბესო, იმიტომ, რომ მე აქ არასდროს ვიჩალიჩებ. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ შენ იქნები მილიციის სამმართველოს უფროსი – მივუგე აბრალავას, გამოვემშვიდობე და სახლში შევედი.

აბრალავამ მანქანა დაქოქა და წავიდა. ჩემთან ბერძენა და ოქროს ცეხის საქმის ნაკოლშჩიკი იყვნენ, რომლებიც მოუთმენლად მელოდნენ და სახლში რომ დავბრუნდი, ბერძენამ მკითხა:

– რაო ბესომ?

– დარწმუნებულია, რომ მე და შენ ვიჩალიჩეთ.

– მერე?

– რა მერე, იმედი აქვს, რომ ფაქტით დამიჭერს და ამ საუბარსაც მაშინ გაგახსენებო, – ვუთხარი ბერძენას, შემდეგ საათს შევხედე და დავამატე: ორ საათში ვიწყებთ. აბა, ნელ-ნელა დავიძრათ.

საქმე ის იყო, რომ ჩვენი „ტრიო“ მორიგი საქმის გასაკეთებლად მიდიოდა. ოქროს ცეხის საქმიდან სულ რაღაც ხუთი დღე იყო გასული და ანალოგიური საქმე გვქონდა მომზადებული, ოღონდ, ამჯერად არა მილიციის შენობაში. გასტრონომიდან გვირაბის თხრის პარალელურად, ჩვენ გვირა-





ბს ვთხრიდით სხვა ცეხშიც, რომელიც სხვა უბანსა და სხვა შენობაში იყო განთავსებული. ჩვენი ასეთი ტაქტიკა კი ორი რამით იყო განპირობებული: პირველი და მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ, ვიცოდით, აბრალავა ჩვენზე მიიტანდა ეჭვს და მის დასაბნევად გავაკეთეთ; მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ცეხში საკმაო ოქრო იყო შენახული და კარგ კუშს ველოდებოდით.

მორიგი საქმის გასაკეთებლად ზუსტად შუაღამისას შევძვერით გვირაბში, ბოლო ნახევარი მეტრიც გავთხარეთ და ცეხში შევედით. სეიფი, ისევე, როგორც პირველი საქმის დროს, მილიციის შენობაში, ადვილად გავხსენით და მართლაც კარგი კუში ავიღეთ. იმავე ღამეს, ჩვენი ახალგაზრდა პაძელნიკი ლენინგრადში გავამგზავრეთ მოპარული ოქროთი და კონსპირაციული ბინის მისამართი მივეცით, სადაც უნდა დაგვლოდებოდა. ჩვენ ის შეგნებულად არ დავაკავშირეთ კეშასთან, რათა, რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში, არ „დამწვარიყო". პაძელნიკი იმდენ ხანს დაგველოდებოდა, სანამ ეს საჭირო იქნებოდა, მაგრამ, რამდენი ხანი იყო საჭირო, არ ვიცოდით. ყველაფერი მილიციაზე იყო დამოკიდებული და, არ გამოვრიცხავდით, რომ დროებით პატიმრობაშიც კი ავეყვანეთ აბრალავას. ხოლო, თბილისიდან საქმის გაკეთებისთანავე რომ გავმგზავრებულიყავით, აბრალავას ეჭვები ჩვენ მიმართ დადასტურდებოდა და, აღარც დაგვინდობდა. ამიტომ, მე და ბერძენა წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებულები, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით და მეორე დღისთვის უკვე მილიციის ვიზიტს ველოდით სახლებში... ჩვენი ვარაუდი ერთი ერთში გამართლდა – ჯერ შუადღეც არ იყო დამდგარი, რომ მე და ბერძენას თბილისის მილიციის სამმართველოს ორი ოპერჯგუფი დაგვადგა სახლებში და პოლკოვნიკ ბესარიონ აბრალავას დაქვემდებარებულ უწყებაში, ანუ თბილისის მილიციის სამმართველოში მიგვიყვანეს. აბრალავას კაბინეტში ორივე ერთად შეგვიყვანეს. როდესაც მე და ბერძენა პოლკოვნიკის პირისპირ დავრჩით, მას ვკითხე:

– პრინციპებს გადაუხვიეთ, ძია ბესო?

იმპულსური აბრალავა ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა და ერთხანს ეჭვიც კი შემეპარა, წუხანდელ საქმეზე ხომ არ დავიწვით-მეთქი. თუმცა, არაფერი შევიმჩნიე, მან კი მრავალმნიშვნელოვნად მითხრა:

– ხომ გითხარი, კობრა, რომ ფაქტებს მოვიპოვებთ და ამ საუბარს გაგახსენებ-მეთქი?

– დიახ, ეს თქვენ გუშინ საღამოს მითხარით, – დავუდასტურე პოლკოვნიკს.

– ძალიან კარგი, – ირონიულად ჩაეცინა აბრალავას, – ახლა მე შენ ერთ მოთხრობას მოგიყვები და, თუ რამე გამომრჩა, დაამატე, კარგი?

– კარგი. გისმენთ.

– ჰოდა, ჩემო კობრა, როგორც კი მე და შენ დავშორდით, შენ და შენი პაძელნიკები საქმეზე წახვედით, წინასწარ მომზადებულ გვირაბში შეძვერით, ოქროს ცეხში სეიფი გახსენით და საკმაოდ დიდი კუშიც აიღეთ. მართალი ვარ? როგორი მოთხრობაა?

აბრალავა, ზოგადად, რა თქმა უნდა, მართალი იყო, მაგრამ, მხოლოდ ზოგადად და, მივხვდი, რომ ჩემი წამოგება უნდოდა, სინამდვილეში კი არანაირი ფაქტები არ ჰქონდა. ამიტომ, მხრები ავიჩეჩე, თავი გავაქნიე და მივუგე:

– ძია ბესო, არ გეწყინოს, მაგრამ, ეს მოთხრობა კი არა, ზღაპარია.

– რაო?!

– ძია ბესო, მეხუმრებით?

– სახუმაროდ მაქვს, ბიჭო, საქმე? – წამომენთო აბრალავა, – ორი ოპერჯგუფი მოვაცდინე თქვენ გამო და, შენ მეუბნები, ხუმრობო?

– ძია ბესო, არ გეწყინოს, მაგრამ, მართლაც მოაცდინეთ ოპერები. მე და ბერძენა წუხელ არანაირ საქმეზე არ ვყოფილვართ, – ვუთხარი პოლკოვნიკს, ბერძენამ კი დაამატა:

– მართალს ვამბობთ, ბატონო ბესარიონ, მე და კობრა გუშინ ერთად ვიყავით მის სახლში და გვიან დავიშალეთ. უფრო სწორად, მე წავედი სახლში.

– მაინც, რას აკეთებდით?

ბერძენამ თავი ჩაღუნა, მე კი პოლკოვნიკს ვუთხარი:

– თუ ცხელ გულზე არ დაგვიჭერ, მაშინ გეტყვი, ძია ბესო.

– რამე დააშავეთ?

– ისეთი არაფერი, ძია ბესო, რომ თქვენი ყურადღების ღირსი იყოს და ასეთ რამეზე დაგვიჭიროთ, მაგრამ, მაინც...

– აბა, თქვი, რას აკეთებდით?

– ძია ბესო, ჯერ პირობა მოგვეცი, რომ არ დაგვიჭერ და არც ზედმეტ კითხვებს დაგვისვამ, – ვუთხარი აბრალავას.

– შენ რა, „ძაღლის" სიტყვას ენდობი? – ირონიულად ჰკითხა პოლკოვნიკმა.

– „ძაღლის" კი არა, კაცის.

– ძია ბესო, გუშინ მე და ბერძენამ ისეთი დური გავაბოლეთ, რომ ნახევარი სახლი გადავჭამე. ისე მომშივდა და დილამდე ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მარსზე დავდიოდი ფეხშიშველი, – ვუთხარი აბრალავას.

– ესე იგი, პლანი მოწიეთ?

– დიახ, – დავუდასტურე პოლკოვნიკს.

– საიდან გქონდათ?

– ძია ბესო, შენ ხომ პირობა მომეცი? – ვუთხარი პოლკოვნიკს, ამ დროს კი წინასწარ შეთანხმებული სცენარით ბერძენა ჩაერთო და აბრალავას უთხრა:

– მე მოვიტანე, მაგრამ, საიდან, რომც მომკლათ, ვერ გეტყვით.

– „ვერ გეტყვი!" – გამოაჯავრა აბრალავამ ბერძენას, – თუ ჩუსტებით მარსზე დადიოდით, ესე იგი, მაგარი, ბომბა პლანი იყო. ასეთი პლანი კი დღესდღეობით ზემოვერელ ვართანას აქვს და იმას გამოართმევდით.

ზემოვერელი ვართანა პლანის ბარიგა იყო, მილიციასთან შეკრული და წინა დღით ბერძენამ მართლაც მას გამოართვა მოსაწევი, რაც ჩვენი სცენარით იყო გათვალისწინებული. ჩვენ ვიცოდით, რომ აბრალავა აუცილებლად გადაამოწმებდა ვართანასთან პლანის გამორთმევის ფაქტს და, რომ ჰკითხავდა: ბერძენას პლანი მიეცი? ის უპასუხებდა – მივეცი, უფროსო და, ისეთი ბომბაა, ერთი კვირა კოსმოსში იფრენდაო...

აბრალავას გამოჯავრებაზე ბერძენა „უკიდურესად აღშფოთდა" და უთხრა:

– ესაა თქვენი კაცური სიტყვა, ბატონო ბესარიონ? საქმე ვერ შეგვტენეთ და პლანზე გვსროკავთ?

– შენ, ბიჭო, ენას კბილი დააჭირე, – კბილებში გამოცრა აბრალავამ, – მე არავის არაფერს არ ვტენი. აბა, ერთი ფაქტი მაინც მითხარით, რომ ვინმეს რამე ავკიდე!

– ასეთი ფაქტები არ გვაქვს, – ვუთხარი აბრალავას.

– ჰოდა, მოკეტეთ, – გვითხრა აბრალავამ, შემდეგ სელექტორს ხელი დააჭირა და თავის თანაშემწეს უბრძანა:

– ბიჭებს უთხარი, შემოვიდნენ, ბერძენა და კობრა ნარკოექსპერტიზაზე ჩაიყვანონ და პასუხი მალევე მაცნობონ.

ყველაფერი ჩვენი სცენარით მიდიოდა. მე და ბერძენამ პლანი საქმის დამთავრებისთანავე მოვწიეთ, რაც ჩვენი ალიბი უნ-

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



და ყოფილიყო და, რაც უფრო მეტ ნარკოტიკულ თრობას უჩვენებდა ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, ჩვენთვის უკეთესი იყო. „ყველაფერი კარგად მიდის“, – გავიფიქრე გუნებაში, აბრალავას კი უკიდურესად აღშფოთებული ტონით ვუთხარი:

– გვიჭერ, ძია ბესო?

– ღმერთს შევევედრეთ, რომ ექსპერტიზამ დიდი დოზა აჩვენოს, რადგან, ვართანას პლანმოწეულები არა მარტო საქმეს ვერ გააკეთებდით, არამედ, დამოუკიდებლად მოფსმასაც კი ვერ მოახერხებდით, – გვითხრა აბრალავამ და კაბინეტში შემოსულ ოპერებს უბრძანა:

– ჩქარა, შეასრულეთ ბრძანება და პასუხი არ დამიგვიანოთ!

მილიციის სამმართველოში ნარკოექსპერტიზა ახალი ტექნოლოგიით ჩაგვიტარეს და ოთხი საათის შემდეგ დასკვნა უკვე მზად იყო, რომელშიც ეწერა, რომ მე და ბერძენა ძლიერი ნარკოტიკული თრობის ქვეშ ვიმყოფებოდით. ეს რომ აბრალავამ წაიკითხა, ალმაცერად გადმოგვხედა და გვითხრა:

– ყველაფერი ემთხვევა. მოსაწევი ვართანასგან აიღეთ, ახლაც კაიფში ხართ და, წესით, წუხანდელი საქმე თქვენი გაკეთებული არ უნდა იყოს, თუმცა, ბოლომდე მაინც არ მჯერა თქვენი უდანაშაულობის.

– კარგი, რა, ძია ბესო, – ვუთხარი აბრალავას, – გუშინ ხომ გითხარი, რომ ჩვენ თბილისში არ ვჩალიჩობთ.

– წადით, თუმცა, არ მჯერა, რომ უდანაშაულოები ხართ.

– კარგად, ძია ბესო, – ვუთხარი აბრალავას, რომელსაც ბერძენაც დაემშვიდობა და მილიციის სამმართველოს შენობიდან გამოვედით. საღამოს ცხრა საათი სრულდებოდა და მე და ბერძენამ ფეხით გავლა გადავწყვიტეთ. სამმართველოს შენობას ორასიოდე მეტრით რომ მოვშორდით, ბერძენამ მითხრა:

– საღოლ ჩვენ, მაგრად გამოგვივიდა, ახლა მესამე ეტაპიც გავიაროთ და აბრალავას საბოლოოდ გაუქრება ჩვენზე ყოველგვარი ეჭვები.

– ვნახოთ, – ღიმილით მივუგე ბერძენას, ტაქსის ხელი დავუქნიეთ და ჩავსხედით. ორმოციოდე მეტრში „ჟიგული“ აგვედევნა, რომელიც, რა თქმა უნდა, აბრალავას დავალებით მოქმედებდა.

მილიციის სამმართველოდან გამოსვლის მერე, სპეციალური ოპერჯგუფი ოცდაოთხი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ გვითვალთვალებდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ აბრალავას კვლავ ჩვენზე ჰქონდა ეჭვი და, იმედოვნებდა, რომ ფაქტზე დაგვიჭერდა. აბრალავას ეჭვის მომენტი, ჩვენი გეგმის ქვაკუთხედი იყო და, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სწორედ აბრალავას ეჭვიანობით უნდა გაგვექარწყლებინა მისი ეჭვები ჩვენ მიმართ. ანუ, ჩვენი სამეტაპიანი გეგმის ბოლო ნაწილის მიხედვით, მესამე ცეხი უნდა გაგვექურდა, სადაც, ასევე, წინასწარ გვქონდა მომზადებული გვირაბი. მესამე ეტაპის განხორციელების დროს კი მილიციელები უკვე ოცდაოთხსაათიან რეჟიმში გვასხდნენ „კუდზე“ და, ამის გაკეთება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი იყო. თუმცა, სამმართველოდან გამოსვლის დღიდან მეოთხე საღამოს, მე და ბერძენამ ორი პუტანკა ავაგდეთ სასტუმრო „აჭარაში“ და ჯერ იქვე, რესტორანში ვიქეიფეთ, შემდეგ კი ჩემთან წავედით და სახლში გავაგრძელეთ „კურაჟი“. მთელი ამ პროცესის პერიოდში, მილიციის ოპერებს ჩვენთვის თვალი არ მოუშორებიათ და სახლში რომ შევედით, ისინიც შორიახლოს ჩასაფრდნენ. ჩვენ მუსიკა ჩავრთეთ, შუქი შევასუსტეთ, პუტანკებს შამპანურში დასაძინებელი ჩავუყარეთ და მივაძინეთ, ჩვენ კი ბაბუაჩემის მიერ გათხრილი გვირაბით სახლიდან გავედით და საქმეზე გავემართეთ. სულ რაღაც ორ საათში კუშიც ავიღეთ და საიმედოდ გადავმალეთ, სახლშიც დავბრუნდით, პუტანკებიც გავაღვიძეთ, რომლებსაც არც კი ახსოვდათ, რომ ეძინათ და ქეიფი განვაგრძეთ. დაახლოებით დილის 4 საათზე ბერძენა და მისი ნაშა ჩემგან წავიდნენ და ბერძენასთან ავიდნენ, მე კი ჩემი ნაშა დავიტოვე. მოთვალთვალე ოპერებს, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მე და ბერძენა საჩალიჩოდ ვიყავით წასულები და აბრალავას მოახსენებდნენ, რომ ჩვენ მთელი ღამე ვგულაობდით. მეორე დღეს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, ბესარიონ აბრალავა პირადად მეწვია სახლში, ყურადღებით ამათვალიერა-ჩამათვალიერა და მითხრა:

– შენთან საქმე მაქვს.

– მოხდა რამე, ძია ბესო?

– კი.

– ნაშა მყავს, ახლავე გავუშვებ და ვილაპარაკოთ.

– იყოს, კუხნაში დავსხდეთ.

მე ხალათი ჩავიცვი, სამზარეულოში გავედი, სადაც აბრალავა მელოდებოდა და ვუთხარი:

– გისმენ, ძია ბესო, რაშია საქმე?

– კობრა, წუხელ მესამე ოქროს ცეხი გაქურდეს იმავე მეთოდით, – დაიწყო აბ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | | | | | ს | | | ი | ს | ი | ხ | ც | რ | ა | ფ |
| | | | | | ა | | მ | ა | ი | ნ | | ბ | | ტ | |
| | | | | | ი | ბ | ო | | რ | ო | მ | ი | ნ | ა | |
| | | | | | ქ | ე | რ | ი | ბ | ი | | ე | | ნ | |
| | | | | | ი | | | ბ | | ლ | ა | რ | გ | ო | |
| ბ | ი | ჭ | ი | კ | ო | | ქ | ე | დ | ა | ნ | ი | | ი | |
| | ე | | | უ | | | ა | ს | ა | მ | ი | | ა | ს | ო |
| ა | ლ | ი | პ | | ი | | ი | ნ | ი | გ | ა | ი | ლ | ა | კ |
| | პ | ლ | ე | ვ | რ | ა | | ა | რ | ი | მ | ლ | ა | პ | |
| ი | ს | ა | შ | | ა | კ | ი | ნ | ა | პ | | ა | მ | ა | ო |
| ნ | ი | ს | ტ | ა | ტ | ი | ნ | ი | | | | გ | | | |
| ო | დ | რ | ი | | პ | რ | ო | ფ | | ი | უ | რ | ი | | ი |
| ლ | | ე | | ჩ | ა | ფ | ი | | ი | ს | | ა | ლ | ა | კ |
| ო | რ | ვ | ო | | ლ | ა | რ | ი | | ი | | ჩ | უ | მ | ი |
| კ | | | ნ | ო | ე | | ა | პ | ი | ს | ი | | ე | ი | ლ |
| ე | | ო | ი | ლ | ქ | | ლ | ო | გ | ა | რ | ი | თ | მ | ი |
| დ | ი | კ | ლ | ო | | ა | ი | რ | ა | ნ | ი | | ა | ო | ბ |
| ო | ლ | ი | პ | ს | | ი | | ტ | ბ | ო | რ | ი | | ტ | |
| | უ | რ | ი | | დ | ვ | ი | ნ | ა | | ტ | ვ | ი | ნ | ი |
| | ე | | ც | | | ო | ს | ე | თ | ი | | ო | რ | ა | ტ |
| უ | წ | ე | ს | რ | ი | გ | ო | ბ | ა | | ა | ლ | ე | პ | ო |
| | ო | | ი | ო | ს | ე | ბ | ი | | პ | ე | რ | უ | | პ |
| პ | რ | ო | დ | ი | უ | ს | ე | რ | ი | | დ | ა | ბ | ლ | ა |
| | ბ | | უ | | რ | | ფ | | | | ი | კ | | | კ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 7 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 |
| 9 | 3 | 6 | 4 | 2 | 5 | 8 | 1 | 7 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 1 | 7 | 9 | 2 | 3 |
| 2 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 5 | 4 | 1 | 9 | 7 | 2 | 3 | 8 | 6 |
| 3 | 6 | 9 | 5 | 8 | 4 | 1 | 7 | 2 |
| 4 | 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 7 | 3 | 8 |
| 6 | 8 | 3 | 7 | 5 | 1 | 2 | 4 | 9 |
| 7 | 9 | 2 | 8 | 4 | 3 | 6 | 5 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 6 | 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 2 |
| 9 | 8 | 5 | 2 | 6 | 3 | 1 | 4 | 7 |
| 3 | 2 | 7 | 5 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 6 | 7 | 1 | 8 |
| 1 | 7 | 8 | 4 | 5 | 9 | 2 | 3 | 6 |
| 2 | 6 | 3 | 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 5 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 6 | 4 |
| 8 | 9 | 1 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: პასუხები: 1. „განხეთქილების ვაშლი“. 2. ოდიოზური ფიურერის – ჰიტლერის მოგვარეებმა გვარები შეიცვალეს. 3. კუკის – მზარეულის. 4. ნიუ-იორკი. 5. ბიბლიაში აღწერილი ეს ადგილი მოხსენიებულია როგორც არმაგედონი. 6. ჯაკომო კაზანოვა 7. ჩინური იეროგლიფების – მას 5 850 კლავიში აქვს. 8. თავი მოიკლეს. 9. ურანს. 10. კოლტი.**

რალავამ, მე კი მას შეშფოთებული სახით შევაწყვეტინე სიტყვა:

– ძია ბესო, ისევ ჩვენზე გაქვს ეჭვი? მე და ბერძენა გუშინ მთელი ღამე ვგულაობდით.

– მოიცა, სიტყვას ნუ მაწყვეტინებ. არანაირი ეჭვი არ მაქვს. ვიცი, რომ მთელი ღამე გულაობდით – ჩემები გითვალთვალებდნენ. უბრალოდ, მინდა გამიიასნო, ვინ ჩალიჩობს, ოქრო დაავაზვრატებინო და უთხრა, რომ აქედან აახვიონ. შეძლებ?

– ძია ბესო, კარგია, რომ ჩვენს სიმართლეში დარწმუნდი. ხომ გითხარი, აქ არ ვჩალიჩობთ-მეთქი, თანაც, შახტიორობა ჩვენი სტილი არაა. ახლა კი ლოგიკას მივყვეთ.

– მივყვეთ, – მითხრა აბრალავამ.

– ძია ბესო, ხომ დარწმუნდით, რომ მე და ბერძენა არ ვჩალიჩობთ? – გავუმეორე აბრალავას.

– კი, დავრწმუნდი.

– ისიც ხომ იასნია, რომ ვიღაც ძალიან მაგრები და უცნობები ჩალიჩობენ?

– უცნობებზე თავს შევიკავებ, მაგრები კი ნამდვილად არიან.

– კარგი, ძია ბესო, გარწმუნებთ, რომ მართლა არ ვიცით, ვინ არიან და თქვენზე არანაკლებად მაინტერესებს, ვინ ჩალიჩობს. თუმცა, საეჭვოა, რომ თავი გაიშიფრონ და რამე შევიტყო. მიუხედავად ამისა, ყველანაირად შევეცდები, რამე გავიგო. მართალია, მათ ვინაობას არ გეტყვით, მაგრამ, თუ მივაგენი, ვაზვრატს აუცილებლად გავაკეთებინებ.

– გასაგებია. ახლა წავედი და, თუ რამე სიახლე იქნა, ალბათ, არ გამაწბილებ, – მითხრა აბრალავამ, გამომემშვიდობა და წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ აბრალავა ძალიან ეჭვიანი კაცი იყო და იოლად არაფერს იჯერებდა, მე და ბერძენამ მაინც მოვახერხეთ მისი დარწმუნება ჩვენს უდანაშაულობაში და, როდესაც ერთი კვირის შემდეგ პირადად მეწვია სახლში, ვუთხარი:

– ძია ბესო, ბოდიშს გიხდი, მაგრამ, ვერაფერი შევიტყვე. როგორც ვვარაუდობდი, ვიღაც ახალი კამანდაა და არავინ იცნობს.

– ასეც ვიცოდი. მეც ბევრი ვიფიქრე და დავრწმუნდი, რომ ვიღაც უცხოები ჩალიჩობდნენ, ალბათ, გასტროლიორები.

– ეგ უკვე არ ვიცი, ძია ბესო, მაგრამ, კარგია, რომ ჩვენი გჯერათ.

– მჯერა თუ არ მჯერა, ამ საქმეში მართლები ხართ, – გაეცინა პოლკოვნიკს, შემდეგ ამათვალიერ-ჩამათვალიერა და, სანამ წავიდოდა, მითხრა: ვნანობ, რომ ბავშვობაშივე ვერ გაგშიფრე, თორემ, ახლა წესიერ გზაზე იდგებოდი და ქურდი არ გამოხვიდოდი.

– ცდებით, ძია ბესო, ქურდობა ჩემი ბავშვობის მიზანი იყო და მხოლოდ სიკვდილი თუ შემიშლიდა ხელს ამ მიზნის მიღწევაში, – ვუთხარი აბრალავას, რაზეც მან ღიმილით მომიგო:

– ჰოდა, მეც მოგკლავდი და შენს ბავშვურ მიზნებს წერტილს დავუსვამდი.

მიუხედავად იმისა, რომ აბრალავა მილიციელი იყო და კრისტალური პატიოსნებითა და კანონმორჩილებით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, დარწმუნებული ვარ, ჩემ მიმართ ცუდად არ იყო განწყობილი და, რასაც ამბობდა, არ ტყუოდა. ჩემი მისწრაფებები მას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოეპარა, რომ ხუჭუჭას ძმაკაცი ვიყავი, ხუჭუჭას მამა კი – მისი უფროსი და ახლობელი, ამის გამო კი ხუჭუჭა და მისი უახლოესი გარემოცვა ხელშეუხებელნი ვიყავით. სწორედ ამიტომაც, ვერაფერს გვიბედავდა უბნის მრისხანე ინსპექტორი „ძევიატკა“ და, როგორც ადრე ვთქვი, ხშირად გვემალებოდა კიდეც და ჩვენთან შეხვედრას ერიდებოდა.



საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო და საშინელი არეულობისა და ბესპრედელის პერიოდი იდგა, როდესაც რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვედი ერთ საქმეზე. მაისი იდგა. ბერძენა ახალი გამოსული იყო ციხიდან და ერთი ჩვენი მეგობრის მანქანით ერთ-ერთ ბაზრობაზე წავედით ბაზრობის დირექტორის სანახავად. იქ უამრავი ხალხი ირეოდა, გზას ძლივს მივიკლევდით და ხან ვინ გვეჯახებოდა, ხან – ვინ.

– მაროჟნიიი! აბა, გემრიელი მაროჟნიიი! იყიდეთ, ხალხნო, მაროჟნი! – მომესმა ძალიან ნაცნობი ხმა. მარცხნივ გავიხედე და თეთრხალათიანი მენაყინე დამეტაკა, რომელსაც იაფფასიანი ნაყინებით სავსე უზარმაზარი პლასტმასის ყუთი ჰქონდა მხარზე გადაკიდებული.

– ბოდიში, ჩემო ბატონო, დიდი ბოდიში, – ძალიან შეწუხდა მენაყინე, მლიქვნელურად გამიღიმა და გზის გაგრძელებას აპირებდა, როდესაც მასში ძევიატკა შევიცანი. მანაც მიცნო, რატომღაც, ოფლმა დაასხა და მორიდებულად მომესალმა:

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს, – გულწრფელად გამეხარდა ძევიატკას ნახვა და მაგრად ჩამოვართვი ხელი. ის გახალისდა და მკითხა:

– როგორ ბრძანდებით?

– კარგი, რა, – გავუღიმე ძევიატკას, – როდის იყო თქვენობით მელაპარაკებოდი? არა მიშავს, შენ როგორ ხარ, მილიციას შეეშვი?

– ეეჰ, კობრა, რამდენი ხანია, შევეშვი.

– მაინც რამდენი?

– თითქმის ხუთი წელი სრულდება.

– მერე, პენსიას არ გაძლევენ?

– მათხოვრულს, – მწარედ გაეღიმა ძევიატკას, – ნორმალური პენსია რომ მქონდეს, პოდპოლკოვნიკი კაცი მაროჟნს გავყიდდი? მაგრამ, რა უნდა ვქნა? შვილებსა და შვილიშვილებს რჩენა ხომ უნდათ?

– უნდათ, როგორ არ უნდათ, – დავეთანხმე ძევიატკას, რომელმაც ხელი ჩაიქნია და მითხრა:

– შენ როგორ ხარ, კობრა, რამდენი წელია, აღარ შევხვედრივართ. ქურდი ხარ, ხომ?

– კი, ქურდი ვარ.

– გახსოვს, კობრა, როგორ დაგდევდით?

– მაგას რა დამავიწყებს, რაც შენ ჩემთვის, ხუჭუჭასთვის და ყბედალოსთვის გიდევნია.

– ხუჭუჭა ახლა დიდი კაცია და, მგონი, რუსეთში უნდა იყოს. ყბედალო კი, თუ არ ვცდები, ქურდია, ხომ?

– კი, მასეა. სხვა როგორ ხართ?

– აი, ასე ვარ, ჩემო კობრა, როგორც მხედავ – ვყიდი მაროჟნს და ამით ვარსებობ, – მითხრა ძევიატკამ. ამ დროს ბერძენამ თავისთან მიხმო ხელით, რომელიც ბაზრობის დირექტორთან ერთად იდგა და მიყურებდა. მე ძევიატკას გავუღიმე, ასდოლარიანი ამოვაცურე, ხელში ჩავუდე და ვუთხარი:

– მეჩქარება. ბოდიში, მაგრამ, უნდა წავიდე. ეს კი ჩემგან გქონდეთ, პატივისცემის ნიშნად.

– მადლობა, ჩემო კობრა, მადლობა, ღმერთმა გაგახაროს, – მითხრა ძევიატკამ, თავი დამიკრა და გზა განაგრძო.

– ვის ელაპარაკებოდი, კობრა? – მითხრა ბერძენამ, როდესაც მასთან მივედი.

– ძევიატკას.

– ვის?!

– ძევიატკას. მაროჟნს ყიდის ბაზრობაზე.

– მემაროჟნეს საიდან იცნობთ? – დაინტერესდა ბაზრობის დირექტორი.

– ჩვენი უბნის ინსპექტორი იყო, – მივუგე ბაზრობის დირექტორს, რომელიც ჩვენგან დავალებული იყო და დავამატე: ერთი თხოვნა მაქვს.

– ბრძანე, კობრა, გისმენ.

– იქნებ, რამე სამსახური მოუძებნო ძევიატკას, რომ ორიოდე კაპიკი მიიტანოს სახლში, ცოდოა, ამხელა კაცი ყუთმოკიდებული რომ დარბის აქეთ-იქით.

– რაზეა ლაპარაკი, ჩემო კობრა, დღესვე ამკრეფად გადავიყვან, მით უმეტეს, რომ მილიციაში ყოფილა ნამუშევარი და ეს საქმე არ შეეშლება.

– ამკრეფად? – ვკითხე დირექტორს.

– ჰო, ამკრეფად. დღის ბოლოს მოვაჭრეებს დაუვლის და გადასახადს გამოართმევს. კარგი შემოსავალი ექნება, დაახლოებით ოცდაათი, ორმოცი დოლარი დღეში.

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! დიდი მადლობელი ვარ პატივისცემისთვის, – ვუთხარი ბაზრობის დირექტორს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# სერიული მანიაკები

**დასასრული. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-50(676)**

წულაიას ხალმა მცირე წინააღმდეგობა შეუქმნა ამოცნობის პროცედურას. საქმე ის იყო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნით, ამოცნობაში ეკვმტანილის მსგავს პირებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მაგრამ ორი ისეთი პიროვნების მოძებნა, რომლებსაც წულაიას მსგავსი ხალი ექნებოდა, შეუძლებელი აღმოჩნდა. დანაშაული, რომელიც ამოცნობის პროცედურას მოითხოვდა, შედარებით მსუბუქი რომ ყოფილიყო, მირიანი თვალს დახუჭავდა ამ დეტალზე. მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ეხებოდა, რომელსაც თავად მთავარი პროკურორი კურირებდა და ყოველი პროცედურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად უნდა ჩატარებულიყო. საბოლოოდ, გამოსავალი ანამ გამონახა.

– მაკიაჟი... – მოულოდნელად შესთავაზა მან ფიქრში ჩაძირულ მირიანს.

– რას გულისხმობ? – სწრაფად შემოხედა მან.

– თუ ხალიანი პიროვნების მოძებნა არ შეგვიძლია, მაშინ გრიმი დავადოთ. ზუსტად ისეთ ხალს გამოვიყვანთ, როგორიც წულაიას აქვს, – აუხსნა ანამ.

– არა მგონია, გამოვიდეს, – ჩაფიქრდა მირიანი, – თანაც, ამოცნობის გადადება მოგვიწევს. ასე უცებ სად მოვნახოთ გრიმის სპეციალისტი.

– მე გავუკეთებ.

– შენ?! – გაუკვირდა მირიანს.

– გააკეთებს, – ანას დაეთანხმა გიორგი, – მაგის მეტი რა იცის. მთელი დღე სარკეში იყურება. საქმეზეც ასეთი თავდადებით რომ მუშაობდეს, საქართველოს ყველა ბოროტმოქმედს დაიჭერდა!

– კარგი... ვცადოთ, – გადაწყვიტა მირიანმა, – ვნახოთ რა გამოვა.

ანამ სკამზე დასვა პროცედურაში მონაწილე პოლიციის თანამშრომელი, პარფიუმერიული ნაკრები მოიმარჯვა და მუშაობას შეუდგა. ცოტა ხანში პილიციელის ყვირიმალზე მოზრდილი ხალი გაჩნდა.

– როგორია? – ანა კმაყოფილი იერით გადგა უკან.

მირიანმა ყურადღებით შეათვალიერა პოლიციელი. შემდეგ უკან დაიხია და კიდევ ერთხელ დააკვირდა ხალს.

გიორგი გვერდით ამოუდგა ჯგუფის ხელმძღვანელს და კმაყოფილმა გადაულაპარაკა:

– მაგარია. ასეთ გრიმს სპილბერგიც ვერ დაიწუნებს!

– სპილბერგზე ვერაფერს გეტყვი. ჩვენთვის კი ნამდვილად საკმარისია, – თქვა მირიანმა და ანას გახედა, მეორეც მოამზადე. მანამდე კი მე დევიძესა და წულაიას იზოლატორიდან მოვაყვანინებ.

დევი დევიძემ თავიდანვე იცოდა, რომ ამოცნობის პროცედურაში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ასეთ ხალხმრავლობას მაინც არ ელოდა. მას ეგონა, რომ პროცედურაში მხოლოდ გამომძიებლები, ამოსაცნობი პირი და ადვოკატი მიიღებდნენ მონაწილეობას. ამის ნაცვლად კი, ოთახში ათამდე პიროვნება დახვდა. იქ იყვნენ გამომძიებლები, მისი და წულაიას ადვოკატები, პროკურორი, რომელიც ამოცნობის პროცედურას უწევდა მეთვალყურეობას, მოწმეები. კედლის გასწვრივ კი სამი პიროვნება იდგა. ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. დაახლოებით ერთი ასაკისანი იყვნენ. თითქმის ერთნაირად ეცვათ და ყვირიმალზე სამივეს ერთნაირი ხალი ჰქონდა.



მირიანი წინ წადგა და დევიძეს ჰკითხა: ამ პიროვნებებიდან, რომელიმე ხომ არ გეცნობაო.

დევიძე არც კი დაფიქრებულა. ხელი წულაიასკენ გაიშვირა.

– ეს!...

– სად და რა ვითარებაში შეხვდი ამ პიროვნებას?

– განაგრძო მირიანმა.

– თბილისის ზღვაზე. ის კიდევ სამ პიროვნებასთნ ერთად, დანით შეიარაღებული დაგვესხა თავს, – უპასუხა დევიძემ.

– რა ნიშნებით ამოიცანით ეს პიროვნება?

– სახით...

– მთელი ამ დროის განმავლობაში წულაია გააფთრებული მზერით ბურღავდა დევიძეს. თავად დევიძე კი მისთვის თვალის გასწორებას ვერ ბედავდა. მზერა იატაკისკენ ჰქონდა მიმართული და მღელვარებისგან აკანკალებული ხმით ლაპარაკობდა.

– რამის თქმა ხომ არ გსურს? – წულაიას გახედა მირიანმა.

– არა! – ღვარძლით აღსავსე ხმით უპასუხა მან.

– კარგი, – ბადრაგს მიუბრუნდა მირიანი, – დევიძე საკანში დააბრუნეთ და აბულაძე მოიყვანეთ.

– არ არის საჭირო! – მოულოდნელად თქვა წულაიამ.

– რატომ? – ჰკითხა მირიანმა.

– რა აზრი აქვს. ისიც ამომიცნობს, – ყრუ ხმით ჩაილაპარაკა წულაიამ.

– ესე იგი, აღიარების მოცემას აპირებ?

– შეიძლება, დავჯდე? – იკითხა წულაიამ.

– დაჯექი, – ნება დართო მირიანმა.

წულაია სკამზე დაეშვა, სახე ხელებში ჩარგო და იკითხა, – რამდენს მომისჯის სასამართლო?

– არ ვიცი. მაგრამ სასამართლო გაითვალისწინებს დანაშაულიას აღიარებას, – უპასუხა მირიანმა.

– როგორ გაითვალისწინებს?! – მწარე ირონიით თქვა წულაიამ, – სამუდამო პატიმრობიდან ექვს თვეს გამომიკლებს?!

– ამაზე შენს ადვოკატთან იმსჯელებ. ახლა შენგან სრულიად სხვა რამის მოსმენა მსურს!

– რა გაინტერესებთ?

– ყველაფერი!

– რა საჭიროა. თქვენ ხომ ისედაც ყველაფერი იცით. იმ გოგომ ხომ მოგცათ ჩვენება, – ჩაილაპარაკა წულაიამ.

– დროს ნუ მაკარგვინებ. აღიარების მოცემას თუ არ აპირებ, საკანში დაგაბრუნებ და შენს თანამზრახველებთან განვაგრძობ მუშაობას.

– აღიარების შემდეგ, მათთან ერთად ჩამსვამთ საკანში?

– რისთვის? – ჰკითხა მირიანმა.

– მარტო ყოფნა არ შემიძლია, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს.

– არა. სასამართლოს დასრულებამდე თქვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება. მაგრამ, თუ მარტოობა გაწუხებს, ვინმესთან ერთად მოგათავსებთ. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ. რა მოხდა იმ დღეს ზღვაზე?

– ვიცი, რომ არ დამიჯერებთ, მაგრამ ეს ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა.

– როგორ თუ დამოუკიდებლად?! – გაუკვირდა მირიანს.

– ამის ახსნა გამიჭირდება, – შუბლი მოისრისა წულაიამ, – გამიჩალიჩეს.

– ბუნდოვნად მიხსნი. შეგიძლია, უფრო დალაგებით მიამბო? ვინ და რა გაგიჩალიჩა? – ჰკითხა მირიანმა.

– ერთი ახლობელი მყავს, იგორი ჰქვია. ორიოდ კვირის წინ წავეკაიფეთ. ფალარათის გამომწვევი აბები მივეცი და ვუთხარი, რომ „კალიკები“ (ჟარგონულად ნარკოტიკის შემცველი აბები) იყო. თანაც, დავარიგე, რომ ოთხ ცალზე მეტი არ მიეღო. ვიცოდი რა ღორიც იყო. ის ხომ არავის გაუნაწილებდა „კალიკებს“ და მარტო დალევდა. იგორი ასეც მოიქცა. ბინაში გამოიკეტა და ოთხი ცალი დალია. როცა პრიხოდი ვერ იგრძნო, კიდევ ოთხი დაამატა, შემდეგ კიდევ ოთხი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა, როცა ერთ ჯერზე იმ აბის ნახევარს ილებენ. იგორს ისე აეშალა კუჭი, რომ მთელი კვირის განმავლობაში ფეხი ველარ გამოდგა სახლიდან. ბუნებრივია, ამის შემდეგ ის მხოლოდ სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობდა. ბოლოს საერთო ნაცნობი მოგვიგზავნა და მისი ხელით მოგვაწოდა რაღაც აბები. იმ წუთებში იმის წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო, რომ ის იგორთან იყო შეკრული...

– შენც მიიღე ფალარათის გამომწვევი აბები? – გაეღიმა მირიანს.

– არა. ფალარათისა რომ ყოფილიყო, ამას როგორმე გადავიტანდით. ბოლოს და ბოლოს ერთ კვირას გავატარებდით უნიტაზზე და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ, ის სულ სხვა აბები იყო, – უპასუხა წულაიამ.

– მაინც რა აბები იყო?

– დასახელება არ ვიცი. იგორის ახლობელს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. უბრალოდ, აგვიხსნა, რომ მაგარი „კალიკები“ იყო. ახალი შემოსულია ჩვენთან. ორი დღის წინ ახლობელი ჩამოვიდა საფრანგეთიდან და იმან მომცაო. ჩვენც გოიმებივით ავვარდით და ექვს-ექვსი დავლიეთ.

– რა ეფექტი ჰქონდა იმ მედიკამენტს?

– როგორ გითხრათ. მე მგონი ადრენალინის შემცველი აბები იყო. უცნაური შეგრძნება გამიჩნდა. ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. მოძრაობა, რამე განსაკუთრებული მსურდა. ჩხუბი აყალ-მაყალი, მძაფრი შეგრძნებები. მაშინ კი მივხვდით, რომ ეს იგორმა გაგვიჩალიჩა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

– ეს სად მოხდა? – ჰკითხა მირიანმა.

– ლოტკინზე, ჩემი ძმის სახლის უკან. იქ პატარა ბაღია, სადაც დროდადრო ვიკრიბებით.

– თბილისის ზღვაზე როგორ აღმოჩნდით?

– შეგნებულად გავერიდეთ ლოტკინს. ის აბები ნახევარი საათის მიღებული გვქონდა, რომ ადგილობრივ ბიჭს წავეჩხუბეთ. ისე, უმიზეზოდ. ადრე მათთან პატარა ხიპიში მომივიდა. მაშინ დამჩაგრეს და მცემეს. როგორც კი უბანში მომავალი დავინახე, მაშინვე ის საღამო გამახსენდა. ის ბიჭი ბაღში შევიყვანეთ და ვცემეთ. შემდეგ კი მივხვდით, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ლოტკინელები არ შეგვარჩენდნენ უბნელის საკუთარ სახლთან ცემას. მალე მოგვაკითხავდნენ და პასუხს მოგვთხოვდნენ. მაშინ გადავწყვიტეთ ზღვაზე გადასვლა. თანაც, მოძრაობაც გვინდოდა, რათა, რაც შეიძლება მალე გამოვსულიყავით მდგომარეობიდან.

– ზღვაზე რით გადახვედით?

– ფეხით. ყოველთვის ასე ვიქცევით.

– და შერჩეულ ადგილს მიაკითხეთ?

– ესეც იცით? – გახედა წულაიამ.

– რამდენი ხანია, რაც იქ იყრით თავს?

– ორი წელი იქნება. ყრუ ადგილია. იქ უცხოები არ გვაწუხებდნენ. მშვიდად შეიძლება ორიოდ საათის გატარება.

– და პლანის მოწევაც! – ჩაურთო მირიანმა.

– ჰო... ეგაც შეიძლება, – ამოიოხრა წულაიამ.

– რა მოხდა შემდეგ? – ჰკითხა მირიანმა.

– თითო-თითო შეხვევა პლანი მოვწიეთ, მაგრამ ის დამპალი წამალი არაფრით მოგვეშვა. დროდადრო უკეთ ვგრძნობდით თავს. შემდეგ ტალღასავით დაიძვრებოდა, მთელ სხეულს მოედებოდა და წრიალს გვაწყებინებდა. დრო ზუსტად არ მახსოვს. ალბათ, ექვსი ან შვიდის ნახევარი იქნებოდა, როცა ჩვენ სიახლოვეს სპორტული მანქანა შეჩერდა. თავიდან გაგვიკვირდა. ასეთი მანქანით რისთვის უნდა შემოსულიყვნენ ბუჩქნარში. ტოტები მანქანას დაკაწრავ-

და. დაბალი „პასადკით" კი მიწას წამოედებოდა. მერე მანქანაში გოგო შევნიშნეთ. ვიფიქრეთ, რომ ახლა რაღაც საინტერესო მოხდებოდა და საყურებლად მოვემზადეთ. იმ ბიჭებმა გოგო მანქანიდან გადმოიყვანეს. ჯერ ერთმანეთში მოილაპარაკეს. შემდეგ ერთ-ერთმა ის გოგო ბუჩქების სიღრმეში შეათრია.

– რომელმა?

– აი იმან, ამოცნობაზე რომელიც გყავდათ.

– შემდეგ.

– მეორე მანქანაში ჩაჯდა და მუსიკა ჩართო.

– იმ გოგოსა და ბიჭს ვერ ხედავდით?

– ვერა, – თავი გაიქნია წულაიამ, – ვერ ვხედავდით, მაგრამ ხმა კარგად გვესმოდა. ის გოგო ეწინააღმდეგებოდა. შემდეგ კი მიჩუმდა. ცოტა ხანში ის ბიჭი ბუჩქნარიდან გამოვიდა და გოგოსთან თავისი ამხანაგი მიუშვა. არ ვიცი, საიდან გამიჩნდა ასეთი აზრი. დარწმუნებული ვარ, იმ წყეული წამლის ბრალი იყო ყველაფერი.

– რა მოიმოქმედე?

– ბუჩქებიდან გამოვედი და იმ ბიჭისკენ წავედი. შევნიშნე, რომ ჩემმა დანახვამ შეაშინა. მანქანისკენ ორი ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. გაქცევას ველარ მოასწრებდა. მე უფრო ახლოს ვიყავი მანქანასთან და რომც მოეხერხებინა, მისი ამხანაგი და გოგო ხომ იქ დარჩებოდნენ... მე ვკითხე: რა ხდება-მეთქი.

ბიჭმა მირჩია, თავი გაგვენებებინა მათთვის. მაგრამ, ის მოჩვენებით ბაქი-ბუქობდა. ხმა აშკარად უთრთოდა. ამან უფრო გამათამამა. ვკითხე: ვინ იყო ის გოგო. მან მიპასუხა, რომ უბრალოდ ნაშააო!.. დანის ამოღება მართლაც ზედმეტი იყო. უბრალოდ, ეფექტის მოხდენა მინდოდა. დანის დანახვაზე იმ ბიჭს თვალები გაუფართოვდა, უკან დაიხია და მითხრა: ოღონდ მანქანას არ შეეხოთ და გოგოს დაგიტოვებთო. მე დავეთანხმე. მან მაშინვე დაუძახა თავის მეგობარს. მას რაიმეს ახსნა არ დასჭირვებია. თავად მიხვდა ყველაფერს და უსიტყვოდ ჩაჯდა მანქანაში

– ესე იგი, დევიძემ თავად შემოგთავაზათ გოგონას დატოვება?

– ჰო... ასე იყო?

– ამას შენი „პადელნიკებიც" დაადასტურებენ?

– რა თქმა უნდა. ასე იყო და სხვა რამეს რატომ იტყვიან, – უპასუხა წულაიამ.

– ერთ კითხვაზე მიპასუხე. დევიძეს რომ არ შემოეთავაზებინა გოგონას დატოვება, რა მოხდებოდა შემდგომ? რა გქონდა ჩაფიქრებული, როცა ბუჩქებიდან გამოდიოდი?

– არ ვიცი... მართლა არ ვიცი, – სწრაფად თქვა წულაიამ, – იმ ბიჭებს ფულს და მობილურებს წავართმევდით. ერთი-ორ პანღურს ამოვკრავდით და გავუშვებდით. იმ წუთებში გოგოს თაობაზე არც კი მიფიქრია. რატომღაც მეგონა, რომ ისინი მის წაყვანას მოინდომებდნენ და ვაჟრობას გამართავდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა.

– შენ თავად თქვი, რომ გოგონა წინააღმდეგობას უწევდა. ხომ უნდა მიმხვდარიყავი, რომ იქ რაღაც სხვა ხდებოდა!

– ამისთვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. მეც შემხვედრია ასეთი ქალი. შენთან ცხოვრობს და შემდეგ მოულოდნელად ჭირვეულობას იწყებს. ვიდრე ერთი-ორს არ წამოარტყამ, ვერაფერს შეაგნებინებ.

– იქვე დარჩით?

– არა. გზის გადაღმა მყუდრო ადგილი გვეგულებოდა. გოგო იქ გადავიყვანეთ. მეშინოდა, ის ბიჭები უკან არ მობრუნებულიყვნენ ან პოლიციაში არ განეცხადებინათ მომხდარის შესახებ.

– გოგონა წინააღმდეგობის გარეშე გამოგყვათ?

– ჰო, – თავი დაუქნია წულაიამ, – არ ვიცი რატომ, მაგრამ მან ჩათვალა, რომ მის დახმარებას ვცდილობდით. მადლობაც კი გადაგვიხადა.

– თქვენ კი ბარბაროსებივით მოექეცით და გააუპატიურეთ!

წულაიამ ვერ გაუძლო მირიანის წამონთებულ მზერას და თვალი აარიდა.

– ხვდები, როგორ შეიძლება, შეიცვალოს ადამიანის ცხოვრება ერთ წამში?! ერთი არასწორი ნაბიჯი და ყველაფერი თავდაყირა დგება. წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, მართლაც ადამიანურად რომ მოქცეულიყავით?! მართლაც დახმარებოდით იმ გოგონას და სახლში თუ არ მიიყვანდით, უბრალოდ, გაგეშვათ!

– ვხვდები... – გაუბედავად ჩაილაპარაკა წულაიამ.

– სწორედ ეს განასხვავებს ადამიანს დანარჩენი ძუძუმწოვრებისგან, მაგრამ, როგორც ვხედავ, შენთან ამაზე საუბარს აზრი არ აქვს! – მირიანმა პაუზა გააკეთა და მკაცრად განაგრძო, – ოთხივემ გააუპატიურეთ?

– ჰო... – დაუდასტურა წულაიამ.

– შენ თქვი, რომ ისინი, დაახლოებით, შვიდის ნახევარზე მოვიდნენ ზღვაზე. რამდენი ხანი დარჩა გოგო თქვენთან?

– ზუსტად არ მახსოვს. ოთხი ან ხუთი საათი. უკვე ჩამობნელებული იყო, როდესაც გავუშვით.

– და ამდენი ხანი... – ხმა გაებზარა მირიანს.

– ასე გამოვიდა, – მოიბუზა წულაია, – ის დამპალი წამალი მოსვენებას არ გვაძლევდა.

– ყოველივე ამის შემდეგ, გოგონა ზღვაზე მიატოვეთ და სახლებში წახვედით?

– სხვა რა უნდა გვექნა?! – გაიკვირვა წულაიამ.

– მართალი ხარ. შენი ბაგაჟის პატრონს, სხვა რა უნდა მოემოქმედებინა. რამის დამატება ხომ არ გინდა?

– არა... სხვა არაფერი მაქვს სათქმელი, – ჩაილაპარაკა წულაიამ.

– საკანში დააბრუნეთ და შემდეგი მოიყვანეთ ამოცნობისთვის! – ბრძანა მირიანმა.

ის იყო ბადრაგმა წულაია ოთახიდან გაიყვანეს, რომ ანას მობილურმა ტელეფონმა დარეკა. მან აპარატის ეკრანს დახედა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. ორიოდ წუთში კი უკან შემობრუნდა და კმაყოფილებით აღსავსე მზერა მიაპყრო მირიანსა და გიორგის.

– რა მოხდა? – ერთხმად ჰკითხეს მათ.

– ნონას დედა დამიკავშირდა. გოგონა გონს მოეგო და ექიმის თქმით, მასთან საუბარი შესაძლებელია.

– რომელი წახვალთ? – თანაშემწეები შეათვალიერა მირიანმა.

– მე! – სწრაფად თქვა ანამ, – გიოს მაინც არ უყვარს ასეთი საუბრები.

– მართალია, ანა წავიდეს, თორემ იმ დაკითხვის შემდეგ, უკან დავბრუნდები და ამ არაკაცებს სათითაოდ დავუხვრეტ შუბლს! – სერიოზული გამომეტყველებით თქვა გიორგიმ.

– კარგი... წავიდეს. აქ კი ჩვენ მივხედავთ საქმეს, – თავი დაუქნია მირიანმა, – მხოლოდ ერთი პირობით, ანა. საავადმყოფოში დიდხანს არ დარჩე. დღეს მთავარ პროკურორს საქმის თაობაზე სრული ანგარიში უნდა წარვუდგინო. უკვე გამაფრთხილა, რომ მასთან ყველა ერთად უნდა მივიდეთ.

– გასაგებია, – უპასუხა ანამ. შემდეგ კი ხელჩანთა აიღო და ოთახიდან გავიდა.

* * *

ავტოსადგომთან მიახლოებულ ანას, მოულოდნელად გზა რამაზ დევიძემ გადაუჭრა. ის აშკარად აღელვებული ჩანდა.

– რამდენიმე წუთს ვერ დამითმობთ, – სთხოვა ანას.

– ძალიან მეჩქარება. თუ სასწრაფო საქმე გაქვთ, გიორგის დავურეკავ და ის შეგხვდებათ.

– არა... არა. ამ საკითხზე მხოლოდ თქვენ დაგელაპარაკებით!

– ხომ გითხარით, არ შემიძლია. საავადმყოფოში მელიან. დაზარალებული გონს მოეგო, – უპასუხა ანამ და მისთვის გვერდის ავლა სცადა.

– ვიცი... და სწორედ ამის თაობაზე მსურდა თქვენთან საუბარი, – სწრაფად დაადევნა რამაზმა.

ანა შემობრუნდა, გამომცდელად ჩააცქერდა სახეში და ჰკითხა:

– რა გაქვთ სათქმელი?

– ძალიან გთხოვთ, ბოლომდე მომისმინეთ და შემდეგ მითხარით თქვენი აზრი... – მძიმედ წამოიწყო რამაზმა, – სწორედ გამიგეთ. ჩემთვისაც მარტივი არ არის ამაზე საუბარი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს... მე, დევის და ზურას ამ




საქმიდან გამოყვანის შესაძლებლობა გამოვნახე!

– მაინც როგორ?

– თქვენ ხომ კიდევ ოთხი ეჭვმიტანილი აიყვანეთ.

– დავუშვათ, – პირდაპირ პასუხს გაერიდა ანა, – რას ცვლის ეს?

– აიყვანეთ... ზუსტად ვიცი, რომ აიყვანეთ და ისიც ვიცი, თუ ვინ არიან ისინი.

– კიდევ ერთხელ გიმეორებთ: რას ცვლის ეს თქვენი ძმისთვის?

– რა მოხდება, დანაშაული მათ რომ აიღონ საკუთარ თავზე. მე ყველაფერს მოვაგვარებ. მათ მაინც აღარაფერი ეშველებათ. ნებისმიერ შემთხვევაში, „სროკზე" წავლენ. მაგრამ, მათ შეუძლიათ, თქვან, რომ დევი და ზურაბი დამნაშავეები არ არიან. ახალგაზრდები უბრალოდ ზღვაზე იმყოფებოდნენ. ისინი კი თავს დაესხნენ, გოგონა წაართვეს და გააუპატიურეს! – შემპარავად თქვა რამაზმა.

– ამას დაემატება რექტორატისა და მეზობლების დახასიათება და დევი და მისი მეგობარი უპრობლემოდ გათავისუფლდებიან! – შენიშნა ანამ.

– ამასაც მოვაგვარებ და თქვენც არ დაგტოვებთ პატივისცემის გარეშე. რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, ორით მეტი კაცი წავა ციხეში თუ – ნაკლები? მთავარი ისაა, რომ საქმე გაიხსნება.

– მაგრამ, რა მოვუხერხოთ ნონას? – ჰკითხა ანამ, – ამაზე თუ გიფიქრიათ?

– რა თქმა უნდა. ეს ცოტა რთული იქნება, მაგრამ, ამასაც მოვაგვარებ. დევი მასთან ქორწინებაზე თანახმაა.

– რა თქვით?! – მზერა გაეყინა ანას.

– ჰო... ისინი ოფიციალურად დაქორწინდებიან. რა თქმა უნდა, ერთად არ იცხოვრებენ. ნონა მისაღებს მიიღებს და რამდენიმე თვეში, ასევე ოფიციალურად დაშორდებიან ერთმანეთს.

– ნონა რომ არ დაგთანხმდეთ?

– დაგვთანხმდება. რა აქვს დასაკარგი. კარგი იქნებოდა, ეს არ მომხდარიყო, მაგრამ წარსულს უკან ველარ დავაბრუნებთ. მომავალზე უნდა ვიფიქროთ და უპირველესად, ეს ნონას ეხება. მისთვის ეს საუკეთესო გამოსავალია. ის მიიღებს ქორწინებაში ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს და იმ თანხას, რომელიც მომავალი ცხოვრების მოსაწყობად დასჭირდება. თქვენ კი...

– კმარა! – ცივად შეაწყვეტინა ანამ, – გულს მირევს ამ ნაბოდვარის მოსმენა. ჩემთვის უკვე გასაგებია, თუ ვის ჰგავს აზროვნებით შენი ძმა!

– მე ხომ გთხოვეთ, კარგად დაფიქრდეთ, თქვენს კოლეგებს მოეთათბიროთ და შემდეგ მიიღოთ გადაწყვეტილება!

– მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება!

– რა გადაწყვეტილება?! – სწრაფად ჰკითხა რამაზმა.

პასუხად ანამ ხელი მოიქნია და სილა მთელი ძალით შემოჰკრა სახეში.

გაოგნებული რამაზი ინსტინქტურად გახტა უკან და ლოყაზე ხელი აიფარა.

– ესაა ჩემი პასუხი, არაკაცო!.. და კიდევ ერთი, ჩემს კოლეგებთან მსგავსი ბოდვით მისვლა არ გაბედო, თორემ ასე იოლად ვერ გადარჩები. არ ვიცი – რას მოიმოქმედებს მირიანი. გიორგი კი ულაპარაკოდ ჩაგაჭედებს ტყვიას თვალებშუა. გაითვალისწინე ეს! – ბრაზით მიუგდო ანამ, შემდეგ კი შებრუნდა და ავტოსადგომზე მდგარ მანქანას მიაშურა.

**„ახალი ხმის“ ერთ-ერთი თამამი და მოულოდნელობით სავსე მონაწილე, მაოს გუნდის წევრი – ანჩო დოლიძე პროფესიით მსახიობია. თუმცა, ამ მხრივ, კარიერას არ აგრძელებს. ის თავის ჯგუფ – „თავისუფალთან“ ერთად, პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობდა და მათი სიმღერები ინტერნეტში გამოჩენისთანავე პოპულარული გახდა. 17 დეკემბერს „ახალი ხმის“ ლაივ-კონცერტზე ანჩო ძალიან კარგი შოუს ჩვენებას გვპირდება. ასე რომ, ვისაც მოგწონთ ეს ნიჭიერი გოგონა, დაურეკეთ ტელეფონის ნომერზე: 0-903-200-217.**

# რა ისწავლა მამაკაცთან ბოლო ურთიერთობისას ანჩო დოლიძემ და რის გაკეთებაში ეხმარება მას აფექტური ხასიათი

**ანჩო დოლიძე**: ბავშვობიდან ვმღეროდი, შემდეგ მუსიკას ვაკეთებდი და ვოკალს ვადებდი, საბოლოო ჯამში, გამომივიდა. ფილმისთვის „სიყვარულის ბალადა“ დავწერე მუსიკაც, ტექსტიც და შევასრულე კიდეც. უბრალოდ, ინგლისურად უფრო ვწერ სიმღერის ტექსტს, ვიდრე ქართულად – რთული ყოფილა ქართულად დაწერა.

**– როგორ გახდა შენი სიმღერა „სიყვარულის ბალადის“ საუნდთრეკი?**

– ადრე „ნიჭიერშიც“ გამოვდიოდი. თეატრალურში შევიკრიბეთ, ჩვენი ჯგუფი გავაკეთეთ – „თავისუფალი“. ერთად ვღმეროდით, ვწერდით მუსიკას და გავედით ნახევარფინალში. იქიდან შემოგვთავაზეს ამ ფილმისთვის სიმღერის დაწერა, მაგრამ მალევე დავიშალეთ. დავრჩი მარტო. ერთ დღესაც დამირეკა ირაკლი კაკაბაძემ: რა ქენი, დაწერე სიმღერაო? კი-მეთქი და ზუსტად 20 წუთში, თავის ტექსტიან-მელოდიიანად, დავწერე და მივუტანე, ძალიან მოეწონა. ახლა ვცდილობ, უცხოურ ლეიბლებზე გავიდე და ცოტა შორს წავიდე.

**– ამ კუთხით უკვე გადადგი ნაბიჯები?**

– „საუნდკლაუდზე“ ვდებ ჩემს ტრეკებს, მყავს ბევრი მსმენელი, მათ შორის, უცხოელი დიჯეები, რომლებიც მწერენ ხოლმე. შეიძლება, ჩემი მუსიკა მომავალში გაიყიდოს – ვნახოთ, რა იქნება. გარდა ამისა, დიჯეობაც დავიწყე – ყველაფერს მივედ-მოვედები. მაგრამ, ერთი ცუდი თვისება მაქვს – რაღაცას რომ დავიწყებ, მერე მივატოვებ ხოლმე. „ახალ ხმაში“ მაომაც აღნიშნა, რომ ძალიან ჩავიფუშე – ცოტა ზარმაცი ვარ, არ ვმუშაობ და ასე ვიფუშები ხოლმე. რაც შეეხება დიჯეობას, მიწვევენ კლუბებში, ვუკრავ, თან, ჩემს სიმღერებსაც ვასრულებ.



**ამის მერე ყველა მირეკავს და მეუბნებიან: გაიხდი? გამარჯობა, ამას იზამ, იმას იზამ? ისეთი რა ტანი მაქვს, რომ მეხვეწებიან: გაიხადე, გაიხადეო. ეტყობა, საქართველოში ამ კუთხით პრობლემებია, ალარ იხდის არავინ**

**– რატომ გადაწყვიტე „ახალ ხმაში“ მონაწილეობა?**

– „ნიჭიერის“ შემდეგ ჩემთვის, წყნარად ვიყავი. მაგრამ, დეიდაჩემი სულ მეჩიჩინებოდა: გამოჩნდი, შენ არ უნდა იყო სახლში, უნდა ჩანდე. საბოლოო ჯამში, ვთქვი: მოდი, გავალ ქასთინგზე. მაგრამ იმხელა კონკურენცია იყო, ვიფიქრე: მე ვინ ამიყვანს, არც ვოკალის მასწავლებელთან მივლია და არც არსად არასდროს – დაუმუშავებელი ხმა მაქვს. მაგრამ, გაველი და გამიმართლა, ვნახოთ, რა იქნება ლაივებზე.

**– რას გვიმზადებ?**

– „ნოკაუტი“ ძალიან მომეწონა. თან გაციებული ვიყავი, ვერ დავდიოდი რეპეტიციებზე. ამიტომ, წინა დღეს ავიღე ეს სიმღერა, ტექსტის სწავლაც კი ვერ მოვასწარი. მაგრამ კარგი გამოვიდა, თუმცა ლაივებზე ძალიან მაგარი რაღაცეების გაკეთებას ვაპირებ. რა თქმა უნდა, ამ პროექტში ხმა ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა, მაგრამ შოუ თუ არ ახლავს ამ ყველაფერს, მაშინ „ჩართე რადიო და უსმინე სიმღერას, ჩვენ შოუ გვინდა,“ – ეს ერთ-ერთ კომენტარში ამოვიკითხე. მე მიყვარს შოუ, განსხვავებული რაღაცეები, გიჟი ვარ. ხომ ნახე, რა მეცვა ბრმა ქასთინგზე – ჩემი შეთითხნილი კაბა. თუმცა, კაბაც არ იყო ეს. ისეთი ამბები ატყდა: საქორწილო კაბა ეცვა, ეს რა აცვიაო. მერე ეს „საროჩკა“, რომ შემოვიხიე, თან, შიგნიდან საცურაო კოსტუმი მეცვა. არც ვაპირებდი გახდას, მაგრამ იმდენად შევედი მუღამში, რომ, ჰოპ და გავიხადე. აფექტური ადამიანი ვარ, უცებ შეიძლება, ისეთი რამ გავაკეთო, ყველას გაუკვირდეს... თან, ბოლოს, დარბაზში რომ ვისროლე... 17 დეკემბერს იქნება ჩემი ლაივი, ჩემს გამოსვლაზე იქნება ვოკალიც, შოუც. ჩემი აზრით, მოსასმენად ძალიან კარგი, მომგებიანი იქნება. ჩაფიქრებული მაქვს: თუ დავტოვებ შოუს, კარგად მაინც გავაკეთო ყველაფერი, სხვებსაც ვასიამოვნებ. შეიძლება, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ სულ ვამბობ: მე რა მუსიკასაც ვაკეთებ, რა შეხედულებებიც მაქვს მუსიკაზე, იქიდან გამომდინარე, სულ სხვა თემა ვარ, სხვა განზომილება. ჩემი სტილი არ არის ქავერების მღერა, არ მიყვარს მიბაძვა. ამ პროექტით მინდოდა ამ ყველაფერში საკუთარი თავი გამომეცადა, მაგრამ მივხვდი, რომ მაინც ჩემსას უნდა მივაწვე. თუმცა, ამ პროექტში ბევრი რამ შევიძინე, თუნდაც ის, რომ სცენაზე აღარ ვნერვიულობ, რაც მთავარია, მაოსთან მოვხვდი. არადა, არც კი ვოცნებობდი, თუ შემობრუნდებოდა. ოთხივე რომ შემომიბრუნდა, ძალიან გამიკვირდა. მაო ჩემს სტილშია, პატარა მაოს ვეძახი ჩემს თავს და კმაყოფილი ვარ, მასთან რომ ვარ. ახლა ლაივზე ჩემს მიქსს გავაკეთებ, ჩემს ნამუშევარსაც ვანახვებ ხალხს, სხვანაირ ვოკალურ მონაცემებსაც. ბენდი თავის საქმეს გააკეთებს, საქსაფონისტიც მეყოლება – ჩემი მეგობარი ნანუკა ბითაძე და თუ მომცემენ უფლებას, „თესეუ არტი“ დაემხმარება თავისი ინსტრუმენტებით. მოკლედ, მაგარი შოუ იქნება. მინდა, იქაურობა გავავსო და ვიგიჟო.

**– ინტერნეტში ძალიან ბევრს წერდნენ შენი თამამი და გამბედავი ხასიათის შესახებ. შენი აზრით, ასეთი ხარ?**

– გიორგი ყიფშიძე, რომ მოვკლა... ადრე დამირეკა და მითხრა: „ჩემი ცოლის დაქალებში“ პატარა როლი იქნება, წელი გამოგიჩნდება მხოლოდო. წელი კი არა, მგონი, სულ შიშველი ვარ იმ ეპიზოდში, თან, „ვერსკის“ გოგჩო ვარ. ამის მერე ყველა მირეკავს და მეუბნებიან: გაიხდი? გამარჯობა! ამას იზამ, იმას იზამ? ისეთი რა ტანი მაქვს, რომ მეხვეწებიან: გაიხადე, გაიხადეო. ეტყობა, საქართველოში ამ კუთხით პრობლემებია, აღარ იხდის არავინ. არ ვარ კომპლექსიანი და მიმაჩნია, რომ ზოგჯერ ექსპერიმენტები, სითამამე ამართლებს. ძალიან მიყვარს სიჩქარე, ხშირად ვგიჟობ – ხან რა მარტყამს თავში, ხან კიდევ – რა. სპონტანური ადამიანი ვარ. შეიძლება, უცებ ავდგე და წავიდე ბათუმში, ან თუ მექნება საშუალება, სადმე გავფრინდე.

**– გარშემო მყოფები, ოჯახის წევრები, ალბათ, ამ ყველაფერს შეეგუვნენ.**

– როცა სახლში მივდივარ, გიჟებს გვანან ხოლმე: ხან წითელი მივდივარ, ხან – მწვანე, ხან რა მაქვს გახვრეტილი, ხან ტატუ მაქვს და ვერავინ მცნობს. ეს ჩემი ტატუებიც ბევრ რამეზეა დამოკიდებული, ახლა კიდევ დავიმატე. ხელზე უზრდელობა მაწერია, ცოტა გავთავხედდი, ამივარდა თავში და დავიწერე. ამას წინებზე ტუჩის კონტურის გაკეთება მინდოდა. ალერგიაზე შემამოწმეს, გამიწითლდა სინჯის ადგილი, მეუბნებოდნენ: არა, რა ალერგიული, უნდა გაიკეთოო. მაგრამ, საბოლოოდ, აღარ გავიკეთე და გადავურჩი სიკვდილს... ზოგადად, იმიჯის, ვარცხნილობის შეცვლა დეპრესიის დაძლევაში გეხმარება, გგონია, სხვანაირ ცხოვრებას იწყებ, უფრო კარგად გამოგდის ყველაფერი. თან, ასეთი დევიზი მაქვს: ერთხელ მოდიხარ ცხოვრებაში, ამიტომ გააკეთე ის, რაც გინდა, ოღონდ ისე, რომ საკუთარ თავს, შენიანებს არ ავნო. ამას წინათ „ფეისბუქზე“ დავწერე სტატუსი: თუ გინდა, ქმარს, მეგობარს, შეყვარებულს არ მობეზრდე, ყოველთვე უნდა იცვალო იმიჯი.

**– გყავს ქმარი ან შეყვარებული?**

– არც ერთი არ მყავს. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე. მე როგორიც მინდა, ისეთი ზღაპრებშიც არ არიან. ვერ ვიტან, როცა რაღაცეებს გიკრძალავენ. ჯერ ერთი, ისეთს არაფერს ვაკეთებ, რომ აკრძალვა დამჭირდეს. პატარა ბიჭები არ მიყვარს, უფრო მეტად მომწონს დახვეწილი, დიდი მამაკაცები, სადღაც, 28 წლის ზევით – ჩამოყალიბებული, რომ გივლის, პატივს გცემს. სხვათა შორის, როცა შეყვარებული ვარ, მთლიანად ვერთვები ამ გრძნობაში. შეიძლება, ვინც შემიყვარდება, იმ ადამიანის „მონა“ გავხდე, მის გამო ყველაფერზე უარი ვთქვა და მივატოვო. თუმცა, ბოლო დროს მივხვდი, რომ ეს ძალიან ცუდია ქალისთვის. ამიტომ, ამოვიგდე თავიდან – შენსას თუ არ მიაწექი, პრინციპები თუ არ გაგაჩნია, კაცსაც არ მოუნდები, იქნები მარტო, ეულად.

**– რამ მიგიყვანა ამ აზრამდე?**

– ცოტა ხნის წინ მყავდა შეყვარებული, სერიოზულად ვიყავით ერთად. აზიატური გამოხდომები ჰქონდა: ის არ ქნა, ეს არ ქნა, თუმცა მერე შეეგუა ყველაფერს. მაგრამ, კაცი ქალზე მაღლა თუ არ დგას და ქალი უფრო ძლიერია, ვერც ერთი კაცი ვერ გაუძლებს და ვერ დარჩება მის გვერდით. ასე რომ, დავშორდით, ვერ მიგებდა და, საბოლოო ჯამში, მაინც აზიატი იყო. თან, ისეთი რაღაცეები გააკეთა, რომ არ მინდა ამაზე ვისაუბრო. ძალიან შევცდი, რომ ამ ადამიანთან დავიჭირე ურთიერთობა. ახლა უკვე რენტგენის აპარატი ვარ – რომ შევხედავ ადამიანს, მაშინვე ვხვდები: რა უნდა, ვინ არის, როგორია, მომავალში რა იქნება და ასე შემდეგ. ასე რომ, სანამ ფეხზე არ დავდგები, არ ავიწყობ ცხოვრებას, მანამადე არავინ მეყოლება გვერდით.

**ნათია უტიაშვილი**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



## ავიაკომპანია AIR Caucasus-ის სოლიდარობა უკრაინელებს

ავიაკომპანია AIR Caucasus უკრაინელ ხალხს სოლიდარობას უცხადებს. კომპანიის ორგანიზებით, შარდენის ქუჩაზე მდებარე „სოჰო ლაუნჯში“ უკრაინის მხარდამჭერი კონცერტი ჩატარდა.

„არა – ძალადობას!“ – ასეთი იყო აქციის მთავარი გზავნილი. უკრაინული მუსიკის თანხლებით, სიმღერები უკრაინელმა და ქართველმა მომღერლებმა შეასრულეს. კონცერტს ქართველი და უკრაინელი სტუმრები დაესწრნენ.

AIR Caucasus-ის გენერალური დირექტორის, გიორგი კოდუას თქმით, კომპანია კიევის მიმართულებით ფრენებს აქტიურად ახორციელებს და უკრაინას, როგორც მეგობარ და პარტნიორ ქვეყანას, სოლიდარობას უცხადებს.

„AIR Caucasus მნიშვნელოვანი გადამზიდავია კიევის მიმართულებით. ზაფხულში ვგეგმავთ ფრენების განხორციელებას ოდესის, ხარკოვის, დონეცკის მიმართულებითაც. ამ ეტაპზე კი ავიარეისები მხოლოდ კიევის მიმართულებით გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესია, რომ უკრაინაში ნორმალური ვითარება იყოს, რაც შეიძლება მეტი ტურისტი შემოვიდეს საქართველოში და ჩვენც თავისუფლად ვიმოძრაოთ უკრაინის ქალაქებში,“ – აცხადებს AIR Caucasus-ის გენერალური დირექტორი გიორგი კოდუა.

მისივე თქმით, უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა და მის მიმართ სოლიდარობის გამოხატვა საქართველოს მოქალაქეთათვის ერთგვარი ვალდებულებაცაა.

„მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, სურვილი მაქვს, გავითვალისწინოთ ის გამოცდილება, რომ, როცა ქართველები ზურგს ვაქცევდით მეზობელ ქვეყნებს გასაჭირში, ეს ბუმერანგივით უკან გვიბრუნდებოდა ხოლმე. საქართველოს მოქალაქეების პირადი ინტერესია, რომ მოკავშირე ქვეყნებში იყოს სიმშვიდე. თუ იქ არეულობა იქნება, ეს ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახება. გარდა ამისა, ისტორიიდან ჩვენ არ გვახსოვს კონფლიქტი უკრაინასთან მიმართებაში. ის ყოველთვის იყო ლმობიერი, კარგი მეზობელი, მეგობარი და ყოველთვის გვეხმარებოდა. ჩვენი ვალიცაა, რომ მეგობარს მეგობრულად ვუპასუხოთ. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას. გვინდა, რომ პროცესები წარიმართოს მშვიდობიანად და იქ მიმდინარე მოვლენები ცუდად არ აისახოს როგორც უკრაინაზე, ასევე, ჩვენს ქვეყანაზე,“ – აღნიშნავს AIR Caucasus-ის გენერალური დირექტორი.

ამასთან, მისივე განმარტებით, კომპანია AIR Caucasus-ს კიევის მიმართულებით ბილეთებზე ყველაზე დაბალი ფასები აქვს, ხოლო ბოლო პერიოდში, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, მგზავრთა ნაკადის შემცირება არ შეინიშნება.



## დევიდ დათუნას და "Google Glass" ტექნოლოგიის ახლებური ხედვა მაიამის გამოფენაზე

მაიამიში გამართული მასშტაბური არტ-მოვლენის – „მაიამი არტ ბაზელის“ დებიუტანტმა, წარმოშობით თბილისელმა, ამერიკაში მცხოვრებმა კონცეპტუალისტმა მხატვარმა, დევიდ დათუნამ არტ-მოყვარულები, თანამედროვე ხელოვნების ახალი მიმდინარეობით, პირდაპირი გაგებით, გააოცა. მხატვარმა წარადგინა სრულიად ახალი, არაჩვეულებრივი ოპტიკური ეფექტების მქონე პროექტი სახელწოდებით „Viewpoint of Billions“ („მილიარდრების ხედვა“). „გუგლის“, კომპანია „ბრიქსიმფლის“ დიზაინერებისა და დევიდ დათუნას მიერ წარმოდგენილმა პროექტმა შექმნა ხელოვნების სრულიად ახალი, განსხვავებული სამყარო, რომელსაც შეუძლია „პასუხის გაცემა“ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ოპტიკური ლინზების ქვეშ დევიდ დათუნამ მსოფლიო ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტან პიროვნებათა გამოსახულებები და ამერიკის შეერთებული შტატების დროშა მოათავსა. ამ ყველაფერს კი, თუ „გუგლის სათვალის“ გამოყენებით შეხედავთ, დაინახავთ, როგორ დაიწყებენ მოძრაობას გამოსახულებები და როგორ შეიცვლის ფორმას ობიექტი. „გუგლთან“ ერთად განხორციელებული პროექტის გარდა, დევიდ დათუნამ მაიამიში კიდევ ერთი პროექტი წარადგინა, სახელწოდებით „თაობების ოპოზიცია: ჯეი ზი და პიკასო“. მხატვარმა ცნობილი რეპერის ჯეი ზის და განთქმული პაბლო პიკასოს პორტრეტები თავის ჩვეულ მანერაში შექმნა და ერთმანეთის საპირისპიროდ განალაგა, რითაც ორი განსხვავებული ხელოვანი ერთმანეთს „დაუპირისპირა“. ცნობისთვის, მაიამიში „Viewpoint of Billions-ის პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამერიკულ პრესაში. 16-18 დეკემბერს კი დევიდ დათუნას ახალი პროექტი ამჯერად ნიუიორკში, „ლინკოლნის ცენტრში“ წარადგენს „მილიარდების ხედვას“.



## ოთხმოციათასევროიანი ფოტოკოლექციის გამოფენა ეროვნულ მუზეუმში

საქართველო პირველად მასპინძლობს 2014 წლის საუკეთესო ხელოვანის ტიტულის მქონე, უმაღლესი კლასის ფოტოგრაფის, ერვინ ოლაფის შემოქმედებას. ექსკლუზიური გამოფენის ექსპონატები, რომლებსაც ფესტივალი „იბერია“ წარმოგიდგენთ, პირველად ტოვებს ჰოლანდიის საზღვრებს და სპეციალურად ქართველი საზოგადოებისთვის ჩამოდის საქართველოში.

ერვინ ოლაფმა 2011 წელს ლეიდენის უნივერსიტეტისა და მუზეუმ დე ლაკენჰალის დაკვეთით, თანამედროვე ინტერპრეტაცია მისცა შუა საუკუნეების ჰოლანდიელი მხატვრების მიერ დანახულ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ნიდერლანდების ისტორიიდან, როგორიცაა „ლეიდენის ალყა და გათავისუფლება ესპანელი დამპყრობლებისგან 1574 წელს“.

ისტორიული სცენებისა და პერსონაჟების გაცოცხლება, მოვლენების თანამედროვე გააზრება, წარსულისა და აწმყოს შეხვედრა, ფერწერის ტრადიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმა, ოლაფისეული ფოტოობიექტივით მათი დაფიქსირება, ხაზს უსვამს ამ ფოტოკოლექციის უნიკალურობას. ეს მეტად საინტერესო კონტრასტები დაუვიწყარი შთაბეჭდილების ქვეშ აქცევს მნახველს.




ფესტივალი „იბერია“, თავისი ერთგული პარტნიორებისა და სპონსორების დახმარებით, ხელახლა მოდის თბილისში, რათა ამჯერად ქართველ საზოგადოებას გააცნოს თანამედროვე ფოტოხელოვნების მეტრის, ერვინ ოლაფის ფოტოკამერიდან დანახული ჰოლანდიის ისტორიის საამაყო ეპიზოდი – ქალაქ ლეიდენის ისტორიის ფურცლები.

გამოფენა „ლეიდენი, ისტორიის ფურცლები“ გაიხსნება ამა წლის 19 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში.

სამწუხაროდ, გამოფენის გახსნას ვერ დაესწრება თავად ფოტოხელოვანი, რის მიზეზადაც ის წლის ბოლოს დაგეგმილ უამრავ ღონისძიებასა და დედამიწის სხვა წერტილში ყოფნას ასახელებს.

გვინდა, ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ ერვინ ოლაფის შემოქმედება: მან სახელი გაითქვა თავისი სოფისტური, გონებამახვილური სტილით, რომლითაც შესრულებულია მისი უაღრესად თანამედროვე ფოტოსერიები და კომერციული ფოტოები. ერვინ ოლაფი 2014 წლის საუკეთესო ხელოვანად აღიარეს. მისი ფოტონამუშევრები ცნობილი ბრენდების: „ჰაინეკენის“, „ბეემვეს“, „მაიკროსოფტის“, „ჰენესის“, „ნოკიას“, „ლევისის“ „დიესელისა“ და სხვა კომპანიების სარეკლამო კამპანიებს ამშვენებს. ერვინ ოლაფის ნამუშევრებში იგრძნობა კლასიკური ხელოვნებისადმი არა მარტო პატივისცემა და სიყვარული, არამედ, ღრმა ცოდნაც. მისი ნამუშევრები მსოფლიოს უდიდეს და ყველაზე პრესტიჟულ საგამოფენო სივრცეებშია წარმოდგენილი.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**სტუდია „მონიტორის" რედაქტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნინო ზურიაშვილი ჟურნალისტიკაში სრულიად შემთხვევით მოხვდა. თხუთმეტწლიანი სტაჟის შემდეგ თამამად ამბობს, რომ ეს არჩევანი არასდროს უნანია და იმის მიუხედავად, რომ ბევრი სირთულე და მუქრა გადაიტანა, არასდროს გაუხედავს უკან, ძველი პროფესიისკენ. ის უკვე „ნაღმების ჩადების" ოსტატია, იმ ნაღმებისა, ყველა ჟურნალისტურ გამოძიებას თან რომ ახლავს და აზარტს მატებს, რასაც ნინო ზურიაშვილი დღემდე ვერ შეელია.**

# რა ნაღმი აუფეთქდა ნინო ზურიაშვილს და ვინ გაუგზავნა მას საპროტესტო ნოტა

**ნინო ზურიაშვილი**: თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჟურნალისტიკაში სრულიად შემთხვევით, უმუშევრობის დაძლევის გამო მოვხვდი. პროფესიით ეკონომისტი ვარ, უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, უკვე ასპირანტურაში ვსწავლობდი, როცა ჩემმა მეგობარმა მითხრა: გაზეთში ეკონომიკის საკითხების გაშუქება გვჭირდება, ჟურნალისტებს ეს თემა არ აინტერესებთ. ვერც წერენ და პარლამენტში განხილვებსაც კი ვერ უსმენენ, თუ წერა შეგიძლია, იქნებ ჩვენთან წამოხვიდეო. ისე მოხდა, რომ რომელ გაზეთშიც მივედი, ყველა პანტა-პუნტით დაიხურა. წესიერად მუშაობის დაწყებას ვერც კი ვასწრებდი, ორი-სამი წერილის მერე გაზეთი იხურებოდა. ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა, თემურ მეტრეველმა როცა გაიგო, რომ ყვარლიდან ვიყავი, ისიც კი მითხრა: ეკონომისტი გვჭირდება, რომელსაც წერა შეუძლია, ილია ჭავჭავაძის კუთხის შვილს, დავიჯერო, წერა გაგიჭირდებაო? ერთადერთი გაზეთი, რომელიც მალე არ დაიხურა და სადაც, როგორც ჟურნალისტმა დიდხანს ვიმუშავე იყო გაზეთი „კავკასიონი". იქ ვისწავლე ჟურნალისტიკა. ის, რაც ამ პროფესიაში იყო მნიშვნელოვანი და საჭირო, მასწავლეს ვასილ მაღლაფერიძემ, სოზარ სუბარმა და ია ანთაძემ. მთელი ცხოვრება ხუთოსანი ვიყავი, არ ვიცი, რას გავაკეთებდი, ჩემს პროფესიას რომ გავყოლოდი. თუმცა, ნამდვილად არ ვნანობ, რომ ცხოვრება ჟურნალისტიკას დავუკავშირე. არასდროს მიფიქრია დაბრუნება „ეკონომიკისკენ". არც კი ვიცი, სად მაქვს ის დიპლომი ***(იცინის).***



მუქარა ერთ ყურში უნდა შეუშვა და მეორედან გაუშვა

**– ახალბედა ჟურნალისტისთვის საგამოძიებო ჟურნალისტიკა რატომ აღმოჩნდა ყველაზე მიმზიდველი?**

– ჟურნალისტური გამოძიება მათემატიკის ძალიან რთულ ამოცანას ჰგავს, რომელსაც მათემატიკური აზროვნება და ლოგიკა სჭირდება. ჩემთვის თავიდანვე დიდი ხიბლი ჰქონდა მუშაობას პრობლემურ საკითხზე, რომელსაც შემდეგ რეაქციები მოჰყვებოდა. მომწონდა, რომ ამით შემეძლო დავხმარებოდი იმ ადამიანს, ვისაც ესა თუ ის პრობლემა ჰქონდა. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვებოდა საყვედურები და უსიამოვნებები, თუმცა ეს უკვე აღარ იყო მნიშვნელოვანი. ერთხელ დავწერე, როგორ იყვნენ ჩარეულები პარლამენტარები „მარშუტკების" ბიზნესებში. ვასიკო მაღლაფერიძემ ეს მასალა გაზეთში გაუშვა სათაურით: „მარშუტკა – ვისთვის „შუტკა", ვისთვის „უტკა". მეორე დღეს მე ჩვეულებრივ მივედი პარლამენტში, რა ვიცოდი, რა მელოდა იქ? ბიუროზე დაისვა საკითხი, რომ აკრძალულიყო ჩვენი დაშვება ბიუროს სხდომებზე, იმიტომ რომ, ასეთ წერილებს ვწერდით. თავიდან ასეთ რაღაცეებზე გული მიფანცქალებდა – მაზოხისტი კი არ ვიყავი, რომ ასეთი რეაქციები სიხარულით მიმეღო. როცა ვიღაცას ვუტევ, ეს არ მანიჭებს სიამოვნებას. პირიქით, რაც არ უნდა ცუდ ტიპთან მქონდეს საქმე და დარწმუნებული ვიყო, რომ ის არაა მართალი, მუდმივად თან მდევს უხერხულობის განცდა. მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას და ვფიქრობ, ნებისმიერი საკითხი, რაც პრობლემურია მეც მეხება და ეს უნდა გავაშუქო. ის, რომ ამას მძაფრი რეაქციები მოჰყვება, ეს არის თანმდევი პროცესი და ამას ვიტან. პირველად „კავკასიონში" ვიგემე მუქარის, უსიამოვნების „გემო." არ მახსოვს, მესამე თუ მეოთხე სტატია იყო, როცა სამსახურიდან დამირეკეს და მკითხეს: სად ხარ, შენ გეძებენო. სამსახურში მისულს იქ დამხვდა ბაკურ გულუას წარმომადგენელი დიდი საპროტესტო ნოტით. თუმცა, ის ადამიანი ზღვარს ნამდვილად არ გასცდენია, იქ უჩემოდაც გასცეს პასუხი. ვასიკო და სოზარი თავის თავზე იღებდნენ პირველ რეაქციებს და ჟურნალისტამდე არ უშვებდნენ გაბრაზებულ ხალხს ***(იცინის).***

**– გეწერა შენთვის მშვიდად ბიუჯეტზე, ფისკალურ პოლიტიკაზე, რა გინდოდა?**

– მე არ მიყვარს სიმშვიდე. მიმაჩნია, რომ გამოძიებითი ჟურნალისტიკა უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა, რაც ბევრ ისეთ უნარს მოითხოვს, მეც რომ აღმოვაჩინე საკუთარ თავში. ეს არის სხვა ტიპის პასუხისმგებლობა, ღრმა მოტივაცია. ჩვენ ვაკეთეთ თავისუფალი ჟურნალისტიკა – ამისი განცდა არის ძალიან მაგარი. თუ გულგრილი ხარ ამა თუ იმ პრობლემის მიმართ, რომელიც აქვს შენს თანამოქალაქეს, გამოძიებით ჟურნალისტიკას ვერ შექმნი. ამ საქმეში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია „დრაივი." ჟურნალისტური გამოძიება არის მწვავე მიმართულება. ეს არის ნაღმი, რომელიც შესაძლოა, შენვე აგიფეთქდეს.

**– თავად აგფეთქებია ნაღმი?**

– ამფეთქებია, თუმცა ეს მთლად ნაღმი არ ყოფილა. ალბათ, გახსოვთ შემთხვევა, როცა მილიონი ლარი წავაგეთ რკინიგზასთან. ეს არ იყო ცუდი ჟურნალისტური გამოძიება, მე არ ვყოფილვარ დაჭერილი შეცდომაზე, უბრალოდ, ასეთი იყო მაშინდელი ხელისუფლების ნება. შეცდომისგან, რა თქმა უნდა, არავინაა დაზღვეული. 120 ჟურნალისტური გამოძიებიდან, რომელიც გავიდა „60 წუთში," ორი შემთხვევა იყო ისეთი, რომლებთან დაკავშირებითაც მძაფრი განცდები მაქვს. ვფიქრობ, ეს ორი ქეისი არ იყო გაკეთებული ეთიკის ნორმების დაცვით. ღმერთმა იცის, რომ ამ სიუჟეტში მე არც ერთი სიტყვის ავტორი არ ვარ, მაგრამ ეს იყო ჩვენი გუნდის გაკეთებული მასალა. ამის გამო მაშინ ძალიან დაეცა გადაცემის რეიტინგი, უამრავი ადამიანი რეკავდა და გვეჩხუბებოდა. ამიტომ არის დაკავშირებული ჟურნალისტური გამოძიება დიდ პასუხისმგებლობასთან. ჩვენ დღემდე ერთმანეთის ვუმოწმებთ ყველა მასალას, ყველა დეტალს. ასეთი შემოწმება ადრე არასდროს ყოფილა. ამ პროცედურას გადის ყველა ქეისი. ერთი ჟურნალისტი ჯდება, ჩემს შემთხვევაში, ეს არის მაგდა მემანიშვილი და ითხოვს ყველა დოკუმენტს, რაც კი ნახსენებია სიუჟეტში. ის ამოწმებს ფაქტებს, რომ არ გაიპაროს ერთი უმნიშვნელო დეტალიც კი. ხომ შეიძლება, ერთი ციფრი შემეშალოს დოკუმენტში? ან დავინახე, რაც წერია, მაგრამ არასწორად აღვიქვი? ამას მუდმივი შემოწმება სჭირდება. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვიზის გარეშე, ეთერში არ გადის არც ერთი სცენარი, თავს ბევრი იურისტი გვახვევია. ისინი დეტალებს ამოწმებენ იურიდიული თვალსაზრისით, ჩვენ ამას ვაკეთებთ რედაქციულად. ასე რომ, გაუკონტროლებლად ეთერში ერთი სიტყვაც არ ხვდება.

**ჯამლეტ ბაბილაშვილმა საჯაროდ მითხრა პრესკონფერენციაზე: მე თქვენ მოგივლითო**

**– მწვავე თემებზე შენი „გადაბირების" მცდელობები ყოფილა?**

– გადაბირების არა, ადვილი გამოსაცნობია, ვინ შეიძლება გადაიბირო ან გააჩუმო და ვინ არა. ამ თხუთმეტ წელიწადში იყო ბევრი მუქარა: თუ ამ თემას შეეხები, ეს ძვირი დაგიჯდება და ასე შემდეგ. ერთ-ერთ თემაზე მუშაობისას, იმ პერიოდში რამდენიმე დღე მითვალთვალებდა „სოდი", მაგრამ არც ეს ყოფილა პრობლემა. მუქარის მძევალი არ უნდა გახდე. მუქარა ერთ ყურში უნდა შეუშვა და მეორედან გაუშვა, შიში უნდა მოიხსნა და გადაიტანო. ეს არის ოქროს წესი ჩვენს საქმეში. მახსოვს, როგორ მეჩხუბა ჯამლეტ ბაბილაშვილი, თქვენ ვინ ხართ, რომ ჩვენ სასამართლო პროცესებს გვიმართავთ, ჩვენ თქვენ მოგივლითო, – საჯაროდ მითხრა პრესკონფერენციაზე. უფ, რა მოთვლის, რაც მე ჩხუბები გადამიტანია, რაც სვანეთის სოფლებსა თუ დანგრეული ქარხნების ნანგრევებზე მიბოდიალია. აი, ამას ჰქვია, რომ უნდა გახვიდე გარეთ, შენი თვალით ნახო ყველაფერი, მიიხედო, მოიხედო. ეს ჟურნალისტიკა კაბინეტებში არ კეთდება ***(იცინის).***

**– საშიში ქალი ხარ.**

– არა, არ ვარ საშიში ქალი, მე ვცდილობ, ყოველთვის ვთქვა სიმართლე. ასე რომ, ვიღაცას ჩემი კი არა, სიმართლის ეშინია. მე ჩემი გუნდის წევრებთან ერთად, ვესწრები ბევრ ტრენინგს, რომ ყველა მექანიზმი გავიაროთ, რომლებიც შეცდომების მინიმალიზაციისკენაა მიმართული.

**– როგორც ვიცი, უკვე პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევი.**

– ვკითხულობ ლექციებს „კავკასიის უნივერსიტეტის" მედია-სკოლაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ვიყავი მიწვეული ლექციების წასაკითხად რამდენიმე წელი. ხშირად მიწვევენ კონსულტანტად სხვადასხვა მედია-საშუალებებში, რომელთაც სურთ, ჟურნალისტური გამოძიებები დაიწყონ. ძალიან მაინტერესებს მედია-ადვოკატირება, ვარ კოალიციის წევრი, საიდანაც ვცდიოლობ, ცვლილებების მოხდენას მედია-გარემოს გაუმჯობესებაზე. მე მიყვარს ჩემი საქმე, რომელიც ძალიან ბევრი ნიუანსის გათვლას მოითხოვს. ჟურნალისტს, რომელიც მუშაობს საგამოძიებო ჟურნალისტიკაში, უნდა ჰქონდეს ინფორმაციის დიდი წყარო. შესაძლოა, კონკრეტულ თემაზე წყარო არც არსებობდეს და მონიტორინგისა და კვლევის შედეგად დავადგინო, რომ აქ რაღაც ხდება. დანარჩენი უკვე ტექნიკის ამბავია.

**თამუნა სამადაშვილი**

# როგორ ხდება მსოფლიოში ნომერ პირველი ფრანგული „ალფას" ლეგიონერების „გესტაპოში" დეტალური დაკითხვა და რატომ აჭმევენ მათ სისხლიან ხორცს

**თბილისში 90-იანი წლების დასაწყისში ტერორიზმსა და სამშობლოს ღალატში ბრალდებულ იგორ გიორგაძის სახელთან დაკავშირებული, სპეცდანიშნულების რაზმი, სახელწოდებით „ალფა", როგორც რუსული „ალფას" ანალოგი იმ პერიოდში გაჩნდა, როცა გიორგაძე თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის მთავარ სამმართველოს ედგა სათავეში. ქართულ „ალფას" რუსი გამოცდილი მებრძოლები და ინსტრუქტორები წვრთნიდნენ. ისინი ძალიან მკაცრი ტესტირების საფუძველზე შეირჩნენ, რომლებმაც პროფესიული მომზადება რუსეთში „კაგებეს" აკადემიაში გაიარეს. გამოცდები უმაღლეს დონეზე ჩააბარეს და უნივერსალური მებრძოლების სტატუსიც მიიღეს, რის შემდეგაც რუსებმა სერიოზული სამხედრო ტექნიკით უზრუნველყვეს. ყველა მნიშვნელოვანი და საიდუმლო ოპერაციის ჩატარებას, სწორედ ალფელებს ანდობდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც გიორგაძემ მოსკოვს შეაფარა თავი, „ალფას" წევრები დააპატიმრეს. რუსულ სუკში გაწვრთნილი გიორგაძის გუნდი სამხედრო-საინჟინრო საქმის, დანაღმვა-განაღმვა-აფეთქების საუკეთესო სპეციალისტები, საუკეთესო მოიერიშეები და სნაიპერები იყვნენ. თუმცა, დღეს ჩვენ არც ქართულ და არც რუსულ „ალფაზე" არ ვისაუბრებთ, გაგაცნობთ მსოფლიოში ნომერ პირველ სამხედრო ლეგიონ „ალფას". ჩვენი რესპონდენტი მხედრიონელი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი დოდო გუგეშაშვილია.**

**– ქალბატონო დოდო, უპირველესად, გმადლობთ, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ყველასთვის საინტერესო თემაზე, სხვა კომპეტენტური პირები ასე ღიად და საჯაროდ საუბარს ერიდებიან. გვიამბეთ როგორია ფრანგული ლეგიონი „ალფა", რა პირობით ილებენ იქ და როგორია მათი მომზადების წესები, კვების რაციონი, მენიუ და ასე შემდეგ?**

– დავიწყოთ იქიდან, თუ რას წარმოადგენს ის. საფრანგეთის ლეგიონი „ალფა" სამხედრო დანაყოფია, რომელიც საფრანგეთის სახმელეთო არმიის ნაწილს წარმოადგენს. ლეგიონი შედგება სატანკო, ქვეითი, საგამნაღმველო და სამეთაურო ერთეულებისგან. დღესდღეობით, ლეგიონის შემადგენლობაში შვიდი პოლკია. უცხოური ლეგიონი შედგება 7 699 წევრისგან, აქედან – 413 ოფიცერი, 1 741 უნტერ-ოფიცერი და 5 545 რიგითია გაერთიანებული 11 პოლკში 136 სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საფრანგეთიდანაც. ლეგიონერები დისლოცირებული არიან ავღანეთში, კოტ–დივუარში, გაიანაში, ახალ კალედონიაში, მაიოტეში, რეიუნიონში, ანტილის კუნძულებზე...

**– რამდენადაც ვიცი, იქ მოხვედრა ყველა ქვეყნის წარმომადგენელს შეუძლია, ვისაც სურვილი ექნება, მაგრამ ბუნებრივია, ლეგიონს თავისი სპეც-კრიტერიუმები აქვს, რის მიხედვითაც ილებენ სამსახურში. ასევე, როგორც ჩემთვის ცნობილია, მჭიდრო კონტაქტებს არც კონტრაქტის შემდეგ წყვეტენ. მათ წვრთნიან ისე, რომ ერთმანეთს ყოველთვის მხარში ედგნენ და ენდობოდნენ.**

– კანდიდატებს არჩევენ მხოლოდ საფრანგეთში (განსახლება და კვება უფასოა). ჩასვლისთანავე შეკრების პუნქტში ახალწვეულებს ართმევენ ყველა დოკუმენტს და გასცემენ კითხვარებს. კითხვარები დეტალურია და მათ შორის ისეთ ინფორმაციას მოიცავს, რომელიც თვალის ფერისა და კბილების მდგომარეობას შეეხება. გარდა ამისა, ყურადღებით მოწმდება, არ იყოს ინფექციის ნიშნები. პირადი ნივთები, ფული თავსდება ტომრებში, უკეთდება წარწერა და ილუქება. უფლება აქვთ, იქონიონ მხოლოდ პირადი ჰიგიენის ნივთები და საპარსი, ვისაც არ აქვს, ურიგებენ ერთჯერადებს. დღის წესრიგი შეკრების პუნქტზე ისეთივეა როგორც ლეგიონის დანარჩენ ქვედანაყოფებში: ადგომა – 05:00, საუზმე – 05:15, სადილი – 11:00 და ვახშამი – 17:00. ძილის წინ სავალდებულოა, შხაპის მიღება. დღე გაწერილია ისე, რომ მოიცავს მცირე საყოფაცხოვრებო სამუშაოებით, სამედიცინო გამოკვლევებს. პერიოდულად ხდება შემეცნებითი ფილმების დემონსტრირება სხვადასხვა ენაზე, რომელიც მათი სამსახურის გავლას ეხება. მხოლოდ, ამის შემდეგ, შემოწმებაგავლილ და შესაფერისი სამედიცინო მონაცემების მქონე კანდიდატებთან იდება წინასწარი კონტრაქტი. კონტრაქტის დადების შემდეგ, წვევამდელები იგზავნებიან ობანში მარსელის ახლოს. ობანში განლაგებულია უცხოური ლეგიონის ერთი პოლკი. პოლკი არ არის საბრძოლო ნაწილი. ის ლეგიონის არაადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოა. ვარჯიშის დროს ცხადდება დღის წესრიგი. ვინც თავისუფალია ტესტებისგან, მიდის სამუშაოდ ოფიცრების სასადილოში, მაღაზიაში და ასე შემდეგ. კვების პრობლემა არ არსებობს. რაციონი საკმაოდ მრავალფეროვანი და კალორიულია. საუზმე: კაკაო, ყავა რძით ან უბრალოდ რძე, ჩაი, ყველი, კარაქი, ჯემი, კრუასანი. სადილი: დაბეგვილი ღორის ხორცი (ნახევრად მოხარშული ან შემწვარი, ისე რომ სისხლიანი იყოს), გარნირად: ხამანწკები ან სხვა ზღვის პროდუქტი. დესერტი: პუდინგი, ბანანი, ფორთოხალი. სასმელები: მსუბუქი ღვინო ან უალკოჰოლო ლუდი, „პეპსი" და მინერალური წყალი შეუზღუდავად. სანელებლები – მდოგვი, კეტჩუპი და სხვადასხვა წიწაკა, ასევე შეუზღუდავად. ვახშამი შედგება იგივე პროდუქტებისგან. ტარდება სამწყობრო მომზადება და მეცადინეობა ფრანგულ ენაში. ამავე დროს ხდება ვითარების გამკაცრება: არასწორი შებრუნებისთვის, თუ ბრძანება ვერ გაიგე და ასე შემდეგ. შეიძლება, მიიღო სასჯელი – ხანგრძლივი აზიდვები, ხშირ შემთხვევაში, ტალახში, სერჟანტის ფეხსაცმლის კეფაზე შემოწყობა ან სილა სახეში.



**3 წლის უნაკლო სამსახურის შემდეგ უცხოელ ლეგიონერს უფლება აქვს, მოითხოვოს საფრანგეთის მოქალაქეობა**

**– და როგორია მათი კონტრაქტი?**

– პირველი კონტრაქტი ფორმდება 5 წლის ვადით. ლეგიონიდან გასვლის შემთხვევაში, „საკუთარი სურვილით" უკანვე დაბრუნდები. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება მთლიანად უქმდება. 3 წლის უნაკლო სამსახურის შემდეგ, უცხოელ ლეგიონერს უფლება აქვს, მოითხოვოს საფრანგეთის მოქალაქეობა. მაგრამ, ლეგიონერს, რომელსაც არ სურს საფრანგეთის მოქალაქეობა, უფლება აქვს, შეინარჩუნოს უცხოელი მოქალაქის სტატუსი და იცხოვროს საფრანგეთში მისი ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგაც. ეს ეხება იმათაც, ვინც დაშავებული იყო სამხედრო ოპერაციის ჩატარების დროს. ლეგიონის ტერიტორიაზე ყველა ახალწვეულის მოძრაობა ხორციელდება მხოლოდ პასუხისმგებელ პირთან ერთად, მარტო გადაადგილება მათ ეკრძალებათ, თანაც სიარული მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზეა შესაძლებელი. რაც შეეხება ანაზღაურებას, ხელფასი წოდების მიხედვით აქვთ, (ბუნებრივია, საკმაოდ მაღალი). ერიცხებათ ბონუსები და ბოლოს, 15-წლიანი სამსახურის შემდეგ, ყველა ლეგიონერს ენიშნება პენსია თვეში 1 000 ევროს ოდენობით.

**– კიდევ რა ეკრძალებათ ლეგიონელებს?**

– კატეგორიულად ეკრძალებათ წერილის გაგზავნა ან დარეკვა სამშობლოში. ისინი გადიან საფრანგეთის არმიის ერთთვიან კურსს „კომანდოში," ანუ ეროვნულ სასწავლო ცენტრში. მათი მომზადების ცენტრი ეკვატორულ ტყეებშია, სადაც ძირითადად, მუშავდება თვითგადარჩენის უნარი. სწავლება მიჰყავთ ლეგიონის ინსტრუქტორებს. მომზადების ბანაკში ერთთვიანი ყოფნის შემდეგ ლეგიონერები ბრუნდებიან კასტელნოდარში. აი, იქ უკვე მომზადება რთულდება.

**– შერჩევის რა და რამდენი ეტაპია გასავლელი?**

– შერჩევა შედგება ექვს ეტაპად: სამედიცინო ტესტი, ფიზიკური ვარგისიანობის შემოწმება, ლოგიკისა და ინტელექტის ფსიქოტესტი. ამას მოჰყვება სამი ინტერვიუ: სერჟანტ-რეკრუტერთან, „გესტაპოში" (უშიშროების სპეციალური სექცია) და ბოლოს, ოფიცერთან. ყურადღებით შეისწავლიან ახალწვეულის მხედველობას და სმენას, როგორც უკვე აღვნიშნე კბილების მდგომარეობაც (უნდა ჰქონდეს კბილების მინიმუმ 80%), ინიექციების კვალს, გულის მდგომარეობას და ასე შემდეგ. ტესტი ფიზიკურ ვარგისიანობაზე მოითხოვს 12 წუთში რაც შეიძლება დიდი მანძილის გარბენას. ფსიქოტესტი შეიცავს სხვადასხვა ამოცანას ლოგიკურ აზროვნებასა და ინტელექტზე. „გესტაპოში" ტარდება ჯვარედინი დაკითხვა მშობლიურ ენაზე ლეგიონის ორი ან სამი ოფიცრის მიერ, რომლებიც ცდილობენ, კანდიდატი ნებისმიერ შეუსაბამობებზე გამოიჭირონ. მთლიან ინფორმაციას, რაც კანდიდატისგან უფრო ადრე ეცნობა ლეგიონს, დეტალურად იკვლევენ. ამის შემდეგ, ტარდება საბოლოო გასაუბრება ოფიცერთან. საბოლოო შერჩევისას კანდიდატი ან სახლში ბრუნდება ან ხდება რუჟი. ეს ნიშნავს სამხრეებზე დატანილ განიერ წითელ ნიშანს. მას გადაპარსავენ თავს და გადასცემენ საველე ფორმას. რუჟში მიღების შემდეგ, მიჰყავთ ლეგიონის მუზეუმში, რომელიც მდებარეობს სასადილოს გვერდით, ლეგიონერების ძეგლებთან და პლაცთან. მუზეუმში წარმოდგენილია ლეგიონის ისტორია, მისი საბრძოლო გზა და ხდება ფორმების დემონსტრირება 1831 წლიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. ერთ კედელზე დიდი ჯვარი ანათებს, რომელზეც აღნიშნულია ყველა დაღუპული ლეგიონერის სახელი. მაგალითად: თავადი დიმიტრი ზედგინიძე-ამილახვარი (31 ოქტომბერი 1906 - 24 ოქტომბერი 1942), საფრანგეთის არმიის ოფიცერი, უცხოური ლეგიონის ვიცე-პოლკოვნიკი, რომელიც 1924-1926 წლებში სწავლობდა სენ-სირის სამხედრო სკოლაში, რის შემდეგაც ჩაირიცხა უცხოურ ლეგიონში. ის ლეგიონის ღირსების ორდენის კავალერია და პარიზის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელიც მიენიჭა.

**ეკა პატარაია**

**ნუცა ბუზალაძე შოუს „ერთი ერთში“ ყველაზე პატარა და ნაკლებად ცნობილი მონაწილეა, რომლისთვისაც, თავისი მცირე ასაკითა და გამოცდილებით უფროს და სტაჟიან კონკურენტებთან ბრძოლა დიდი გამოწვევა იყო. GDS-ის ერთგულმა მაყურებელმა ნახა, რომ ნუცამ ყველაფერი გააკეთა ამა თუ იმ ნომრის საუკეთესოდ შესასრულებლად. გასულ ოთხშაბათს შესრულებული ტინა ტერნერით მან უმაღლესი ქულები დააგროვა – 16 წლის გოგონამ მართლა საუკეთესოდ შეძლო დივას განსახიერება და მისთვის დამახასიათებელი ენერგიის გადმოცემა.**

# რაში გაუმართლა ნუცა ბუზალაძეს და რატომ იქნება „ერთი ერთში“ მის მიერ ბერას განსახიერება მადლობის გადახდა

**– როგორ გრძნობ თავს?**

– პირველად გავხდი ლიდერი შოუს განმავლობაში და, არ ვიცი, რა ვთქვა, უბედნიერესი ვარ. სადაც მივდივარ, ყველგან მილოცავენ; აქაც, ტელევიზიაში, ყველა მილოცავს. ამაყად დავდივარ, უბედნიერესი ვარ. ძალიან მაგარი გრძნობაა, როდესაც გაქებენ, გეუბნებიან, რომ ძალიან მაგარი იყავი. ამ გამარჯვებამ ძალიან დიდი სტიმული მომცა. სულ ორი საკონკურსო ლაივი დარჩა და, შევეცდები, შემდეგ კონცერტებზეც თავი არ დავზოგო, მაქსიმალური გავაკეთო და ეს გამარჯვება გავიმეორო.

**– ტინა ტერნერი თითქოს შენთვის იყო ზედგამოჭრილი.**

– ვაიმე, დედას გეფიცები, მართლა არ მეგონა, თუ ტინა ტერნერზე ლიდერი გავხდებოდი. სხვა მომღერლებზე უფრო ვდებდი ფსონს, ვიდრე ამაზე. ლოტოტრონზე რომ ამომივიდა ტერნერი, ძალიან შემეშინდა, არ ვიცოდი, როგორ უნდა გამეკეთებინა. ტინა ტერნერი ყველაზე რთული მომღერალია მათ შორის, ვინც აქამდე განვასახიერე. საბედნიეროდ, ძალიან ბევრი ვიმუშავე; თავისუფლად შემიძლია, ვთქვა, რომ ღამეებს ვათენებდი, უამრავი ვიდეო ვნახე, სარკესთან საათობით ვმუშაობდი. მოკლედ, როგორც ნანუკა ხუსკივაძე იტყოდა, კარგი სამუშაო ჩავატარე.



**ბერას მიმართ ჩემი სიყვარული აუცილებლად დამეხმარება იმაში, რომ ეს ადამიანი კარგად განვასახიერო**

**– ნუცა, ამ შოუში მეტ-ნაკლებად, ყველა ცნობილი სახეა, შენ კი ამ პროექტით გამოჩნდი პირველად ეკრანზე. როგორ მოხვდი შოუში?**

– ეს ძალიან კარგი შეკითხვაა, რომელიც ბევრს აინტერესებს და ახლა ყველას ერთად ვუპასუხებ: 14 წლის ვიყავი, როდესაც ინტერნეტით გამოცხადდა ქასთინგი – ბერა სტუდია-სკოლას ხსნის დამწყები მომღერლებისთვისო. ეს იყო მომღერლების სკოლა, სადაც მათ ვარსკვლავობისთვის ამზადებდნენ. ყველა მომღერალი რა მოსამზადებელ ეტაპებსაც გადის, იმას გავდიოდით ჩვენც: გვყავდა ვოკალის პედაგოგები, ვსწავლობდით სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას, ქორეოგრაფიას, მუსიკის ისტორიასა და თეორიას. ყოველდღე, როგორც სკოლაში, ისე დავდიოდით. გვასწავლიდნენ ყველაფერს, რაც მომღერალს სჭირდება. ამ სკოლაში მიღება მხოლოდ ერთხელ მოხდა. ინტერნეტში რომ წავიკითხე ეს ყველაფერი, მივხვდი, რომ ეს ჩემთვის ხდებოდა. საოცარი სიტუაცია იყო. პირველად რომ მივედი, დედაჩემთან ერთად ვიყავი. დაგველაპარაკნენ და აგვიხსნეს, რა და როგორ იქნებოდა, რა გეგმები ჰქონდათ. რომ გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით, სიხარულისგან ვიტირე. მართლა ძალიან მაგარი სკოლა იყო, ძალიან ბევრს ვვარჯიშობდით და ვრეპეტიციობდით.

**– აქამდე რამე კონკურსში მიგიღია მონაწილეობა?**

– კი მიმიღია, მაგრამ, ბევრგან არა. „ნიჭიერში“ მივიღე მონაწილეობა, ადრე კიდევ – „ანა-ბანაში,“ როგორც ემიგრანტმა თურქეთიდან. რაღაც პერიოდი თურქეთში, დედისთან მომიწია ცხოვრება. საერთოდ, 8 წლიდან დავდივარ „მზიურში“ და ამან ძალიან დიდი გამოცდილება მომცა.

**– ანუ, ბერას სტუდიიდან პირდაპირ მეგა-შოუში მოხვედი.**

– დიახ და, ერთადერთი ადამიანი, ვისაც მთელი ცხოვრება მადლობა უნდა ვუთხრა, ეს ბერაა. რომ არა ის, ასეთ პროექტში მონაწილეობაზე ვერც ვიოცნებებდი. არ ვიცი, როგორ აგიწერო მის მიმართ ჩემი მადლიერება. მან ფსონი გააკეთა ჩემზე.

**– კი არ უნდა აღწერო მადლობა, მომავალ ოთხშაბათს უნდა განასახიერო.**

– ვაიმე, კი, კი! ბერას მიმართ ჩემი სიყვარული აუცილებლად დამეხმარება იმაში, რომ ეს ადამიანი კარგად განვასახიერო. ამ კვირაში, გულწრფელად გეუბნებით, რაც ტინა ტერნერზე ვიმუშავე, ათჯერ მეტს ვიმუშავებ, რომ ყველას იმედები გავამართლო და, პირველ ყოვლისა – მისი. ასეთი საპასუხისმგებლო დავალება აქამდე ნამდვილად არ მქონია. ყველაზე საინტერესო, საპასუხისმგებლო და შესაშური ნომერი შემხვდა, თუკი ვინმეს ჰქონია ამ შოუში. გპირდებით, რომ მაგარი ნომერი იქნება.

**– ბერა როგორი ხელმძღვანელი იყო?**

– ის არ ყოფილა ამ სკოლის ხელმძღვანელი. ჩვენთან პედაგოგები მუშაობდნენ, ხელმძღვანელიც სხვა იყო. სკოლის შიდა საქმეებში ბერა არ ერეოდა, მაგრამ, ის ყველას გვიცნობდა, გვხვდებოდა ხოლმე.

**– როგორია ურთიერთობაში?**

– არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. იმდენად გალმერთებული მყავს, რომ, მართლა არ ვიცი, როგორ აგიწეროთ. უბედნიერესი ვარ, რომ ასეთ ადამიანს შევხვდი და, შემიძლია, ვთქვა, რომ ჩემი მეგობარია. ეკლესიაშიც როცა შევდივარ, ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ მომცა შანსი, ასეთ ადამიანს ვიცნობდე და ვიყო მისი მეგობარი. მართლა უბედნიერესი ვარ.

**– შოუს დასაწყისში არ შეგეშინდა ამ რისკზე წასვლა?**

– კი, კი, როგორ არ შემეშინდა, მაგრამ, მანამდე უფრო მეშინოდა, სანამ შოუ დაიწყებოდა და სანამ ყველას გავიცნობდი. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ძალიან მაგარი ადამიანები არიან, საოცარი გუნდია. ყველა მგულშემატკივრობს და, როგორც ყველაზე პატარა მონაწილეს, გვერდში მიდგანან და მამხნევებენ. ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. როდესაც გავიგე, ვინ იქნებოდნენ მონაწილეები, ნამდვილად არ მეგონა თუ ასეთი ოჯახური სიტუაცია შეიქმნებოდა. უბედნიერესი ვარ

**ყველაზე საინტერესო, საპასუხისმგებლო და შესაშური ნომერი შემხვდა, რაც კი ვინმეს ამ შოუში ჰქონია**

ამ ადამიანების გაცნობით და მათთან ერთად მუშაობით.

**– პროექტის გარდა, რით ხარ ამ ეტაპზე დაკავებული?**

– საერთოდ არაფრით, მთლიანად პროექტზე ვარ გადართული და თავში მხოლოდ ეს მიტრიალებს, სხვაზე საერთოდ ვერაფერზე ვფიქრობ. მეგობრებს კარგად ესმით ჩემი, იციან, როგორც ვნერვიულობ. ლაივ-შოუზე ყველანი ჩემთან ერთად არიან, მამხნევებენ და გვერდში მიდგანან.

**– ხმა გამოვიდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მშრომელი მონაწილე ხარ.**

– გამოდის ასეთი ხმები?! *(იცინის)* რა მაგარია! დაუღალავად შემიძლია, ვიმუშაო, რომ კარგი შედეგი მივიღო. არასდროს მბეზრდება მუშაობა.

**სალომე გველესიანი**

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი „მენტალვიტა“ მყუდრო და მშვიდ გარემოში გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ, პიროვნებაზე ორიენტირებულ ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

თბილისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №39. ტელეფონი: 229 35 25.



**არტის ლეონ აივი უმცროსი – ეს სახელი, შეიძლება, ბევრს არაფერს გეუბნებათ, მაგრამ, მისი დანახვისთანავე მიხვდებით, რომ საუბარია ცნობილ ამერიკელ რეპერზე – ქულიოზე. ის 1963 წლის 1 აგვისტოს კომპტონში (კალიფორნიაში) დაიბადა. ჩვენი რესპონდენტი ცნობილი 1994 წლიდან გახდა. დღესდღეობით ქულიო ერთ-ერთ წარმატებულ რეპ-შემსრულებლად ითვლება და, მიუხედავად ასაკისა, ის კვლავ პოპულარული შემსრულებელია. ამიტომაც, ხშირად აქვს დაგეგმილი საკონცერტო ტურები. ამჯერად ის საქართველოს ეწვია, სადაც კონცერტი ბოლოს 10 წლის წინ გამართა. კლუბ „მოსკოვში" მისულმა მსმენელმა მოისმინა ქულიოს როგორც ძველი, ასევე, მათთვის უცნობი სიმღერები. რეპის მოყვარულები ქულიოსთან ერთად გვიანობამდე ერთობოდნენ – მისი მოსმენის საშუალება ღამის 4 საათამდე ჰქონდათ. დილის 6 საათზე კი ჩვენმა რესპონდენტმა საქართველო დატოვა და კეთილი სურვილებითა და დიდი შთაბეჭდილებებით დაგვემშვიდობა მომავალ შეხვედრამდე.**

# რით მოხიბლეს ქართველმა ქალებმა რეპერი ქულიო და რატომ მოითხოვა მან თბილისში ჩამოსვლამდე თაფლი და ქართული ყველის ასორტი



აქ იმდენი ლამაზი ქალი ვნახე, რომ სერიოზულად დავფიქრდი ცოლად ქართველი ქალის მოყვანაზე

**– საქართველოში უკვე მესამედ ჩამოხვედით. ბოლოს, 10 წლის წინ გამართეთ თბილისში კონცერტი.**

– მართალია, ძალიან დაკავებული ვარ და გადატვირთული რეჟიმით ვცხოვრობ, მაგრამ, დიდი სიამოვნებით მივიღე წინადადება და ჩამოვედი საქართველოში. დიახ, კონცერტი თბილისში 10 წლის წინ გავმართე და ქართველ მსმენელთან შესახვედრად კვლავ ჩამოვედი. მომწონს თბილისი, უფრო გაფერადებული და გალამაზებული დამხვდა. თქვენთან უკვე ნამდვილი საშობაო განწყობა იგრძნობა. წინა ჩამოსვლაზე ძალიან ცოტა დრო მქონდა და, სამწუხაროდ, ქალაქი, ფაქტობრივად, ვერ დავათვალიერე, მაგრამ, ახლა შევეცდები, ვისარგებლო ჩემი ვიზიტით და თბილისში გავისეირნო კიდეც. ისე, ერთის თქმა ახლავე შემიძლია: მართალია, თბილისი გაფერადებულია, მაგრამ, თვალში მომხვდა, რომ თქვენთან თითქმის ყველა შავ, ყავისფერ ან სხვა მუქი ფერის სამოსს ატარებს, რატომ – არ ვიცი.

**– ჩამოხვედით და თოვლიც ჩამოგვიტანეთ ქართველებს.**

– ძალიან მიყვარს თოვლი, რადგან, სნოუბორდის დიდი მოყვარული ვარ.

**– ქართულ მუსიკას თუ იცნობთ და როგორია თქვენი შეფასება?**

– როგორ არ ვიცნობ, ქართული მუსიკა ძალიან გემოვნებიანია. ქართველები კარგად გრძნობთ მას და კარგადაც გადმოსცემთ. ასევე, ძალიან კარგად უკრავთ სხვადასხვა ინსტრუმენტზე.

**– კიდევ რა მოგწონთ ქართული?**

– ძალიან მომწონს ქართული ღვინო, რომელიც დაგემოვნებული მაქვს. ასევე, მომწონს, რა თქმა უნდა, ქართველი ქალები, რომლებიც ძალიან ლამაზები და ეფექტურები არიან. აქ იმდენი ლამაზი ქალი ვნახე, რომ სერიოზულად დავფიქრდი ცოლად ქართველი ქალის მოყვანაზე. მოკლედ, ქართველები ძალიან ლამაზები არიან და მიყვარს ისინი. ქართველებს ძალიან ლამაზი „გულები" გაქვთ.

**– ანუ, ისევ არის შესაძლებელი, ამ ვიზიტის შემდეგ ქულიო კვლავ ვიხილოთ საქართველოში?**

– შეუძლებელი არაფერია, დიდი სიამოვნებით ჩამოვალ.

**– ქართულ ტრადიციებზე თუ გსმენიათ რამე?**

– ვიცი, რომ ტრადიციული ქვეყანაა საქართველო. გაქვთ ოჯახის კარგი შეგრძნება და ოჯახზე ხართ ფოკუსირებული. ქართველებისთვის, როგორც ვიცი, ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ის უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, ოჯახი – ამერიკელებისთვის. გაქვთ განსაკუთრებული ურთიერთობა ერთმანეთთან და სიამოვნებით ზრუნავთ ერთმანეთზე – ეს თქვენი კულტურის დამახასიათებელი ნიშანია.

**მართალია, თბილისი გაფერადებულია, მაგრამ თვალში მომხვდა, რომ თქვენთან თითქმის ყველა შავ, ყავისფერ ან სხვა მუქი ფერის სამოსს ატარებს, რატომ – არ ვიცი**

**– სანამ ჩამოხვიდოდით, თქვენი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ თქვენთვის ყველის ასორტი და თაფლი დაეხვედრებინათ. ეს ყველაფერი კი კონცერტის მსვლელობის დროს გაზიან და ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად გინდოდათ.**

– დიახ, მართალია. მე ძალიან მიყვარს ყველი და თაფლი და, ამიტომაც მქონდა ეს მოთხოვნა.

**– იმასაც ამბობენ, რომ ქულიოს თეთრი ქალები მოსწონსო.**

– სიმართლე გითხრათ, მე ყველანაირი ქალი მომწონს და ამაში გასაკვირი, ალბათ, არც არაფერია.

**– მრავალშვილიანი მამა ხართ, თუმცა, თქვენს შვილებს მხოლოდ მამა ჰყავთ საერთო. თქვენი შვილებიდან რომელიმე თუ მღერის?**

– 7 შვილის მამა ვარ. მიყვარს ჩემი შვილები და მიხარია, რომ მყავს ისინი. რაც შეეხება მათ მუსიკალურ მონაცემებს, ბიჭებიდან სამი მღერის და, ასევე, კარგად უკრავენ გიტარაზე. მყავს გოგონაც, რომელიც მოდის სფეროში მოღვაწეობს და კარგად იცის თავისი საქმე.

**– ამჯერად ვისთან ერთად ხართ ჩამოსული?**

– ჩემს მეგობართან, გუატსთან ერთად ჩამოვედი, რომელიც ძალიან ნიჭიერი ბიჭია და მასთან დუეტს ვმღერი. მჯერა, გუატსი ბევრს მიაღწევს და, მინდა, ამ ყველაფერში ჩემი წვლილიც შევიტანო. მასთან ერთად ტურნეში ხშირად დავდივარ. მას დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ.

**– ამ ეტაპზე რაზე მუშაობთ?**

– ჩემი ბიძაშვილი არის ჩემი პარტნიორი და ჩვენ ერთად ვაკეთებთ ახალ პროექტს – ვწერთ ძველ საშობაო სიმღერას, რომელსაც მსმენელი მალე მოისმენს.

**– მსმენელი დიდი ინტერესით ელის დღევანდელ კონცერტს, ამიტომ, აღარ მოგაცდენთ (ინტერვიუ ჩაწერილია 12 დეკემბერს, – ავტორი), წარმატებას გისურვებთ!**

– მადლობა. იმედი მაქვს, ქართველი მსმენელი კმაყოფილი დარჩება.

**მარიკა ხიდურელი**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ბრძნული აზრები

**ლაო ძი**: ვისაც ცოდნა აქვს და თავი უცოდინარივით უჭირავს, ის მაღალ დონეზე დგას; ვინც უცოდინარია და თავი მცოდნედ მოაქვს – ის ავადმყოფია.

**დიდრო**: ადამიანები მაშინ წყვეტენ აზროვნებას, როცა კითხვას ანებებენ თავს.

**ლაბრუიერი**: უკიდურესობანი ყოველთვის მანკიერია და შექმნილია ადამიანის მიერ.

**ჟუბერი**: ყველაფერი, რაც ზედმეტია, ზნესაც უფუჭებს ადამიანს და გონებასაც.

**ლაროშფუკო**: სუსტი ხასიათის მქონე ადამიანებს გულწრფელობის უნარი არ შესწევთ.

**ჰალიფაქსი**: განათლება ის არის, რაც გვრჩება, როცა არ ვივიწყებთ, რაც გვისწავლია.

**პეტეფი**: გამოცდილება სახელია, რომელსაც ადამიანები თავიანთ სიბრიყვესა და საზრუნავს არქმევენ.

**ჰიუგო**: სრული ბედნიერების მისაღწევად საკმარისი არ არის, ფლობდე ბედნიერებას – ჯერ უნდა დაიმსახურო იგი.

**დისტერვეგი**: აწმყო ადამიანს სიამოვნებას აგრძნობინებს არა იმით, რაც მოუპოვებია, არამედ, იმით, რასაც ესწრაფვის, როგორც უმაღლეს მიზანს.

**პისარევი**: აღზრდაში მთავარია, ვინ არის აღმზრდელი.

**მარქსი**: აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი.

**სენეკა**: პატარა მწუხარება ყბედია, დიდი კი – ხმაამოუღებელი.

**მაო ძე დუნი**: პოლიტიკა უსისხლო ომია, ომი კი – სისხლიანი პოლიტიკა.

**ეზოპე**: უბედური ის კი არ არის, ვინც ბრძანებით აკეთებს რამეს, არამედ ის, ვინც ამას თავისი ნებისყოფის წინააღმდეგ აკეთებს.

**პასკალი**: ადამიანთა მთელი უბედურება გამოწვეულია ერთადერთი მიზეზით – მათ არ შეუძლიათ ერთ ოთახში მშვიდად დარჩენა.

**დავენანი**: ჩვენ ყველას საკმაო ძალა გაგვაჩნია იმისთვის, რომ სხვათა უბედურება ავიტანოთ.

**ტოლსტოი**: უფრო ხშირად მამაცობაზე ლაპარაკობენ ლაჩრები, ხოლო კეთილშობილებაზე – გაიძვერები.

**ესქილე**: ხალხის აზრი დიდი ძალაა.

**ჰომეროსი**: ხალხის ხმა – ღმერთის ხმაა.

**დემოკრიტე**: ვისაც ხასიათი მოწესრიგებული აქვს, მას ცხოვრებაც კეთილმოწყობილი აქვს.

**პლუტარქე**: ხასიათი სხვა არაფერია, თუ არა ხანგრძლივი ჩვეულება.

**ტორი**: თქვენი ჯანმრთელობის შესახებ იმსჯელეთ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გახარებთ დილა და გაზაფხული.

**არისტოტელე**: იუმორი დაძაბულობის შენელებაა, ამიტომაც, ის დასვენებაა.

**უაილდი**: ქალი ისე გვეპყრობა, როგორც კაცობრიობა თავის ღმერთებს: თაყვანს გვცემს და თავს გვაბეზრებს, რადგან, გამუდმებით რაღაცას გვთხოვს.

**ბრინი**: ქალების ბევრ პრობლემას, რომელთა წინაშეც საუკეთესო ფსიქიატრიც კი უძლურია, ხშირად მეორეხარისხოვანი პარიკმახერი აგვარებს.

# თუ გაგვიცნობთ

1. მითოლოგიური თემის ერთსა და იმავე სიუჟეტზე, სახელწოდებით – „პარისის სასამართლო," ლუკას კრანახმა სამი ტილო შექმნა – 1527, 1528 და 1530 წელს და, ძნელია, ამოარჩიო მათ შორის უკეთესი. **დაასახელეთ ამ ნახატების მთავარი „პერსონაჟი".**

2. მეორე მსოფლიო ომამდე ნიუ-იორკის სატელეფონო წიგნში შეტანილი იყო ამ გვარის 22 აბონენტი, ომის დამთავრების შემდეგ კი – არც ერთი. **რატომ?**

3. პირველი „705" ტიპის წყალქვეშა ნავი ზღვაში 1977 წლის დეკემბერში ჩაეშვა. მისი მაღალატექნოლოგიურობის გამო მისი ეკიპაჟის 31 წევრიდან 30 ოფიცერი იყო. მხოლოდ ერთი იყო რიგითი მეზღვაური. **რა თანამდებობა ეკავა მას?**

4. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში ინგლისი და ჰოლანდია სამხრეთ ამერიკაში ერთმანეთს სურინამის ტერიტორიისთვის ებრძოდნენ. 1667 წელს გადაწყვიტეს, შეთანხმებულიყვნენ, რის შედეგადაც სურინამი ჰოლანდიას დარჩა, ინგლისს კი არანაკლებ ფასეული ტერიტორია შეხვდა – ახალი ამსტერდამი. **რა ჰქვია მას ახლა?**

5. ისრაელის ქალაქ მეგიდოში არანაირი არქიტექტურული ძეგლი და ღირსშესანიშნაობა არ არის. მთელი მისი ისტორიის განმავლობაში აქ არც ერთი მნიშვნელოვანი ან საინტერესო მოვლენა არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, უამრავი ტურისტი ჩადის – ყველას უნდა, გაიგოს, სად შედგება სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა. **რატომ მაინცდამაინც მეგიდოში?**

6. მოცარტის ოპერის – „დონ-ჟუანის" პრემიერა 1787 წელს პრაღაში შედგა. პრემიერის მომზადების დროს პრაღის ოპერის დირექტორმა იმ დროისთვის გაბედული ნაბიჯი გადადგა – მოიწვია სამეცნიერო კონსულტანტი, რომელმაც ლიბრეტოშიც შეიტანა შესწორებები და დადგმაშიც ძალიან დაეხმარა. **რა ერქვა კონსულტანტს?**

7. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ეს საბეჭდი მანქანა პირველად ჩაეშვა წარმოებაში, ჩვეულებრივ საბეჭდ მანქანაზე 50-ჯერ დიდი იყო. გაუმჯობესების მიუხედავად, დღესაც მისი სიჩქარე წუთში მხოლოდ 10 სიტყვაა, ბრმად ბეჭდვა კი პრაქტიკულად შეუძლებელია. **დაასახელეთ, რა საბეჭდი მანქანაა ეს?**

8. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში ჩინელმა იმპერატორმა გოუცზიანმა, მოწინააღმდეგე რომ შეეშინებინა, ბრძოლის დაწყებისას თავისი არმიის წინ დააყენა სიკვდილმისჯილი დამნაშავეები. **რა ჩაიდინეს მათ?**

9. მეოცე საუკუნის ბოლოს აზბესტის გამოყენება აიკრძალა. აღმოჩნდა, რომ ის ძალიან მავნებელია ადამიანის ორგანიზმისთვის – წვრილი, თვალისთვის უხილავი ნაწილაკები ფილტვებში გროვდება, აღიზიანებს მას და, საბოლოოდ, ფილტვების კიბო ვითარდება. ალბათ, ამიტომ დაარქვეს კოდური სახელი „აზბესტ 2" საიდუმლო დოკუმენტებში გამოსაყენებლად ნივთიერებას, რომელიც რადიაქტიური გამოსხივების წყაროა. **რომელ ნივთიერებას?**

10. 1854 წლის 11 ნოემბერს, ნიკოლოზ პირველთან აუდიენციის დროს, იმპერატორს მან თავისი შექმნილი სამი სახის იარაღი მიართვა – დრაგუნთა, ფლოტის და ჯიბის ვარიანტები. **დაასახელეთ მისი გვარი.**

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ინგლისის ბოტანიკურ ბაღში, „ედემში," ბრაზილიური ჰევეის ხის გვერდით, ავტომანქანის საბურავებს ნახავთ. ნაგავი არ გეგონოთ – ამ ბაღში გამოფენილია ყველაფერი, რაც მცენარეული მასალისგან მზადდება.

* გერმანელი საოპერო მომღერლის, მარიტა გიუნტერის ხმის დიაპაზონი 28-დან 4 186 ჰერცამდეა. თუმცა, სრულად პრაქტიკულად არასდროს გამოუყენებია – არც ერთ ოპერაში არ არის პარტია, რომლის შესრულებისას ასეთ ვოკალური მონაცემებია საჭირო.

* არც ისე დიდი ხნის წინ, დუბაის ემირატებმა, რომელიც არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში შედის, რუსეთისგან იყიდა ქუჩების თოვლისგან გასასუფთავებელი კომბაინი – ამ ცხელ ქვეყანაში თოვლსაწმენდი მანქანებით ქუჩებს ასუფთავებენ... ქვიშისგან.

* მალტის წმიდა მარიამის ტაძარში ინახება უნიკალური რელიკვია – გერმანული ბომბი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ტაძარს დაეცა, გუმბათი ჩაანგრია, მესას შესრულების დროს 300 კაცს შორის ჩავარდა და... არ აფეთქდა.

* დამწყებმა მსახიობმა ნენსიმ, დამწყებ პოლიტიკოს, რონალდ რეიგანს დახმარება შესთავაზა დელიკატურ საქმეში – გაეფანტა გავრცელებული ჭორები, რომლებიც მას კომუნიზმისადმი სიმპათიებში ადანაშაულებდა.

* ანდორის სახელმწიფო ჰიმნი იწყება სიტყვებით: „გმადლობთ შენ, ო, დიდო კარლოს, მამავ ჩვენო, არაბებისგან მხსნელო..."

* ვალსი ადრე უხამს ცეკვად ითვლებოდა, რადგან, მამაკაცი ქალს წელზე ჰკიდებდა ხელს.

* არც ისე დიდი ხნის წინ, ესპანელმა და კანადელმა ბიოლოგებმა ატლანტის ოკეანეში აღმოაჩინეს აქამდე უცნობი ბაქტერია, რომელსაც „ჰალომონას ტიტანიკი" უწოდეს. სწორედ ეს „რკინისმჭამელი" ბაქტერიები შლიან ჩაძირულ „ტიტანიკს".

* ჩრდილოეთ კალიფორნიაში მცხოვრებმა ნადინ შვეიერმა 45 სტუმრის თანდასწრებით გააფორმა ქორწინება... საკუთარ თავთან.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh7-e7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– წარმოგიდგენია, წუხელ, შუალამისას მეზ-




ობელმა ისეთი დამიბრახუნა კედელზე... დრელი კინაღამ ხელიდან გამივარდა.

***

ავტობუსში.

– თქვენ, ალბათ, სტრიპტიზიორი ხართ...

– როგორ მიხვდით?

– ხელის მოსაკიდებელზე ფეხით ხართ ჩაჭიდებული...

***

– არავის მე არ ვუყვარვარ...

– მე მიყვარხარ!

– ნუთუ ძნელია, ცოტა ხანს გაჩუმდე და მომისმინო?!

***

ორი ადვოკატი შევიდა კაფეში. მაგიდასთან დასხდნენ, სასმელი შეუკვეთეს და თავიანთი ბუტერბროდები ამოიღეს.

– უკაცრავად, საკუთარი საჭმლის ჭამა კაფეში აკრძალულია.

ადვოკატებმა სწრაფად შეუცვალეს ერთმანეთს ბუტერბროდები.

***

სარა ისაკს ურეკავს:

– ისაკ, საღამოს აბრამი მიდის, ამოდი...

– და როგორ გავიგო, როდის წავა.

– ოცთეთრიანს გადმოვაგდებ, გაწკარუნდება და მიხვდები.

წავიდა აბრამი. გადააგდო სარამ ოცთეთრიანი. ელოდება. ისაკი არა და არ ამოდის. გადაიხედა ფანჯრიდან სარამ. ხედავს, ისაკი ეზოში დაბოდიალობს.

– ისაკ, რას აკეთებ?

– ფულს ვეძებ.

– რა ხარბი ხარ... ოცთეთრიანი ძაფზე მქონდა გამობმული.

***

ნათესავები არ გირეკავენ? არ ინერვიულოთ, ესე იგი, ისინი კარგად არიან...

***

ხელმძღვანელობის საყვარელი ფრაზაა: „შეუცვლელები არ არსებობენ“. მაგრამ, როდესაც შვებულებაში წასვლაზე მიდგება საქმე: „შენ ერთადერთი ხარ“...

***

ოპტიმისტი – ეს ის კი არ არის, ვინც პირველი იძახის „ვაშას“, არამედ ის, ვინც ბოლოს ამბობს: „ამის დედაც...“

***

– ვერაფერი გავიგე, მიხვალ ღარიბთან, გულთბილად მიგიღებს, გაგიღიმებს, დაგეხმარება, რაც შეუძლია. მაგრამ მდიდართან მიხვალ და... ვერც კი გამჩნევს...

– გაიხედე ფანჯარაში, რას ხედავ...

– ვხედავ ტროტუარზე მოხუცი მიდის ჯოხით... ქალი ბავშვის ეტლით ქუჩაზე გადადის...

– ახლა სარკეში ჩაიხედე

– აქ რა უნდა დავინახო? – საკუთარ თავს ვხედავ.

– ახლა მიხვდი, ორივე შუშაა, მაგრამ ცოტაოდენი ვერცხლი და... მხოლოდ შენს თავს ხედავ.

***

ღამის ორი საათია. ბარი დაკეტილია. სოროდან გამოდის გერმანელი თაგვი, მიიხედ-მოიხედა, კატა არ ჩანს. დაისხა ლუდი, დალია და შეცუნცულდა თავის სოროში. წუთის შემდეგ გამოდის ფრანგი თაგვი, კატა არ ჩანს. დაისხა ღვინო, დალია და დაბრუნდა სოროში. გამოდის მექსიკელი თაგვი, კატა არ არის, დაისხა ტეკილა და წავიდა. გამოვიდა რუსი თაგვი, კატა არ ჩანს. დაისხა არაყი, გადაჰკრა. კატა არ ჩანს. დაისხა მეორედ, გადაჰკრა, ისევ არ ჩანს კატა, დაისხა მესამე... მეოთხე... მეხუთე... დაჯდა... კატა არ ჩანს, წაიკაპიწა მკლავები: „აჰა, არ არის? არა უშავს, დაველოდებით!“.

***

ქმარს ცოლი კალთაში ჩაუჯდა, ეფერება.




– საყვარელო, შენც მითხარი, რამე საალერსო სიტყვა.

– ჩემო ქათამო.

– რატომ ქათამო?

– ისეთ ადგილზე ზიხარ, სხვა რა უნდა მეთქვა...

***

მამაკაცის სიტყვა მტკიცეა – თუ მან თქვა „ხვალ“, ის ამ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, უბრალოდ, თქვენ ყოველ მეორე დღეს უნდა შეახსენოთ.

***

სტომატოლოგთან.

– ცოტა ჰელიუმი შეისუნთქეთ...

– ტკივილს მომიხსნის?

– ტკივილს არა, მაგრამ ცოტა მოგუდულად იყვირებთ.

***

– აი, მამა კარლოს რომ გადმოებრუნებინა შეშის ნაპობი და ისე გამოეთალა ბურატინო, მალვინა აღარ დაღონდებოდა მისი გრძელი ცხვირის შეხედვისას.

***

ქმარი მილიციელი შინ დილით დაბრუნდა.

– ბავშვი მშიერია, რძეზე ჩაირბინე, რა! – გამოსძახა ცოლმა.

– ფუ, შენი... – შეიგინა, ძლივს გაუყარა ფორმის ქურთუკში ხელი და სირბილით დაეშვა კიბეზე.

– შენ რა, სამსახური გამოიცვალე? – ეკითხება გაოცებული გამყიდველი.

– საიდან მოიტანე?

– რა ვიცი, მეხანძრის ფორმა გაცვია...

***

ლაზერული კორექციის ოპერაციის შემდეგ, თვალები რომ გაახილა, დაინახა, როგორი ლამაზია სამყარო... თუმცა, ბინის რემონტი და შეყვარებულის გამოცვლა აუცილებელი გახდა...

***

– მაგარ ფორმაში ხარ, ვარჯიშობ ალბათ...

– არა, დილით დავრბივარ... ყვირილით, ვაიმე, ისევ დამაგვიანდა...

***

მამაკაცი პლასტიკური ოპერაციის კლინიკაში მივიდა.

– ექიმო, პენისის დამოკლება მინდა, სიარულში მიშლის ხელს...

ექიმი ექთანთან ერთად ათვალიერებს... უცბად ექთანმა წამოიძახა:

– საცოდაობაა ამის დამოკლება, ექიმო, იქნებ ფეხები დაგვეგრძელებინა...

***

ქუჩაში ტიპს ძაღლმა უკბინა. აყვირდა:




– მე ვითხოვ კომპენსაციას?

– ბაზარი არაა, ძმაო. ახლავე გავაკავებ და შენ მიდი, უკბინე...

***

ქალი ტაქსის აჩერებს.

– იცით, თან ფული არ მაქვს, და თუ შეიძლება, ნატურით გადაგიხდით.

– რაღა დროს ჩემი ეგ საქმეა, ქალბატონო... – უთხრა ტაქსისტმა, თუმცა, დაფიქრდა, მუშაობა არ მაქვს და კლიენტი არ დავკარგოო. გააჩერა გამვლელი და შესთავაზა, აგერ ქალი და მგზავრობის ფულში შეგიძლია მოიხმაროო. ისიც დათანხმდა, შეძვრა მანქანაში და შეუდგა საქმეს. ამ დროს მილიციელმა გამოიარა, მიაშუქა ფანარი.

– რას აკეთებთ?

– იცით, აი ცოლთან....

– კარგი, მე მეგონა, მეძავთან იყავით...

– ჰო, მეც ეგრე მეგონა, სანამ ფანარს მოანათებდი...

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მ ი ი ღ ე თ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ გადაარჩინა რეზო ლაღიძემ ბუნების მშვენება – შველი დაკვლას

ხამუშ-ხამუშ, არ შემიძლია, ხელოვნებაზე და ხელოვანებზე არ ვწერო. საქართველოში ახლა ველარავინ წერს ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს (შედევრებზე ლაპარაკიც აღარაა), თორემ, გასულ საუკუნეში მეტი რომ არავინ ყოფილიყო, მართლაც ლალი რევაზ ლაღიძე გვეყოფა სიამაყედ და თავის გამოსაჩენად.

ბატონი რეზო (პირადად!) ჩემთვის №1 კომპოზიტორია, რომელიც თანაბრად წერდა ოპერას, ოპერეტას, რომანსს, საესტრადო ჟანრის ნაწარმოებებს და, რაღა დარჩა?!




ეს ხანისწყლისპირზე გაზრდილი პიროვნება მართლაც საუკუნის მოვლენა გახლდათ ქართული მუსიკის ისტორიაში.

ბუნებითაც ლალი გახლდათ და ნამდვილად ამართლებდა თავის გვარს. მართალია, რუბრიკა „კურიოზი“ არ ითვალისწინებს, მაგრამ, მე, როგორც ჭეშმარიტი ქართველი და ქართული მუსიკის უაზროდ მოსიყვარულე, სანამ კურიოზზე გადავალ, თავს თუ არ შეგაწყენთ, მოკლედ ვიტყვი, რომ ბატონი რეზო ბუნების ნამდვილი შვილი გახლდათ. დააკვირდით მისეული ნაწარმოების თითოეულ აკორდს, რაოდენ გაგრძნობინებს საქართველოს... უეკრანოდ დაგანახვებთ, თუ როგორ სუნთქავს ქართული მთა, როგორ ჩხრიალებს ქართული მდინარე, როგორ უბერავს ქართული სიო, როგორ იბრძვის ქართველი რაინდი...

„თუ მიწაზე ფეხშიშველა არ გაივლი, საქართველოს როგორ შეიგრძნობ; თუ ერთხელ მაინც ფეხშიშველას ფეხში ეკალი არ შეგსობია, თუ ერთხელ მაინც ბადე არ გადაგიფენია ჩვენს ვიწრო მდინარეებზე – შენ საქართველოს ვერ შეიგრძნობო“, – ამბობდა.

ამას ქართველების გასაგონად ამბობდა, თორემ, უცხოელ ტურისტებს ისედაც მოსწონთ საქართველო და, ღმერთმა არ ქნას, ეკალი შეესოთ – ვაიდა, მეორედ, შეიძლება, არც ჩამოვიდნენ.

გაამზადებდა თავის ბადე-ანკესებს „ვოლგა 21-ში“ და – ჰერი, ბიჭო, სანადიროდ და სათევზაოდ!

ისიც უთქვამს: საქართველოში მდინარე არაა, მე რომ ბადე არ მესროლოსო. ამაყობდა და შესწევდა კიდევაც „ძალა ქადილისა“.

განა თევზი და ნანადირევი... არა... ერთი ანეკდოტის არ იყოს – „პროცესი“ უყვარდა.

რადგანაც ზემოთ მოვიხადე ბოდიში ვრცელი შესავალისა გამო, თავს ვალდებულად არ ვთვლი, მეორედაც გავიმეორო და ახლა პირდაპირ „საქმეზე“ გადავდივარ.

19... წელია.

დიდებული ლაღიძე ლაგოდეხის ნაკრძალის მაშინდელმა დირექტორმა სანადიროდ და დროის სატარებლად მიიწვია.

რეზო მარტო არ დადიოდა, მეგობრები სულ თან ახლდა – ცნობილი კომპოზიტორ-მუსიკოსები.

რამდენიმე მანქანა მწკრივად მიადგა ლაგოდეხის ნაკრძალს.

გამოეგებნენ ადგილობრივები საპატიო სტუმრებს.

თქმა რად უნდა, სუფრის თადარიგი დაჭერილია, მაგრამ, რეზოს სუფრა არ აინტერესებს, თევზაობა უნდა, ნადირობა უნდა, ფეხშიშველა გავლა უნდა და, რაღა თქმა უნდა, ეს საშუადღეო „მოციონიც“ შესრულდა.

„ცეკას“ ერთი კურატორიც ახლავს თავისი პერსონალური „ვოლგით“ და, მძღოლითურთ, ცხადია.

მძღოლი ერთი ჩიბანდარა სომეხი ავეტიქა გახლდათ, სომხურად შავი და წვერმოშვებული (გაპარსვას ვერ ასწრებდა ხოლმე).

რომ წაითევზავ-წაინადირეს, ჩასულები სუფრასთან მიიპატიჟეს... შუა ქეიფია. თავს არ შეგაწყენთ და – „სიურპრიზიც“ გაიჩითა.

უაზრო, უაზრო და ნამეტანი ვიცით ქართველებმა.

„სიურპრიზი“ – პატარა, გულაფანცქალებული შველი შემოიყვანა ავეტიქა-მძღოლმა.

რადგანაც იმ დღეს რეზოს დაბადების დღე დაემთხვა – ვითომ „პერსონალნი“ პატივი სცეს. შემოიყვანა ეს შველი ავეტიქამ და ბატონ რეზოს მიუფხარკალა ფეხებთან:

– ბატონო რეზო, დღესა თქვენი დენ რაჟდენიაა, რა...

– მერე?.. – გაუკვირდა დიდ ხელოვანს, – რაშია საქმე, ავეტიქ?

– აი, ეს შველი უნდა დავკლა ეხლა და ხუთმეტ წუთში ამისი მწვადი უნდა დაგიდოთ სინზე.

ეშხში შესულ კომპოზიტორს თვალები ჩაუქრა. შველს ხელი შეავლო, თვალებში ჩახედა, მსუბუქად უბიძგა და, ისიც, გახარებული, კუნტრუშით შევარდა ტყეში.

– ეს რა ქენით, ბატონო რეზო?! – პირი გაუშრა ავტიქა შოფერს.

– ბიჭოო! – მოხრილი თითი თავზე მიუკაკუნა ავეტიქას, – როგორ, როგორ შეიძლება, შენნაირმა სიმახინჯემ ასეთი სილამაზე შეჭამოს?!

კომენტარი? აბა, რა კომენტარი, თუ გიყვარდეთ!..

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რა მანქანა იყიდა ჩინელმა ბიჭმა საქართველოში და რატომ დარჩა უმანქანოდ

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად. დედა ახალი ამბავი მაქვს – მანქანა ვიყიდე. მანქანების ბაზრობაზე ვიყავი, სადაც მყიდველზე ასჯერ მეტი გამყიდველია. სავსეა იქაურობა. ევროპიდან, აზიიდან და ამერიკიდან ჩამოყვანილი მანქანებით. რაღა თქმა უნდა, როგორც ყველა ქართულ ბაზარში, აქაც ყველა ცდილობს, მოგატყუოს. დიდხანს ვარჩევდი რომელი მეყიდა და როგორც ქართველების უმრავლესობამ, მეც „ოპელი“ ვიყიდე.

საქართველოში, „ოპელი” უფრო მეტი დადის, ვიდრე მოწესრიგებული ადამიანი. მართალია ეს მოდელი იაფი ღირს, მაგრამ ძალიან ხშირად სჭირდება შეკეთება. ჩემმა მანქანამ 3 დღე გაძლო და ჩახჩახი დაიწყო. რა თქმა უნდა, ხელოსანს მივაკითხე. პირველი ხელოსანი კეთილი აღმოჩნდა და მითხრა: ყუმბარებია ჩაშლილი და არ უნდა გაკეთება, მთელი თბილისი ეგრე დადისო. მე არაპროფესიონალი მეგონა და სხვასთან წავედი. თურმე, როგორი კარგი ადამიანი ყოფილა, ჩემი ბრალია, შეცდომა რომ დავუშვი. შემდეგმა ხელოსანმა – თემქელმა გარიკამ მითხრა: ორ დღეში მოვაგვარებო და რაც მანქანაში გადავიხადე იმის მეოთხედი მომთხოვა გაკეთებაში. მე, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და სხვისი ძებნა დავიწყე. კობას ვთხოვე დახმარება და მიმასწავლა – თბილისის ზღვაზე მაგარი პროფილაქტიკაა, ცალხელა ზაურა იკითხე, ოქროს ხელები აქვსო. თავიდანვე დავეჭვდი, მაგრამ კობამ მითხრა, როცა მიხვალ, ეგრე უთხარი, მალხაზამ გამომგზავნა ოქროს უბნელმა-თქო და მოგხედავს კაცურად. მეც წავედი ამ ზაურასთან, მოვძებნე და რიხიანად ვუთხარი, ვინც გამომგზავნა. ამხედ-დამხედა და მითხრა, ახლა ხალხი მყავს და ორ კვირაში მოდიო. ძალიან მეჩქარება-მეთქი, შევეხვეწე და დამთანხმდა, ხვალ გაგიკეთებო. ქართველებს საერთოდ ძალიან უყვართ, როცა რაღაცას ეხვეწები. დამავალა 4 საათზე ამოდი და რასაც გეტყვი, ის ამოიტანეო: რუსული მაზუთი, ყუმბარები აუცილებლად გერმანული, ორი ცალი ხამუთი, ფრანგულები ჯობია ყველასო. ცოტა კი შემრცხვა, რომ ჩემი „ოპელისათვის” ნახევარი ევროპა შევაწუხე, მაგრამ რაღას ვიზამდი, რაც დამავა-




ლა ვიყიდე ყველაფერი. მისი ხელობის საფასურის ნახევარიც დავუტოვე და წამოვედი. მას შემდეგ ორი კვირა გავიდა დედა და ჩემი მანქანა გაუნძრევლად დგას ხელოსნის გარაჟთან. რა ვქნა, ძმაო, საქმე არ ილევა, შენ წინ სხვები იდგნენ რიგშიო. დღეს ძალიან გავმწარდი და ვუთხარი, ჩემი ფული და ნაწილები დამიბრუნე, სხვაგან გავაკეთებ-მეთქი და მითხრა: ჩემი ბიჭის სწავლის ფული გადავიხადე და რომ მექნება, მოგცემო. სხვა გზა არ არის, მე და კობამ ის ოქროს უბნელი მალხაზა უნდა წავიყვანოთ, იქნებ რამე ეშველოს ამ საქმეს.

რა ვქნა, ფეხით დავდივარ ისევ. თუმცა, უამრავი ქართველი არსებობს, ვისაც მანქანა ჰყავს და მაინც ფეხით დადის. მიზეზი ადვილი მისახვედრია, მათ, უბრალოდ, ბენზინის ფული არ აქვთ. ნუ გიკვირს დედა, ხშირად მანქანაზე ძვირიანი ტელეფონები აქვთ ხოლმე და თვე ისე გავა, ორ ლარს ვერ რიცხავენ ზედ. ადრეც ხომ მოგწერე, ქართველები ტრაბახა და ბაქიბუქა ხალხია-მეთქი. ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. მომიკითხე ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.





ტურისტული სააგენტო

საქართველო



გთავაზობთ
კომფორტულ
ავტობუსებსა და
მიკროავტობუსებს
გაქირავებით.
ტელ.: * 18 18
2 18 18 18

## საფინანსო კომპანია საქართველო,

ვიღებთ მოსახლეობისგან სესხს წლიურ 30 %-ად. ასევე, კომპანია გთავაზობთ ავტოსალომბარდო მომსახურებას ყველაზე დაბალ პროცენტად, ავტომობილების ადგილზე დაზღვევით და გადაფორმებით. ავტოდაზღვევას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“

www.saqartvelocompany.ge

მის. ალმაშენებლის გამზირი №151

ტელ: * 18 18



## ტურისტული კომპანია „საქართველო“

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის: ყოველ შაბათ-კვირას გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით, სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ და მოინახულოთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. ავტობუსები ყოველ შაბათ-კვირას დილის 8 საათზე გადის სპორტის სასახლიდან. ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ტური ჩატარდება ნებისმიერი ამინდის პირობებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე: ტურისტული კომპანია „საქართველო“



რისი მოზომვა უჭირს ყოველ დილით თათია დონაძეს და ითხოვს თუ არა ის საოცრებებს მამაკაცისგან

გვ. 51



რა ისწავლა მამაკაცთან ბოლო ურთიერთობისას ანჩო დოლიძემ და რის გაკეთებაში ეხმარება მას აფექტური ხასიათი

გვ. 74



როგორ ეგუება პარიზში შეყვარებულის რამდენიმეთვიან გამგზავრებებს ბაჩო კოლელიშვილი და როდის ნერვიულობს მის გამო სააგენტო „ფორდის“ მოდელი ეთუნა ვაშაკიძე

გვ. 19

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №51 (677) • 16 – 22 დეკემბერი • ფასი 1,50 ლარი